ანეული

ლიტერატურული ჟურნალი

N1, 2021

მოსე ჩასთვალი და ბეჩი ბაბგანე ეხლანდელი ისრაელის ჯვის მონასტერში
მხატვარი – ირმა ლომაური

ვარიების ეროსთვალი და მეფეჰ-ქალაქ-ეზოსანი მოსე
ლაღო ქელიძე

მე ჩამოვდიოდი
თავიდან ქალაქი
თამარ მიქაძე
ბარბარე ყიფიანზე

ბაბაჯანოვბელი მოსეს-ხოლბების: ენციკლოპედი
თეიმურ ჯაჯანიშვილი

ეროვნის მოგონებები
თეიმურ ჩალაბაშვილი

ფუბი ბუნნიუმვილი – ხელოვანი სამაჩაბლოდან,

აჯესუკაჩების სახელოსნოს „ბილდი ჰენდმეიდის“ დამფუძნებელი

ანეული – გაბავშვოვლის ხნოვლი

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსი

მეფე ეხეული ჯარისკაცებ მეომრებთან
მხატვარი – ელზა თუშაბრამიშვილი

ახალი წიგნები

3033ი წლისთავისწინის ნაკეთობები



ქეთინან „ანეულის" შემოქმედებები:
ქალი ასანიძე, ეკატერინე ოთარაშვილი, ჯუმა ლებანიძე,
იოანე ჯაფარიძე, ოლგა ბალაბანიდაძე, ლიზიკა კიკოლეანი

ქველმოქმედებისა და განმანათლებელი საზოგადოება „ანეულის"
რეკვიზიტები:
სს „საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის ნომერი: GE81BG 0000000 306158900



ანეული

№1. (№30) აპრილი. 2021

ლიტერატურული ჟურნალი

გალაკტიონ ტაბიძე – 130

ბალალტიონ ტაბიძე შემოქმედება ..... 3.

რეცენზია

თემურ ჯაბოდნიშვილი გამარჯვებული მოთხრობების ანალიზი 4

ერთი ლექსი **ლინა ბახალთაშვილი** ტატოს 7

ასალი მასალები

თამარ მიქაძე მე ჩამოვდივარ თქვენთან ქართველი 8

პოეზია

ალი ბულისაშვილი 12

ბიოხბი ბალახაშვილი 13

პროზა

ბადხი სელაძე ბიბო 15

ბია პაპუაშვილი რკინის მანეთიანი 17

თემურ ჩალაბაშვილი პოეტის მოგონებები 22

მინიატურა გზავნილი მომავლისადმი 24

თვალსაზრისი

ალდო ჟელიძე ჰერეთის ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი შოთა 25

ერთი ლექსი **თამარ ბაბიოშვილი** გიყვარდეთ ერთმანეთი! 29

ოთარ ჩხეიძე – 100

ბიოხბი ალიაშვილი „მცდომი ქვეყნის“ პირუთვნელი მძრახველი 30

ასალი წიგნები

ხევაზ ბალანჩივაძე პორტრეტი დიდი მწერლისა და მამულიშვილისა 32

პროზა **ბიზო თავაძე** მესაიდუმლე 36

ერთი ლექსი **თამარ შაიშმელაშვილი** ქრისტესისხლა – ფორე მოსულიშვილის ხსოვნას 39

პოეზია

მანანა დაბახიშვილი 40

ლეილა ჯახველაძე (ლელა ფიოონელი) 43

ნინო მშვიდობაძე 46

პროზა

სოლომონ ნეიბაძე სიკვდილი აფთიაქში 48

ნანა დემეტხაძე გვიანი სინანული დაგვიანებული წერილის გამო 52

მწერლის არქივიდან

თემურ აბელაშვილი კვირტები 54

ერეკლე მეფე – 300

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია 55

თარგმანი ერთი ლექსისა

ნიკოლოზ ტიხონოვი ალექსანდრა ჯაფარიძე უშბაზე, თარგმნა რუსულიდან ჭუბაბრიამ 56

პოეზია

ია მამალაძე 57

ალი ფიქუიძე 59

„გავსდავთ წარსულს“...

დავით ბოთეა ბოთეაშვილი ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა 60

ბიოხბი ზუბიტაშვილი ქოხი ჩელთის ჭალაში 64

ერთი ლექსი და საარქივო ჩანაწერი

თამილა ბობოლაური საკართანო, გულქანის მონათხრობი 66

პოეზია **შოხენა ჩახნაშვილი** 68

წერილი–შთამჭდიოლმა

ლეილა ჟიტოშვილი-სახლთხუსიშვილი დაუსრულებელი ყაისნაღური პრობლემები (დასაწყისი) 69

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახლებული
ლიტერატურული გაერთიანება:

რეზო (ემელიანე) ადამია
რევაზ ბალანჩივაძე
თამარ გაბროშვილი
თამარ მიქაძე
თენგიზ უთმელიძე
ლეილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
ჯუბა ლებელი
თამაზ ხმალაძე
თემურ ჯაგოდნიშვილი
ივანე ჯაფარიძე

მთავარი redaქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი redaქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოჩბი ზუჩებიანი

გარეკანის პირველ გვერდზე: შოთა ჩუსთაველი და ბერი ბიოჩბი ეზდაველიძე ჯვრის მონასტერში, მხატვარი იმმა ლომაური
გარეკანის ბოლო გვერდზე: ფატი ჯანნიაშვილის ნამუშევრები

redაქციის ტელეფონი: 551 005 058

redაქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი, გამოსაქვეყნებელი სტატიის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 5 ნაბეჭდ გვერდს

ჟურნალი დაბეჭდილია სოციალური თერაპიის სახლში, შშმ პირების მონაწილეობით

ბალასტიონ ტაბიძე

შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

მოხდება ხოლმე, ცა მიზიდავს
განუსაზღვრელი,
ვარსკვლავთა შორის, სხივთა ტბაში
არა მყავს ტოლი.
ვბრძანებ: ტყის შქერში გაჩუმდება
ნიავი ნელი.
ვიტყვი და თრთოლვად გადიქცევა
ვერხვის ფოთოლი.
მზე ჩემთვის ბრწყინავს და მეფე ვარ
ყოვლისმოქმედი,
არე-მიდამო ნეტარების
ცრემლით ივლება,
ჩემს ხელში არის მაშინ ჩემი
მძვინვარე ბედი,
ქვეყნად ყოველი არსის სული
მემორჩილება.
ეს მაშინ არის, როცა აზრი
მიჰქრის შორს, შორს, შორს
და ლტოლვა გულში დაგუბებული
ეძლევა შვებას,
ირგვლივ ვერ ვხედავ ჩემს თანაბარს
და ვისმეს ჩემს სწორს,
რომ ამგვარადვე ეძლეოდეს
ტკბილ-ნეტარებას,
ვხედავ, მიფრინავს იქ, სადღაცა
ნისლი უსახო,
ვგრძნობ, რომ მის ტალღას,
ერთხელ ჩემს მძლევს,
გააპობს მკერდი,
ო, უძლეველო დიდო წამო
შემოქმედების,
ეხლა ყველაფერს... ყველაფერს ვქმნი
ახალი ღმერთი!

1909

გამარჯვებული მოთხრობების ანალიზი

2020 წელს მეთერთმეტედ ჩატარდა ცნობილი ქართველი მწერლის, მინიატურული პროზის დიდოსტატის რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ ლიტერატურული კონკურსი. კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეობის პატივი (და უპირველესად უაღრესი პასუხისმგებლობა) ჟურნალ „ანეულის“ რედაქციის – ამ კონკურსის მოთავე-ორგანიზატორის – გადაწყვეტილებით, ამჯერადაც მე დამეკისრა. პანდემიით გამოწვეული ვითარების მიუხედავად, კონკურსმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. კონკურსის პირობებს რომ აკმაყოფილებდა, ასეთი 70 მოთხრობა შემოვიდა.

მკითხველი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ ჟიურიმ კონკურსის შედეგები შეაჯამა, გამარჯვებულებიც გამოავლინა და დაჯილდოვა სამი პრემიითა და პრიზებით.

პირველი პრემია დაიმსახურა **რეზო ჯორბენაძემ** მოთხრობისათვის „მეც შენთან ერთად“, მეორე პრემიით დაჯილდოვდა **ნინო მანძულაშვილი** მოთხრობისათვის „ბერდია“, ხოლო მესამე პრემია ერგო **სალომე გოგოლაძის** მოთხრობას „ქვის სახელი“.

პრიზიორები გახდნენ: ლელა თოთაძე (მოთხრობა „მიტაცებული სიკვდილი“), როლანდ გიორგაძე (მოთხრობა „გზას აყოლილი ფიქრები), გია პაპუაშვილი (მოთხრობა „რკინის მანეთიანი“), ზურაბ გურჩიანი (მოთხრობა „საფლავები“), ბადრი სულაძე (მოთხრობა „ბიბო).

ნებისმიერი ლიტერატურული კონკურსი, რომელიც კონკრეტული აღიარებული მწერლის სახელს ატარებს, ბუნებრივია, ამ მწერლის მხატვრული ოსტატობით დამკვიდრებულ სამწერლობო ღირებულებებს – მხატვრულ ხედვას, ტროპულ მეტყველებას, მის მიერ შექმნილი მხატვრული სამყაროს რეალურ სინამდვილესთან მიმართება-შესაბამისობის თავისებურებებს ასახავს მწერლობაში შეჯიბრის ორიენტირებად. კონკურსანტიც ამ ორიენტირების ცოდნით (გააზრება-გაცნობიერებით) ფასდება.

თუ კონკურსანტი სერიოზულად ემზადება კონკურსისათვის, აუცილებლად ამ ყველაფერს სახავს ორიენტირად, სახავს იმ ხელოვანს, შემოქმედებით მანერას, ვისი სახელობის პრემიის მოპოვებაც აქვს განზრახული; რაღაცნაირ სულიერ სიახლოვესაც უნდა გრძნობდეს – „უხილავ“ კავშირებს რომ იტყვიან. ამით არის განპირობებული ნაირფერი ლიტერატურული კონკურსების არსებობს, რაიც თავისთავად დიდი, სახელოვანი მწერლის მიერ დამკვიდრებული სამწერლობო ტრადიციების ფესვმაგრობის ძიებაც არის მიმდევართა გამოვლენის ფორმით. ასე რომ არ იყოს, კონკურსის ბედიც პირწმინდად სუბიექტურობის ამარა დარჩებოდა, **რადგან მისი საფუძველი – შედარება ისედაც** ვერ გამორიცხავს **შემფასებლის შეფასებითს სუბიექტურობას.**

რევაზ ინანიშვილი უაღრესად ეროვნული განცდის მწერალია, მისი ენა ბუნებრივი ქართული მეტყველების სამწერლობო რეგისტრის განსახიერებაა, ორ-სამ სტრიქონში (გამოთქმაში) სათქმელის თქმის დიდოსტატობაა, რასაც **მინიატურულ პროზად** მოიხსენიებენ, მწერლობის ენაზე ნოველისტურსაც წოდებენ. ამბის ამნაირ გადმოცემაშია შთაბეჭდილი **ქართული მზერა და ქართული ცდა;** იგი მომენტურია და დეტალზე კონცენტრირებული. დეტალში მთლიანურის ამოკითხვის უნარის მქონეა. აკი ამნაირ მზერა-ხედვასა და ცდაში შეიძლო ქართულმა ხელოვნებამ განუმეორებლობა და ნაკლებად პანორამულობაში (წყლის წვეთში ზღვის დანახვის მისწრაფება – როცა გვაქვს ზღვა და არა გვაქვს ზღვის პოეზია, მთის პოეზიის დარად, სოხუმის ზღვის პოეზიის სკოლის გარდა);

გვაქვს მთის პოეზია და სასწაულებრივიც, რადგან ზეცას აზიდულობით მედიდურია და ქართული განცდის სიდიადის წარმომჩენი – ქართული ხედვის პროეცირება. ამის გამოა, რომ პოეზიაც (ეპიკურიც) ნოველისტურია, ნოველების ბმულობაა სიუჟეტურად, შენაკადებია (ამას ჩვენი უპირველესი ეპიკური ქმნილება „ვეფხისტყაოსანიც“ ცხადყოფს).

აღნიშნულს, ცხადია, ის ღირებულებითი ელემენტებიც ემატება, რითაც საერთოდ ფასდება მწერალი. ეს ელემენტებია:

- ჩვეულებრივი მზერისათვის ძნელად მოსახელთებელი (უხილავი) სინამდვილის აღქმის უნარი;
- მომენტურში მარადიულის და დეტალში მთლიანურის დანახვის უნარი;
- სიტყვის, ფრაზის, თქმის გრძნობის უნარი;

აქ იგულისხმება ძალდაუტანლობა, სიტყვაში არა მხოლოდ ზედაპირული შინაარსის, არამედ სიღრმისეულობის ამოკითხვა.

- რეალურის მსგავსი სინამდვილის შექმნის უნარი.

აქ გასათვალისწინებელია, აგრეთვე, თანამედროვე სამწერლობო ენის ერთი ტენდენციაც: ტროპულობის უგულებელყოფა, ნართაულობაზე ხელის აღება, სათქმელის პუბლიცისტური ღიაობით წარმოჩენისაკენ მიდრეკა, რაიც დროის მოთხოვნაა. დროის დინების საოცრად აჩქარებულობამ კიდევ უფრო მეტი აფორიაქებულობა და მოუცლელობა რომ აქცია ნორმად, ადამიანში სასწაულებრივად გააძლიერა სულსწრაფობა, მოუცლელობა, ინფორმაციულმა გადავსებულობამ, ამბის დროის უმცირეს მონაკვეთში გაგების მოთხოვნილებამ ადამიანი შეცვალა – მას აღარ სცალია, თითქოს და, ეზედმეტება შეფარვით, ნართაულად თქმულის ამოცნობა-ამოკითხვისათვის. ყველაფერი ერთ წამში უნდა, თქმის დამთავრებამდე წვდომა სათქმელში.

ამას ისიც ემატება, რომ რეტიალურ მკითხველს მხატვრულ ტექსტში ის იზიდავს, რაც მას სჭირს, სტანჯავს, აფიქრებს, ვერ უპოვია პასუხი. იგი მაშინ „მშვიდდება“, როცა გაიგებს, რომ იგივე სხვასაც სჭირს, ერთგვარად წყნარდება და გონებაჭვრეტით ცდილობს მომხდარის გარკვევაში, საერთოსთან საკუთარ მიბმულობაში. ამგვარი განცდის თანამედროვე და ჭეშმარიტად პლანეტარული მასშტაბის მაგალითია პანდემია – კორონავირუსი.

სწორედ ამ ნიშნით გამოირჩა საკონკურსო მოთხრობებში **რეზო ჯორბენაძის გამარჯვებული მოთხრობა „მეც შენთან ერთად“.** ეს გარემოება თემის აქტუალურობასაც განაპირობებს. ეს მოთხრობის ერთ-ერთი ღირსებაა, ცხადია, და არა ერთადერთი. თემის აქტუალობას განსაზღვრავს ჩვენი ამჟამინდელობისათვის არანაკლებმნიშვნელოვანი მოვლენა – ემიგრაცია, ემიგრატული ყოფა, უცხოეთში სიკვდილის შიში და მშობლიური მიწის – ფესვების ძახილი („მშობელ მიწაში მიდგას ფესვების“ განცდა).

ქართული ხელოვნებისათვის კარგად ნაცნობია ამ განცდის ახალი ვარიაცია კორონავირუსით მოგვრილი საყოველთაო ზნედაცემულობის ფონზე, რამაც არა მხოლოდ ერთეული ადამიანები, არამედ მთელი სამყარო გაასხვაგვარა.

ეპოქის შესაბამისია რ. ჯორბენაძის მწერლური ენაც – ტენდენციის ღიად გამჟღავნების მანერით და ამით პუბლიცისტურობისაკენ მიდრეკით, რაშიც თანამედროვე ქართული მხატვრული სტილის ნოვაციების გამოხატულება იკითხება.

მოსაწონია მოთხრობის აგებულებაც. იგი შვიდი ნაწილისაგან (ეპიზოდისაგან) შედგება, თითოეული შინაარსობრივი-პრობლემური თვალსაზრისით შეკრულია – მთლიანი ამბის შენაკად ამბებს წარმოადგენს.

მთლიანი ამბავი კი ახალგაზრდა, წარმატებული, გერმანიაში ემიგრირებული ცოლ-ქმრის ყოფას მოიცავს, კონკრეტულად ექიმ ლევან ჯაფარიძის ტრაგედიას – საავადმყოფოში კოვიდით დაინფიცირებას, მოულოდნელ გარდაცვალებას, მიუსაფრად დარჩენილი მისი მეუღლის – ეკატერინე თალაკვაძის განმაცვიფრებელ სულის სიმტკიცეს პანდემიით გაოგნებული გერმანელი საზოგადოების დაბნეულობის ფონზე, კერძოდ, გარდაცვლილი ქმრის ფერფლისა და ნიშნობის ბეჭდის სამშობლოში საფოსტო გზავნილით გაგზავნისა და ფესვების ძახილის მისტერიალურობის გაცნობიერება-აღსრულებით.

მოთხრობის ყველა (შვიდივე) ნაწილი (ამბავი) გამორჩეულია და ძლიერი პროზის კანონების თვალსაზრისით, თუმცა მათში ისეთიც არის, თხრობის ნიჭთან ერთად სამედიცინო განათლებასაც რომ საჭიროებს.

ამ მხრივ გამორჩეულია მეორე ნაწილი, სადაც გადმოცემულია კოვიდინფიცირებული პაციენტის – 80 წლის ქალის, ბიანკას სამედიცინო მსხვერპლშეწირვის ამბავი, – სამედიცინო აპარატურის ნაკლებობის გამო, მისი „გაწირვა“ უფრო ახალგაზრდა ინფიცირებული ადამიანის გადარჩენის მიზნით.

ამ ეპიზოდში მწერლური ნიჭის პროფესიონალი ექიმი გვესაუბრება, მისი თვალით დანახულ სცენას ვჭვრეტთ – თანატოსთან ექიმების შერკინებისა და სიკვდილ-სიცოცხლის შეჭიდების სცენას, – იმ სამყაროს, სადაც დამთრგუნველი ღიაობით შემოგვყურებს სიკვდილისა და სიცოცხლის გვერდიგვერდობა, სიკვდილ-სიცოცხლის აღლუმურობა მედიკოსის – სიცოცხლის ქურუმის თვალით დანახული, განცდილი, დანახვებული.

განსაკუთრებით ძლიერია (და გადამწყვეტიც!) ფინალური ნაწილი (ეპიზოდი), სადაც გადმოცემულია დაქვრივებული ეკატერინე თალაკვაძის განცდები, ქმრის ფერფლის სამშობლოში გაგზავნის გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების მოტივაცია (მახვილგონივრულად გადაწყვეტილი).

მწერალი ოსტატურად აღწერს პერსონაჟის სულში აშლილ ფიქრებს – რა სჯობს – სოკრატეს სიბრძნით ხელმძღვანელობა („თუკი გარდაცვალების შემდეგ მიპოვით, სადაც გენებოთ, იქ დამმარხეთ“) თუ ქმრის ფერფლადქცეული ნეშტის სამშობლოში („მშობელ მიწაში“) დაკრძალვა. ევროპულ პრაგმატიკას ქართული განცდა სჯობნის („მშობელ მიწაში მიდგას ფესვები“). სწორედ ფესვების ძახილმა „უკარნახა“ ეკატერინე თალაკვაძეს ქმრის ნეშტის უცნაურად დაბრუნება სამშობლოში – „თავის მონატრებულ ქვეყანაში“.

აღსრულდა დიადი მისტერია, ლევან ჯაფარიძე „იმ მიწაში ჩაიფერფლა, რომელიც აგრერიგად უყვარდა“ და „გაამტყუნა ანტიკური ეპოქის ბრძენი სოკრატე“ – ქართველისათვის სულაც არ ყოფილა სულ ერთი, სად დამარხავენ. სწორედ ამნაირი ფიქრით არის ძლიერი გამარჯვებული მოთხრობა, რასაც კიდევ უფრო აძლიერებს სიმბოლიზებული დეტალი: ფოსტაში გზავნილი რომ დატოვა და გასასვლელისაკენ გაემართა, სწორედ მაშინ იგრძნო

ეკატერინე თალაკვაძემ, „რომ ნაყოფი პირველად იძრა“. ასე ლამაზად არის გადმოცემული სიცოცხლის მიერ სიკვდილის ძლევის მისტერიალურობა.

სწორედ ამ ყველაფერმა განაპირობა რ. ჯორბენაძის მოთხრობის წარმატება და გადაწონა რამდენიმე ხარვეზი, რომელთაგან „ჩინურის“ ცნებაზე ქართული ენობრივი ცნობიერების დონეზე ცალმხრივ (და გაჭიანურებულ) მსჯელობას შეეხება („ჩინური“ ყოველთვის გაურკვევლობასთან ასოცირდება. საუცხოოდ ასოცირდება: **ჩინებული, საჩინო (გამოსაჩენი), ჩინი, თვალსაჩინო, თვალისჩინი** და ა.შ.)

გაჭიანურებული მეჩვენება მსჯელობა ფერწერულ ტილოებზე. ენობრივი წაცდენებიც იმზირება გულდასაწყვეტად. მაგ, „სწორედ მას უნდა გაეწირა მოხუცი და მისი საცოდაობა თავის თავზე ეკისრა“ (აეღო?!).

და მაინც: რ. ჯორბენაძის მოთხრობა „მეც შენთან ერთად“ აშკარად გამოირჩევა საკონკურსოდ წარმოდგენილ მოთხრობათა შორის.

საკონკურსოდ წარმოდგენილ მოთხრობათა შორის განსაკუთრებული სიმპათიის გამომწვევია **ნინო მანძულაშვილის მოთხრობა „ბერდია“** არა მხოლოდ ამბის, სათქმელის, თქმის უაღრესი ქართულობით, არამედ მოთხრობის, ხატვრული სივრცით, ყოფითი რეალიებით... აქ ყველაფერი ქართულია, სევდაც, განცდაც, თქმაც. ისეთი განცდა უჩნდება მკითხველს, თითქოს ისტორია გადმოსულია დღევანდელობაში თავისი გულისტკივილის სათქმელად (გასაცნობად). ამ განცდას აძლიერებს ეთნოგრაფიული ყოფის რეალიების საუცხოო ცოდნაც. ამიტომ დამაჯერებელია ამბავიც, რასაც დააფუძნა მწერალმა თავისი სათქმელი. ესაა მონადირის ამბავი – ჯიხვებზე მონადირისა, მიუვალი ჭიუხვების გმირისა, ნადირობისას მთაში რომ შემოაღამდა და გამოქვაბულში ადამიანური გულქვაობის ნაყოფს რომ გადააწყდა – სოფლისაგან მოკვეთილ და ჩასაქოლად განწირულ უდანაშაულო ახლადმოლოგინებულ ქალს – ჩვილით. ამგვარი ამბავი არც მთის ზეპირი სიტყვიერებისათვის არის უცხო და არც მწერლობისთვის. უდანაშაულო დამნაშავის ტრაგიკული ხვედრი თავისი სულისშემძვრელობით არის კათარზისული, მაგრამ მოკვეთილის სულიერი განცდების, ტკივილის ოდენ გადმოცემა ერთ ხიფათს მაინც შეიცავს მწერლისათვის, ესაა მისი ამბის მთხრობელად დარჩენა, ნ. მანძულაშვილმა კი თავისი მწერლური ნიჭიერების წყალობით ამ თავისებურად მოარული ამბის გადმოცემას მაინც მოუძებნა თავისი მიმართულება – თხრობა ყოფითიდან ზნეობრივ-ეთიკური პრობლემატიკის დონემდე აზიდა და გულქვაობა-გულმოწყალეობის ბინალური ოპოზიციის ამაღლებული, სპეტაკი რეგისტრები წარმოაჩინა: მან ზედმეტი მსჯელობის, მედიტაციების გარეშე აამაღლა თავისი გმირი ადამიანურ სიმდაბლეზე, შეგინებულ ქალს ნამუსი მოსწმინდა – პატრონად დაუდგა და ამით ამაღლდა ყოფითსა და უტილიტარულზე, გულნამცეცა, ყალბ, მოჩვენებით მედიდურობაზე.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტით „გამოგლიჯა“ ამბავი ისტორიას და მის უმაღლეს დააყენა. ამ ღირსებამ განსაზღვრა მისთვის მეორე პრემიის მინიჭება.

ერთგვარად გაჭირდა მესამე პრემიის მინიჭება. ბევრი კრიტერიუმით საკონკურსოდ წარმოდგენილი მოთხრობები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. არჩევანი ერთ რაიმე ასპექტს უნდა გადაეწყვიტა, მაგრამ რომელს, რას, ამის გარკვევა გაჭირდა. ბოლოს **არჩევანი შეჩერდა მოთხრობაზე „ქვის სახელი“, რომლის ავტორიც ქალბატონი სალომე გოგოლაძე** აღმოჩნდა. და ეს იმის მიუხედავად, რომ არც მოთხრობის თემაა ქართული სინამდვილიდან გამომდინარე და არც მისი მხატვრული სივრცე-გარემო. ესაა არაბული აღმოსავლეთი და მისი ბინადარნი.

რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი კი, როგორც აღინიშნა, უფრო მის მწერლურ მანერაზე, თემატიკა-პრობლემატიკაზე ორიენტირებასაც გულისხმობს. მისი სახელობის პრემიის ლაურეატი მის სამწერლობო ტრადიციებთან უნდა ამჟღავნებდეს რაღაცანირ, თუნდაც შორეულ ნათესაობას. ეს „შეუსაბამობა“ მაინც არ ჩაგვითვლია გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენად და მესამე პრემია მაინც მივანიჭეთ, რადგან ავტორმა შეძლო თავისთავად აქტუალური თემის თავისებურად წარმოჩენა. ესაა ე. წ. დაკარგული კულტურული დოვლათის მოარული თემა, კერძოდ, ძველი ეპოქის ზღაპრული ქალაქის პეტრას (მსოფლიოს მერვე საოცრების) ძიების თემა. მოთხრობის სიუჟეტური ქარგაც ტრადიციულია: შეძლებული შვეიცარიელი მკვლევარი **იოჰან ლუდვიგ ბერქჰარდტი** (იგივე იბრაჰიმ აბდალამი) არაბეთში ჩავიდა მითიური ქალაქის პეტრას აღმოსაჩენად და არაბი ქალის აზულიას დახმარებით იხილა საოცნებო ქალაქი, რომელიც მათ გადაეშალათ, როგორც ცის გარდამოხსნა.

პრემირების საკითხი გადაწყვიტა მოთხრობის ფინალმა, რომელიც ზღაპრულ-ფანტასტიკური მისტერიალური რეალიებით არის შესრულებული: აქაა არაბი ქალის მიერ შესრულებული (შე) ლოცვა-რიტუალის მისტერიალურობა, განძეულის მცველი ზღაპრულ-მითოსური გველი უჩვეულო როლში – სიკეთის მსახურების გზაზე დამდგარი, აქაა აზულიას მსხვერპლშეწირვის (საკუთარი სისხლის წვეთების მოპკურება უდაბნოს ქვებზე), „სანაცვლოდ“ პეტრას გამობრწყინება ქვიშის წყვდიადიდან და ა. შ.

მოთხრობის ღირსებას განსაზღვრავს ბუნების სურათების (პეიზაჟების) ხატვის დონე. ავტორის ნიჭიერება უდაბნოს პეიზაჟების თავისებური უფერ-

ულობა-ერთფეროვნების ამეტყველების უნარში.

მესამე პრემია ერთგვარი წამახალისებელი გამიზნულობით არის მინიჭებული და ჩვენი ფიქრით ავტორის შემდგომ მწერლურ დაოსტატებას უნდა შეუწყოს ხელი. ამას კი მოთხრობის მხატვრული თვალსაზრისით სრულქმნილი პასაჟების გვერდით ახალგაზრდული გაუწაფავობით აღბეჭდილი ადგილებიც იქცევს ყურადღებას. გამარჯვებული (პრემირებული) მოთხრობების საზოგადოებისათვის წარდგენის ტექსტის ფორმატი, მართალია, არც ითვალისწინებს და ვერც გუობს შენიშვნებს, მაგრამ ობიექტურობა მაინც ითხოვს ზოგიერთის აღნიშვნას.

ხსენებულ მოთხრობაში ზოგან დარღვეულია თხრობის ლოგიკური თანამიმდევრობა. ასე,მაგალითად, ბაობაბის ასწლოვან ხესთან ღამისთევის ეპიზოდში ბედუინებმა ხეს „რამდენჯერმე შემოუარეს, მისალმების ნიშნად თავი დაუკრეს, დახორკლილ მერქანს მუხლები მიაბჯინეს და რაღაც წაიბუტბუტეს იორდანულ ენაზე. მერე ისევ წამოუდგნენ ფეხზე, როგორც ცოცხალ კაცს, თაყვანი სცეს და ხელაპყრობილებმა წვიმა შესთხოვეს. ეს იყო წვიმის მოსვლის რიტუალი, რომ აქლემებს წყალი ჰქონოდათ, მათ კი მათარები ავევსოთ მაცოცხლებელი სითხით“, – წერს ავტორი და იქვე აგრძელებს აბზაცით:

„აქლემებმა ფრუტუნით ჩაიმუხლეს და სახემობურული კაცები კუზებიდან ჩამოცურდნენ“. აქ ჯერ ერთი,ლოგიკური შეცდომაა, აქლემებზე მსხდარებმა შეასრულეს წვიმის გამოთხოვის (და არა „წვიმის მოსვლის“) რიტუალი, თუ ჯერ ჩამოვიდნენ, მუხლები ხეს მიაბჯინეს, ხელები აღაპყრეს, ილოცეს, მერმე კვლავ შესხდნენ აქლემებზე, წასვლა გადაიფიქრეს და სახემობურულები ისევ ჩამოქვეითდნენ?! შეცდომაა იმაშიც, რომ მგზავრებში ყველა მამაკაცი არ იყო, მათში ერთი ქალიც იმყოფებოდა – აზულია.

ჩვენს ავტორს დიდი მუშაობა მართებს ენის დასახვეწად. ხშირია აშკარად სტილისტური ხარვეზიანობა...

დაბოლოს, დავძენ, რომ წლევანდელმა კონკურსმა კიდევ ერთხელ ცხადყო რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსით დიდი დაინტერესება. განსაკუთრებით ხაზგასასმელია მოთხრობების მაღალი დონე. ძალიან ბევრი კარგი მოთხრობა შემოვიდა. ეს მნიშვნელოვანია იმით, რომ ქართული თხრობის, მხატვრული ცნობიერების ტრადიციები არ მინავლებულა, არ ჩაკარგულა პრაგმატიზმით გამორჩეულ და გლობალიზმით გაერთგვაროვნებულ სამყაროში.

თემურ ჯაგოდნიშვილი,
პროფესორი, ჟიურის თავმჯდომარე

ერთი ლექსი

ლინა ბაჩათაშვილი

ტატოს

შენი სულის, ობოლ სულის სალოცავად,
წინანდალი აღმართულა მარტო
ბილიკი აქვს ციცაბო და დამრეცი,
გვიანია, ნუღარ მიხვალ, ტატო!
ქორწილი აქვს ჭავჭავაძეს სასახლეში,
დედოფლის შუქს ჭერზე ჭაღი ნატრობს...
სიხარულის მზე ანთია სასახლეში,
და შენს სანთელს, დადიანი აქრობს
ჰა, დაიძრა მაშხალების მაყრიონი,
შენ კი, სევდამ მოგაკითხა მარტო,
სულის გვემას, ვაჟკაცურად გაუძელი,
სხვით, აბა, რით განუგეშო, ტატო.
მიჰყავს მთავარს შენი წმინდა სალოცავი,
შენი სატრფო დედოფლობას ნატრობს...
სიდუხჭირეს მან განცხრომა ამჯობინა,
სიყვარული უძლურია ამ დროს.
ზვიად მზერას მთავრის გვირგვინს შეაგებებს,
ვეღარ ამჩევს უგვირგვინო ტატოს
სიყვარული, სულში ლექსად ანთებული,
ეულივით დაბარბაცებს მარტო...
მას ცხოვრება თვალმარგალიტს ჰპირდება და
ფიანდაზად შენ ლექსს უფენ მარტო...
შენი სულის სიმაღლე რომ ვერ შეიგრძნო,
გევედრები, არ იდარდო, ტატო!
ბედის სასწორს თითქოს შენსკენ, შენსკენ
ხრიდნენ,
დღეს კი უნდა სიყვარული დათმო,
სულში ზოდად პოეზიის მადანი გაქვს,
ვერ დაგჯაბნის დადიანი, ტატო!
ქორწილი აქვს ჭავჭავაძეს სასახლეში,
ვინ დაგტოვა შენ სევდასთან მარტო,
გზა იწყება უვალი და ძნელი...
ფრთხილად იყავ, არ წაიქცე, ტატო!

მე ჩამოვდივარ თქვენთან ქართველი...

ბარბარე ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლის ისტორიისათვის

ბარბარე ყიფიანი – ექიმი, მეცნიერი, პედაგოგი, ქველმოქმედი, საზოგადო მოღვაწე;

პირველი ქართველი ფსიქოფიზიოლოგი ქალი, ამავე დროს, პირველი ქალბატონებს შორის, რომელმაც გაჭრა გზა ევროპისკენ და კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა უნივერსიტეტში. საფრანგეთის უნივერსიტეტის აკადემიის წევრი, ოქროსა და ვერცხლის საერთაშორისო მედლების მფლობელი, მრავალი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი. იკვლევდა ადამიანის მეხსიერების სახეობათა განსაზღვრის ხერხებს, აღზრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს, ტროპიზმს, ამბიდექსტრიას (ორივე ხელის ერთნაირად მომარჯვება) მოსწავლეთა შორის, მუშაობდა განწყობის თეორიაზე.

მცირე ბიოგრაფიული მიმოხილვა

ბარბარე (ვარია) ყიფიანი დაიბადა 1879 წლის 4 თებერვალს, ქუთაისში.

მისი მამა – ნიკოლოზ ყიფიანი დიდი საზოგადო მოღვაწის, აწ უკვე წმინდანად შერაცხილი დიმიტრი ყიფიანის უფროსი შვილი იყო – თავადაც მეცნიერი, გამომცემელი და იმ პერიოდის თვალსაჩინო პიროვნება (სრული გენეოლოგია იხ. „დიმიტრი ყიფიანი და მისი შთამომავალნი“, 2016 წ. შემდგენელი თ. მიქაძე).

ბარბარეს დედა ანასტასია (ტასო) ერისთავი მეფე სოლომონ I-ის პირდაპირი შთამომავალია (სრული გენეოლოგია იხ. „მეფე სოლომონ I და მისი შთამომავლობა“, 2020წ. შემდგენელი იური ჩიქოვანი, გამომცემელი ირინა კვირკველია).

მშობლების განქორწინების შემდეგ, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდან – ნიკოლოზის სამივე ქალიშვილი იზრდებოდა ყიფიანების ოჯახში, გამორჩეულად კულტურულ გარემოში, უშუალოდ, დიმიტრისა და მისი მეუღლის, ნინო ჭილაშვილის მზრუნველობის ქვეშ.

ბარბარეს უფროსი და – ელისაბედი (ვეტა) მოღვაწეობდა საქართველოში. ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენებს სკოლაში. გამოირჩეოდა მომხიბლავი გარეგნობით, იყო შიო არაგვისპირელის მთელი ცხოვრების უპასუხო სიყვარული და შემოქმედების მუზა. ვეტა ცოლად გაჰყვა გაბრიელ სულხანიშვილს და ჩვენ, ვეტას შთამომავლების მეოთხე თაობა, წარმოვადგენთ დღეს ბარბარეს ოჯახს, რამდენადაც, ბარბარეს საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, მთელი თავისი ცხოვრება უძღვნა პროფესიას.

შუათანა და – ნინო იმ პერიოდის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნული აქტიურობისთვის გადასახლებული იყო საქართველოდან. საკმაოდ საინტერესო ამავე დროს, ტრაგიკული ბედის მატარებელია თავის ქალიშვილთან, თამარ ბაგრატიონთან (ჯოია) ერთად. ნინო დაკრძალულია ქვიშხეთში, ყიფიანების კარის ეკლესიაში.

დებს შორის უმცროსი იყო ბარბარე, მას ახასიათებენ, როგორც გამორჩეული ინტელექტის სათნო ქალბატონს. თბილისის წმ. ნინოს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის დასთან, ნინოსთან ერთად მიემგზავრება ბელგიაში სწავლის გასაგრძელებლად. 1902 წელს ბარბარე სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, ნინო კი – იურიდიულზე. ჩვენს საოჯახო არქივში დაცულია ბარბარეს სტუდენტობის დროინდელი წერილები და ღია ბარათები, სადაც ის აღნიშნავს, სწავლა დიდხანს გრძელდება, შვიდი წელი, მაგრამ ვეცდები, ვასახელო სამშობლოო. ეს დაპირება მან პირნათლად შეასრულა.

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გოგონებს ეგულებოდათ მამა, ნიკოლოზი, რომელიც დიმიტრის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ ნერვიულობის ნიადაგზე დიაბეტით დაავადდა და ევროპაში წავიდა სამკურნალოდ, საბოლოოდ, ბრიუსელში დასახლდა, ცხოვრების ბოლო წლებიც იქ გაატარა და დაკრძალულია იქვე.

გოგონების სტუდენტურ წლებს თან სდევდა პრობლემები, უმთავრესად, მატერიალური, ადვილი არ იყო ყოველთვიურად საცხოვრებლისა თუ სწავლის თანხის გადახდა. სწორედ გადაუხდელობის

ბარბარე ყიფიანი

გამო ბარბარე ერთხანს გარიცხული იყო უნივერსიტეტიდან, რასაც ის, ბუნებრივია, ძალიან განიცდიდა. ამ ამბით შეწუხებულმა ცნობილმა ქართველმა მწერალმა, ამავე დროს, ყიფიანების ოჯახის ახლობელმა ეკატერინე გაბაშვილმა წერილი მისწერა სათავადაზნაურო ბანკის მაშინდელ მესვეურებს, რათა დახმარებოდნენ დიმიტრის შვილიშვილებს, მაგრამ უშედეგოდ. ყველაფრის მიუხედავად, ბარბარემ სწავლის პერიოდში გამოიჩინა თავი, მეოთხე კურსის სტუდენტი მონაწილეობდა ბრიუსელის საერთაშორისო კონგრესში. მისმა სიტყვამ დაიმსახურა ხანგრძლივი ტაში, როგორც იხსენებდა ივანე თარხნიშვილი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ბარბარეს ქართული კულტურის ექსპონატების შეგროვების, პოპულარიზაციისა და დაცვის საქმეში. მეურვეობდა და შემდეგ მიხეილ თამარაშვილს შესანახად გადასცა სალომე დადიანისა და მიურატების ოჯახის ქონება.

1910 წელს, ბარბარე ყიფიანის თაოსნობით, ბრიუსელის საერთაშორისო მუზეუმში დაარსდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის ქართული სექცია, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სულიერების საზღვარგარეთ წარმოსაჩენად.

1912 წელს დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალების 25 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოგზავნა: „მუხლმოდრეკით ვამკობ დიდებული პაპიჩემის საფლავს 25 წლის განმავლობაში ნაგრძნობი მწუხარებისგან დაწნული თაიგულით“.

ბარბარე ყიფიანი სამშობლოში ბრუნდება, აქაც ეწევა ნაყოფიერ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას; ფრანგულ ენას ასწავლის თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში. 1918 წელს ის შთამბეჭდავი სიტყვით გამოდის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე.

მსახურობდა უნივერსიტეტის წიგნთსაცავის გამგის, აკაკი შანიძის თანაშემწედ. იყო ხელოვანთა კავშირისა და სამხედრო კავშირის წევრი.

1921 წელს იმ ავბედით დროს ხელისუფლებისგან უზომოდ შევიწროებული იძულებულია დაბრუნდეს ბრიუსელში. სადაც გარდაიცვალა კიდეც, არადა, რა სევდის მომგვრელია მისი ნოსტალგიით, ამავე დროს, იმედით განმსჭვალული წერილები: „ჩემო ძვირფასო ვეტა, მე ჩამოვდივარ თქვენთან ქართველი, ქვიშხეთის მიწის სანახავად, სამშობლოს ბედის გასაგებად, მუზეუმის საქმის დასაწყებად“ (ამონარიდი ბარბარეს ღია ბარათიდან, საოჯახო არქივი).

იოტეიკოს ვინაობის დადგენისათვის

ქართველი საზოგადო მოღვაწე რევაზ გაბაშვილი „ცნობის ფურცელში“ წერდა: „მგონია, საჭიროა, ჩვენმა საზოგადოებამ იცოდეს, რომ სათავადაზნაურო ბანკის დამაარსებლის – დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილებს უცხონი პატრონობენ და თავის შინაურობამ კი მათ უარი უთხრა სტიპენდიაზე, ალბათ, ასე ესმის თავადაზნაურობას მადლობის გადახდა და თავის მოვალეობა“.

ვინ უცხოელზეა საუბარი? საქმე იმაშია, რომ ბარბარე ყიფიანის მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის პოლონელ ქალბატონს, მას შემდეგ, რაც სტუდენტი გოგონასათვის სამშობლოდან დახმარების ყოველგვარი იმედი გადაიწურა, ბარბარეს ცხოვრებაში, საბედნიეროდ, გამოჩნდა უნივერსიტეტის პროფესორი, რომელსაც მიჰყავს ის თავის ლაბორატორიაში, იქ გამომუშავებული თანხით კი, ბარბარე იხდის გადასახადს და აგრძელებს სწავლას ბრიუსელის უნივერსიტეტში. ამ ქალბატონის გვარი სხვადასხვანაირად გვხვდება მკვლევართა ნაშრომებში: ოტეიკო, იოტეიკო, ჟიტეიკო და სხვა. ერთხანს, ჩვენც როტეიკო გვეგონა, მაგრამ ყიფიანების საოჯახო არქივზე მუშაობისას ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ბარბარე იხსენიებს მას გვარით – იოტეიკო. ამიტომ, პირველწყაროზე დაყრდნობით, ჩვენც ასე მოვიხსენიებთ.

ვფიქრობთ, ვისაც ხელი მიუწვდება ბელგიის უნივერსიტეტთან, საინტერესო იქნება შემდგომი კვლევა, ამ ქალბატონის შესახებ უფრო სრული ინფორმაციის მოძიება, რაც არა მარტო მის, როგორც გულისხმიერი დამხმარის, არამედ თავად ბარბარეს მოღვაწეობის ბევრ უცნობ საკითხს მოჰფენს ნათელს. ძირითადი ცნობები, რითიც უნდა ვიხელმძღვანელოთ – იოტეიკო უძღვებოდა ბრიუსელის უნივერსიტეტთან არსებულ სოლვეის ენერგეტიკის ლაბორატორიას, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბარბარეც, ასევე, იოტეიკოს რედაქტორობით გამოდიოდა ჟურნალი „ფსიქოლოგიური მიმოხილვა“, სადაც ბარბარე ყიფიანი მდივანია.

ბარბარეს გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებული ცნობები

ბარბარე ყიფიანის არც საფლავი, არც გარდაცვალების ზუსტი თარიღი, სამწუხაროდ, დადგენილი არ არის. ვიცოდით მხოლოდ, რომ მან ცხოვრების ბოლო წლები ბელგიაში გაატარა.

მკვლევარი ვასილ ჩაჩანიძე წიგნში აღნიშნავს, რომ ბარბარე ყიფიანი გარდაიცვალა ხანდაზმულ ასაკში, ბრიუსელში, 1965-იან წლებში (ვასილ ჩაჩანიძე, „ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის გარშემო", 1974წ. „ნაკადული").

მ. გიგიტაშვილის წერილში კი ამის თაობაზე ვკითხულობთ: „ბარბარე ყიფიანი გარდაიცვალა 10 წლის წინათ, ბრიუსელში („გამარჯვების გზა", 1972 წ. N100).

საინტერესოა, ახალი ვერსიაც, რომლის შესახებ ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი რუსუდან კობახიძე გვამცნობს, ახალ წყაროზე დაყრდნობით, გარდაცვალების წლად 1950 წელია დასახელებული. ვფიქრობთ, ბარბარე ყიფიანის გარდაცვალების დადგენის საკითხი ჯერჯერობით ღიაა და სამომავლო გადახედვა – დაკონკრეტებას საჭიროებს.

ბარბარეს მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის კვალდაკვალ

ჩვენთვის ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილებამ დაიწყო ამ სახელგანთქმული ფსიქოფიზიოლოგი ქალბატონის მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლა და, შეიძლება ითქვას, ამ კუთხით, გარკვეულ წარმატებასაც მიაღწია. იმ პერიოდის პრესიდან ვიგებთ, რომ ბარბარე ყიფიანს მხოლოდ 1904-1913 წლებში უკვე დაუწერია და გამოუქვეყნებია 22 ფრიად მნიშვნელოვანი შრომა (მათ შორის, 5 პროფესორ იოტეიკოს თანაავტორობით). მისი შრომები იბეჭდებოდა ევროპის სხვადასხვა ქვეყნის პრესაში.

1906 წელს გამოცემული წიგნი „შაქრის ზეგავლება მუსკულის მუშაობაზე" ჯერ კიდევ მეოთხე კურსის სტუდენტმა დაწერა და ვერცხლის მედალი მიიღო პარიზის ქიმიური საზოგადოებისგან.

1912 წელს გამოვიდა „ორივე ხელის მომარჯვება", რომელიც ჯერ იბეჭდებოდა „ფსიქოლოგიურ მიმოხილვაში", შემდეგ წიგნად გამოიცა და საქართველოშიც გამოუგზავნია ავტორს.

გაზეთებიდან ვიგებთ და საყურადღებოა, რომ თავისი წიგნების დიდი ნაწილი, ასევე ხელსაწყოები მან უსახსოვრა თსუ ბიბლიოთეკას. ბარბარეს პირადი არქივი დაცული უნდა იყოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (არქივი შემოვიდა 1965 წლის 12 ივნისს, შემოსულობათა წიგნი 251).

საინტერესოა, რომ 1971 წელს მოსკოვში, ლომონისოვის სახელობის უნივერსიტეტში, მუშაობა დაამთავრა დიდმა საერთაშორისო კონგრესმა, რომელიც მეცნიერებათა ისტორიას მიეძღვნა. მას ესწრებოდნენ და მოხსენებით გამოვიდნენ: ამერიკის, კანადის, არგენტინის, იაპონიის, საფრანგეთის, იტალიის, ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთის, ბელგიისა და სხვა ქვეყნის წარმომადგენლები.

1 კვირის განმავლობაში 12 სექცია დიდი დატვირთვით მუშაობდა. ყურადღებით მოისმინეს ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლის ჯუმბერ ქორჩილავას ნაშრომი, რომელიც ბარბარე ყიფიანის მოღვაწეობას ეხებოდა და რომლის შესახებ დღემდე ბევრი ცნობა არ მოგვეპოვება. ამიტომაც სექციის სხდომაზე წაკითხული მოხსენება ერთგვარი მიმართვა იყო უცხოელი სპეციალისტებისათვის – შეძლებისდაგვარად, მოეწოდებინათ ცნობები პირველ ქართველ ფსიქოფიზიოლოგ ქალზე („სამშობლო", 1971, 22 ოქტ. „პირველი ქართველი ფიზიოლოგი ქალი", ჯუმბერ ქორჩილავა, ქართული მედიცინის ისტორიის გამგე).

[ჯუმბერ ქორჩილავა ხშირად მოდიოდა ჩვენთან, ბებიაჩემის დამ, ელისაბედ სულხანიშვილმა გაატანა მას ბარბარეს ფოტოები და სხვა მასალა – თ. მ.].

ამჟამინდელი მნიშვნელოვანი სიახლენი

2021 წლის 4 თებერვალს ჩატარდა სამეცნიერო ტელესიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა გამოჩენილი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პირველი ქართველი ქალი-აკადემიკოსის ბარბარე ყიფიანის ხსოვნას. ტელესიმპოზიუმს უძღვებოდა ამ საქმის ერთ-ერთი მოთავე და ორგანიზატორი – ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ალექსანდრე რუსეკკი.

ტელესიმპოზიუმში მონაწილეობდნენ ეკლესიისა და სახელმწიფოს წარმომადგენლები, კულტურის მუშაკები, გამოცდილი, ასევე, დამწყები ფსიქოლოგები.

შეიქმნა ბარბარე ყიფიანის მემკვიდრეობის შესწავლა-პოპულარიზაციის საკოორდინაციო ჯგუფი, დადგინდა: 1) ახლადდარსებულ მეტაფსიქოლოგიის სკოლას მიენიჭოს ბარბარე ყიფიანის სახელი; 2) შეიქმნა მეტაფსიქოლოგიის საერთაშორისო სკოლის საპატიო დოქტორის სტატუსი.

პირველ საპატიო დოქტორად არჩეულია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მწერალი, ბარბარე ყიფიანის შთამომავალი – თამარ მიქაძე – ამ კუთხით გაწეული ღვაწლის გამო.

ბარბარე ყიფიანი და პროფესორი იოტეიკო (ნატო ტაბუცაძის მიერ ქ. დიჟონში მიკვლეული უნიკალური ფოტო. ქვეყნდება პირველად)

მცირე დროში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი სიახლენი – „საქართველოს ქალთა საბჭოს“ აღმასრულებელი თავმჯდომარის, ქეთევან გაბრუაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით, ბევრ კეთილ საქმეს შეეწყო ხელი, მათ შორის, აქამდე უცნობი ფოტომასალის მოძიებას საზღვარგარეთ.

უღრმეს მადლობას მოვახსენებთ „ქალთა საბჭოს“ წარმომადგენლობის ხელმძღვანელს საფრანგეთის ქალაქ დიჟონში, იქ მცხოვრებ პრაქტიკოს იურისტს, დიჟონის სასამართლოს იურიდიულ ექსპერტს ნატო ტაბუცაძეს, რომელმაც მიაკვლია 2 უნიკალურ ფოტოს და ხელმისაწვდომი გახადა ჩვენთვის. ერთ ფოტოზე ბარბარე ყიფიანი და მისი პროფესორი იოტეიკოა აღბეჭდილი, ხოლო მეორეზე – ჟურნალის ყდა, რომელიც იოტეიკოს და ბარბარეს რედაქტორობითაა გამოსული. აქტიურად მიმდინარეობს ბარბარე ყიფიანისა და მისი მამის – ნიკოლოზის საფლავების მოძიება ბრიუსელში, ამ მნიშვნელოვანი საქმის მოთავე ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსი მეუფე დოსითეოზია.

დიმიტრი ყიფიანის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრის შესახებ

თბილისში, სვანეთის უბანში, დეკანოზ მალხაზ ყიფიანის იდეითა და თაოსნობით, აიგო წმ. დიმიტრი (ყიფიანი) სამშობლოსთვის წამებულის ტაძარი, რომლის ქვედა სართულზე განთავსდა მისივე სახელობის ცენტრი (ცენტრის დამფუძნებელი – დეკანოზ მალხაზ ყიფიანი, ცენტრის ხელმძღვანელი – თამარ მიქაძე).

ამ დიდებული საქმის შესახებ შევიტყვე 2009 წელს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ჩემი ერთ-ერთი ფოტოალბომის პრეზენტაციაზე, სადაც მამა მალხაზი გამეცნო და თავისი სურვილები და სამომავლო გეგმები გამიზიარა. იმ დღიდან მოყოლებული, ჩვენს შორის, შეიძლება ითქვას, ნათესაური, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა დამყარდა.

დარბაზის მოწყობისას შევარჩიე ფოტოები, რომლის ლამაზ ჩარჩოში ჩასმა მამა მალხაზმა ითავა, ექსპოზიციის მოწყობაში გულითადად მონაწილებდნენ ჩემი ოჯახის წევრები: სულხან და სოფიო ისაკაძეები.

განსაკუთრებული მადლობა მინდა მოვახსენო არიტექტორ-დიზაინერ ჯონდო კაპანაძეს, რომელმაც სრულიად უანგაროდ იმუშავა ექსოპიზიციის გემოვნებით მოწყობაზე.

დღესდღეობით დიმიტრი ყიფიანის სახელობის სულიერებისა და კულტურის ცენტრი მზადაა დამთვალიერებლის მისაღებად, ღონისძიებების ჩასატარებლად, უბრალოდ, შექმნილი ვითარების გამო საზემო გახსნა დროებით გადადებულია.

ცენტრის უპირველესი მიზანია, დიმიტრისა და მისი შთამომავლების ცხოვრება-მოღვაწეობის პოპულარიზაცია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით. ხუთი თაობის მოღვაწე შთამომავლების გალერეაში ერთი თვალსაჩინო ადგილი კი ბარბარე ყიფიანს უკავია. ჩვენ დიმიტრის მეექვსე თაობა ვართ, ამასთან – ბარბარეს მეოთხე თაობა და ვცდილობთ, როგორც შეგვიძლია, არ ვუღალატოთ წინაპართა გზას.

დიდად მოხარული ვარ, რომ გაიზარდა ინტერესი ბარბარე ყიფიანის პიროვნების მიმართ, მიმდინარეობს მისი ცხოვრება-შემოქმედების უფრო ღრმა შესწავლა, საფლავის მოძიება, სხვა აქტივობები თუ ღონისძიებანი.

ვიმედოვნებთ, ერთობლივი ჩართულობით, ძალისხმევით, საშური საქმე გაკეთდება და სათანადო პატივი მიეგება ღვაწლმოსილ ქალბატონს, ვისი მნიშვნელოვანი ღვაწლით საქართველოში თაობებს შეუძლიათ იამაყონ!

თამარ მიქაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
მწერალი, ბარბარე ყიფიანის
შთამომავალი

ლალი გელისაშვილი

ძველი დიალოგი

– ძია გრიგოლ, ეს ცხოვრება
ნუთუ მართლა თამაშია?
– მკლავი გქონდეს ღონიერი,
გადარჩენა სხვა რაშია...

– ძია გრიგოლ, სიყვარული
სულია თუ სხეულია?...
– მარტო მისთვის დავრჩი დღემდე,
გრძნობა მიწადდქცეულია...

– ძია გრიგოლ, დაობლებულ
სულის ტკივილს კურნავს რამე?..
– ჯერ ხომ არ ხარ ოცდაშვიდის,
კიდევ ერთხელ შეიყვარე...

– ძია გრიგოლ, მარტოობით
სული როდის დაყრუვდება?...
– ვერასოდეს ვერ შევძელი,
შენი სევდის განკურნება...

– ძია გრიგოლ, მე ხომ შველა
არასოდეს მითხოვია...
– ამაყი ხარ... შენი სევდით
ერთ დღესაც არ მიცხოვრია...

– ძია გრიგოლ, საქართველო
ისევ ისე ლამაზია?...
– ჯვარი ისევ ჯვარი არის
და არმაზი არმაზია...

– ძია გრიგოლ, დედა, მამა,
არ მინახავს, რა ხანია...
– ეს ორდენი ყარსის ციხის
აღებისთვის... ახალია!

– ძია გრიგოლ, ეს ცხოვრება
მიდის, არაფერი რჩება...
– სხვანაირად ვერ შევძელი
საქართველოს გადარჩენა...

უიმედო ლექსი

(ამბობდა გოგი ზაუტაშვილი)

ერთი უიმედო ლექსი
საკუთარი თავისადმი
დავწერე და მხიარული
საფლავს ვითხრი ხვალისათვის...
აღარც სიყვარული მინდა,
აღარც სიხარული მინდა,
ნაცრისფერით დაიფარა,
ჩემი ოცნებები წმინდა...
თითქოს უკვე დავიკარგე,
მოვწყდი ცას და მოვწყდი მიწას,
ნეტავ სადმე, წყნარ ადგილას,
სამუდამოდ დამაძინა...
გაცვეთილი სიტყვებია,
ბუნდოვანი – ყველა ფერი
და სიკვდილის კარიბჭესთან
ფერმკრთალდება ყველაფერი...
ცოტა მეტად რომ ჩამოთოვს,
მარტოობა მერე ნახე,
მღერის ჩემი მეკუბოვე,
მოკვდა ჩემი მევენახე...
არც განვლილზე მწყდება გული,
არც აწმყოზე მრჩება თვალი,
ორიოდე დღეღა ბეუტავს,
ისიც – ბერწი და ფერმკრთალი...
...მერე გამოგეთხოვებით,
შეწევნით და მადლით უფლის,
ცას გასერავს ცისარტყელა –
ყელზე ჩამოცმული ყულფი...

* * *

როგორ ვხვდები ამ ახალ წელს?
ყოფა გამიმწარდა, იო,
ეგებ მეყოს სიმხნევე და
თავს რაიმე მოვიწიო...
რით გასრულდა ძველი წელი?
ცრემლს მიჰქონდა გული, იო,
ჭკნობა შეეპარა შროშანს,
გზა არ ჩანდა სახვალიო...
რას ვინატრებ ამ ახალ წელს?
ღმერთმა დამიფაროს, იო,
ეძებდე და სულის სადგურს
ვერასოდეს მიაღწიო...
როგორ ვხვდები ამ ახალ წელს?
შენს მტერს, მე რომ ვხვდები, იო,
ცაზე ერთი ვარსკვლავი ჩანს,
წავალ, ეგებ მივეწიო...

ნაბიჭვრებს

სულ მიკვირდა,
ნაბიჭვრიშვილები გვარს რატომ არ
იცვლიან-მეთქი,
ვურეკავდი, ვეკითხებოდი.
ახლაღა მივხვდი:
ჩემო საყვარლებო,
გოგოებო და ბიჭებო,
ჩემო ნაბიჭვრებო!
იმ ერთადერთი ღამისათვის,
თუნდაც, დღისთვის,
ღირდა ცხოვრება,
როცა გეჩვენებოდათ,
რომ სიყვარული ყველაფერია,
ყოვლისშემძლე, ყოვლისმომცველი...
მე ვერ გავბედე, ვერ შევძელი,
არ შემეძლო...
ჩემო ნაბიჭვრებო,
საყვარლებო...

* * *

სანთელივით მადგას მხრებზე,
შენი მზე და შენი მთვარე,
დღეს თუ არა, ხვალ გაგიფენ,
ფეხქვეშ დარუბანდის კარებს...
დღეს თუ თავს ვერ შემოგწირავ,
ხვალ მოგიტან მკერდით ისარს,
ბაზალეთში შვილს გაგიზრდი,
რომ მნატრობდი, ეგებ ის ვარ...
სიხარულით დავაკვდები,
შენთვის მოღერებულ დანას,
შირაქისკენ ცხვარს დაგიმწყემს,
მცხეთას მოვმკი პურის ყანას...
ეკლესიას აგიშენებ,
რომ მნატრობდი, ეგებ ის ვარ,
ხნულში ჩავრგავ ყვავილივით
მკერდით წამოღებულ ისარს...

პაპაჩემი

ცალთვალა იყო...
ცალი თვალით ხედავდა ცხოვრებას
და ჩვენზე უკეთ...

მამაჩემი

მამაჩემი მაღალი იყო,
ეკლესიისტოლა,
(ბავშვობაში ასეა ხოლმე...)
კისერზე არასოდეს შევუსვივარ,
ხელს ჩამკიდებდა და ეგ იყო...

ბიოხბი ბალახაშვილი

* * *

ყველაზე მეტად კარგად ყოფნის მეშინია.
გამოცდილება არ მაქვს სათანადო.
სასაცილოა,
კარგად ყოფნის შიში ჰქონდეს ადამიანს.
ასეთ დროს ჭილაძე გაგახსენდება კაცს:
„ბედნიერება უნდა მოითმინო“...
იყოს და ვინ ოხერი არ მოითმენს,
მაგრამ სადაა?

* * *

მათ, ვინც შიმშილი საკუთარი ხუთი თითივით
დიდი ხანია მარცვალ-მარცვალ გაიზეპირა,
ვისაც ყელში აქვს ამოსული უხმოდ ტივტივი,
ფსკერზე კი არა, იმის იქით და სურს ჯებირის
სიმტკიცე ჰქონდეს, ისე იდგეს, რომ ვერ წალეკოს,
ათასმა ტალღამ, ათასგვარმა ტაიფუნებმა,
მეტყველად იდგეს, რომ სიჩუმის ჩქამიც არ იყოს,
რომ არ დაემსხვრეს იმედები ფაიფურივით,
ზღვათა ხმაურში, თოლიების გამკივან ხმაში,
როს მეკობრეთა ქვემეხთაგან ვარდება ბოლი,
რომ მთელი ზეცა გადაღებოს სუდანურ ხნაში,
რომ ჰორიზონტის კიდეებზე წითელი ბოლო
ჩამოწვეს, როგორც შებინდება, როგორც მიმწუხრის
ლოცვა, თვითგვემა, მეტანია, როგორც მხილება,
მზესთან – ვარსკვლავთა ანუ ყველა მისი
ძმისწულის,
მათი სიზმრების, ზმანებების, უფრო ხილვების,
მათი კაშკაშის, მათი ციდან მოწყვეტის წამის,
მათზე სურვილის ჩაფიქრებაც, ძილის წინ დათვლა,
მართლა მეჭეჭებს ხომ არ აჩენს იმავე ღამეს,
ან როგორ ქმნიან სილუეტებს თევზების, დათვის,
ჟირაფის, კურდღლის, მშვილდოსანის, მენახირესი,
ითვლი და ძილი გეპარება, როგორც ტივტივა-
თვალებზე და შენც გამოაღწევ სანაპიროსკენ,
რომ ეს სიზმარიც საკუთარი ხუთი თითივით
გაიზეპირო, გაიღვიძო და წყალთან მოყვე,
მოყვე ნახევრად მძინარემ და თვალების ფშვნეტით
და მერე წყლითვე მოიბანო შუბლი და ლოყა
და არაფერი აღარ შეგრჩეს ამ ლექსის მეტი...

* * *

ბელგია. სადგური. ბაქანი.
რეისი: ბრიუგე-ანტვერპენ.
წინ ჯდება მგზავრებთაგანი,
ხელში კი უჭირავს მარკ ტვენის
არც ისე მოზრდილი ნოველა,
უცქერი მორჩენილ ვიტრაჟებს,
კადრებად ეწყობა ყოველი,
კადრებს ხომ არა აქვს ტირაჟი,
მკლავზე კი წითელი არშიით,
ასხვავებ მგზავრებს და გამყოლის
ხელებს და სიგრძეზე არშინის
გამოწვდილ კიდურებს აყოლებ
თვალებს და ჯიბეში ხელს იყოფ,
რომ მისცე სამგზავრო ბილეთი,
რა დროსაც აწყდები ლექსიკონს,
ნერვები გიჭირავს კბილებით,
შენ იჩხრეკ მეორე ჯიბესაც,
აქ გხვდება ასანთის კოლოფი
და რჩები ქურთუკის იმედზე,
სახეზე სიწითლე ბოლოკის
გადაგდის, როდესაც ეხება
თითები ქაღალდს და გიელვებს:
გადარჩი! არ გითრთის ფეხები,
პატარა ბავშვივით ინერვი -
ულე და წინ გიზის მარკ ტვენის
არც ისე მოზრდილი ნოველით,
შუახნის კაცი და მოელი
თუ როდის მიაღწევ ანტვერპენს...

* * *

საგნები — უფორმო. ჩრდილები. ხმაური.
სოფელი. აგვისტო. სიმინდის ყანები.
შიშები თავისით მოიშინაურე.
თავს ვეღარ ანებებ.
უცნობი მწერები ნათურის გარშემო.
ჭერიდან გიცქერის თვითმკვლელი ნათურა,
შიშებმა იციან ხელების ფათური,
არავის არჩევენ!
წევხარ და ეწევი და კვამლის რგოლების
გაძვრენას აპირებ ერთი-მეორეში,
მოგბეზრდა ვირთხები და მათი რბოლებიც
და ისევ მოეშვი!
გინდება ძილისკენ ბრასით გადაცურო,
იქ დაგხვდეს უმანკოდ მწვანე და მაღალი,
მოკრიფო აპრილში დარგული სატაცური
და უმალ მოხალო!
საგნები — უფორმო. ჩრდილი. სიზმარები.
სოფელი. აგვისტო. სიმინდის ყანები.
ღამის უსაშველოდ გრძელი გაზმორება.
თავს ვეღარ ანებებ...

კანაფი

ოთახი. განრიგი. მატრიცა.
ღამე. მონიტორი. ბერგმანი.
სტოკჰოლმი. სინემა. წარმტაცი.
თამბაქო. სასმელი. ერთგვარი.
მარტივი დეჟავუ ოთახთა.
შანტაჟი. პანიკა. მუქარა.
მონარქი. უმიწო. უტახტო.
უწყლოო. უცეცხლო. უქარო.
კისერი. სუნამო. კოლიე.
ზარდახშა. საყურე. გვირგვინი.
ყავჯირი. მარაბუ. თოლია.
პინგვინი. პინგვინი. პინგვინი.
მეოთხე. მეხუთე. მეექვსე.
მეშვიდე. ნაბიჯი მერვეში.
ვახშამი. მიმწუხრი. კვერექსი.
აკინი. რაფსოდი. დერვიში.
დერვიში. აკინი. რაფსოდი.
გაუდი. ბაროკო. გოტიკა.
დილემა. ნიჰილი. აბსურდი.
ნინია. ბისმარკი. კონ-ტიკი.
კისერი. კოლიე. სუნამო.
ოთახი. განრიგი. ერთგვარი.
სტოკჰოლმი. წარმტაცი. სინემა.
ღამე. მონიტორი. ბერგმანი.

გზა მშვიდობისა

გზა მშვიდობისა. სინანული არავითარი,
მიდიხარ, მტოვებ, უკვე დროა, კარიც გაიღოს
და როგორც ძველი, უსარგებლო, რამე ქვითარი,
მოგონებიდან ამოვიშლი რიცხვებს, თარიღებს,
დღეებს, რომელიც გვიხაროდა, ერთად ვიყავით,
დღეებს, რომელიც ერთმანეთის ცქერით დაღამდა,
ის ბნელი ღამე, კუნაპეტი, როგორც ჭილყვავი,
ის ბნელი ღამე, სიშავე რომ ჰქონდა მაღრანთა,
ის ბნელი ღამე შემორჩება ფიქრის ხნულებში,
სხვა მიზეზები არ ვეძიოთ, სამიც გვეყოფა:
გადარჩენისთვის, ღიმილისთვის და სანუგეშოდ,
უტოპიაა, რაც გავტოპეთ, რაც ვერ შევტოპეთ,
უტოპიაა ყველაფერი, იმ ღამის მიღმა,
იმ ღამის იქით, მოგონებაც აღარ მაშინებს,
წარმოსახვასაც ეკარგება ფერი და სიღრმე,
ვერდაბადებულ ჩანასახად ჩემს ხსოვნაშივე
რჩება და მიწევს შენზე ფიქრით თავის შექცევა,
ან უარესი, ფიქრის ნაცვლად სმა და გალეშვა
და უღიმღამოდ დაწერილი დასტა ლექსების,
აზრის და გონის, ყოველგვარი გრძნობის გარეშე.
გზა მშვიდობისა. სინანული არავითარი,
მიდიხარ, მტოვებ, უკვე დროა, კარიც გაიღოს
და როგორც ძველი, უსარგებლო, რამე ქვითარი,
მოგონებიდან ამოვიშლი რიცხვებს, თარიღებს...

სკამი

ჩამოვიბანე ამ დღის ჭუჭყიც, ღამის ლაქებთან
ერთად და ვფიქრობ,რას მოიტანს ხვალის ქრონიკა,
მთელი ოთახი გაურკვევლად მელაქლაქება,
ვერაფერს ვიგებ, არ მიცდია, შენც არ მომიკვდე.
ავიღოთ სკამი, მაგალითად, უბრალო სკამი,
რომელიც უკვე ზურგს მიმაგრებს თითქმის მეხუთე
წელია, იცის ყველა ჯდომა, მიმოხვრა, ჩქამი,
ხმაური, გმინვა, ღამისთევა, სულის შეხუთვა,
გადაღლილობა, მწუხარება, ლოცვა, ლოდინი,
დაკარგვა, ძებნა, იშვიათად რამის მიგნება,
მან იცის ბევრი, უფრო სწორად, მცირეოდენი
დოზით კამათი, კინკლაობა, გაქილიკება
ჩემივე თავის, მეგობრების ან უფრო ბედის,
ტყუპისცალივით შემეზარდა, ვეღარ ვიცილებ,
ვინძლო იცინის,როცა მთვრალი უმიზნოდ ვყბედობ
და შესაძლოა, ჩემზე მეტად, უყვარს სიცილიც.
გვყავს ერთადერთი მეგობარი, რუხი მაგიდის
სახით და ამგვარ, გაუსაძლის დღეების დასტას
გადავაგორებთ ან უბრალოდ ფეხით დავკიდებთ,
რომ სისხლი ტვინში ჩაექცეს და უეცრად გასკდეს,
წნევის მოწოლით ეს დღეები – ასე უცნობი,
ასე თავნება, რომც გინდოდეს, გვერდს ვერ
აუვლი,
ამ სკამმა იცის ყველა ნატვრა, ყველა ოცნება,
ყველა იმედი, მოგონება და სასწაული!
ჩამოვიბანე ამ დღის ჭუჭყიც, ღამის ლაქებთან
ერთად და ვფიქრობ,რას მოიტანს ხვალის ქრონიკა,
სკამიც, მაგიდაც გაურკვევლად მელაქლაქება,
ვერაფერს ვიგებ, არ მიცდია, შენც არ მომიკვდე.

* * *

ამ ცხოვრებას ჰქვია „მოიცა“,
უნდა დათესო, რომ მოიმკა,
იმოქმედო, რათა შედეგი დაინახო,
წოლას ჯდომა გერჩივნოს,
ჯდომას – დგომა,
უბრალოდ დგომას კი,
სიარული თავის მხრივ
და ასე დახაზო გზა,
სტატიკიდან – დინამიკამდე.

* * *

ნუ შეუშინდები კარგად ყოფნას.
ურეცეპტოდ გაიცემა ოდითგან.
რიგში დგომაა ზომაზე მეტად დამღლელი.
თავად შეადგინე
მიღების
და
გამოყენების განრიგი.
გაეცი და მიიღებ.
მიიღე და გაეცი.

პროზა

ბაღჩი სულაძე



• ბიბო

– ბიიიბოოო!.... – თოფის ხმასავით გავარდა და მიჩუმდა...

– ბიიიბოოო!... – გაიმეორეს მთებმაც...

ხმის გამცემი არავინ ჰყავს ბიბოს და ცხოვრობს ასე კაკლამარტვად, ჯახირით...

წვალებად ექცა:

ძროხების საძოვარზე გაშვება...

წვრილფეხის დაპურება...

პურის გამოცხობა...

საკაცოცა და საქალო საქმეც მისი თავსატეხია... და აქვს კიდევაც:

თივა – დაზვინული...

ჭური – გადაქაფქაფებული...

საბძელი – გაძეძგილი...

ბეღელი – გალაღებული...

ბოსელი – სავსე...

ეზო – მიკარებული...

– ბიიიბოოო!... – გაიმეორეს მთებმაც... გავარდა და მიჩუმდა...

– ბიიიბოოო!... – გაიმეორეს მთებმაც...

ირიჟრაჟებს თუ არა, ფეხზეა ბიბოც, სუფთად გამოწკეპილი, აქა-იქ თეთრად ამოკემსილი ხაკისფერი პერანგით...

პერანგი – გახუნებული, მაგრამ სუფთა და გულ-მისავალი...

მიწისფერ ხელებს მთის წყაროს წყლით რომ გადაიბანს, სახეზეც შეისხამს ხოლმე და ნაოჭებით დაცხაულ შუბლს გაიგრილებს... ცას ახედავს და ოთახში შებრუნდება. ოთახში ყოველთვის წესრიგია, რამე რომ დასჭირდეს, უცებ რომ მიაგნოს, უწვალე-ბლად

სარკესთან მივიდა და ჩააშტერდა:

– გამარჯობა, მამა!... აი, რო ამბობდი, ვის გავხარ ასეთი უნდილიო. ხო ხედავ, სულ შენ დაგემგვანე პირისახით... მართალია, მთლად შენსავით მარჯვე ვერა ვარ, მაგრამ ჩემსას ხო მაინცა ვცოდვილობ!...

– ცოდვილობ... ცოდვილობ!... მამის ხმას გულმ-წყრალად გამოაჯავრა, წელზე დოინჯი შემოირტყა და ნელი ნაბიჯებით შეშის ფეჩთან მიბლატუნდა, რომელზედაც ალუმინის მოზრდილი ქვაბი იყო შემომ-დგარი... წუხანდელი და ამ დილის ნაწვალი რძე უკვე

• 2020 წლის რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორი მოთხრობა.

აჭრილიყო და რილო-ჭრილო ცასავით იმზირებოდა. ქვაბი ძირს ჩამოდგა,ფეჩის წინ სამფეხა სკამზე მოიკალათა და ნელ-ნელა რილო-ჭრილო ზეცა ყველის გუნდად აქცია, აქა-იქ ატკეჩილ ემალის საწურზე დადო და მძიმე ხელი კიდევ ერთხელ წამოუტყაპუნა, ჯავრიანად...

ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ბიბომ უგერგილოდ და უგემურად აიღო ყურმილი....

— აბა, რა ქენი, რა გადაწყვიტე?...

დათიკოს უკმეხი და ჯიუტი ხმა...

არც გამარჯობა... არც მოკითხვა...

ოთახში სიჩუმე...

— ცოტაც, ხო ცოტაც, შე, ოჯაქორო... ცოტაც დამაცადე... — ბრაზიანად დაიბუბუნა ბიბომ...

— სანამ ნადირის კერძი არ გახდები, არა?...

ბიბომ ყურმილი დაკიდა, მერე ოთახიდან გავიდა და ბოსელს მიაშურა, საგდულით გადარაზული კარი გამოაღო და საქონელი მზის სინათლეზე გამოეფინა...

— ჰადიო!.. ჰადიო!.. ოჰო,ჰო... უკან ბიბო მიალაჯებს დათვივით, წინ ერთმანეთის მიყოლებით მწყობრად მიუყვებიან შარა-გზას: წაბლა, შვინდა, ყორანა, ნიშა, თეთრა, ვეჟანა, ლამაზო და კოხტია...

კოხტიასთვის თოკი აქვს გამობმული, რომ იქვე კალოკართან ახლოს, მსხლის ქვეშ გადააბას, დანარჩენებმა კი თვითონ იციან თავისი გზა... ცოტას გაივაკებდნენ და მერე თავქვე დაეშვებოდნენ,ჭალაზე...

უკან მობრუნებულმა ბიბომ ახლა საღორის კარი გამოაღო და ჩქოლა ბურვაკები — ნეზვებიცა და ტახებიც ღრუჩუნით გაცვივდნენ ეზოს გადაღმა და ტყისკენ ქნეს პირი. გოჭებიანი დედა ღორი შორს წასვლას არ აპირებდა, წყარომდე მიღრუტუნდა, მერე იქვე, ჩამოყრილი მსხლები გათქვლიშა და მიწის ჩიჩქნა დაიწყო...

ქათმებიც ჩამოშლილიყვნენ ვაშლის ხის ტოტებიდან და ბოსლის უკან, სანეხვეზე იქექებოდნენ — თავქოჩორები, კისერტიტველები, წითურები, როჭოები, ჟრუნები....

ბიბომ ხის გობი გადმოიღო და ცომის მოქნა დაიწყო... ცხობაც ისწავლა, რაც კაკლამარტვად დარჩა...

ისევ ტელეფონის ზარის ხმა...

— რას შვრები... რა მოიფიქრე?...

გოგიას უკმეხი და ჯიუტი ხმა...

არც გამარჯობა... არც მოკითხვა...

ოთახში სიჩუმე...

— ცოტაც, ხო ცოტაც... ცოტაც დამაცადე...

— როდემდე?.. სანამ ნადირი არ შეგჭამს?... ვერა ხედავ, რო აღარავინ დარჩა მაგ ვერანაში, მანდა...

ბიბომ ზურგი შეაქცია ტელეფონს...

— რავა ერთნაირად არაკუნებენ ორივე ძმები, რა გადაწყვიტე, რა მოიფიქრეო, რა უნდა მოვიფიქრო, განა ამათი გაქრობა იქნება?... დაკალი და გაყიდეო, ვეღარ ჩამოვდივართო... თქვენ ვერ ჩამოდიხართ და მე მაინც დამაცადეთ,თქვე ოხრებო... განა,ამათი გაქრობა იქნება?... ის არა კმარა,მთელი სოფელი რო გაიკრიფა და წავიდა?... მეც უნდა წავიდე?.. სად უნდა წავიდე?.. სანამ მიქელა არ წამიყვანს, ფეხის გამდგმელი არა ვარ აქედან... თავისთვის ბუბუნებდა ბიბო, საკუთარ თავს ელაპარაკობდა...ნადირის კერძიო... მერედა რა ხელი აქვს ჩემთან ნადირსა, განა, ცოტაა საკბილო?.. აგერ,რავარი ბურვაკი შემიჭამეს იმ დღეს ი,სატიალე მგლებმა.... იმწინეებზე კიდე ხბო მეზარალა, დათვმა დამიტორა და დამიგლიჯა, რაც ჭამა, ხო ჭამა, რაცა არადა, მიწა ამოუთხრია და შიგ ჩაუმარხია, მეორე დღისთვის... განა, მე კი არ გამომიცდია შიმშილი ომიანობის დროსა,ნადირსაც ხო კუჭი აქვს,ნადირმაც ხო უნდა ამოივსოს ი,ვერანა ფაშვი.... ნადირის კერძიო,ვითომ ჩემი ჯავრი კლავდეთ... ვის გვანან ასეთი თვალხარბები, მაგათთვის არ მინდა?... მარა, არა... უმცროსს მეტიო, უფროსს ნაკლებიო... ვინ დააწესა, ვინ დააკანონა, ორივე ჩემი არაა...

მაგრამ არა... ვერაფრით გაიყვეს —

თივა დაზვინული...

ჭური გადაქაფქაფებული...

საბძელი გაძეძგილი...

ბელელი გალაღებული...

ბოსელი სავსე...

ეზო მიკარებული...

არ პატიობენ ბიბოს, საყვედურობენ, ძველ ამბებს ახსენებენ, ქილიკით, გულსაკლავად...

ან კი,რა სასაყვედურო და საქილიქო ეგაა...წლების წინ მგლებმა რომ ბურვაკები დაუწიოკეს. ერთ-ერთი, შეუჭმელი რომელიც დარჩათ მგლებს, ბიბომ და ჯემალამ ამოიტანეს, გაასუფთავეს მოხარშეს და მშვენივრადაც მიირთვეს ნამგლევი ხორცი. მერე რომ ძიგძიგი დააწყებინა ორივეს, არაყიც ბევრი მიაყოლეს, მაგრამ მეორე დილამდე ძლივს მიატანეს სული...

— მოდი ერთი ვნახო,ბიბო რავა არისო,ჩაილაპარაკა ჯემალამ და ბიბოს ჭიშკარს მიადგა,ბევრი უარა აქედან, იქიდან, — რა გაგიშვია, რას ეძებ... კაცის ჭაჭანება არ იყო... ბოლოს ძლივს გაიგონა ბიბოს ხმა... იმ გაბრუებულზე ამდგარა და წინა დღით დაწყებული ნალიის მოწვნა გაუგრძელებია, სულ თავემდე შემოუწნია და... ჩარჩა შიგ..

— თუ კაცი ხარ,მად, მაგიდაზე არაყი დევს, ერთი ჭიქა შენთვინ დაისხი, მეორე მე მამაწვადეო...კიბე მიუდგია ჯემალას და მოწნული ადგილი იმდენზე ჩაუხერხია, ბიბოს რომ გადმოსვლა შეძლებოდა... ერთი ჭიქაც დაულევიათ და მეტიც... ამ ამბავს ახსენებდნენ შვილები ქილიკით, გულსაკლავად... ან კი რა იყო დასაძრახი.... — იმისთანა ბურვაკს რავა გადავაგდებდიო, რაც მე შიმშილი მინახავს ტყვეობაშიო... მგლებს ბოლომდე რო შეეჭამათ არაფერს ვიტყოდი და ასე ტყუილად, ასე უბეჟოდ გადაგდება რავა იქნებოდაო...

ნადირსაც მისი წილი უნდაო — ჯიუტად იმეორებდა ბიბო, თანაც დედას იხსენებდა, ალუმინის დიდ ჯამზე ფაფას რო ათუხთუხებდა...

— დედა, რას აკეთებ?

— ჩიტაფაფასა...

— ვის და ვის აჭმევ?...

— შენ და შალვასა...

— შენ და შალვასა...ნ?...

— გაღმა ტყესა...

— მგლები სად არიან?...

— გაღმა ტყესა...

— ძერა სად არის?...

— გაღმა ტყესა.... იქა სვან და იქა ჭამონ, ჩვენ ყანასა და საქონელსა ჯვარი დაწერონ...

სამჯერ გაიმეორებდნენ, ფაფიან ჯამს გარეთ გაიტანდნენ, ღობე-ყორეს წაუცხებდნენ, ხეებს

წაუცხებდნენ, ყველაფერს წაუცხებდნენ, სადამდეც სულიერი მისწვდებოდა... მელიამკვრობაც იცოდნენ, კვერებს რომ აცხობდნენ და მელიებს აპურებდნენ — მელა მელა კურკუმელას ძახილით... არცერთი ჩიტაფაფობა და მელიამკვრობა არ ჩაუგდია ბიბოს...

ადრე, სოფელი რომ სოფლობდა, როცა ხალხი ბევრი იყო, ეუბნებოდნენ, — თოფი მაინც იქონიე, შე კაცო, რას ეფერები და ელოლიავები ამ ნადირსა და გარეულ ფრინველსაო, მაგრამ დაფიცებული ჰქონდა, ომს თუ გადავურჩი, თოფს აღარ გავეკარები და არცერთ სულიერს, მესკია რომ მესკიაა, იმასაც აღარ ვესვრიო...

გაიხარა ბიბომ... გაიხარა ნადირ-ფრინველმა...

მხოლოდ შვილებიღა წუხდნენ, უფრო კი ყასიდად...

მეხორცე ზურიას მოურიგდნენ... ისიც ერთი უხიაგი ვინმე გამოდგა, ბიბო არც იმაან დაინდო და გამუყვანეს წირვა რიგრიგობით: წაბლას, შვინდას, ყორანას, ნიშას, თეთრას, ვეჟანას, ლამაზოს, კოხტიას...

დანის კვეთება, სისხლის ფთქორი, ზრიალი, ღმუილი...

— გაგწყვიტათ ღორთელის ჭირმაო, შეგჭამათ მელამ და ძერამაო — იწყევლებოდნენ რძლები და აკი, აუხდათ კიდევაც წყევლა....

ჯერ ღორები გააქრო ჭირმა, — ჩქოლა ბურვაკები, ნეზვები, ტახები... მერე ქათმებიც მიყვნენ თავქოჩორები, კისერტიტველები, წითურები, როჭოები, ჟრუნები....

ისევ ტელეფონის ზარი... ისევ უგერგილობა და უწამაქობა... ისევ უკმეხი და ჯიუტი ხმა... ჯერ დათიკოსი, მერე გოგიასი...

— წამოდი რაღას უცდი მანდაო!...

— ამ ზამთრის პირამდე მამყოფეთო... — ისევ ჯავრიანი ბუბუნი... ისევ დუმილი...

ირიჟრაჟა თუ არა, ბიბოც ადგა...

ისევ ხაკისფერი პერანგი ჩაიცვა, ოღონდ არა გულმისავალად... მიიარ-მოიარა, უღიმღამოდ, უღონოდ, სარკეშიც ჩაიხედა... არაფერი უთქვამს... ეზოში გავიდა... ზამთრის სუსხი იგრძნო და მოიფუზა, თავს ძალა დაატანა, ბოსლისკენ წაბარბაცდა, ალუმინის ჯამი წამოედო ფეხებში...

— დედა, რას აკეთებ?

— ჩიტაფაფასა...

— ვის და ვის აჭმევ?...

— შენ და შალვასა...

— ეხ, ან შალვა სადღაა... ან... — ამოიგმინა... წაბარბაცდა და ძველი სათონესავით ჩაიქცა...

ტყიდან მონაბერ ქარს გაშიშვლებული ხეების ტკაცუნის, ხრჭიალის შემზარავი ხმა და აყმუებული მგლების მყრალი სუნი მოჰყვა...

ბიბო აღარ იძვროდა...

დარჩა —

თივა გაქიაქებული...

ჭური ყელგაშშრალი...

საბძელი ფერდებჩაცვენილი...

ბეღელი მოღიავებული...

ბოსელი ცარიელი...

ეზო მიქვათაყურებული...

— ბიიიბოოო!.... — თოფის ხმასავით გავარდა და მიჩუმდა...

— ბიიიბოოო!... — გაიმეორეს მთებმაც...

ბიბ ჰაჰუაშვილი

• რკინის მანეთიანი

ჩემი შვილიშვილი, გიორგი, გიოს რომ ვეძახით, სულ თერთმეტი წლისაა. ამოუჩრია იღლიაში მოზრდილი ბლოკნოტი, რომელშიც პასტის კალამია გაყრილი და დაფიქრებული დადის ეზოში. ზოგჯერ გაჩერდება, რაღაცას ჩაიწერს და მერე ისევ ბუტბუტით აგრძელებს სვლას.

ეს მისი მეორე ბლოკნოტია. პირველი უკვე შეავსო. თუ დრო შეურჩია, არც გადათვალიერებაზე გეტყვის უარს და ერთხელ მეც დავიმსახურე ეს ნდობა.

პირველი ბლოკნოტი ძალიან საყვარელი ფრაზებითა და ნახატებით არის სავსე, ოცნებებითა და იმედებით. ჩანს, რომ გიო, ბევრი მისი თანატოლივით, ქვეყნისა და ხალხის მოსიყვარულე ადამიანად გაიზრდება, ღვთისმოსავი და კეთილი იქნება.

ახლა, გიო, სკოლამდე დარჩენილ დღეებს თითებზე ითვლის, როგორც ყველა მისი თანატოლი, რათა არდადეგების შემდეგ, კვლავ ეწვიოს საყვარელ სკოლას და მონატრებული თანატოლებისა და მასწავლებლების ნახვით გაიხაროს.

მთელი ეზო რომ მოიარა, მოვიდა ჩემთან, ბაღის სავარძელში რომ ვისვენებდი და მკითხა: — პაპა, მე რომ მარტო წერა მიყვარს და კითხვა — არა, ასე შეიძლება?

— რატომ არ შეიძლება? — არ გავუტეხე გული. — ყველამ რომ იკითხოს, ასე ხომ არ იქნება, ვინმემ ხომ უნდა დაწეროს კიდეც? მოვა დრო და კითხვაც შეგიყვარდება. შენხელა რომ ვიყავი, კითხვა მეც არ მიყვარდა. წარმოიდგინე, არც — წერა. შენზე ბატიფეხურად გამომდიოდა.

— აბა, რა გიყვარდა? — გაიხარა და ჩემს ფეხებთან მოიკალათა, მოლზე.

— რა მიყვარდა და სოფელი. სოფელი მიყვარდა ყველაზე ძალიან, ბებიასთან ყოფნა...

• 2020 წლის რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის პრიზიორი მოთხრობა.

.....

იმ წელს, მესამე კლასი რომ დავხურე... თუმცა, მე რა, ჩემმა კლასელებმა რომ დახურეს, უკვე სოფელში ვიყავი.

მამამ, მოულოდნელად იშოვა საბარგო მანქანა და ამიტომ მოხდა ასე.

თავად, მალევე, უკან უნდა გაჰყოლოდა. როცა ბარგი ჩამოვტვირთეთ, მკითხა: – გია, ბარვა ხომ შეგიძლია?

– მა, რა! – მივუგე უკვე სოფლურად.

– მა, რაა და, – გამომაჯავრა მამაჩემმა, – აი, ეს ადგილი დამიბარე. – მიმითითა ხელისგულისხელა საბოსტნეზე, მაშინ რომ კარგა მოზრდილი მეჩვენა და წინასწარ გასამრჯელოდ, მთლად ახლადგამოსული რკინის მანეთიანი გამომიწოდა.

– მაგას რა უნდა! – სიხარულით ჩამოვართვი მონეტა და აღტაცებულმა დავუწყე ბარს ძებნა.

ბებომ ღიმილით მიმასწავლა, სადაც მომცრო ბარს ინახავდა.

მამამ, უზარმაზარი ჩაქუჩით, გრდემლზე ბარს პირი გამოუწკეპა, მერე, ასევე უზარმაზარი ქლიბი გაუსვ-გამოუსვა და დამიბრუნა. არ იჩქარო, ბარი გაასწორე, პატარა ბელტები დაუგდე და უფრო მალე დაბარავო. ცოტა პირის აწყობა შეიძლება გაგიჭირდეს და თამაზი დაიხმარე, იმან უკეთ იცისო.

თამაზი ჩემი ბიძაშვილია, ჩვენი პაპები ძმები იყვნენ და სახლებიც გვერდიგვერდ გვიდგას. რვა თვით უფროსია, თუმცა მთელი თავით მაღალი, მსხვილი და თანატოლებში ყველაზე ძლიერი. როგორც კი გაიგო, გია ჩამოვიდაო, მაშინვე აქ გაჩნდა.

პირის აწყობა, ანუ პირველი კვალის გატარება, მართლაც შედარებით ძნელი გამოდგა. მერე და მერე, საქმე გაიოლდა. ვბარავთ მე და თამაზი და ვაწყობთ ზაფხულის გეგმებს.

ბებო სამფეხაზე ჩამომჯდარა, კალთაში მატიტელაგარეული, გადაზელილი სიმინდისფქვილიანი ჯამი უდგას და წიწილებს აპურებს. წიწილები ხალისით ხტიან ჯამშიც და ბებოს კალთაშიც. ბებო გვიყვება, 37 წელს, ქიტა პაპა რომ დააპატიმრეს, როგორ დარჩა მარტო, ცასა და ქვეყანას შუა, ოთხ ობოლთან ერთად, როგორ აქცია ყველამ ზურგი, აქაოდა, ტროცკისტის ცოლი ხარო, როგორ დაუდგნენ ჩვენხელა და უფრო პატარა შვილები გვერდში და შრომითა და წვალებით გადაარჩინეს ოჯახი.

სოფლის შარაგზიდან ქალის ყვირილის ხმა გაისმა, ნერგები, ნერგებიო.

– ქეთქალაა, მაგის მოტანილი ნერგი ივარგებს? – ჩაილაპარაკა თამაზმა.

ქეთქალა ერთი სახელგატეხილი ქალის მეტსახელი ყოფილა. კვირაში ერთხელ, ხან მამალო დააქვს, თურმე, ხან თეთრეული, ხან ჩითილი, ხანაც, – ნერგები.

მაინც გავედით მე და თამაზი შარაზე. მუშტრები, ძირითადად ქალები, ეჭვით ათვალიერებენ სამ კონად შეკრულ ნერგებს. ზოგი ფესვს უწუნებს, ზოგი ღეროს, ზოგიც, – მყნობელი არ ვარგებულაო.

ერთი ყოჩაღი ნერგი მომეწონა, თითქმის ჩემსიმაღლე, კარგად დაფესვიანებული. ქლიავი იქნებაო, ქეთქალამ. გაბედულად გავუწოდე ჩემი რკინის მანეთიანი და ნერგი ვიყიდე.

ქეთქალა კარგა ხანს ეჭვით ათვალიერებდა მონეტას, მე კი – ნერგს.

ვანო ძიამ, თამაზის მამამ, ცისფერი თვალები რომ სულ უცინის, ნერგს ჯერ ფესვი შეუკვერცხა, მერე, სულაც ლამის შუაზე გადაჭრა და როცა ჩავრგე, ისე დაპატარავდა, გუნება გამიფუჭდა.

ბებიამ წყენა შემატყო და გული გამიკეთა, ნერგი მაგაზე დიდი არც უნდა იყოსო. ადგილს პატარაობიდანვე მიეჩვევა და ტანს ერთბაშად აიყრის, წყალს თუ არ მოაკლებო.

იმედი მომეცა. მართალია, ჩვენს სოფელს, რაც თავი მახსოვს, წყალი მუდამ უჭირს, მაგრამ ამას როგორ მოვაკლებ? ჯერ მაისია, ხშირად წვიმს და მორწყვა არც დასჭირდება-მეთქი, – ვიფიქრე, მაგრამ, არაო, ბებომ. წვიმაშიც რომ დარგო, წყალი მაინც უნდა დაუსხა და ფრთხილად დაუძეკო, ფესვს მიწა რომ მთლიანად მოედოსო. მეორე-მესამე დღესაც უნდა მორწყა და სინოტივე არც მერე უნდა მოაკლო, ვიდრე არ მომძლავრდებაო.

მეორე დღეს, საქმეს რომ მოვრჩი, ბებია, როგორც დიდ კაცს, მეუბნება, შენს დაბარულში მწვანილს დავთესავ, ცოტა პამიდორსა და წიწაკასაც დავრგავ, მაგრამ ჩითილი ბლომად მაქვს და ამ დღეებში, ჩაილურში უნდა წავიდეთ, იქ ხამი მიწა დაბარა მამამ და პამიდორი და წიწაკა გადაირევაო.

ჩაილური მეზობელი სოფელია. იქამდე ხუთი კილომეტრი მაინც არის, მეტი თუ არა. ჩვენ და ჩვენს ბიძაშვილობას ვენახები იქა გვაქვს, სახლიდან ასე შორს. ჩვენს საერთო წინაპარს, დიდ პაპას, ალექსის, თავად ჩერქეზიშვილისაგან იჯარით ჰქონია აღებული მიწები და ნაწილი ოქროთი გამოუსყიდია.

ჩვენი და თამაზის ვენახები გვერდიგვერდ არის. უთუოდ თამაზიც წამოვა. მაისში, ვენახში საქმეს რა დალევს?

.....

ჯერ კიდევ ბნელოდა, ფეფელა ძალოსგან წუხელ ნათხოვარი ვირის შეკაზმვა რომ დავიწყეთ მე და ბებომ.

ეს შავთეთრი, ზორბა ვირი, მთელ სოფელში განთქმულია ჭკუითა და მოხერხებით. ღონიერიც არის და ლაზათიანიც, ამიტომ ყველას ზედ რჩება თვალი.

ფეფელა ძალო, ფირო ძიას ცოლია, ვანო ძიას უფროსი ძმის. მართალია, ვირთან არაფერი ესაქმება, მაგრამ, რატომღაც, მერცხალას, ყველა ფეფელას ვირად მოიხსენიებს. თვით ბიძაჩემიც კი, ვირს რომ ვთხოვ, თვალში შუქი ჩაუდგება

და ცოლს გასძახებს: – ფეფელ, გიაა, ხვალ ვირი მათხოვეო და რა ვქნათ, ვათხოვოთ.

– წაიყვანოს კაცო, გიას ვირს დავუჭერ? – იკვირვებს ბოსტნის კვლებში თავჩარგული ძალო.

ვირს, არც მაინცა და მაინც ფირო ძია იყენებს. ჭალის ვენახში თუ წავა კვირაში ორ-სამჯერ და იქიდან შეკონილ შალაფას ამოაყოლებს. ზოგჯერ ტყეშიც მიდის, ფიჩხზე, ანდა წყალზე.

მახსოვს, ერთხელ, ჭალიდან, თიხის მაღალყელიანი ქილით თაფლი ამოაყოლა და შემი პატიჟა, მოდი, თაფლი მიირთვიო.

– არ მიყვარს-მეთქი.

– მოდი, კაცო, თაფლის არსიყვარული ვის გაუგია?

სულ მიკვირდა, რომ ფირო ძია, მამაჩემივით, გამართული ქართულით საუბრობდა და არც კუთხური კილო ჰქონდა. რუსული ენაც კარგად იცოდა, რადგან გერმანიის ფრონტის ხუთ წელს, ფინეთის ომის ორი წელიც დაამატებინეს, როგორც ოფიცერს. მეტად დინჯად საუბრობდა, არასოდეს ერთვებოდა კამათსა და ჩხუბში, ამიტომაც, ყველა პატივისცემით ექცეოდა.

როცა ერთხელ, მოგვიანებით, თავის მშვენიერ ქართულზე ვკითხე, მი პასუხა, ბიძაშენმა, ლექსიამ მასწავლა ასეთი საუბარიო.

ლექსია ძია თბილისში იზრდებოდა, მამიდასთან. ზაფხულობით, როცა სოფელში ჩამოდიოდა, თურმე ის ასწავლიდა უმცროს ძმებს და ბიძაშვილებს არა მხოლოდ ქართულ, არამედ მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას, ურჩევდა, რა წაეკითხათ და ხშირად, წიგნებიც თავად ჩამოჰქონდა.

ჰო, თაფლი რომ კიდევ ვიუარე, ლამბაქზე თავადვე გადმომიღო და წინ დამიდგა, მაგრამ გაჯიუტებულმა პირი აღარ დავაკარე და აღარც ფირო ძიას დაუძალებია.

გარეთ რომ გამოვედით, თაფლზე გულდაწყვეტილმა, ძალიანაც ვინანე ჩემი საქციელი. იმ წუთიდან „არ მინდას“ უფრო ფრთხილად ვეკიდები.

.....

მერცხალას, დიდთვლებიანი, მყარად ნაქსოვი ჭრელი ხურჯინი გადავკიდეთ და თუნუქის ბიდონები ჩავაწყვეთ. ჩითილს თითო ტოლჩა წყალი მაინც თუ არ დავუსხით, გახმებაო, ბებომ.

სუსხია და გვაკანკალებს, მაგრამ არ ვიმჩნევთ. ვიცით, მალე ისე დაცხება, ეს წუთები სანატრელი გვექნება.

ჩავდეთ საგზალი, სველ ტილოში საგულდაგულოდ გახვეული ჩითილები, სამუშაო ტანსაცმელი. კეხზე დავამაგრეთ ბებოს დიდი და კარგა მძიმე შავი ქოლგა, მზე-წვიმისგან რომ უნდა დაეცვა ჩვენი სამკაციანი ეკიპაჟი.

თოხი ვენახში, კომშის ძირას გვქონდა თვალს მიფარებული და ვიმედოვნებდით, რომ უთუოდ დაგვხვდებოდა.

იმის მიხედვით, თუ რა ავკიდეთ, მერცხალამ იცის, საით წავიდეს. დინჯად აბაკუნებს ფეხებს და იმ სიჩქარით მიდის, რა სიჩქარითაც შეუძლიათ სიარული მის კვალში ჩამდგრებს.

ერთს არ მოატრიალებს თავს, მაგრამ თუ გაჩერდი, წამში ისიც გაჩერდება და უკან თუ მიბრუნდი, დინჯად დაგელოდება. ხვდება, რომ რაღაც დაგრჩა თუ დაგავიწყდა.

ვასილა ძიას ვირს კი არ ჰგავს,- ანცერიკას, ფიცხი და უგუნური რომ არის. არც თავს შეგაკაზმინებს, არც შეგისვამს, არც აიკიდებს და კიდევ მრავალი „არც“ შემიძლია ვთქვა მასზე საუბრისას.

ყველა ამბობს, პატრონს ჰგავს, სიფიცხითო და ვასილა ძიას უხარია კიდეც, თქვენ იკითხეთ და მე ძალიანაც მიჯერებსო.

გადავიარეთ გულაღაანთ გორა, ცალი მხარე ერთიანად რომ აქვს ჩამოჭრილი. გორა თიხისაა და მისგან მშვენიერ ჭურჭელს წვავენ .

საამქრო მეორე, გაცილებით დიდი გორის თავზეა, ფერმის ყოფილ შენობაში, აქედან კილომეტრით შორს. ჩვენი გზა მასაც ჩაუვლის, მაგრამ ამ დილაუთენია არავინ იქნება.

სიარულმა გაგვახურა და სიცივეს ისე ვეღარც ვგრძნობთ, მაგრამ მაინც მოუთმენლად ველით მზის ამოსვლას.

პირველმა სხივმა ცივგომბორის ქაჩალი გორა გააწითლა, მერე ცეცხლი მთელ ქედს მოედო. მზემ ჩვენი ჩრდილები ისე დააგრძელა, ჩაილურსაც რომ გასცდებოდა.

ჰაერში ლივლივებენ და წკრიალებენ ტოროლები, ბუჩქიდან ბუჩქზე ხმაურით გადაიფრთხიალებს ბეღურების გუნდები, ყანის ხასხასა სიმწვანე შორამდე უწევს, კახეთის გზატკეცილამდე, სადაც კაკლების ხეივანი უჭრის გზას. შორს ალაპლაპდა ფშა, საკუთრივ კაკაბეთში რომ იწყება და მალევე უერთდება იორს. უფრო შორს, თავად იორი ირეკლავს მზის შუქს და თავის გაშლილ და ხვავრიელ, გარეკახეთის მაცოცხლებელ ზეგანს ხელისგულივით აჩენს.

ჩვენგან მარცხნივ კი, მთელს სიგრძეზე კაკაბეთი გაშლილა. იისფერი ნისლები ისე ეხვევა სოფელს, გეგონება პირდაპირ ცაში უნდა აიტაცოსო. მამლების ჯერ კიდევ სიბნელიდან დაწყებულ ყივილს, ბომბორა ძაღლების ბუხუნიც შეუერთდა, მერე საქონლის ზმუილი, ცხვრის ბღავილი და ადამიანთა შეძახილებიც.

სოფელს, ალბათ, არც აქამდე ეძინა, მაგრამ დილამ ფარდა ახადა სანახაობას, მისი ცქერით რომ ვერ გაძღები და ვერც ისე აღწერ, ნამდვილს რომ მიამგვანო.

კახეთის გზიდან სოფელში სამი ასფალტიანი გზა ამოდის და მალე სამივეს საძოვარზე მიმავალი ნახირი გაავსებს, ჭალაში რომ გაიშლება, მთელ დღეს იბალახებს, საღამოთი კი დაბრუნდება სოფელში და მოიტანს ხვავს და ბარაქას.

ჭალაშივე ითიბება ბალახი, მათი ზამთრის საკვები, ზაფხულიდანვე, თივით დატვირთული

ურემი ურემს რომ მოებმება და გაიჭიმება ამ გზებზე. ჭალაშია სოფლის ვენახები, საზამთროს ბაღები, სანადირო ადგილები. აქ ბინადრობს სწორედ განთქმული კაკაბი, ჩვენი სოფლის სახელში ასე მყარად რომ დაიბუდა.

ავაზნის ხევში, უკვე რიგი დამდგარა. ხუთიექვსი საკოკით დამშვენებული ვირი და მათზე ორჯერ მეტი ქვეითად მოსული ელოდება ავაზნის მომლაშო და უგემური წყლის რიგს.

ჩვენ, ბიდონები, ჩაილურში უნდა დავავსოთ, ყავრიაანთ წყალზე, სადაც გაცილებით პატარა რიგია, რადგან წყალი მეტი მოდის, თანაც ცივი და გემრიელი.

ჩრდილები მალე დაპატარავდა და მზემ ისე სასიამოვნოდ გაგვითბო ზურგები, სულ დაგვავიწყა დილანდელი სიცივე. ბებოს გამზადებულ ყველიან ბუტერბროდებს გემრიელად ვიღმურძლებით და გეგმებს ვაწყობთ, ცივის მთაზე წასასვლელად, სადაც, თურმე, საიალაღოდ უნდა არეკონ ჩვენი სოფლის საქონელი.

გავცდით ქოჩორა გორას, ერთადერთ ტყიან ადგილს, სოფლის ბოლოში რომ შეგხვდება. გორას, თურმე, დარაჯი იცავს, არავინ არაფერი მოჭრასო. ბებო ამბობს, მაგ გორიდან წყარო გამოდის და ტყე რომ გაიკაფოს, წყალი დაიკარგებაო.

ყავრიაანთ წყალზეც, შემოღობილში, ალბათ ამიტომ დაურგავთ, თავის დროზე, ვერხვები და თელები, ახლა უზარმაზარ ხეებად რომ ქცეულან და აქაურობას აჩრდილებენ.

მართალია, წყალშემკრები ნავი ორგანყოფილებიანია და საკმაოდ გრძელი, მაგრამ როცა საქონელი მოადგება წყლის დასალევად, მაინც არ ჰყოფნით.

დაეწაფებიან ძრონები ლივლივა წყალს, მათ ჭკვიან თვალებს რომ სარკესავით ირეკლავს და დინჯად რწყულდებიან. თვალდათვალ იცლება და იხაპება ნავი. მერე ისინი სხვებს უთმობენ ადგილს, ისინი კიდევ, — სხვებს.

საქონელი ილევა და ნავშიც ლამის აღარაფერი რჩება.

მწყემსები, ცხენებს, პირდაპირ მილიდან ასმევენ კამკამა წყალს. ისინიც კაცებივით ეწაფებიან და გახარებულები და დაოკებულები კრეჭენ უზარმაზარ, დაუხეხავ და შეყვითლებულ კბილებს. მერე ღონივრად დაიფრუტუნებენ და ისე, თითქოს ფეხი არ გაგვესვაროსო, გაივლიან ნავის წინ მუდამ-დაუმშრალ გუბეს.

მერე, ჩვენი ჯერიც მოდის. მერცხალა მთლად ცხენივით ვერა, მაგრამ მოთქრიალე წყალს, სანამ გეჯიდან ნავში გადავა, იქვე სვამს. წყალს დაგემოვნებით მიირთმევს, ფირო ძიასავით.

ფირო ძია, არათუ ღვინოს, წყალსაც კი მართლაც ისეთი დაგემოვნებითა და ნეტარებით სვამს, გეგონებათ მისი ბოლო ჭიქა იყოს. უტყუარად შეუძლია გამოიცნოს თუ საიდან მოვიტანეთ წყალი, რომელი წყაროდან. ასეთი კი კაკაბეთში რატომ ათიც არ არის.

ერთხელ, მოულოდნელად მკითხა, გია, აბა, თუ მეტყვი, რამდენი ლუკმა უნდა შეჭამოს ადამიანმა, რომ დანაყრდესო.

სხვა იტყოდა, გაძღესო, მაგრამ, ფირო ძიამ, — დანაყრდესო.

— რა ვიცი, აბა, ზოგს რამდენი და ზოგს — რამდენი. დიდებს, ალბათ, მეტი, პატარებს — ნაკლები.

— არა, კაცო, — გაუკვირდა ჩემი გულუბრყვილობა. — დიდები, სამაგიეროდ დიდ ლუკმებს მიირთმევენ, პატარები, — პატარებს.

— მაშინ... არ ვიცი... — გამოვაცხადე კაპიტულაცია.

— 18-20 ლუკმა საკმარისია, ადამიანი რომ დანაყრდეს. მეტიც შეიძლება მიირთვას ვინმემ, მაგრამ მაგას დანაყრება აღარ ჰქვია.

— ეგ ვინ გითხრა? — დავეჭვდი და გადავწყვიტე, დღესვე შევამოწმებ-მეთქი. თვითონ ფირო ძია გამხდარი და თასმასავით მოქნილია და შეიძლება 20 ლუკმა მართლაც ჰყოფნის, მაგრამ დრანქას, ასოც კილოს რომ იწონის, ოცი ლუკმა გააძღობს? თუმცა —კი, იმას იმხელა პირი აქვს, რომ მოინდომოს, მე გადამყლაპავს ერთ ლუკმად...

— თვითონ მივხვდი. — მიპასუხა ღიმილით. — სმა-ჭამას და მუშაობას, სიჩქარე არ უყვარს. გემო უნდა ჩაატანო. აი, ამას რომ ისწავლი, მერე გაიგებ მაგათ ფასს.

კარგი და, საჭმელ-სასმელს კიდეც რომ გემო ჩაატანო, მუშაობას როგოღა უნდა გაუგო გემო? — ვიფიქრე ჩემთვის და ძალიან გვიანღა მივხვდი ამ სიტყვების სიმართლეს, როცა უკვე მოწიფული კაცი გავხდი.

ბიდონებიც დავავსეთ, მათარებიც და ვენახში რომ ჩავედით, მზე უკვე კარგად შემაღლებულიყო.

მე და თამაზმა უყურძნო და შავიანზე ამოსული ყლორტების შეცლა დავიწყეთ. თითო მწკრივს რომ ჩვენს ვენახში ავუყვებით, თითოს — მათ ვენახში მოვდევთ, ერთად რომ ვიყოთ და ათას რამეზე ვილაპარაკოთ. საქმე სულაც არ არის ძნელი, ყლორტი ადვილად ეცლება, რადგან სულ ნორჩია. მთავარია, ყურძნიანი არ შეგიყვეს და უყურძნო კიდევ, ბევრი არ დაგრჩეს, თორემ ცოტას არაუშავს, ნამდვილი ფურჩნის დროს მოაცილებ, ნამხრევი რომ იქნება მოსაშორებელი.

ბებომ საპამიდვრე გადათოხნა და ჩითილები დარგო. თითოს, თითო ტოლჩა წყალს უსხამს. მერე, მე და თამაზმა ბუერის ფოთლები მოვკრიფეთ, ვენახის ბოლოში რომ ყელყელაობდნენ და ჩითილებს ქუდებივით დავაფარეთ, აქაოდა, მზემ არ დაწვასო.

— ერთ-ორ დღეს საშიშია. — გვეუბნება ბებო. — მზე წყალს აორთქლებს და ჩითილს დაწვავს. ასე კი, ფოთოლი დაიფარავს და ერთი თუ გაშალა ფესვი, მერე თავს თავად მოუვლის.

სადილის შემდეგ, მე და თამაზმა ბებოჩემის ძმის, ივანე კვეზერელის დიდი ვენახის ატყევებულ

მიჯნებს დავუარეთ და იმდენი სატაცური მოვაგროვეთ, პერანგში ძლივს გამოვკარით. სატაცურს აქ ვინ გააჩერებდა, მაგრამ იციან, ივანე ძია რომ ჩვენთვის ინახავს და ერიდებიან.

გაზაფხულდება თუ არა, იგი სულ აქ არის, კარგად მოწყობილ ქოხში და ვენახში შრომობს. ბებომ ლიტრიანი ბოთლით არაყი წამოუღო და ისეა გახარებული, არ იცის რით გვასიამოვნოს.

ჭუკ-ჭუკებს და-ძმა, ყმაწვილობას იხსენებს და ჩვენ შემოგვხარის.

შინ შებინდებულზე დავბრუნდით.

დაღლა მეორე დღემდე გამყვა და შუადღის ძილი გამოვჭიმე, აქამდე რომ არასოდეს მიქნია.

— მერე, იმ ჩითილებს მორწყვა აღარ დასჭირდათ? — ამომხედა გიომ და ამით მანიშნა, თხრობა გააგრძელეო.

— ვიდრე ჩითილი პატარა იყო, ცოტა წყალი ჰყოფნიდა. ვენახში რომ მივდიოდით, მაშინ ჩაგვქონდა ყავრიაანთ წყლიდან, თანაც, მაის-ივნისი ხომ ისედაც წვიმიანია. აი, ივლისში რომ გვალვა დაიჭირა, მაშინ კი, თუ არ მორწყავდი, უთუოდ გახმებოდა. არადა, ჩვენი პამიდვრები ისე გაიბარდა და იმდენი დაისხა, ნამდვილად ცოდო იყო მისი გაფუჭება.

როცა გავიგეთ, ჩაილურის არხში წყალი გაუშვიათ და მთელი სოფელი ირწყვებაო, მე და თამაზი დილიდანვე დავადექით გზას. მხოლოდ საგზალი წავიღეთ.

მართლაც, ზედ ჩვენი ვენახების თავზე მიჩუხ-ჩუხებდა მოზრდილი რუ.

— ნეტავ, ვისია ეს წყალი? — ვიკითხე დაეჭვებულმა.

— ეხლა გადავაგდებ, ცოტას, პამიდვრებში და ვისიც არის, თვითონ მოვა! — თქვა საქმიანად თამაზმა და ასეც მოიქცა.

მცირე წყალი ჩვენი ვენახისკენ მივუკადეთ. ნაგვალევ მიწაში, ერთი-ორგან წყალი გაგვექცა, მაგრამ პამიდვრებამდე მაინც მივაღწევინეთ. ის იყო, რწყვა დავიწყეთ, რომ მხარზე თოხგადებული, გამეხებული კაცი დაგვადგა.

წელსზევით ერთიანად გაეშავებინა მზეს. სახეც შავი თმა-წვერით დაფაროდა, გაფანჩულ წარბებში, სევდაჩამდგარი, მუქი თვალები ძლივს მოუჩანდა.

— მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა წყლის მოპარვა, ჩხუბობს, თითქოსდა, უმისამართოდ და წყალს საგულდაგულოდ გვიკეტავს. — სამართალი აღარ არის? მთელი კვირა ველოდე ამ წყალს და ესენი კიდენა...

— ძია, ორიოდე ძირი პამიდორი უდგა და მაგის მორწყვა გვინდა, განა ვენახს უნდა მივუგდოთ. — შეაცოდა თამაზმა ჩემი თავი.

— ერთი ძირიც რომ იყოს, იმასაც არ მოგარწყვევინებთ. ჩადექით „ოჩერედში“ და როცა მოგიწევთ, მერე მორწყეთ.

— რა „ოჩერედში“ უნდა ჩავდგე, ორი ძირი პამიდვრის გულისთვის, ანდა, კაკაბეთიდან აქ გადმოვსულვართ და ისე უნდა გაგვიშვა? — იკვირვებს თამაზი.

— ვისები ხართ? -როგორც იქნა თოხი შეაჩერა და გამოხედვა ინება.

— ქიტას შვილიშვილები ვართ! — ამაყად უპასუხა თამაზმა.

ქიტა პაპას მთელი გარეკახეთი იცნობდა, როგორც სამართლიან და შეუპოვარ ვაჟკაცს, გაჭირვებულების მოსარჩლეს. მასზე ათასგვარ ამბებს ყვებოდნენ. თუმცა, 37-ში დახვრიტეს, როგორც ტროცკისტი, მაგრამ ბევრი არ იჯერებდა, ციმბირში გადაასახლეს და დღე-დღეზე დაბრუნდებაო.

— ქიტა არ ვიცი მე. — თქვა, მაგრამ შევატყვეთ, ნირი წაუხდა.

— ძიავ, რათა წვალობ? — მშვიდად ჰკითხა თამაზმა. წახვალ თუ არა, მაგ წყალს მაინც გადმოვაგდებ და ამ პამიდვრებს მოურწყავს არ დავტოვებ.

— ფეხებზე მკიდია შენი პამიდვრები... — ჩაილაპარაკა უნდილად და უიმედოდ.

— ჩემი პამიდვრები ჭალაშია და კარგადაც არის მორწყული. არც ამას დავტოვებ ისე. სულ აქ ხომ არ იქნები? შენი ვენახი ახლა, იქნებ, წყალსაც მიაქვს, შენ კიდევ აქა ჯახირობ...

კაცს ენიშნა თამაზის ნათქვამი. ერთი კი ჩაილაპარაკა, რუს ხელი არ ახლოთო და დაეშვა დაღმართზე.

— ეგ ისე გარბის, თავის ვენახთანაც ველარ გაჩერდება. — შემაგულიანა თამაზმა და წელანდელზე მეტი წყალი გადმოუგდო.

მერე კიდეც იწვიმა და ისეთი მოსავალი ავიღეთ, შენი მოწონებული.

— და, ის ქლიავი, პაპა?

— ჰოო. ის ქლიავი, ალუჩა გამოდგა. მეორე წელს მოგვცა ნიშანი და ძალიან გაგვახარა. მერე კიდევ, იმდენს ისხამდა, მთელ უბანს გვყოფნიდა. მე და თამაზი სულ ზედ ვისხედით. მერე კიდევ, შენი მამა-ბიძა.

გიო ფეხზე უფრო მომეხუტა და ჩუმად მითხრა, პაპა, ისეთი წიგნი შემირჩიე, სოფლის ამბები რომ ეწეროს. კითხვა განა მართლა არ მიყვარსო...

თემურ ჩალაბაშვილი

პოეტის მოგონებები

შუალამის სტუმარი ვარანცოვზე



ეს იყო ალბათ ბატონი ნოდარის გარდაცვალებიდან ორიოდე წლით ადრე. ადრიანი გაზაფხულის ერთ დაუვიწყარ ღამეს დავით აღმაშენებლის გამზირით (მე ახლაც პლეხანოვს ვეძახი), ჩვეულებისამებრ, გვიან ღამით შინ ვბრუნდებოდი.

ვარანცოვის მოედანზე, ახლა ზაარბრიუკენის მოედანი რომ ჰქვია), აფთიაქის წინ, ბორდიურზე ჩამომჯდარი განიერმხრებიანი, ხელჯოხს დაყრდნობილი მამაკაცი შევნიშნე. წამით დავაკვირდი და რასაც ამ დროს ვერ წარმოვიდგენდი, ჩემი ძვირფასი და საყვარელი პროფესორი ნოდარ ტაბიძე შევიცანი.

ცაში ავიხედე, დალოცვილი ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, საოცარი მთვარე დამჯდარიყო სამების ეკლესიის ჯვარზე...

— ჭაბუკო, — დამასწრო ბატონმა ნოდარმა, — აჰ, მაინც რა არის ახალგაზრდობა. ვარსკვლავებს ეთამაშები, არა?!

— ბატონო ნოდარ, ამ დროს აქ როგორ, საიდან? — მივაყარე კითხვები. შევატყვე, შექეიფიანებული ჩანდა.

— ჭაბუკო,— მითხრა მისთვის დამახასიათებელი ნაცნობი ფრაზებით,— სტუმრად გახლდით,— გამოსეირნება მომინდა, არ მიშვებდა მასპინძელი, მაგრამ ასეთ ღამეში ვერაფრით გავჩერდი (წამსვე გამახსენდა, რომ იქვე,მოედანთან ახლოს,ჩვენი მეგობარი ჟურნალისტი მაყვალა ლიპარტელიანი ცხოვრობდა დასთან და ქალიშვილთან ერთად).

— რა კარგია, რომ შემხვდი,— მისებური ღიმილით ჩაიღიმილა. მოითმინეთ, ახლავე,— მითხრა და პიჯაკის გულის ჯიბეში ჩაიყო ხელი,— აი, ეს რაღაც კაპიკები... იქნებ საიდანმე არაყი ან კონიაკი მოიტანო და მე და შენ პოეტურად, ,,ბრადიაგულად" დავლიოთ თითო ჭიქა,..

გულწრფელად გითხრათ, სულ არ გამკვირვებია,..

— ბატონო, ნოდარ, რას ბრძანებთ? იცით, რომ აქვე ახლოს, ჯავახიშვილის ქუჩაზე, ვცხოვრობ, მეუღლეს რამდენიმე წუთის წინ ველაპარაკე, არ სძინავს (სანამ არ მივალ, არ იძინებს, ასეთი ჩვევა აქვს), არავის შევაწუხებთ, ჩემთან ამობრძანდით. ხომ გიყვართ ჩვენთან? თანაც ხომ იცით, რომ მეუღლეს ნაწილი სისხლი ცინცაძეების აქვს, ჩემი სიდედრის დედა ნეფიდორე წმინდანი კალისტრატეს ღვიძლი ბიძაშვილი გახლდათ. თქვენი ძვირფასი დედა ვიცი, რომ ცინცაძის ქალბატონი იყო, ასევე დიდი კალისტრატეს ახლობელი. ჰოდა, ნათესავის სტუმრობა, ხომ იცით, როგორ გაუხარდება. — ვეუბნები, მაგრამ ვხვდები, რომ ვერ ვიყოლიებ.

ამ პატიჟილში ისე გავერთე, რომ ვერც კი შევნიშნე, ჩემ წინ ჩემს ახლო მეგობარს ჯიპის მარკის მანქანა გაეჩერებინა. თამაზი თურმე რამდენიმე წუთი უსმენდა ჩვენს დიალოგს.

— თემურ,— დამიძახა მეგობარმა,— ბიჭო, მოდი ჩემთან, ნოდარ ტაბიძე არ არის? ხომ არაფერი უჭირს, აგერ მანქანა, მზადა ვარ ყველაფრისთვის? საით მიბრძანდება?

ორი სიტყვით ავუხსენი თამაზს ჩვენი საუბრის მიზეზი.

— შე კაი კაცო,მობრძანდით მანქანაში, ყველაფერი მაქვს, მეგობრისგან მოვდივარ.

ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ვიცოდი, ბატონ ნოდარს გაუხარდებოდა.

P. S. ქიზიყში იციან ხოლმე, კინაღამ მამლის პირველი ყივილისას მივაბრძანეთ ძვირფასი სტუმარი სახლში, საბურთალოს ქუჩაზე. ანდა კი, შეძლებს გული ბატონი ნოდარის დავიწყებას?!..

• • •

ნაწყვეტი მოგონებიდან: განუმეორებელი კაცი და მსახიობი — თენგიზ არჩვაძე

სიმართლე გითხართ,პირველად თენგიზ არჩვაძის სახელი და გვარი როდის გავიგე, აღარ მახსოვს, ალბათ უფრო მოწაფეობისას. რას ვიფიქრებდი,ანდა როგორ წარმოვიდგენდი, ასეთი საოცარი პიროვნება ჩემი ახლობელი (თანაც ასეთი) გახდებოდა. მიზეზთა და მიზეზთა გამო, ბავშვობა სოფელ ძველანაგაში გავატარე, რასაც ყველგან და ყოველთვის დიდი სიამაყით აღვნიშნავ ხოლმე. დიახაც, სწორედ ჩემი სოფლის თვალწარმტაცმა სანახებმა, ალაზნის ველის სიბრძნე-სიდარბაისლემ და კავკასიონის თოვლიანმა მწვერვალებმა მისცეს საწყისი ჩემი ბავშვობის დაუშრეტელ ფანტაზიას. სწორედ აქ შევიყვარე ის ყველაფერი, რაც აგერ დღემდე სულის საგზლად მომყვება და მაბამს ამ ცოდვილ დედამიწაზე.

ოი, ბავშვური ფანტაზიის დაუშეტელო ძალავ, ნახე,ჩემდაუნებურად როგორ გამიტაცე, როგორ გამომიტყუე ადრიან გაზაფხულზე გამოსული სულელი ნუშის ყვავილივით?

თავი რომ არ მოგაბეზროთ, ძვირფასო მკითხველო, თქვენის ნებართვით ჩემს ძირითად სათქმელს



დავუბრუნდები.

მეოცე საუკუნის 70-იანი წლებია, ალბათ მესამე კურსზე თუ ვიქნებოდი, ჩემს უფროს და დაუვიწყარ მეგობარ ზურაბ გოგიაშვილთან ერთად (მომღერალ თავგასას მამა,,,გეპეის" პროფესორი) მარჯანიშვილის ქუჩაზე,თეატრთან მოვხვდი. თეატრის შესასვლელთან მხარბეჭიანი, საოცრად წარმოსადეგი ქართული გარეგნობის შავწვეროსანი მამაკაცი იდგა, იდგა, როგორც ქანდაკება (ალბათ ასე 40-45 წლისა). ახლაც თვალწინ მიდგას ის საოცარი და ჩემთვის მარად დაუვიწყარი სცენა:

ბატონი ზურაბი მიუახლოვდა, მიესალმა და ეს ორი ულამაზესი გარეგნობის ვაჟკაცი მხრებით შეეხო ერთმანეთს. ,,ვა, ეს ხომ ჩემთვის საოცნებო თენგიზ არჩვაძეა",– წამომცდა ჩემდაუნებურად.

უცებ თითქმის ბატონი თენგიზის თანაასაკის კაცი გამოჩნდა,მერე გავიგე, ეს კაცი თურმე თენგიზ არჩვაძის განუყრელი მეგობარი, კინოსცენარისტი და დიდებული პოეტი ანზორ სალუქვაძე იყო.

მალე ჩვენმა ამალამ სოფელ დიღომში, რესტორან ,,ნიავში" ამოყო თავი (მიშა მესხის რესტორანში). ძვირფასო მკითხველო, ალბათ ადვილად წარმოიდგენთ ჩემს მაშინდელ მდგომარეობას. გაოცება-სიხარულისგან რა მექნა,აღარ ვიცოდი, ძლივს დავიოკე ჩემს სხეულში აბორგებული სისხლი და გული და რა გასაკვირია, რომ გავამხილო, ასეთი დღეები და წუთებიც კი არ ავიწყდება ნორმალურ ადამიანს (მითუმეტეს, ჩემნაირ გადარეულს).

ქეიფი ახალი, ნელად დაწყებული გვქონდა, რომ მეზობელი სუფრიდან საოცარმა ,,მრავალჟამიერმა" მიიპყრო ჩვენი ყურადღება და აი, ახალი საოცრება, თურმე მეორე ,,კუპეში" რუსთაველის თეატრის მსახიობები პურმარილობდნენ. არ გაინტერესებთ, ვინ იყვნენ ეს ძვირფასი მოპურმარილენი? – ეროსი მანჯგალაძე, რამაზ ჩხიკვაძე, კარლო საკანდელიძე, ჯემალ ღაღანიძე (ნამდვილად არ მეშლება, ზუსტად მახსოვს).

რომ არ გავაგრძელო, სუფრები შევაერთეთ. წავიდა და რა წავიდა... არადა, ეს მხოლოდ ქეიფი არ იყო, არც ზღვარგადასული მოლხენა, ეს იყო ალბათ ამაღლებული სულების მხურვალე აპოლოგია...

მას შემდეგ თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა როგორც ჩვენში, ისე კაცობრიობის ცხოვრებაში. ბევრი რამ დაფასდა და გადაფასდა. საოცარია, ისევ ვუბრუნდები ჩემი მოგონების მთავარ გმირს, ვერაფერმა ვერ შეცვალა თენგიზ არჩვაძე, ჩვენი ძვირფასი თენგო. ის ზოგიერთივით არ აჰყოლია ჟამთასვლას, როგორიც გაჩნდა (სიტყვა ,,დაბადება" მარტო დიდი ილიას დაბადებას უხდებაო, იტყვის ხოლმე), ისეთი დარჩა დღემდე.

დაბოლოს, კინაღამ დამავიწყდა, თენგიზ არჩვაძე ჩემი მეჯვარე გახლავთ, ჯვარი ეწეროს მრავალჭირნახულგამოვლილ არსაკიძესა და მუშნი ზარანდიას!

ორი ლექსი – თენგიზ არჩვაძეს

დედამიწას უხდები

რაც არ გწამდა, არ გსურდა,
უზნეობის მგმობელო,
ულამაზეს ასულთა
დღესაც გულის მპყრობელო...
დრომ სიბერე ვერ გკადრა,
დგახარ ლომის მუხლებით,
ტანჯულ მამულს კი არა,
დედამიწას უხდები.
შორ ზღაპრიდან მოდიხარ,
ღმერთმა ავი გაშოროს,
შენ იმგვარად იცხოვრე –
ეხსომები სამშობლოს...
თითზე ჩამოითვლება
შენნაირი კაცები
და როს სული ითვრება,
შენ მაშინაც არ ცდები.
სხვა წესით და სხვა რიგით,
ცრემლმა თვალი მონახა,
მეფეც იყავ, ტარიგიც,
სიყვარულის მონა ხარ.
წლებმა წლობით იარა,
დგახარ ლომის მუხლებით,
მარტო მამულს კი არა,
დედამიწას უხდები...

* * *

საქართველოში წმინდანივით იცხოვრე რადგან,
შენ თავზე უფლის ნაბოძები გვირგვინი გადგას,
გვირგვინი ეკლის, ესოდენი სიმაღლის მჩენი,
გვირგვინი ბედის – დამღუპველი და გადამრჩენი.
სულს მსახურებდი, გადარდებდა არც არა ხორცის,
შემორჩი ქალაქს ამაყი და ბავშვივით მორცხვი.
არ დაგკლებია არცა სუსხი მავანთა ჭორის,
მაგრამ იყავი უჩვეულო რჩეულთა შორის...
...პირველობისთვის არ გიცდია ღალატი კაცთა,
უპირველესად ადიდებდი გულსა და განცდას.
ხან მკლავი მოგჭრეს, ზარანდიაც იყავი, ურჩი,
და ამიტომაც მოშურნეებს ვერ გადაურჩი.
ხან ჯამი გედგა, ღვინით სავსე თუ უფლის
სისხლით,
ლოცავდი მამულს, დღე ცისმარე შენ
მისხალ-მისხლით.
იყავ მეუფეც, სამშობლოის გტანჯავდა ბედი,
არ გაგიღუნავს არცა მკლავი და არცა ქედი.
საქართველოში წმინდანივით იცხოვრე რადგან,
უზენაესის ნაბოძები გვირგვინი გადგას.

თემურ ჩალაბაშვილი

გზავნილი მომავლისადმი

პროფესორ თემურ ჯაგოდნიშვილის რელიკვიაა განჯაში მოჭრილი ერეკლე მეორისდროინდელი ვერცხლის მონეტა. შარშან, ერეკლე მეორის დაბადების 300 წლისთავთან დაკავშირებით, ეროვნულმა ბანკმა ოქროს და ვერცხლის 5-ლარიანი მონეტები გამოუშვა.

ამ ფაქტზე კომენტარი სწორედ ბატონ თემურ ჯაგოდნიშვილს ვთხოვეთ:

– ცნობილია, რომ ერეკლე მეორე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სამთომადნო მრეწველობის განვითარებას. მან ბერძნებისა და გარკვეულწილად გერმანელების ნაწილიც საქართველოში იმ მიზნით ჩამოასახლა, რომ ალავერდისა და მადნეულის საბადოები აემუშავებინა. ასეთი მონაცემებიც არის – ყოველწლიურად 65 ათასი თუმნის ვერცხლი ამოჰქონდა და ორ ზარაფხანაში იჭრებოდა. მონეტებს წარწერა არაბულად ჰქონდა, ერთი მხრივ, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების თავისებურებიდან გამომდინარე, და მეორე მხრივ, ეს იყო ე.წ. კონვერტირებული ვალუტა იმ გაგებით, რომ ერთი სახელმწიფოს საზღვრებში კი არ ვრცელდებოდა და მოქმედებდა, არამედ წინა აზიასა და ინდოეთის ჩათვლითაც კი.

ისტორიკოს ნიკო ჯავახიშვილს, რომელიც ამ მონეტებსა და მონეტარული პოლიტიკის საკითხებზე მუშაობს, ასეთი მონაცემებიც კი აქვს წარმოდგენილი:

ერეკლე მეორეს ორი ზარაფხანა ჰქონდა, ერთი ზარაფხანა იყო თბილისში, სადაც ფული იჭრებოდა, ხოლო მეორე განჯაში მდებარეობდა, რომელიც მაშინ ქართლ-კახეთის სამეფოს ვასალური სახანო იყო და ამ სახელმწიფოს საზღვრებში შემოდიოდა.

ეს მონეტა სწორედ განჯის ზარაფხანაშია მოჭრილი. მთავარი ისაა, რომ ერეკლეს თეთრი, რომელიც სუფთა ვერცხლისაგან შედგებოდა, 1854 წლამდე მიმოქცევაში იყო.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველო რუსეთს 1801 წელს უკვე ოფიციალურად, როგორც ორი გუბერნია, ისე შეუერთდა და სამეფო გაუქმდა, ხოლო საქართველოში შემოვიდა რუსული რუბლი, მის გვერდით, მის პარალელურად, როგორც სრულფასოვანი ვალუტა, მიმოქცევაში იყო ერეკლე მეორის თეთრი. ასეთი ფაქტი გაოცებას იწვევს – აღარ არსებობს სახელმწიფო, როგორც მსოფლიოში დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული რუკაზე, იგი არის რუსეთის გუბერნია, მისი ფული კი, რომელიც ერეკლე მეორის სახელს ატარებდა, კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტხანს იყო მოქმედებაში და აღებ-მიცემობისა და ვაჭრობის ჩვეულებრივი ფულადი ერთეული და კონვერტირებადი ვალუტის ბადალი ფულადი ერთეული იყო.

ესეც მეტყველებს ერეკლე მეორის, როგორც პოლიტიკოსის, სახელმწიფო მოღვაწის დიდ საერთაშორისო ავტორიტეტზე და ქართული სახელმწიფოს პატივისცემაზე, სახელმწიფოსადმი ანგარიშგაწევაზე და ამითაა საინტერესო.

რაც შეეხება ახალ, ერეკლეს დაბადების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ 5-ლარიანი ნომინალის ოქროს და ვერცხლს მონეტებს, ეს დიდად მისასალმებელი, ღირსსახსოვარი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ მხრივ საქართველოს ეროვნული ბანკი ქება-დიდებას იმსახურებს და მისასალმებელია ეს მოვლენა.

როგორც ცნობილია, ნუმიზმატიკა ისტორიული ნუმიზმატიკის ერთი მნიშვნელოვანი დარგია და მონეტა თავისი სიმბოლოებით იმაზე მეტ ინფორმაცია იძლევა ჩვეულებრივ, ვიდრე რომელიმე მემატიანის ჩანაწერი. ეს არის დასტური სახელმწიფოს არსებობისა, ეს არის დასტური ჭეშმარიტი ალტერნატიული ანუ ობიექტური ისტორიისა, ეს არის ჩვენი თანამედროვეობის გზავნილი მომავლისადმი, სადაც ერთმანეთს ესაუბრება 300 წლის წინანდელი საქართველო, დღევანდელი საქართველო და მომავლის საქართველო!

განჯაში მოჭრილი მონეტა

თეიმურაზ ბრაილი

ჰერეთის ერისთავი და მეჭურჭლეთ-უხუცესი შოთა

(„ოდეს მოწყალებისა კარი ჩამოაკსნეს თათართა“)

დღესდღეობით უმეტესწილად მიღებული და ფართოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის მოღვაწეობის დროს შეიქმნა. მაგრამ საკვლევად განსხვავებულია პოემის ეპილოგის ბოლო სტროფის ტექსტში წარმოჩენილი და მინიშნებული რეალური ისტორიული სურათი („ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა, აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა, დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშვრომელსა, ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“ – 1662).



აღნიშნული სტროფი, სავარაუდოდ, რუსთაველს არ ეკუთვნის, არამედ უფრო მისი გამგრძელებლის მიერაა დამატებული, მაგრამ ეს მონაცემები მაინც დიდ ნდობას იმსახურებს, ვინაიდან საისტორიო თხზულებათა კრებულის „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით კარგადაა ცნობილი შავთელიცა („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) და სარგის თმოგველიც („ასწლოვანი მატიანე“): იოანე „შავთელი – ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსების გამომცემლობა და მოღუაწეებათა შინა განთქმული“; „თმოგუელი სარგის, კაცი სწავლული და ფილასოფოსი და მრავალღონე“. გარდა ამისა, სარგის თმოგველი იყო აქტიური სახელმწიფო მოღვაწე და ცნობილი დიპლომატი რუსუდან მეფისა (1223-1245) და მისი ძმისწულის დავით ულუს (1247-1270) მმართველობის დროს.

როგორც ჩანს, პოემაში მხატვრულად განზოგადებული და ალეგორიულად (ანუ „შეფარვით“) ასახულია არა მხოლოდ თამარ მეფის, არამედ მისი ქალიშვილისა და შვილიშვილის მეფობის პერიოდის მოვლენები.

შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ 1245 წლის ჯავახეთის, კერძოდ, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე ქართველ წარჩინებულთა შორის სარგის თმოგველთან ერთად მოხსენიებულია შოთა კუპარი („ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი კოხტას თავსა, იმერნი და ამერნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე, კუპარი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართუელნი, თორელ-გამრეკელი, სარგის თმოგუელი“).

შოთა კუპარი, რომელიც ჰერეთის ერისთავი იყო, როგორც ქართველ წარჩინებულთა მაღალი წრის წარმომადგენელი, უშუალოდ მონაწილეობდა არაერთ მნიშვნელოვან ისტორიულ პროცესში.

როგორც ცნობილია, მონღოლებთან მოსალაპარაკებლად რუსუდან მეფემ, რომელიც დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა, გაგზავნა შანშე და ავაგი, ვარამ გაგელი და შოთა კუპარი („გულისჴმა ყო რა მეფემან რუსუდან, რომელ წარიღეს ქუეყანა ამიერი თათართა, განიზრახა, რათა წარმოავლინოს ძე თჳსი დავით და მოანდოს თათართა, და აღიღოს სიმტკიცე უვნებლობისა. და წარავლინეს მოციქულად თათართა შანშე, და ავაგ, და ვარამ, და ჰერეთის ერისთავი შოთაი, რომელსა მანის ფერობისათჳს კუპრობით უჴმობდეს“).

შოთა კუპარი სხვა წარჩინებულებთან ერთად შეხვდა აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებულ რუსუდან მეფესა და მის ვაჟს დავითს („გარდამოვიდა თჳთ მეფე და წარმოგზავნა ძე თჳსი დავით, რომელთა წინა-მიეგებნეს შანშე, ავაგ და ეგარსლან, რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა, არარათა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი, შოთა კუპარი, გაგელილ ვარამ, ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთ-უხუცესი ყუარყუარე ციხის-ჯუარელი“).

შოთა ასევე სხვებთან ერთად შეხვდა ლაშაგორგის ვაჟს, დავითს, რომელიც სარგის თმოგველის ძალისხმევით ტყვეობიდან გათავისუფლებისა და გამეფების შემდეგ დაბრუნდა საქართველოში, რადგან სარგისი მაღალ დონეზე მიღებული და დაფასებული იყო მონღოლთა იმპერიის მმართველი წრის წარმომადგენლების მიერ („გამოიყვანეს და-

ვით... ვითარ მოიწივნეს საქართველოს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, შანშე, და ძე მისი ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული, ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ ქართლისა ერისთავი, ორბელი, გამრეკელი, შოთა კუპარი“).

ჰერეთის ერისთავის შოთას მსგავსებას პოეტ შოთა რუსთაველთან ამტკიცებდა პავლე ინგოროყვა. კორნელი კეკელიძე არ იზიარებდა აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ თვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ შეიქმნა ხვარაზმელთა და მონღოლთა შემოსევების შემდეგ, რომლის საფუძველი მან პოემის ისტორიულ რეალიებში დაინახა. სრულიად მოსახერხებელია ამ შეხედულებებში მნიშვნელოვანი და საგულისხმო დამთხვევების პოვნა. ხოლო, შესაბამისად, გარკვეული კორექტირების საფუძველზე მათი გაერთმნიშვნელიანება და გათვალისწინება. გარდა ამისა, აუცილებელია ახალი დამატებითი მონაცემების მოძიება.

პავლე ინგოროყვა პოემის სავარაუდო ავტორად, როგორც ცნობილია, თვლის შოთა კუპარს. ასე ახასიათებს ჰერეთის ერისთავს მემატიანე - „მანის ფერობისათჳს კუპრობით უჴმობდეს“. ამ სიტყვების მნიშვნელობა („მანისა ფერობა“, „კუპრობა“) მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ეს ტექსტი შეუსაბამოდაა ნათარგმნი „ქართლის ცხოვრების“ რუსულ გამოცემაში – «Коего из-за смуглости именовали Купари». მაგრამ «из-за смуглости» არაადეკვატური თარგმანია „მანის ფერობისათჳს“. XI-XIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში განვითარებული ბიზანტიური ეპოქის ელინოფილური წერილობითი ტრადიციიდან გამომდინარე, სიტყვა „მანი“ უნდა იყოს ძველი ბერძნული ტერმინი μανία („გიჟი“, „ვნებიანი“; „ვნება“, „სიგიჟე“, „სწრაფვა“), რომელიც, როგორც მეტაფორა, ინტერპრეტირებულია – „ძლიერი მიდრეკილება რაიმესკენ“. ძველ ქართულში ტერმინი ανία შეესაბამება სიტყვას – ხ ე ლ ი („გიჟი“, „ვნებიანი“). ამ ტერმინის მნიშვნელობა აშკარაა რუსთაველის პოემის პროლოგში („ჩემმან ხ ე ლ-მქმნელმან“). მსგავსი კონტექსტით, საინტერესოა ასევე ეს სტრიქონები („მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი: ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ“...)

როგორც ჩანს, რუსთაველი აქ ტარიელს გულისხმობს, რადგან პროლოგის ამ ნაწილში ავტორი უშუალოდ მიმართავს პოემის მთავარ გმირს და არაერთხელ ახსენებს მას („მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“ – 6; „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის არშეშრობილი“ –7)

სავარაუდოდ, მეცხრამეტე სტროფის ბოლო სტრიქონში პოეტი ასევე სწორედ მთავარ პერსონაჟზე მიუთითებს და არა თამარ მეფეზე („მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“ – 19, 4)

მოგეხსენებათ, ლექსის სათაურის („ვეფხისტყაოსანი“) მეტაფორული გააზრება ემყარება პოემაში გადმოცემულ კონკრეტულ სიტუაციას („ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული, არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული“ – 522, 1-2)

ეს რომანტიკული წარმოსახვა მაშინ ჩნდება, როდესაც მეფესთან გამართული თათბირის შემდეგ ტარიელი ნესტანდარეჯანს შეხვდება. ელგუჯა ხინთიბიძე აღნიშნავს, რომ სიტყვა „ვეფხვი თავისთავად მხატვრული სახეა, რომელიც ლექსში მიუთითებს შეყვარებულ მთავარ წყვილზე“.

ამ ეპიზოდის კონტექსტი არსებითად მთლიანად გამორიცხავს სპარსულიდან თარგმნის ჰიპოთეტურ ვარაუდსაც კი. პოემა ქრისტიანული მსოფლმხედველობის ქართული ნაწარმოებია, ვინაიდან „ვეფხვის“ მხატვრული სახე მეტაფორულად პირდაპირ კავშირშია ბიბლიური ედემის სიმბოლიკასთან („ჰგვანდა... ხე ალვა, ედემს ხებული“). დრამატული და შთამბეჭდავი სასიყვარულო შეხვედრის შემდეგ, ტარიელს ვეფხვი მას ახსენებს.

მაკა ელბაქიძე მიუთითებს, რომ „როგორც „ვეფხისტყაოსნში“, ასევე ევროპული რაინდული რომანების ავტორთა შორის, ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე, სივრცით-დროებითი პარადიგმა მჭიდრო კავშირშია კონკრეტულ პერსონაჟთან და დამოკიდებულია მის ქცევასა და ხასიათზე“.

სიყვარულის გამო ტარიელი გახდება ვეფხვის ტყავის მატარებელი – ვეფხისტყაოსანი („რომე ვეფხი შვენიერი სახედ მისად დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“ – 657, 1-2). ისტორიული და ლიტერატურული მონაცემების თანახმად, თამარი ნესტანდარეჯანის პროტოტიპია და ეს ალეგორიული სახელი არაპირდაპირ მოიაზრებს საქართველოს მეფეს.

აქედან გამომდინარე, ტერმინის „მანის ფერობისათჳს“ მოცემულ პარალელებთან შედარება აჩვენებს, რომ ეს ალეგორიული ფრაზა ეხება რუსთაველს, როგორც პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს.

ალეგორიულ მნიშვნელობას ასევე იძენს შემდეგი ფრაზა – „კუპრობით უჴმობდეს“. ალექსანდრე ელერდაშვილი მიიჩნევს, რომ სიტყვა „კუპარი“ არის ქართული ვარიანტი არაბული სიტყვისა „ქოფერ“ – ურჯულო, ურწმუნო (Kofr [كفر] – ურწმუნოება, Kafer [كافر] – ურჯულო, ურწმუნო) ან „თავისუფლად მოაზროვნე“. შალვა წიწუაშვილი აღნიშნავს, რომ ებრაულად სიტყვა „ქუფერ“ [כופר] ასევე ნიშნავს ურწმუნოს ან თავისუფლად მოაზროვნეს. ამდენად, სრულიად მიუღებელია ასეთი თარგმანი – «коего из-за смуглости именовали Купари».

ამგვარი მიზანმიმართული და შეგნებულად სუბიექტური აღწერილობა სახელმწიფო მოღვაწისა (ჰერეთის ერისთავისა) განპირობებულია ასწლოვანი მატიანის ავტორის, როგორც სასულიერო პირის, რელიგიურ-იდეოლოგიური და მსოფლმხედველობრივი მოსაზრებებით.

აღნიშნული ტენდენციის გაგრძელებაა ანტონ კათოლიკოსის პოეტური გამონათქვამი რუსთაველის შესახებ, რომელიც უაღრესად მაღალ შეფასებს აკუთვნებს მას, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს

(„შოთა ბრძენ იყო, სიბრძნისმოყვარე ფრიად, ფილოსოფოსი, მეტყველი სპარსთა ენის, თუ სამ სწადოდა, ღმრთისმეტყველიცა მაღალ, უცხო, საკვირველ პიიტიკოს-მესტიხე“), მაგრამ, მიუხედავად ამისა, მეთოთხმეტე საუკუნის უცნობი ქართველი მემატიანის მსგავსად, კატეგორიული პოზიცია უკავია და მკვეთრად აკრიტიკებს რუსთაველს („მაგრა ამაოდ დაჰშვრა, საწუხარ არს ესე“).

პოემის პროლოგში გადმოცემული პოეტის მხატვრული და შემოქმედებითი ტენდენციები („შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“ – 12, 1; „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“ – 21, 3) განსხვავდება მათი პოზიციებისგან.

ნესტან სულავა მართებულად მიუთითებს, რომ „პოემაში გადმოცემულია მოძღვრება მიჯნურობის შესახებ. სიყვარულის მრავალგვარ სახეობათა შორის უმაღლესია საღმრთო სიყვარული, საზეო მიჯნურობა. „ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“... ეს არის სიყვარული ღვთისადმი, ტრფობა უხილავისადმი. იგი აღზევებულია ხორციელ გრძნობებზე. საღვთო მიჯნურობა ენით გამოუთქმელია. იგი სიტყვით ვერ გამოიხატება, ცნებებში ვერ თავსდება. ვინც ეცდება, ამგვარი სიყვარულით უყვარდეს, მან უნდა დათმოს ყველა მიწიერი კმაყოფილება, რაც ტკივილის მომტანია – „ვინცა ეცდების, თმობამცა ჰქონდა მრავალთა წყენათა“.

„ვეფხისტყაოსანში“ აღწერილია აგრეთვე ამქვეყნიური, ადამიანური სიყვარული, რომელშიც ხორციელი ლტოლვაც მონაწილეობს: „ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან“. ასეთი სიყვარული ღვთაებრივ მიჯნურობას ბაძავს. „ძართლ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“. ასეთ გრძნობაში ორი ურთიერთდაპირისპირებული საწყისი (ხორციელი და სულიერი) რიგდება, ერთდება. ეს გრძნობა ღვთაებრივთან წილნაყარია“.

ლია კარიჭაშვილიც ასევე მიანიშნებს, რომ „ადამიანური სიყვარულის გადმოცემა („ვთქვნე ხელობანი ქვენანი“) პოეტს სჭირდება იმდენად, რამდენადაც ის ბაძავს და განასახოვნებს ღვთიურს, ეს ყოველივე ქრისტიანული თეოლოგიის სიღრმიდან არის ამოზრდილი და ალეგორიული ფორმით გადმოცემული. ამგვარი ალეგორიზმის პირველ ნიმუშს თვით ბიბლიური წიგნი „ქებათა ქება“ წარმოადგენს. ....ეს საკმაოდ კარგად არის დასაბუთებული“ რუსთველოლოგიაში.

ზოგადად, აღორძინების ეპოქის შემოქმედების ესთეტიკას ახასიათებს სრულიად ახალი და ორიგინალური თავისუფალი აზროვნება. მატიანის ავტორმა და ანტონ კათოლიკოსმა ვერ მოახერხეს ამ დიდი ეპოქის გენიალური შემოქმედის ალეგორიული პოეტური წარმოსახვისა და შინაგანი მხატვრული აზროვნების კონტექსტების ამოცნობა.

შესაბამისად, ისტორიული გადმოცემისა და პოეტური ტექსტის წარმოდგენილი პარალელები დამატებით საფუძველს ქმნის ჰერეთის ერისთავის შოთასა და შოთა რუსთაველის მსგავსების შესახებ.

რაც შეეხება კორნელი კეკელიძის მოსაზრების სისწორეს, რომლითაც განსაზღვრულია ამ პოემის შექმნის ეპოქა, ამას ადასტურებს ახალი მონაცემებიც. კერძოდ, 2020 წლის ზამთრის მზებუდობა დაემთხვა განსაკუთრებულ ასტრონომიულ მოვლენას, როდესაც მზის სისტემის ორი დიდი პლანეტა, სატურნი და იუპიტერი, ძალიან დაუახლოვდნენ ერთმანეთს და იშვიათი პლანეტარული პოზიცია დაიკავეს.

ალექსანდრე ელერდაშვილმა აღნიშნა, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ავტორი მეტაფორულად ადარებს სატურნისა და იუპიტერის ანალოგიურ პოზიციასთან პოემის შეყვარებული მთავარი გმირების შეხვედრას („ეხვეოდეს ერთმანერთსა, აკოცეს და ცრემლნი ღვარნეს; ამას ჰგვანდეს, ოდეს ერთგან მუშთარ, ზუალ შეიყარნეს“).

მუშთარი და ზუალი ძველ ქართულში არის იუპიტერი და სატურნი. მეცამეტე საუკუნეში, 1226 წლის 4 მარტს, იუპიტერი და სატურნი მართლაც გაერთიანდნენ. როგორც ჩანს, ლექსის ავტორისთვის 1226 წლის ორი პლანეტის ეს იშვიათი პლანეტარული პოზიცია კარგად არის ცნობილი. აქედან გამომდინარე, პოეტური ნაწარმოები უნდა შექმნილიყო 1226 წლის ასტრონომიული მოვლენის შემდეგ, რაც მასში ალეგორიულად აისახა. კერძოდ, მუშტარი (იუპიტერი) მეტაფორულად გულისხმობს ტარიელს, ხოლო ზუალი (სატურნი) – ნესტანდარეჯანს, როდესაც ის გაათავისუფლეს ქაჯებისგან. ზოია ჯინჯიხაშვილი პოემის ამ ეპიზოდში სიმბოლურად ხედავს იერუსალიმის განთავისუფლების წმინდა იდეის ალეგორიულ წარმოჩენას.

გარდა ამისა, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამი გმირის საბრძოლო პერიპეტიების საოცარი მსგავსება, რომლებმაც სამი მხრიდან აიღეს ქაჯეთის ციხე, 1258 წელს ბაღდადის დაპყრობის საბრძოლო ეპიზოდებთან (120-ათასიანი მონღოლურ-ქართულ გაერთიანებულ ჯარში ნახევარი მათგანი – 60 ათასი ქართველი იყო), რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა დავით ულუ. მხოლოდ მან მოახერხა ბაღდადის ამ ციხე-ქალაქის ხელში ჩაგდება, რომელსაც ასევე სამი მხრიდან შეუტიეს („ხოლო ვითარ მოიწყო მეფემან სამეფო, წარვიდა ყაენს ულოს წინაშე ნიჭითა დიდითა. ...ინება ულო ყაენმან აღმჭედრება ბაბილოვანს ზედა, რომელ არს ბაღდადი, და ჴელმწიფესა ბაბილოვნელთასა ხალიფას ზედა, და მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა, და წარემართა ბაღდადს, ბრძოლის ყოფად ხალიფასა. მივიდა ქუეყანასა ბაბილოვნისასა, და ვერ წინააღუდგა ხალიფა, არამედ შეივლტოდა ბაღდადს, ხოლო ყაენი გარე მოადგა, და მოიცვა იგი ერთ-კერძო თჳთ ყაენი მოადგა წყალს აქეთ, და წყალს იქით ელგონ ნოინი, და ერთ-კერძო დავით მეფე, რამეთუ მის წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. და ბრძოდეს ძლიერად, არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიღეს ბაღდადი. მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე. და შეთხარეს

ზღუდესა შიგან, შევიდეს ქართველნი, და იქმნა ძლიერი ბრძოლა,და მოსრვიდეს სპათა ბაღდადელთა და შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთა და ესრეთ განახუნეს კარნი ქალაქისანი ქართველთა და თათართა და შევიდეს. ...ესრეთ ადვილად რა ჴელთ იგდეს სახელგანთქმული იგი ქალაქი ბაბილოვანი, ვინ-მე მიუთხრნეს განსაცდელნი და ჭირნი, რომელ მოიწივნეს ბაღდადს ზედა მოსრნეს. მახჴჳლითა ესოდენი სიმრავლე, რომელ არა იყო რიცხვი, და სავსე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი და სახლნი მკუდართა მიერ, ხოლო სიმდიდრისა და ალაფისა მაშინ პოვნილთა ვინ-მე მიუთხრნეს? რამე, აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვეცხლითა, თუალითა,მარგალიტითა,პატიოსნითა ლარითა და შესამოსლითა, სამსახურებელითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვეცხლისათა, რომელ არავინ აიღებდა, თვინიერ ოქროსა და ვეცხლისა, თუალსა და მარგალიტსა, და შეამოსელთაგან კიდე“).

გრიგორ ბარ გებრაუსის „სირიულ ქრონიკაში“ ვრცლად არის აღწერილი ეპიზოდი მონღოლთა მიერ ბაღდადის დაპყრობის შესახებ. ბარ-ჰებრაუსმა ქართველები (იბერიელები) მხოლოდ ერთხელ მოიხსენია, მაგრამ ის განსაკუთრებით მიუთითებს მათ საბრძოლო მოქმედებებზე («The IBERIANS especially effected a great slaughter. And the Catholicus collected all the Christians into the church of the Third Bazar, and there he protected them, and none of the Christians was injured»; იბერიელებმა განსაკუთრებით დიდი ხოცვა მოაწყვეს. კათოლიკოსმა შეაგროვა ყველა ქრისტიანი მესამე ბაზრის ეკლესიაში და იქ დაიცვა ისინი და მათგან არავინ დაშავებულა“).

ასეთ დრამატული კონტექსტი კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველი მემატიანის გადმოცემის სანდოობას. იბერიელთა (ქართველთა) შეუპოვრობა ბაღდადელების მიმართ, თავის მხრივ, როგორც ჩანს, უკავშირდებოდა არაბების შემოსევებს საქართველოში VII-XI საუკუნეებში (კერძოდ, თბილისის, როგორც არაბთა საამიროს ოთხსაუკუნოვან მმართველობას) და მათ მიმართ სამაგიეროს გადახდას ისახავდა მიზნად.

ქაჯეთის დიდი ციხესიმაგრის ალყისთვის ამგვარივე ბრძოლის მთელი მიმდინარეობა მხატვრულად აისახა რუსთაველის პოეტურ შემოქმედებაში (სტროფები – 1412-1426).

პოემის ეპილოგში, სავარაუდოდ, მოხსენიებულია დავით ულუ, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბაღდადის აღების ბრძოლაში („ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად, ესე ამბავი გავლექსე მე მათად მოსახმარებლად, ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს შუქთა მარებლად, ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად“ – 1659; „დავითის ქმნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი“ – 1667,1). თავისი საგმირო ღვაწლით დავით ულუ (პაპისა და მამის – დავით სოსლანისა და ლაშა-გიორგის მსგავსად) შესადარებულია პოემის მთავარი პერსონაჟის, ტარიელის მხატვრულ სახესთან.

დავით ულუს შესახებ ეპიზოდში მემატიანე მიუთითებს ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე, რომ ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების დროს „მის წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი“. წარჩინებულნი ამ შემთხვევაში ჩამოთვლილნი არ არიან, მაგრამ მემატიანე მათ სრულად ასახელებს დავით მეფის საქართველოში დაბრუნების ეპიზოდში, რომელთა შორისაც იყო შოთა კუპარი. როგორც ჩანს, XIII საუკუნის შუა პერიოდის რეალობის გათვალისწინებით, შოთა ასევე არის საქართველოს მაღალი რანგის სამხედრო მეთაურთა შორის.

ბაღდადის აღებიდან ორი წლის შემდეგ, კერძოდ, 1260 წლის დასაწყისში, მონღოლები, ასევე ქართული ჯარის მონაწილეობით, შევიდნენ ერეც ისრაელში და მამლუქებისაგან იმავე წლის 3 სექტემბრამდე გაათავისუფლეს წმინდა ქალაქი იერუსალიმი.

კონსტანტინე ლერნერმა სწორედ 1260 წლით დაათარიღა ჯვრის მონასტრის ბასილი ღვთისმეტყველის ქართული ხელნაწერის მინაწერში დაცული იშვიათი ისტორიული მონაცემი, რომელიც ეკუთვნის ამ მონასტრის წიგნის შემკაზმელს („ესე დიდი ბასილი მე გერმანემან მონაზონმან ეზდაველიძემ შევკაზმე... ოდეს მოწყალებისა კარი ჩამოაჴსნეს თათართა და ზღუდე გაათავეს“).

როგორც აშკარად ჩანს, მონღოლთა მხარდაჭერა ქრისტიანებისთვის ბარ-ჰებრაუსის „სირიულ ქრონიკასთან“ ერთად („არც ერთი ქრისტიანი... არ დაზარალებულა“) დასტურდება ქართულ წერილობით წყაროშიც („ოდეს მოწყალებისა კარი ჩამოაჴსნეს თათართა და ზღუდე გაათავეს“). ამ ჩანაწერში იგულისხმება ოქროს კარიბჭე, ტაძრის მთის ერთადერთი აღმოსავლეთი კარიბჭე და მხოლოდ ორიდან ერთი, რომელიც ისტორიულად უზრუნველყოფდა ამ მიმართულებით წმინდა ქალაქში შესვლას, ანუ შაარ ჰა-რახამიმ (ებრაული שער הרחמים) – მოწყალების კარი.

ასეთ უნიკალურ ქართულ წერილობით წყაროზე დაყრდნობით, შოთა რუსთაველის ცნობილი ფრესკა და მისი წარწერა, რომელიც გამოსახულია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში პირველ სვეტზე, მარჯვნივ, მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის გამოსახულებებს შორის, ასევე 1260 წლით უნდა დათარიღდეს („ამის დამხატავსა შოთა(ს) შეუნდოს ღმერთმან, ამინ, რუსთველი“).

XIII საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ახლო აღმოსავლეთის ზემოხსენებული რეალობის გათვალისწინებით, დროის სხვა მონაკვეთში რუსთაველი ვერ მოახერხებდა სააღმშენებლო-სარესტავრაციო საქმიანობას ამ მონასტერში. შესაბამისად, ამ წარწერის თანახმად, შოთა რუსთაველი მონღოლების სამხედრო ალიანსში მყოფი ქართველი წარჩინებულების ერთ-ერთი წარმომადგენელია.

XIII საუკუნის შუა პერიოდიდან მონღოლებმა საქართველო დაყვეს დუმანებად (თურქულ-მონღოლური ტიუმენი – ათი ათასი, სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული მონღოლეთში და მათ

დაპყრობილ ქვეყნებში, აგრეთვე აღნიშნავს 10 000 ჯარისკაციან ტერიტორიას), რომლის სათავეებში დააყენეს ქართული ერისთავები, კერძოდ, ეგარსლან ბაკურციხელი (კახეთ-ჰერეთი და კუხეთი), ვარამ გაგელი (ქვემო ქართლი), შანშე მხარგრძელი (სამხრეთ თემები), გრიგოლ სურამელი (შიდა ქართლი), გამრეკელ-თორელი (ჯავახეთი), ყვარყვარე ჯაყელი (მესხეთი) და ცოტნე დადიანი (დასავლეთ საქართველო). ეგარსლან ბაკურციხელის შემდეგ, რომელიც საჯაროდ დასაჯა და დაამცირა ავაგ ამირსპასალარმა (მეტრეველი 2008, 360), დუმნისთავი კახეთ-ჰერეთისა და კუხეთის, შოთა კუპარი უნდა გამხდარიყო, როგორც ერისთავი ჰერეთისა (აბულაძე 2017, 184-185),

სწორედ ამას მიანიშნებს მისი ზედწოდება – რ უ ს თ ვ ე ლ ი (კუხეთისა და, შესაბამისად, მთელი ამ დუმანის ადმინისტრაციული ცენტრის – რუსთავის სახელწოდებიდან გამომდინარე).

იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპთა წიგნის ჩანაწერები „შოთაჲსა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ“-ს შესახებ ადასტურებს, რომ, როგორც საქართველოს უმაღლესი ხაზინადარი (თანამედროვე ტერმინოლოგიით – „ფინანსთა მინისტრი“), ის სარესტავრაციო სამუშაოებს თაოსნობს 1260 წელს, რაზედაც პირდაპირ მიუთითებს ბერი გერმანე ეზდაველიძის მწიგნობრული მოღვაწეობის კონკრეტული ფაქტი, კერძოდ, ხელნაწერი წიგნის ქსოვის დასრულების პროცესი,

წარმოდგენილი ისტორიულ-ლიტერატურული პარალელებისა და წერილობითი წყაროების კონტექსტების თანახმად, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა შექმნილიყო ბაღდადის აღებისა და წმინდა ქალაქის განთავისუფლების შემდეგ (კერძოდ, 3 სექტემბრამდე, როდესაც მამლუქები იერუსალიმში დაბრუნდებიან და შემდგომი მოვლენები რადიკალურად შეცვლის სიტუაციას).

პოეტური შემოქმედებითი პროცესი, სავარაუდოდ, გძელდებოდა 1258 წლიდან 1260 წლის პირველ ნახევრის პერიოდში ქართველ წარჩინებულთა სამხედრო-სამეფო რეზიდენციაში. შოთა რუსთაველის ეპიკური პოემა 1260 წელს ზაფხულში დასრულდა. ეს, როგორც ჩანს, ირიბად (ანუ მხატვრულად-ალეგორიულად და ფიგურალურ-მეტაფორულად) ასახულია პოემაში („მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსლვა მწვანისა, ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა, ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა. სულთქვნა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა“ – 1337).

ამრიგად, შოთა რუსთაველის გენიალური პოემის „ვეფხისტყაოსნის“ შექმნისა და ქართულ-ევროპული რენესანსის დიდი ეპოქის დასაწყისიდან სულ ახლახან 760 წელი შესრულდა.

ლადო ჯელიძე,
ქართული ხელოვნების ცენტრი ისრაელში –
სამეცნიერო მიმართულების
ხელმძღვანელი

ერთი ლექსი

თამაზ ბაბიოშვილი

გიყვარდეთ ერთმანეთი!

სიო – ნიავად,
ნიავი – ქარად
გადაიქცევა ჟამის ცარგვალზე;
დაიფანტება ოქრო და ვერცხლი,
ფოთოლ-ყვავილი გზა-ჯვარედინზე...
...სანამ, კარგებო,
მოგწევიათ ასეთი წამი,
დაუტაცნიხართ სანამ ნიავქარს –
ქარაშოტს ბედის,
მიესათუთეთ,
მიეფერეთ თქვენ გვერდით მყოფებს –
მათი თვალების მზისფერ წიაღში
თესეთ და იმკეთ სიყვარულის
სათნოებანი...
მუდამ გახსოვდეთ,
რომ ცვალებადობს ირგვლივ ყოველი
და წლების მერე
სინანულად ნუ დაიღვრებით:
– რა დრო დავკარგეთ,
რა სიყვარული –
ცოცხალ-ცახცახა... –
ჩაჰკიდეთ ხელი,
ვინც კი გვერდით გყავთ,
სანამ ერთ ჭერქვეშ
ნახულობთ სიზმარს,
სიზმარს, რომელსაც
ს ი ც ო ც ხ ლ ე ჰქვია!



ბიოჩბი ლალიაშვილი



„მცდომი ქვეყნის“ პირუთვნელი მძრახველი

შარშან, 28 ნოემბერს, 100 წელი შესრულდა დიდი ქართველი მწერლის ოთარ ჩხეიძის დაბადებიდან. რამდენი ხანია, მინდა ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო მის მიმართ და აქამდე ვერ მოვუყარე სათქმელს თავი. მასზე წერა, მასთან მიახლოება ჩემთვის ძალიან მღელვარეა, ემოციებს ვერ ვერევი, ვერ ვპოულობ ზუსტ სიტყვებს მისი მწერლური და მორალური გმირობის გადმოსაცემად.

იგი, მიხეილ ჯავახიშვილის ან სანდრო ახმეტელის მსგავსად, არ დაუხვრეტიათ კომუნისტებს, ლევან გოთუას ან თამარ წულუკიძის მსგავსად არ გაუციმბირებიათ, მაგრამ ისეთ მარწუხებში მოაქციეს, ისე ტანჯეს და თეთქვეს მისი მოუდრეკელი სული, ან კი როგორ არ გაუსკდა გული?! ძნელად თუ იპოვით ქართული მწერლობის ისტორიაში ასერიგად ნაწამებ კაცს, ვისაც ჯალათმა კრიტიკოსებმა სიცოცხლე გაუთავებელ ვაებად გადაუქციეს. ეს უნიჭიერესი ქართველი დედაქალაქსაც არ გააკარეს, პროვინციულ ქალაქში გამოკეტეს. ეგონათ, ამით დაადუმებდნენ. ის კი არასოდეს დამცხრალა და სიმართლის ხმას ერთგულებდა ყველაზე უნდობარ და უზნეო დროში.

თქვენ წარმოიდგინეთ, კომუნისტების ეპოქის ხსოვნა მარტო „ვაზის ყვავილობით“, „გვადი ბიგვათი“ ან „კოლხეთის ცისკრით“ რომ შემონახულიყო, სიყალბის როგორ ფეიერვერკში დავრჩებოდით? ამავე ეპოქაში იქმნება ოთარ ჩხეიძის „ტინის ხიდი“, „ბორიაყი“, „ცხრაწყარო“, „ჯებირი“, „ბურუსი“, „ცთომილნი“, „მეჩეჩი“, „გამოცხადებაი“, „ამაღლება“ და ათობით სხვა რომანი, რომლებიც ღაღადებდნენ საბჭოეთის ულმობელ და დამაქცევარ ბუნებას.

ოთარ ჩხეიძეს გულს უფატრავდნენ იმითაც, რომ რომანების ბეჭდვას წლობით უყოვნებდნენ. მთავლიტი ფხიზელ მოთვალთვალედ იდგა და მუდამ ეტოქებოდა მწერალს. ოთარ ჩხეიძეს არასოდეს შეუსმენია მათი რეკომენდაციები და ერჩია წლობით არ ეხილა მის რომანებს დღის სინათლე, თუკი, ისინი პირვანდელი სახით არ მიაღწევდა მკითხველამდე. მხოლოდ „არტისტული გადატრიალება“ და მის შემდგომ დაწერილი რომანები გამოსცა მწერალმა მათი დასრულების უმალ.

ქართულ კინოში განსაკუთრებით ვაფასებ ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვეს“, მე ამ ფილმს ეროვნული კინოს სინდისად მივიჩნევ, რომელმაც მთელი სიმძაფრით გააშიშვლა საბჭოური მიღწევების ანატომია.

ოთარ იოსელიანმა ბრეჟნევის ეპოქის ერთი კონკრეტული მანკიერება ასახა და ამით იქცა იგი ყველაზე სკანდალურ და მოურჯულებელ საბჭოთა რეჟისორად. ოთარ ჩხეიძემ კი ოცი რომანი დაწერა კომუნისტური მძვინვარების ჟამს და ყველა ის მიუტევებელი ხინჯი ასახა, რაც საბჭოთა იმპერიას ახასიათებდა მთელი 70 წლის განმავლობაში. ამიტომ არის ოთარ ჩხეიძე ერთ-ერთი ყველაზე პირუთვნელი მესიტყვე ჩვენს თექვსმეტსაუკუნოვან მწერლობაში. ის არის ყველაზე ნაყოფიერი ქართველი მწერალი, რომელმაც თავის სიცოცხლეში 24 რომანის, 14 პიესის, ასეულობით ესესა და მოთხრობის შექმნა მოასწრო. მის კალამს ორმოცამდე სიუჟეტი ეკუთვნის და განა ბევრს დაასახელებთ თუნდაც მსოფლიოში მწერალს, ვისაც ამდენი სიუჟეტი შეუთხზავს?! მისი ნაწერების საერთო რაოდენობა 10 000 გვერდს აჭარბებს და იგი ამითაც ტრიუმფატორია ქართულ მწერლობაში. აღარაფერს ვიტყვი, იმ ენობრივ ნოვაციებზე, რაც ოთარ ჩხეიძის ნებისმიერ ტექსტს ახასიათებს, როგორ ზრდის და აფართოებს იგი ქართული ენის სამანებს.

ოთარ ჩხეიძემ დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის სულისკვეთება: „ავს თუ ავი არ ვუწოდო, კარგს სახელად რა დავარქო?“

და: „ვაჟკაც იგია, ვინც მართალს ეტყვის ქვეყანას მცდომსაო“... – იმთავითვე ამოიჭრა გულის ფიცარზე და იქცა საქართველოს პირუთვნელ და მოუსყიდავ მოამბედ, ჩვენი დროის უებრო ჟამთა აღმწერლად.

ქართულ მწერლობაში თუ ვინმეზე შეიძლება ითქვას: „უშიში, ვითარცა უხორცოო“, – ეს იყო ოთარ ჩხეიძე. მან თბილისის ომის წლისთავზე დაწერა და 1994 წელს გამოაქვეყნა რომანი „არ-

ტისტული გადატრიალება“, როცა რუსთაველის გამზირს ჯერ კიდევ ემჩნეოდა ომის ნამუსრევი და ნატყვიარი. ეს არის ქართული ხასიათის, მისი გენეზისის მხატვრული გამოსახვის სწორუპოვარი ნიმუში. ავტორმა თავი გადადო იმ ფათერაკიან ჟამს და სამოქალაქო ომის შემოქმედნი, ასევე სხვა თავგამოდებული მაოხრებელნი საკუთარი ქვეყნისა პირდაპირ გვარ–სახელებით მოიხსენია და სამარადჟამო „ქართულ სირცხვილად“ შემოუნახა შთამომავლობას. ჩვენს ლიტერატურას არ ახსოვს ასეთი ბასრი და შემანჯღრეველი რომანი, რომელიც არის მეოცე საუკუნის გვირგვინი და მიხეილ ჯავახიშვილისა და ვასილ ბარნოვის საუკუნისწინანდელი შედევრების ბადალი.

მის ამქვეყნიურ ყოფნას, რომელიც 87 წელი გაგრძელდა, მე ვუწოდებდი საქართველოსთვის თავშეწირულისა და ტანჯულის ცხოვრებას. ქვასაც კი გასტეხდა ის ბრძოლა, რომელიც მას უხდებოდა თავისი მწერლული აზრისა და სიტყვის დასამკვიდრებლად.

როგორ არ ეცადნენ მის მოდრეკას და ლაგამის ამოდებას კომუნისტები, მწერლობის მოთვინიერებისა და წამების ეს ფილიგრანული ოსტატები, და მაინც ვერაფერს გახდნენ. საბოლოოდ სიტყვა დარჩა გამარჯვებული!

რაც უფრო ულმობლად კორტნიდნენ და მის გაჩუმებას ლამობდნენ, იგი ასმაგად ძლიერი გამოდიოდა ამ შეტევებიდან. ასე იქცა ოთარ ჩხეიძე ჩვენი ლიტერატურის ყველაზე ხელხვავრიელ მწერლად. სიუხვეც დიდად ანგარიშგასაწევი მოვლენაა, მაგრამ უფრო საგულისხმო მათი მხატვრული მხარეა. იგი ჭეშმარიტად ეპოქალური მწერალია, მართალი დროისა და შთამომავლობის წინაშე.

ასი წლის თარიღი შესანიშნავი დროა მწერლის შესაფასებლად, იმის სათქმელად, თუ რით არის ოთარ ჩხეიძე მართლაც განსაკუთრებული და გამორჩეული მესიტყვე? რაც კი მეოცე საუკუნეში კომუნისტების ზეობის ჟამს შექმნილა ქართულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ის ნაწილი, რაც თანამედროვე ყოფას ასახავდა, უმთავრესად არის მრუდე სარკეებით ასახული და დიდი ტყუილის მხატვრულად გაფორმება. ძალიან ბევრი მწერალი წავიდა კომპრომისზე, საკუთარი ტყავისა და კომფორტის გადასარჩენად.

ოთარ ჩხეიძე კი იდგა ნირშეუცვლელად, რამდენ დამცირებას, ცინიზმს, უარყოფას გაუძლო და მაინც არ მოიდრიკა. საბჭოთა წყობილების დროს მას არცერთი რომანი დამთავრებისთანავე არ გამოუქვეყნებია. მთავლიტის და ცერბერი კრიტიკოსების გამოისობით, მას წლობით უწევდა ლოდინი, რათა თავისი ნაამაგარი წიგნებად ეხილა. ის 17 წელი ელოდა „ბორიაყის“ დაბეჭდვას(?!).

თუ რას გაუძლო მწერალმა, საერთოდ რას წარმოადგენდა მაშინდელი ცენზურის საზარელი ინსტიტუტი, ამოიკითხავთ მის წერილში „ამ წიგნისათვისა“, რომელიც 2006 წელს გამოცემულ „ბორიაყს“ ბოლოში ერთვის.

ეს არის საოცარი ტექსტი, ადამიანის გაბიაბრუების, დამცირების, არარაობად ქცევის უფრო დახვეწილი მეთოდები, როგორიც კომუნისტებს ჰქონდათ დანარგილი, ბუნებაში არ არსებულა. და, აი, ამ ყოველივემ მწერლის გულზე ფეხით გადაიარა... საბჭოთა დროების აბსურდი არცერთ ხელოვანს უკეთ არ გადმოუცია, ვიდრე ეს ოთარ ჩხეიძემ შეძლო.

ყველა მისი რომანი ქართულ სატკივარს უტრიალებს, მას გულს უხეთქავს გაჩანაგებული, დამცრობილი, გადაგვარებული ქვეყანა. ეს არის მისი მთავრი თემა, ყველგან ღაღადია, რომ ადამიანებმა დაიცვან და გადაარჩინონ იგი. ერის და სახელმწიფოს განცდა თუ დაიკარგა, მერე ამაო გახდება ვალალი...

ასი წლის ოთარ ჩხეიძე განსაკუთრებით საჭირო და გასათვალისწინებელი მწერალია სწორედ დღეს, როცა სისასტიკე და სიავე ასე გლეჯს და არყევს საქართველოს. დათმენა, მიტევება, სიძულვილის დაძლევა უნდა იყოს ის, რამაც უნდა გააერთიანოს და წელში გამართული ამყოფოს ქვეყანა.

ოთარ ჩხეიძემ პირადად სძლია მძულვარებას და მიუტევა იმ ადამიანებს, ვინ სიცოცხლე გაუწამა: „ათ წელიწადზე მეტია ხმა არ გაგვიცია ერთმანეთისათვისა, მე გამიჭირდა ამდენიხანი ადამიანის სიძულვილი, ძნელი ყოფილა, ძალიან გამიჭირდა“...

ჰუმანიზმის მსგავს მაგალითს მე ვერ ვიხსენებ უახლოესი საქართველოს ისტორიაში, მსგავსი რამ არც სხვა მწერალთან ამომიკითხავს. სწორედ ამიტომ არის ოთარ ჩხეიძე განსაკუთრებულად ყურმისაპყრობი მწერალი, რომელიც მარადიულ მწედ და ზნეობის ნიშანსვეტად დაურჩება საქართველოს.

ოთარ ჩხეიძის ნაწერების ოკეანე არის ნამდვილი საუნჯე ეროვნული სულიერებისა. ის იყო ხმალდაუდებელი მეომარი ქართული სულის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად.

თუკი მეოცე საუკუნის პოლიტიკაში ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა იყვნენ ეროვნული იდეის უპირველესი მეციხოვნეები, მათი დროის ქართველ მწერალთაგან ოთარ ჩხეიძე იყო ყველაზე დიდი გვემული სწორედ ამ იდეის ერთგულებისა და სიტყვით განვრცობის გამო.

სამართლიანია, რომ მერაბისა და ზვიადის გარემოცვაში გვეგულება ანა კალანდაძისა და მუხრან მაჭავარიანის უკანასკნელი განსასვენებელი, მაგრამ იმ შემოქმედებითი და მორალური გმირობისთვის, რითაც ოთარ ჩხეიძემ დაამახსოვრა თავი ქართველ საზოგადოებრიობას, იგი ჭეშმარიტად იმსახურებს მთაწმინდაზე ამაღლებას. დასანანია, მის საუკუნოვან იუბილეზე ქვეყანამ ამისთვის ვერ მოიცალა, მაგრამ მყარად მწამს, რომ ეს აუცილებლად მოხდება!

დრო დაწმენდს ბევრ სიყალბეს, რომლითაც სავსეა ჩვენი კულტურული მეხსიერება, მომავალი უკეთ განსჯის, თუ ვინ იყო ოთარ ჩხეიძე საქართველოსთვის!



პორტრეტი დიდი მწერლისა და მამულიშვილისა...



რეცენზია თამარ შაიშმელაშვილის წიგნზე: „მზე... ამოსევდილი – ლევან გოთუა“

პოეტ თამარ შაიშმელაშვილის რიგით მეექვსე წიგნი „მზე... ამოსევდილი – ლევან გოთუა“ დიდი ქართველი მწერლის,პუბლიცისტისა და მთამსვლელის ლევან გოთუას ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება (გამომცემლობა „საარი“, 2021წ.)

წიგნს საფუძვლად დაედო თამარ შაიშმელაშვილის სადისერტაციო ნაშრომი „ლევან გოთუას პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობა“. ეს ნაშრომი მან დაიცვა საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახლობის ქართული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოზე ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

მე მქონდა საშუალება,დავსწრებოდი ამ დაცვას და უშუალოდ დავრწმუნებულიყავი, რომ ქალბატონი თამარის სახით კათედრაზე იდგა სერიოზული მეცნიერი, რომელიც გამოირჩეოდა საკვლევი მასალის ღრმა ცოდნით, არგუმენტირებული მსჯელობით, ლოგიკური აზროვნებით,სწორი შეფასებებითა და დასკვნებით.

რაკი სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა გამოჩენილი მწერლის შემოქმედებაზე,ავტორი შეეცადა მის მიერ გამოცემული წიგნისათვის შეენარჩუნებინა, ერთი მხრივ, სამეცნიერო სიზუსტე და ობიექტურობა, ხოლო,მეორე მხრივ,გაემდიდრებინა იგი მხატვრული ნაწარმოებისათვის საჭირო მხატვრულობითა და პოეტურობით (მხატვრული სახეებით)... ასე მივიღეთ წიგნი,მეცნიერულობისა და მხატვრულობის იშვიათი სინთეზით, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს ავტორის მრავალმხრივ ნიჭიერებასა და მაღალმხატვრულ ოსტატობას!

წიგნი იწყება იმ ლიტერატურის მოკლე მიმოხილვით,რაც კი დღემდე შექმნილა ლევან გოთუასა და მის შემოქმედებაზე. ამ, ასე ვთქვათ, „ბიბლიოგრაფიული შესავლის“ შემდეგ თამარ შაიშმელაშვილი დეტალურად (ქრონოლოგიური თანამიმდევრობით) განიხილავს ლევან გოთუას პუბლიცისტურ და ეპისტოლარულ წერილებს.

ის, რაც თამარის წიგნს წითელ ხაზივით გასდევს, არის ბატონი ლევან გოთუას,როგორც პიროვნების, არაჩვეულებრივი სიყვარული. სიყვარული იმ ტანჯვის გამო,რაც მას გადაუტანია,უწვალია და მაინც ერთი დღე არ უცხოვრია უსაქართველოდ, მის მწარე ბედზე თუ ხვედრზე ფიქრის გარეშე. საქართველოს ისტორიაში იშვიათია ადამიანი,რომელსაც ფიზიკურად იმდენი ეტანჯოს თავისი ქვეყნისათვის, რამდენიც ლევან გოთუამ იტანჯა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის 22-წლიანი პატიმრობა,ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში ჯდომა (თანაც აუტანელ კლიმატურ პირობებში), წლების გატარება ქურდებთან, ბანდიტებთან, რეციდივისტებთან, კაცის მკვლელებთან. ყოველდღიურად თვალებში სიკვდილის ცქერა და ამ აუტანელ სიტუაციაში განუწყვეტელი წერა. უამრავი ნარკვევის,სტატიის, კორესპონდენციის დაწერა, „გმირთა ვარამის“ ოთხი ტომის შექმნა მაშინ, როცა ერთგვერდიანი წერილის დაწერის უფლებასაც არავინ იძლეოდა... ოთხი სქელტანიანი წიგნის დაწერა იმ დროს,როცა არც იმის იმედი გაქვს,რომ ეს წიგნები საკონცენტრაციო ბანაკიდან გააღწევენ და მითუმეტეს,არც იმისა,რომ ისინი წიგნებად დაიბეჭდებიან. ცხადია,სულაც არ იყო შემთხვევითი ამ უნიკალური,უშიშარი ადამიანის ფენომენით ცნობილი ქართველი ფსიქოლოგის, პროფესორ ვლადიმერ ნორაკიძის დაინტერესება.

ლევან გოთუა საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ხასიათის სიმტკიცის, უძლიერესი ნებისყოფის,მაღალი ზნეობის,შრომისმოყვარეობის,მამულის უკიდეგანო სიყვარულისა და გასაოცარი ოპტიმიზმისა.

ცამდე მართალია თამარ შაიშმელაშვილი,როცა ამბობს,რომ ლევან გოთუა უნდა ისწავლებოდეს ქართულ სკოლაში,თავისი ვრცელი ბიოგრაფიითა და პუბლიცისტური წერილებიდან ამონარიდი ადგილებით. იგი მოსწავლეებისათვის ქართული ეროვნული ცნობიერების ამაღლებისა და სამშობლოს სიყვარულის გაღვივების საუკეთესო მაგალითია.

ალბათ ღვთის ნება იყო, რომ სწორედ თამარ შაიშმელაშვილს მოუწია დაეწერა პირველი სადისერტაციო ნაშრომი ამ უნიკალურ ადამიანზე, როგორც პუბლიცისტსა და მოაზროვნეზე, საზოგადო მოღვაწეზე, თუნდაც იმიტომ, რომ ხასიათის სიმტკიცით, შრომისმოყვარეობით, ქვეყნის სიყვარულითა და ერთგულებით იგი (თამარ შაიშმელაშვილი) ძალიან ჰგავს თავისი წიგნის მთავარ პერსონაჟს. სხვანაირად ეს წიგნი არ გამოვიდოდა ასე თბილი, გულშიჩამწვდომი და საინტერესო.

როგორც უკვე ვთქვი, თუმცა წინამდებარე წიგნს საფუძვლად უდევს თამარ შაიშმელაშვილის სადოქტორო დისერტაცია, იგი მაინც დამოუკიდებელი ნაწარმოებია, სადაც საოცარი ოსტატობითაა შერწყმულ-შენივთებული მეცნიერული კვლევის შედეგები და მხატვრული ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მხატვრულობა და პოეტურობა.

წინამდებარე სარეცენზიო წიგნი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით განიხილავს ლევან გოთუას ცხოვრების არსებით და მნიშვნელოვან მომენტებს და ეს, ცხადია, ბავშვობის პერიოდიდან იწყება.

13 წლისა იყო ლევან გოთუა, როცა მისმა სათაყვანებელმა ქვეყანამ, რომელზე ზრუნვის გარეშე მას ერთი დღეც არ უცხოვრია, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. ეს იყო მისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი და ნათელი პერიოდი. შეიძლება ვინმემ თქვას, 13 წლის ბიჭმა როგორ უნდა შეიგრძნოს ასე მძაფრად ამ ფაქტის ღირსშესანიშნაობაო, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ბავშვი დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, პართენ გოთუას შვილია და მის ოჯახშია აღზრდილი.

სამწუხაროდ, ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით მინიჭებული ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. 3 წლის შემდეგ საქართველომ კვლავ დაკარგა დამოუკიდებლობა. ამ დროს 16 წლის ლევან გოთუა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი და მისი ახალგაზრდული ფრთის ლიდერია. ამიტომ იყო, რომ იგი, მამამისთან ერთად, 1924 წლის ავჯანყების აქტიური მონაწილე გახდა.

1924 წლის ავჯანყება დამარცხდა, „მამა-შვილი პართენ და ლევან გოთუები კი დააპატიმრეს და 7 თვე ციხეში ამყოფეს... თბილისისა და მოსკოვის ციხეების შემდეგ, 1925 წელს, 19 წლის ლევან გოთუა ხელმეორედ დააპატიმრეს და 3 წლით სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში გადაასახლეს“.

რაკი ლევან გოთუას კონტრრევოლუციურ მუშაობაში ედებოდა ბრალი, საშიშ პატიმრად მიიჩნევდნენ და განსაკუთრებული სისასტიკით ექცეოდნენ. აქ მას მშველელად საკუთარი მამა გამოუჩნდა, რომელმაც, საკავშირო ცენტრალური აღმასრულებული კომისიის მდივნის აბელ ენუქიძის დახმარებით, სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნა „თავისუფალი პატიმრობით“ შეუცვალა. ასე მოხვდა ლევანი ვლადიკავკაზში.

სწორედ ვლადიკავკაზში დაიწყო ლევან გოთუამ სერიოზული ლიტერატურული საქმიანობა. ამავე პერიოდში გადაიდგა მისი პირველი ნაბიჯები ალპინიზმში.

ჩავიდა თუ არა ვლადიკავკაზში, ლევან გოთუამ დაიწყო ზრუნვა აქ მცხოვრები ქართველების განათლებასა და ეროვნული ცნობიერების ამაღლებაზე. ამ მხრივ საინტერესოა გაზეთ „კომუნისტში“ 1927 წელს გამოქვეყნებული მისი პირველი პუბლიცისტური წერილი „ხმა კავკავიდან“, რომელიც თამარ შაიშმელაშვილს მიუგნია დისერტაციაზე მუშაობისას. ასევე საგულისხმოა მიმოწერა ქართველ მეცნიერთან, შემდგომში ქართული მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტთან სიმონ ჯანაშიასთან. 22 წლის ლევან გოთუა სთხოვს 27 წლის სიმონ ჯანაშიას, დაეხმაროს იმ ქართველი მასწავლებლების მოძიებაში, რომლებიც დათანხმდებოდნენ ვლადიკავკავში სამუშაოდ ჩასვლაზე და მასთან ერთად იზრუნებდნენ ქართველი მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების ამაღლებაზე. უნდა ითქვას, რომ სიმონ ჯანაშია დიდ ყურადღებას იჩენს ლევან გოთუას თხოვნისადმი, რაც მის მაღალ მოქალაქეობრივ გაბედულებაზე მიანიშნებს.

თამარ შაიშმელაშვილი დიდი მეცნიერული სიზუსტით აღწერს ლევან გოთუას საქმიანობას ვლადიკავკაზში. ბევრი მასალა ამ საქმიანობის შესახებ ცნობილი იყო. მაგრამ ბევრ მასალას იღებს საქართველოს ეროვნული არქივიდან, სადაც იგი თვეობით მუშაობს და თავს უყრის ქართველი მკითხველისათვის აქამდე უცნობ უნიკალურ მასალას.

როგორც თამარ შაიშმელაშვილი ამბობს, 1936 წელს, გადასახლების ვადის გასვლის შემდეგ, ლევან გოთუა ბიისკიდან სამშობლოში ბრუნდება და მწერლობასთან ერთად ალპინიზმსაც უბრუნდება. იმავე, 1936 წელს, დაარსდა საქართველოს ალპური კლუბი. სწორედ აქ, ალპურ კლუბში, იწყება ორი დიდი ადამიანის, ორი დიდი და სახელოვანი ვაჟკაცის სულიერი დამეგობრება. ესენი იყვნენ – ალიოშა ჯაფარიძე და ლევან გოთუა. აქედანვე იწყება მათი ერთობლივი ასვლები მწვერვალებზე.

ქალბატონი თამარი არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობით და ფერადოვანი სახეებით აღწერს ამ ორი რაინდის მტკიცე მეგობრობას, მათ საერთო მიზანს – უყოყმანოდ და უანგაროდ ემსახურონ სათაყვანებელ სამშობლოს. აქვე ავტორი ღრმად და საფუძვლიანად გაარჩევს ალიოშა ჯაფარიძისადმი მიძღვნილ ლევან გოთუას პირველ სამოგზაურო ნარკვევს „ხდედალეულნი“, რომელშიც შავანას მწვერვალზე ასვლაა მოთხრობილი.

თამარ შაიშმელაშვილის მიერ მოძიებულ საარქივო წერილში ამ პერიოდს თავად ლევან გოთუა ასე გადმოსცემს: „უკვე მწერლობაში ვიდექ... დაფანტული ხილვები ერთდებოდნენ. სახეს იღებდნენ. სამყაროს უკვე მწერლის თვალით ვუჭვრეტდი“, –

წერდა ლევან გოთუა 1938 წელს.

მხოლოდ 1938 წელს დართეს ლევან გოთუას თბილისში მუდმივად ჩაწერის ნებართვა. მშობლიურ საქართველოში დაბრუნებული მწერალი ისევ აგრძელებს მთა-ბარში სიარულსა და მწვერვალების დალაშქვრას, ეს, როგორც თამარ შაიშმელაშვილი ამბობს, გატაცებასთან ერთად, არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტის გარკვეული გამოხატულება იყო.

XX საუკუნის 40-ან წლებში ლევან გოთუა, ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად, იპყრობს მრავალ უსახელო მწვერვალს და მათ ქართველი მამულიშვილების – ილიას, აკაკის, ვაჟა-ფშაველას, სულხან-საბა ორბელიანის, ნინოშვილის, მარჯანიშვილის, სახელებს არქმევს. მიზანი, ბუნებრივია, მათი სახელების უკვდავყოფაა.

თამარ შაიშმელაშვილი საგანგებო ადგილს უთმობს 1945 წლის ექსპედიციას ხვამლზე, თავისთავად ცხადია, ლევან გოთუას მონაწილეობით. ხვამლის ექსპედიციიდან სამი თვის შემდეგ, უშბა-შხელდის ტრავერსის დროს, უშბას მწვერვალიდან დაშვებისას მთელი ჯგუფი და მათ შორის ალიოშა ჯაფარიძე არნახული სიძლიერის ზვავმა უშბის ნაპრალებში დამარხა. ექსპედიციის დასახმარებლად ერთ-ერთი პირველი ლევან გოთუა წავიდა, მაგრამ ყოველგვარი მცდელობა უშედეგო გამოდგა. მხოლოდ 12 წლის შემდეგ გამოაჩინა უშბამ (მცხუნვარე მზით გამოწვეული ყინულის დნობის გამო) თავის ნაპრალში ჩაქუფრული დიდი ქართველი მთამსვლელი. ესეც ალბათ ღვთის ნება იყო. მოყინული თითებით იცნეს დიდი ალიოშა ჯაფარიძე. „მართალი ლეგენდა“ უწოდა ლევან გოთუამ ამ ისტორიისადმი მიძღვნილ ჩანახატს. რაც შეეხება ლევან გოთუას განცდებს ამ ტრაგიკული შემთხვევის გამო, მას დიდი მხატვრული ოსტატობით აღწერს წიგნის ავტორი.

1955 წელს, როგორც იქნა, დასრულდა ლევან გოთუას 22- წლიანი არაადამიანური, ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამება. იგი ვორკუტის მესამე, ყველაზე დიდი გადასახლებიდან თბილისში დაბრუნდა და შემოქმედებით საქმიანობას შეუდგა.

სარეცენზიო წიგნის შემდეგი ნაწილი ეთმობა ლევან გოთუას მეგობრობას ცნობილ ფოტოხელოვანთან, გურამ თიკანაძესთან. საოცარი სითბოთი და სიყვარულით გადმოსცემს თამარი ამ ორი ვაჟკაცის, ორი დიდი პატრიოტის სულიერ სიახლოვეს, სამწუხაროდ, მათი „ტანდემი“ დიდხანს არ გაგრძელებულა. გურამ თიკანაძე – ეს ზღვა ენერგიის კაცი ტრაგიკულად დაიღუპა, რამაც, ცხადია, მძიმედ იმოქმედა ლევან გოთუაზე. გურამ თიკანაძისადმი მიძღვნილ გამოსამშვიდობებელ წერილში „ირმის კვალი“ იგი უმცროსი მეგობრის განუმეორებელ პორტრეტს ქმნის, რომელსაც თამარ შაიშმელაშვილის საინტერესოდ მსჯელობა მოჰყვება სახესიმბოლოების ახსნით: თუ კლდეზე ჩამოკიდებული გურამ თიკანაძე „ძე-ადამიანს“ ჰგავს, მტკვარში მოცურავე გურამი მზეშია, სილაზე კი ირმის კვალს ტოვებს... მისი ხატება ზებუნებრივ სახილველს ჰგავს, – ასკვნის თამარ შაიშმელაშვილი.

თბილისში საბოლოოდ ჩამოსვლის შემდეგ ლევან გოთუამ კვლავ გააგრძელა სამშობლო ქვეყნის სამსახური. პირველ რიგში, შეუდგა ისტორიული და კულტურული ძეგლების შესწავლას. ასე აღმოაჩინა მან ცნობილი ისტორიკოსის ლეონტი მროველის დროინდელი, ანუ მე-11 საუკუნის წარწერიანი ქვის ფილა და დაადგინა ლეონტი მროველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის თარიღი.

როგორც თამარ შაიშმელაშვილი წერს, ლევან გოთუას პუბლიცისტიკაში ყველა ის აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემა აისახა, რომელიც აწუხებდა ქართულ საზოგადოებას. ლევან გოთუამ ძეგლების დაცვის პრობლემას მწვავე და კრიტიკული წერილი მიუძღვნა. როგორც წიგნის ავტორი წერს, მან ძეგლების დაცვა სამშობლოს დაცვას გაუთანაბრა. იგი იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1958 წელს „კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივი ორგანიზაციის“ დაფუძნებისაც...

„კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ“ 5 ათასამდე ძეგლი გამოაცხადა სახელმწიფოს დაცვის ობიექტად. ამ ძეგლების გარეგნულმა დათვალიერებამაც კი ნათელი გახადა, რომ მათი უმეტესობა სრულიად მიგდებული და მივიწყებული იყო სახელმწიფოს მიერ და, შესაბამისად, ქცეული იყო საწყობებად, სარდაფებად, ფერმებად, ბეღლებად, სათავსოებად, საბძლებად...

ლევან გოთუამ მიზნად დაისახა მათი მოვლა-პატრონობა და მათთვის ძველი ფუნქციის დაბრუნება. ლევან გოთუას სახელთანაა დაკავშირებული „ძეგლთმფარველობის“ იდეისა და პრაქტიკის დანერგვა. იმ ძეგლთაგან, რომლებიც დაცვასა და მფარველობას თხოულობდა, მხოლოდ ზოგიერთს ჩამოვთვლი. ესენია: სვეტიცხოველი, ალავერდი, ბაგრატის ტაძარი, სამთავისი, ფიტარეთი, იკორთა, ნინოწმინდა, ხვამლის ქვაბ-ციხე, ფიტარეთი, ნიკორწმინდა, ვარძია, დმანისი, ანანური, გრემი, დავითგარეჯა. როგორც ლევან გოთუა ამბობდა, შველას ითხოვდა სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის კოშკები. ბატონი ლევანის ძალისხმევით და აქტიური ჩარევით, შეისწავლეს და რესტავრაცია ჩაუტარეს ქვათახევს, გუდარეხს, საფარას, სამშვილდის სიონს და თბილისის უმთავრეს ეკლესიებს...

ლევან გოთუა ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც 1959-61 წლებში, ნიკო კეცხოველთან და გიორგი ჩუბინაშვილთან ერთად მოითხოვდა სამეცნიერო ექსპედიციის მოწყობას საინგილოში. მაგრამ სამივე მოთხოვნა ქაღალდზე დარჩა... თამარ შაიშმელაშვილი ამ თემაზე ამზეურებს საინტერესო საარქივო დოკუმენტებს.

1964 წელს ლევან გოთუამ დააარსა ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“. 1966 წელს დიდი ზეიმით

ჩატარდა გრემ-ქალაქობა, შოთაობა იყალთოსა და ასპინძაში. რუსთაველის 800 წლის იუბილეს მიეძღვნა ლევან გოთუას უაღესად საინტერესო სტატია „ვეფხის ტყავი და სვეტიცხოვლის სამყარო“, რომლის მნიშვნელობაზე უაღრესად კომპეტენტურად მსჯელობს თამარ შაიშმელაშვილი და წინადადებით გამოდის, რომ ლევან გოთუას ეს სტატია სასკოლო სახელმძღვანელოებში შევიდეს.

ლევან გოთუას სახელთანაა დაკავშირებული სახალხო დღესასწაულის – დიდგორობის დაწესება. მისივე წინადადება იყო დიდგორის სამახსოვრო ობელისკის აღმართვა. თბილისის 1500 წლისთავს გოთუა ეხმიანება სტატიით „ჩვენი მოვალეობა“. ლევან გოთუას ინიციატივით, სვეტიცხოველში ერეკლე მეორის საფლავის ქვა ქართული ქვით შეიცვალა, ორთაჭალაში, 300 არაგველის ძეგლთან, მისი თაოსნობით აღიმართა მაჩაბლის კედელი....

ლევან გოთუას კეთილ საქმეებზე რომ ლაპარაკობ, ვერა და ვერ გამოტოვებ მის დიდ დამსახურებას ქართული მიწა-წყლისათვის ქართული ტოპონიმების დარქმევის საქმეში...

თამარ შაიშმელაშვილს უყურადღებოდ არ რჩება არა მარტო ლევან გოთუას დაინტერესება ქართული ისტორიული ძეგლებით, არამედ ქართული დედაბუნებით – ხეებით, ტყეებით, წყაროებით. ტყეს იგი „მწვანე დედას“ ეძახის, ხეს კი – „მწვანე აბჯარს“. ლაპარაკობს ტყის მნიშვნელობაზე როგორც საომარ, ისე მშვიდობიანობის ვითარებაში. ბუნების დიდი ქომაგი ლევან გოთუა, ბუნებას, მინდიასავით, ცოცხალ არსებად მიიჩნევს და მნიშვნელოვან პუბლიცისტურ ნარკვევებს, სტატიებს, წერილებს უძღვნის მას.

თამარ შაიშმელაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს სამგზავრო ნარკვევების კრებულზე „მგზავრული კრიალოსანი“, რომელიც მისეული დაკვირვებით, საკრალურ სამკუთხედს ქმნის – წყალი, მთა, გამოქვაბული. მთა ლევან გოთუას სულიერი განწმენდისა და ამაღლების სახე-სიმბოლოდ მიაჩნია. მშვენიერი სტრიქონები უძღვნა მან ალაზანს, როგორც კახეთის მფარველს, ძუძუმტეს, სულის სალბუნს. როგორც ბუნების შვილი, ლევანი გატაცებით სწავლობს ქვაბებსა და გამოქვაბულებს, „სიტყვით და ქვაბით შენს წიაღში ვარ“ – ასე მიმართავდა მშობლიურ ქვეყანას. ეს უბრალო ნათქვამი როდი იყო, – წერს თამარ შაიშმელაშვილი, – ამ სიტყვებში მოიაზრებოდა მისი მრწამსი... ყველამ ვიცით, გამოქვაბულს უკავშირდება იესოს შობაც... ლევან გოთუას ნაწერების გაცნობისას, ასე მგონია, ქვაბებს სწორედ მაშინდელი პირველყოფილი ბიბლიური სიწმინდე და იდუმალება სდევთო...

ცალკე თემად აქვს ლევან გოთუას წარმოჩინებული წყაროების პრობლემა. საქართველო უნიკალური წყაროების ქვეყანაა, – თავმოწონებით ამბობს იგი. მათ შორის არის ლამისყანის წყარო, ოქრონიშის წყარო. არსებობს ხალხური გამოთქმა „უკვდავების წყარო“. წყაროს გაუქმება, მისი „ჩაქოლვა“ ადამიანის სულის ამოხდომას უდრის, – ფიქრობს ბუნების დიდი ქომაგი ლევან გოთუა.

როგორც უკვე ითქვა, დიდია ლევან გოთუას საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ოღონდ კი თავისი საფიცარი ქვეყნისათვის რაიმე სარგებელი მოეტანა, ყველა კეთილ საქმეს მოთავეობდა. ასე გახდა იგი ოფიციალურად ბუნების ნორჩ დამცველთა მეგობარი.

ლევან გოთუას პუბლიცისტიკაში ცალკე თემად გამოიყოფა ცნობილ ადამიანთა (მწერალთა, მხატვართა, მსახიობთა, რეჟისორთა, კომპოზიტორთა...) პორტრეტები. მე მხოლოდ ჩამოვთვლი მათ. ესენია: გიორგი ლეონიძე, ლეო ქიაჩელი, დავით კასრაძე, ედიშერ ყიფიანი, მიქელ პატარიძე, აკაკი ბელიაშვილი, მარიამ გარიყული, ნიკო ნიკოლაძე, ივანე ბუქურაული, სიმონ გუგუნავა, გიორგი შატბერაშვილი, ჰაიდარ აბაშიძე, გიორგი ჩუბინაშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე ჯავახიშვილი, სერგო ზაქარიაძე, შალვა ღამბაშიძე, კოტე დაუშვილი, ოთარ ჭიაურელი, ნიკო ფიროსმანაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი, შიო ბურდული, შიო ლაცაბიძე... ყველა ამ ზემოჩამოთვლილ სხვადასხვა პროფესიის და სხვადასხვა ინტერესის ადამიანებს ერთი რამ აერთიანებდათ. ეს იყო ერის სამსახური და მამულის უანგარო სიყვარული.

ლევან გოთუას პუბლიცისტიკაში დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ თემებს, როგორებიცაა: ოჯახი და ოჯახური აღზრდა, მოსახლეობის ზრდა და დემოგრაფიული საკითხები, ეროვნული ცნობიერების ამაღლება, ზნეობრივი პრობლემები, ქართული ენის სიწმინდის დაცვა, სწორი ქართულით მეტყველება, სწავლა-განათლება და ოჯახიშვილობა.

აქვე ლევან გოთუა ჩამოთვლის ქართველი ადამიანის ეროვნულ ნიშნებს. ესენია: თავისუფლებისმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, ქალის კულტი, სამშობლოს უკიდეგანო სიყვარული, ქართული ტრადიციებისა და ადათ-წესების ერთგულება. ყველა ამ საკითხზე თავის კომპეტენტურ აზრს გამოთქვამს თამარ შაიშმელაშვილი. თავის უაღრესად საინტერესო მსჯელობას ლევან გოთუას პუბლიცისტიკაზე იგი ასეთი დასკვნით ამთავრებს: ლევან გოთუას ყოველი პუბლიცისტური ნაწარმოები სავსეა ეპითეტებით, მეტაფორებით, სხვადასხვა სახე-სიმბოლოებით და ისინი პუბლიცისტური ოსტატობის ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენენ. აქვე იგი გაარჩევს ლევან გოთუას შექმნილ კომპოზიტებსა და ნეოლოგიზმებს და მათ მოჭარბებულ ხმარებაში, ბევრი ენათმეცნიერისაგან განსხვავებით, ვერავითარ პრობლემას ვერ ხედავს. ის კი არა, წიგნის სახელდებაც გოთუასეულია: მზე „ამოსევდილი“.

წიგნის ბოლო ნაწილში განხილულია ლევან გოთუას ეპისტოლარული მემკვიდრეობა. აქ, პირველ რიგში, იგულისხმება ის წერილები, რომელთაც იგი გზავნიდა ვლადიკავკაზიდან, ყიზლარის ველებიდან, სხვადასხვა საპატიმროდან და საკონცენტრაციო

ბანაკებიდან. ამ წერილების უმეტესობა ლევან გოთუას და-ძმამ თამარ და ალექსანდრე გოთუებმა შეკრიბეს და ცალკე წიგნად გამოსცეს სათაურით – „თავგადასავალი ლევან გოთუასი“. ამ წერილებში ლევან გოთუა პირდაპირ გამოხატავს თავის დამოკიდებულებას კომუნისტური რეჟიმისადმი: „მე ამ წყობის მოწინააღმდეგე ვარ და ვიქნები“. ან კიდევ: „მე მომავლით ვცხოვრობ. მაგრამ ახლო მომავალში კარგს ვერაფერს ვხედავ ამ კომუნისტების ხელში“. ან: „მარტო ამდენი ხალხის ტყუილად ტანჯვისათვის მოსასპობია ეს უზნეო მთავრობა“.

მწერალი თავის ვალს ქვეყნისა და ხალხის წინაშე მწერლურ საქმიანობაში ხედავდა: „მე თუ წერას ვერ შევძლებ, არც ჯანმრთელობა მინდა და არც სიცოცხლე“.

ლევან გოთუას ბიოგრაფიაში არის ერთი ეპიზოდი, რომელიც კარგად ავლენს მის „გარდარეულ სიყვარულს“ მამულისადმი: როცა საკონცენტრაციო ბანაკიდან განთავისუფლების დრო დადგა, მას ასეთი პირობა წაუყენეს: იგი ბანაკიდან გასვლის შემდეგაც ისევ ციმბირში უნდა დარჩენილიყო და იქ გაეგრძელებინა სამსახურებრივი საქმიანობა. ასეთი შეთავაზება ლევან გოთუამ არ მიიღო, მე თუ საქართველოში ჩასვლის უფლება არ მექნება, მაშინ მირჩევნია, ისევ პატიმრობაში დავრჩეო. ასეთი რამ, ალბათ, არცერთ სატუსაღოსა და საკონცენტრაციო ბანაკში არ მომხდარა. კომუნისტურმა რეჟიმმა მსგავსი პრეცენდენტი არ იცის. ამიტომაც თქვა მასზე ერთმა არაქართველმა კატორღელმა; „ეს ის ადამიანია, ვისაც სინდისი ბავშვის ცრემლზე სუფთა აქვსო“.

ასეთია თამარ შაიშმელაშვილის უაღრესად საინტერესო წიგნი „მზე... ამოსევდილი – ლევან გოთუა“. წიგნი, დაწერილი დიდ მწერალსა და ადამიანზე, დიდ პატრიოტსა და მამულიშვილზე. ადამიანზე, რომლის ყოველი დღე იმაზე ფიქრით თენდებოდა, თუ რაში გამოსდგომოდა თავის სათაყვანებელ სამშობლოს.

ვფიქრობ, თამარ შაიშმელაშვილის წიგნით ლევან გოთუას შემოქმედების კვლევას კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი შეემატა, წიგნში დიდი მწერლის, ღრმა მოაზროვნისა და სასიქადულო მამულიშვილის ნათელი პორტრეტია დახატული. ამ წიგნით თამარ შაიშმელაშვილმა აშკარად აჩვენა, რომ იგი არა მარტო შესანიშნავი პოეტია, როგორც ჩვენ მას აქამდე ვიცნობდით, არამედ ძალზე საინტერესო პროზაიკოსი და მეცნიერი.

რევაზ ბალანჩივაძე,
პროფესორი, ფილოსოფიის
მეცნიერებათა დოქტორი,
იაკობ გოგებაშვილის
პრემიის ლაურეატი

პროზა

ბიზო თავაძე



მესაიდუმლე

რედაქციაში მეწვია.

კაიხნის ჟურნალისტური გამოცდილება მაქვს, მაგრამ ასეთი დარბაისელი მოსაუბრე იშვიათად შემხვედრია.

შემოსვლისთანავე (ვიდრე სკამს შევთავაზებდი), მითხრა:

– ვიცი პოეტი რომ ხარ და იმიტომ მოვედი...

– უპირველესად ჟურნალისტი ვარ, ქალბატონო...

– მარიტა!

– ქალბატონო მარიტა, ჟურნალისტიკა მაქვს დამთავრებული...

– მე მარიტა კოლხელი ვარ, უფუნქციო პენსიონერი, აქვე, თეატრთან ვცხოვრობ, მარტოდმარტო, შვილი და შვილიშვილი დედაქალაქში არიან, უნდათ იქ წამიყვანონ, მაგრამ ჩვენს ბებერ ქალაქს ვერ ველევი, აქაა ჩემი სიყმაწვილე და იმისი საფლავი...

– მეუღლის?

– მეუღლისაც, მაგრამ...

– გასაგებია, მშობლების...

– კი, მშობლებიც აქ არიან, ოღასყურაზე, თუმცა...

– ვერ გავიგე, ქალბატონო მარიტა!

– ჩემი შეყვარებულის საფლავია აქ...

იყუჩა, ხელჩანთა გახსნა, სათვალე და ლამაზყდიანი რვეული ამოიღო,

გადაშალა და შავ-თეთრი ფოტო მაჩვენა.

– ეს ხომ ვამეხ ჭორმეშელია, ცნობილი პოეტი, ჩვენი უფროსი მეგობარი.

– ჩემი შეყვარებულია!..

დავიბენი, რადგან ვამეხის ოჯახსაც ვიცნობდი (ცოლსაც და შვილებსაც).

ჩვენს თაობას, ბარე ოცდაათი წლით უსწრებდა, მაგრამ, მისი უფროსობა არავის უგრძვნია, თანატოლებივით ვიყავით, უმეტესწილად მას მივყავდით რესტორნებში თუ საჭაშნიკოებში, მთებშიც კი გვმეგზურობდა. არ უყვარდა მედროვეები და კომუნისტები, ამიტომ წიგნებსავ კი უიშვიათესად უბეჭდავდნენ.

– თქვენი შეყვარებული?!

– დიახ და ამიტომ მოვედი შენთან, ვიცი, რომ ვამეხთან მეგობრობდი, მერე რა, რომ ახალგაზრდა ხარ...

– რაღა ახალგაზრდა, ქალბატონო მარიტა, მალე

ორმოცდაათის გავხდები...

— მე კი, ოთხმოცის გავხდი და იუბილეც გადამიხადეს ჩემებმა. ჰოდა, ამიტომ მოვედი, შენთვის, რომ მეამბნა ყოველივე, ეს ჩემი დღიურებია, ჩემი განცდები, რომლებსაც, ვერასოდეს გავამჟღავნებდი, მხოლოდ აქ, აქ ვიოხებდი გულს, ლექსებადაც ვამბობდი სათქმელს და... მოკლედ ნახავ, როცა წაიკითხავ. დედამიწაზე შენ ხარ პირველი ადამიანი, ვინაც ამას გაეცნობა...

— დიდი მადლობა ნდობისთვის...

— გენდე იმისთვის, რომ პოეტი ხარ, გაიგებ ჩემს ტკივილს და სიხარულს, თან არ დამზრახავ; მე ჩანაწერების გამოქვეყნება არ მსურს, არც მიფიქრია, უბრალოდ, მინდა იცოდეს ჩემი შეყვარებულის მოძმემ, სულიერების მკურნალმა, პოეტმა, რადგან ის, ვის საფლავსაც ვერ ვტოვებ, პოეტი გახლდათ.

— დამშვიდდით ქალბატონო, ნუ ტირით, მე მესმის თქვენი, გულდასმით წავიკითხავ და მალევე დაგიბრუნებთ, შინაც გეწვევით...

— შინ მეწვევით? ო, როგორ მსურდა და ვერ გიბედავდით, ოღონდაც მალე, არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ.

თვალები შეიმშრალა, ტელეფონის ნომერი დამიტოვა და კარები გაიხურა.

.....

სამი ღამე ვკითხულობდი დღიურს (საკმაოდ სქელყდიან რვეულს), რომელშიც იმოდენა სისუფთავეს და სიფაქიზეს დაევანებინა, რამდენჯერმე ცრემლიც კი მომგვარა.

ხელნაწერების კითხვა ყოველთვის მიჭირდა,მაგრამ, მაინც სულმოუთქმენლად ვკითხულობდი და ბოლოშიც გავედი.

მერე, რამდენიმე დღე წაკითხულის გააზრებას მოვანდომე და კვირისთავზე შინ ვეწვიე ქალბატონ მარიტას.

კარები გამიღო და ისე შინაურულად შემიპატიჟა, თითქოს მთელი ცხოვრება ერთად გაგვეტარებინოს.

— ეს ბებიაჩემის ნაქონი მრგვალი მაგიდაა, კაკლის ხისგან დამზადებული, ამ მაგიდასთან იკრიბებოდნენ ქალაქის ღირსეული მოქალაქეები. ეს პატეფონი კი, თავად წულუკიძეს უჩუქებია ოჯახისთვის.

ყურადღებით ვუსმენდი დიასახლისს, თან კედლებზე გამოფენილ სურათებს ვათვალიერებდი, მერე კი, ჩვეულებისამებრ, წიგნების კარადას მივაშურე:

— ქალბატონო მარიტა, ეს ფრანგული წიგნები საიდან?

— ბაბუამ, ფრანგული მშობლიურივით იცოდა, — გამომძახა სამზარეულოდან,თან ჩაი,ნამცხვარი,მურაბა და კონიაკი მაგიდაზე დაალაგა, თავად კი, სავარძელში მოიკალათა.

— დავიწყოთ, მზად ვარ მოგისმინოთ! — კონიაკი ჩამოვისხი გათლილ სირჩაში.

— ალბათ წაიკითხეთ ჩემი ნაცოდვილარი...

— წავიკითხე და ბატონი ვამეხიც სხვანაირად დავინახე, ბევრი რამ უცნობი იყო ჩემთვის...

— ორმოცი წელი გვიყვარდა ერთმანეთი, ორმოცი წელი ვხვდებოდით და არავის გაუგია, არავინ დაეჭვებულა...

— ასეთი უჩინმაჩინები როგორ გახდით?

— ჩვენი შეხვდრები, უმეტესწილად, აგარაკებზე და საქართველოს პატარა ქალაქებში ხდებოდა...

— თქვენი მეუღლე ამ დროს...

— მოითმინეთ და გიამბობთ!

ჩაი მოსვა, კონიაკის რამდენიმე ყლუპი დააყოლა და მეორე ოთახში გავიდა, საიდნაც საოჯახო ალბომი გამოიტანა.

— ერთმანეთს ვხვდებოდით: საჩხერეში, ლიკანში, სიღნაღში, ქობულეთში, სადაც მას შეეძლო, ორი-სამი დღით სასტუმროს დაჯავშნა. ეს უიშვიათესი შეხვედრები მაცოცხლებდა. ქმარს სჯეროდა, რომ საკვალიფიკაციო კურსებზე მიწევდა გამგზავრება დედაქალაქში.

— წარმოუდგენელია!... — წამოვიძახე უცაბედად..

— მუშა კაცი იყო, ნიადაგ ჩხირკედელაობდა, ხან რას მოიგონებდა, ხან რას, წიგნი, კინო და თეატრი არ აინტერესებდა, მე კი სულს ვლევდი სულიერებაზე და ამანაც გამოიწვია ჩვენი გაუცხოება,ვამეხს კი ყველგან ნახავდით, სადაც გამოფენა თუ ახალი სპექტაკლი გადიოდა...

— მასაც რომ მეუღლე ჰყავდა!..

— კი ჰყავდა და... ორივეს გვიყოფდა სიყვარულს; მის ლატვიელ ცოლს არასდროს უეჭვიანია ქმარზე (როგორც, ვამეხი მიამბობდა).

— ქალბატონო მარიტა, რატომ რისკავდით?

— შეგნებულად ვაკეთებდი, სიყვარულისთვის ჩავდიოდი ამას... მე ვამეხმა მასწავლა და მაგრძნობინა ტრფობა, მიჯნურობა, სიყვარული და ამიტომ ღირდა გარისკვად...

— მეუღლე არ გიყვარდათ?

— რომ მყვარებოდა, სხვასთან რა მინდოდა, ვინაც სამყარო გამიფერადა,ის მიყვარდა; სამწუხაროდ, ვამეხს ორმოცი წლის ასაკში შევხვდი, როცა ავტოავარიის შემდეგ ჩვენს კლინიკაში მოხვდა. მე, მისი მკურნალი ექიმი გახლდით, საათობით ვიჯექი მის ოთახში და პოეზიაზე ვსაუბრობდით. მასზე ქალიშვილობაშიც ვკარგავდით ჭკუას გოგონები, მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა, თუმცა ახლო ურთიერთობა არცერთს არ გვქონდა მასთან (ჩვენზე ხუთი წლით უფროსი იყო, თანაც დაოჯახებული...)

— კარგით, გასაგებია, თუმცა, ერთი რამ, როგორც ჟურნალისტს, მაინტერესებს..

— ბრძანეთ! — სიგარეტს მოუკიდა მასპინძელმა.

— რატომ წაყევით კაცს, რომელიც არ გიყვარდათ?

— შემთხვევით მოხდა, გარიგებით, ნათესავების ჩარევით; მე სტუდენტი ვიყავი და ჩემი კურსელი მომწონდა, რომელმაც სხვა მოიყვანა, რამაც, დამბლა დამცა და სწორედ ამ დროს, დეიდაჩემმა, რომელთანაც ვცხოვრობდი, სტუმრები შეკრიბა, სასიძო მოიწვია და დამამშვიდა: ხვალ, ესეც სტუდენტი იქნებაო, ამჯერზე არ გაუმართლაო... სხვებიც ჩაერივნენ და... ეს, ის წლებია, როცა გოგოს ძალიან უნდა გათხოვება... მერე ბევრი რამ გამოაშკარავდა; არათუ სტუდენტობა

და სწავლის წადილი, ინსტიტუტი სად მდებარეობდა, ისიც არ იცოდა. მე მედიკოსთა წრეში ვტრიალებდი, მას არც ეს აინტერესებდა, ამიტომ ერთმანეთისთვის უცხონი გავხდით, თუმც, ვამეხის გაცნობამდე, არასდროს შემიცოდავს, მცდუნებლები კი, გაგიხარია, თავზესაყრელი იყო...

— ვამეხთან თავს როგორ გრძნობდით?

— დედოფალივით, თუმცა ეს არავინ იცოდა. ერთხელ, ბიჭვინთაში ვიყავით ერთად, მე სამსახურმა დამაჯილდოვა ორკვირიანი საგზურით, ვამეხი კი მწერალთა კავშირმა.

ორივემ დავტოვეთ ჩვენი დასასვენებელი სახლები და განმარტოებით ვიქირავეთ ბინა (ეს იყო ყველაზე ხანგრძლივი ერთად ყოფნა...)

საღამოობით რესტორანში ვსადილობდით, ერთხელ რუსი და უკრაინელი პოეტები შემოგვეფეთნენ, რომლებიც ვამეხს იცნობდნენ, ეს კი ადგა და ღვიძლ ბიძაშვილად გააცნო მათ ჩემი თავი. წესიერების განსახიერება გახლდათ, უერთგულესი მეგობრობა იცოდა, სიყვარულისთვის თავს ისე გაწირავდა, არც დაფიქრდებოდა, ამიტომ ვგრძნობდი მასთან თავს დედოფალივით...

კიდევ ერთხელ შევივსე სირჩა კონიაკით და ქალბატონ მარიტას პაპიროსი ვთხოვე. უხმოდ ვეწეოდით. მასპინძელი იღიმებოდა, ვიღაცას მაგონებდა...

.....

ორი ათეული წლის წინ, მეგობრებმა მთხოვეს მთაში მეგზურობა, რადგან ორხიდიანი მანქანა მქონდა და იმ კუთხესაც კარგად ვიცნობდი. უარი ვერ ვთქვი, თუმცა,ორი კვირის ნაცვლად ერთ კვირაზე დავითანხმე გოგონები, რომლებსაც ფოლკლორული მასალები უნდა შეეგროვებინათ და წარედგინათ ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდნენ.

ბინდდებოდა, ნახევრად დაცარიელებულ სოფელში რომ ავედით; ნაცნობი ჭიშკარი ჯაჭვდადებული დამხვდა (ორი დღის წინ წასულიყო დედაქალაქში).

ხან ვის მივადექით და ხან ვის, მაგრამ ოთხი ადამიანის მასპინძლობა ვერავინ ითავა.

სათადარიგოდ წამოღებული კარვების გაშლა რომ დავაპირეთ, პატარა ბიჭი მოჯირითდა ცხენით.

— მამამ გამომგზავნა, ხირჩლას მეულლესთან აჰყევი, ის აქირავებს სახლსო!..

— შორსაა? — გამოცოცხლდნენ ფოლკლორისტები.

— აი იქაა!.. — კორტოხისკენ გაიშვირა ბიჭმა ხელი.

ხრიალით შეუყვა ჩემი მრავალტანჯული ავტო ციცაბოს, ცხენოსანი წინ მიგვიძღოდა კუნტრუშით.

— ნახე, როგორ ჰგავს ფრიდონს! — გაიცინა ნათიამ.

— აბა, ფრიდონი?

— ვეფხისტყაოსნის...

— ა�ა, ხოოო.. — გავეპასუხე დაბნეული და ქვის ყორესაც მივადექით.

— ეგე, მასპინძელი! — დაგვანახა ბიჭმა და ცხენი თავქვე მიუშვა.

ორმოციოდე წლის, ქალბატონი გამოგვეგება.

— ორ ოთახს მოგცემთ, შუქი იშვიათად გვაქვს, საპირფარეშო ეზოშია, აბაზანა — დიდი ტაშტი და მისი ჯანი...

რა გზა გვქონდა. დავთანხმდით.

ვახშამზე მასპინძელსაც ვუხმეთ. ჩვენს კონიაკს და ძეხვეულს, ხინკალი და ჟიპიტაური შემოამატა.

მოკლედ გვიამბო: იმერეთიდან ვარ გამოთხოვილი, ბედისწერამ ასე ინება. მეუღლე რუსეთში მუშაობს, სახლებს აშენებს. ერთი შვილი გვყავს და ისიც მასთან არის,სტუდენტიც გახდა შარშან. მე აქაურობას ვხედავ. დედაქალქშიც გვაქვს სახლი. ზამთარს იქ ვატარებ. გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე აქ ვარ. ზოგჯერ თქვენისთანა უსაქმურებს შევიფარებ...

— უსაქმურები რათა,ფოლკლორულ ექსპედიციაში ვართ... — გაიღიმა ლიამ.

— განა გასაბრაზებლად ვთქვი, გეხუმრეთ, ბალღებო, მე მარიამი მქვია, უფროსი რომელია თქვენში?

ყველამ მე გამომხედა.

— მე მძღოლი ვარ,— მოვისაწყლე თავი,— ესენი კი, მომავალი მეცნიერები, ამათზე გვარიანდ უფროსი, მალე ოცდაათის გავხდები...

— ხო ვთქვი, ბალღები ხართ-მეთქი, მე ორმოცისა ვხვდები მალე, ორიოდ კვირაში...

ჟიპიტაურმა და კონიაკმა ისე მოგვთენთა, მალევე ავიშალეთ და დასაძინებლად მივწექით.

გოგონები დილაადრიან გაემზადნენ. მარიამმა სვლაგეზი დაუხატა ნათიას (ჯგუფის ხელმძღვანელს), თუ სად ცხოვრობდნენ სოფლის უხუცესები, რომლებიც ზამთარშიც კი არ ტოვებდნენ თავიანთ ეზო-კარს. მე წიგნი გამოვიტანე აივანზე და კითხვას შევუდექი.

საღამოს დაღლილ-დაქანცულები დაბრუნდნენ, წყაროს წყლით ხელ-პირი დაიბანეს და სუფრას მიუსხდნენ.

მარიამმა თავისი მოწეული კარტოფილით უმასპინძლა სტუმრებს.

— თქვენ რატომ არ გადით სოფელში?

— მე არ ვარ ექსპედიციის წევრი და ხელს ხომ არ შევუშლი ამათ; ისე ხვალ ვაპირებ სოფლის დათვალიერებას...

— ლამაზი ჩანჩქერებია ზემოთ.

— ვნახავ, აუცილებლად.

მეორე დღეს, მართლაც ბევრი ვიხეტიალე, ტბასაც წავაწყდი, მთის ყელში, საკალმახე ჩქერებიც გადავლახე და შინ დაოსებული დავბრუნდი.

გოგონებს ჩანაწერები უგროვდებოდათ, მიკითხავდნენ კიდეც.

მესამე დღეს, ლამის შუადღემდე ვიძინე. მათი წასვლაც კი არ გამიგია.

აივანზე გამოვედი და გავშეშდი... ისლით გადახურულ საჩეხში, სადაც ხმელი შეშები შეეკოკოლავებინათ, დიდ ტაშტში მარიამი იდგა დედიშობილა, თმები ჩამოეშალა და სპილენძის თუნგით მკერდზე წყალს ისხამდა...

კარები ნახევრად ღიად დაეტოვებინა თუ დარჩენოდა... ვიფიქრე, მივალ და წყალს დავუსხამ-მეთქი, მაგრამ ვერ გავბედე...

მივხვდი, რომ მხედავდა, მეთამაშებოდა, ნებივრობდა, ჯერ ერთი ფეხი გაიხეხა საგულდაგულოდ, მერე მეორე შემოდგა ტაშტის კედელზე. შემდეგ ზეწარი მოიხვია და ნაბანი წყალი გადაღვარა.

ოთახში შევბრუნდი, სიგარეტს მოვუკიდე და ისევ აივანზე გამოვედი.

— წასული მეგონე, ამომღიმა და თმები უკან გადაიყარა.

— არა, არ წავსულვარ, ვკითხულობდი...

— გინდა თავს დაგაბანინებ, წყალი ბლომად გავაცხელე...

შევყოვნდი, დავიბენი და:

— იყოს, სხვა დროს..

— ჩამოდი, ნუ გერიდება, ახლავე გადავიცვამ.

ორიოდ წუთში ყვავილებით მოჩითული კაბით გამოვიდა და გამომწვევად ამომხედა.

— პირსახოცს ჩამოვიტან...

— პირდაპირ ტაშტში ჩადექი...

— ტაშტში?

— ჰო, გაიხადე და ჩადექი, ნუ გეშინია, ჩაეტევი... — რაღაცნაირად იცინოდა.

ამოდენა ტაშტი მართლა არ მენახა, სპილენძით გაეჭედათ; მაისური გადავიძვრე და წყლის თქეშიც დამაცხრა, მერე თავადაც ტაშტში ჩამოდგა ფეხი, კაბის შიგ ისეთივე იყო, როგორიც დაიბადა...

მერე კისკისებდა და მამშრალებდა...

მერე მთელი კვირა მაბანინებდა თავს...

მეცხრე დღეს დავემშვიდობეთ მასპინძელს.

ცრემლით გამოგვაცილა მარიამმა.

გზაში გოგონები ხოხმაობდნენ:

— ტაშტში ბანაობასაც თავისი მუღამი აქვს...

— აბა, მშვენივრად შევეჩვიე...

— მაინც რამხელა ტაშტი იყო...

— ორიც მშვენივრად იბანავებდა იმ ტაშტში...

— კი, კი, იბანავებდა...

— პატივცემული „შოფერი“ რას იტყვის?..

ქალებს რას გამოაპარებ!..

.....

რედაქციაში ნეკროლოგი მოიტანეს.

რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის, ქალბატონი მარიტას გარდაცვალებას იუწყებოდნენ...

მეგობარ ჟურნალისტთან ერთად წავედი.

სამგლოვიარო პროცესია მთავრდებოდა, როცა შავსამოსიანი ქალბატონი მომეახლა:

— გამარჯობა, მძღოლო!

— გაგიმარჯოთ! — გავიღიმე ალალბედზე.

— ალბათ ოცი წელი გავიდა!

მარიამი მიღიმოდა..

როგორ ჰგავდა...

— ოცი? ალბათ...

— ვიცი ჟურნალისტი და პოეტი რომ ხარ, ისიც ვიცი, განსვენებულის დღიურები რომ წაიკითხე და ორივეს მესაიდუმლე გახდი...

— საიდან, თქვენი ვინ იყო?

— დედა!...

ერთი ლექსი

ქრისტესისხლა

იტალიის ეროვნულ გმირს,
ფორე (ქრისტეფორე) მოსულიშვილს

ქრისტე-ფორე,
ფიქრს ვერ ვტოვებ,
გშვენის ვარსკვლავთ რკალი...
მაჩხაანის ფერდობებზე
ქრისტესისხლა ყვავის...

სისხლისფერად მეწამული
სხივი მისდევს ღრუბელს,
არონიდან გაზაფხული
შენს სახლს მადლს
მოუვლენს...

არონიდან მოდის სევდა,
ჩემი სიზმრის ფერი...
ლილისფერი ზამბახებით
ლოცვით მოირთვები...

ლილისფერი ღამეების
სიმღერაა შენთან:
გაუმარჯოს იტალია —
საქართველოს, ერთად!

სიყვარული ვერ მოგიკლეს
ზეცა ნაფრენ მხედარს,
ტერეზინას ცრემლის მძივებს
შენს ეზოში ვხედავ...

ვუსმენ ფორეს ალიონებს,
გულს — მთვარეულ ციცარს...
დღესაც თავისუფლებისთვის
ვინც მომავალს იცავს...

ქრისტე-ფორე,
მზეს გიტოვებ...
გშვენის ნათლის კვალი...
ცივგომბორის ნისლოვანში
ქრისტესისხლა ყვავის!

თამარ შაიშმელაშვილი

პოეზია

მანანა ლაბახიშვილი

• მეფე გიორგი I-ის ეპიტაფია

,,დამკარ!
დამთავრდეს
ეს უღმერთო
ცხოვრება, პიპა!"
არრით მოვსულვარ...
იმქვეყნადაც არარა მიმაქვს...
ბევრჯერ გამწირა
თვით ღმერთმა და
მიმაგდო ეშმას...
ეჰ! გულს, ჭუჭყიანს,
ცრემლით ვალტობ,
თუმცა ვერ ვრეცხავ...

დამკარ!
სიცოცხლე არის ირმის ერთი ბღავილი...
დამკარ!
სიცოცხლე სატრფოს ერთი მზერით ფასდება!
დამკარ!
გჯეროდეს, ცის ქარაფსაც ისე ავივლი,
თითქოს მელოდეს თვალთა მისით შემოთენება!

დამკარ!
დამთავრდეს!
სულ ერთია – რაც მოვასწარი...
ამბოხს ვაწყობ და ჟამს ვეურჩი –
შლეგთა წესია:
ხმალი გავჭედე!
თეთრი მოვჭერ
მეფემან რანთა...
ყველა მოვიმკე –
რაც ვთესე და
არ მითესია!...

დამკარ!
დრო დადგა –
შაითანთან დასრულდეს ზავი!
დაჰკარ!
ჰოროლებს გულს მივანდობ...
დაე, დამისრონ!
ღირსებისათვის
ღირს სიკვდილი!
არ მიძებნია
არც უცხოეთში – ოქროს ჯაჭვი,
არც სახლში – სორო!..

დამკარ!
ბინდია თრიალეთზე...
იმიერტაო
აღარ მეგულვის საქართველოდ...
ლამის გავგიჟდე.!
კურაპალატის დიადემა რა ბედენაა?!
არჩევანია?!
საქართველოვ, მე შენ აგირჩევ!

დამკარი, პიპა!
ნუ დაუთმობ ძაღლთპირ კეისარს...
წმინდა გიორგის მოძმე
მე ვარ...
კვლავ ვწილნაყარობ...
ქრისტე!
შემინდე!
შენ გიწამებ კვლავაც მესიად,
თუნდ დამენაცროს გული, ანდა მთელი სამყარო!

დამკარ!
დარჩება საქართველოს სვეტიცხოველი....
დამკარ!
ერთი ვარ ,,უშიშარი, ვითარც უხორცო"...
დამკარ! დამწვარი ოლთისები შენ მაზღვევინე...
არჩევანია?!
საქართველო უნდა ვილოცო!

დამკარ!
დამისხლტნენ თვალებიდან მზის კალმახები!
ა ლ დ ე!
მპატიობ?!
შეგატოვებ სივრცეს მოსისხარს–
დაგელოდები! იქ, ზეცაში, სადმე ჩამოვსხდეთ,
ვერსაცნაური სიყვარული მხრებზე მოვისხათ!

დამკარი ხმალი,
რომ
დამთავრდეს
ცხოვრება, პიპა!
არრით მოვსულვარ...
სიყვარული ქართლისა მიმაქვს...

• 16 აგვისტოს თრიალეთზე გარდაიცვალა მეფე გიორგი I. სავარაუდოდ, კეისარმა მოაწამვლინა.

* * *

არავის სიჩუმეში არ შევცურავ...
მე ჩემს სიმშვიდეში შემოგიშვი...
წელს ზემოთ? – უულურჯესი მერდინია,
კოჭამდე – გაზაფხულის შეიდიში...
უნდა შემოხვიდე, მახარია,
სულს სული უნდა შეაშველო...
ნუ გაფრთხობს,
ნუ გზაფრავს, მახარია,
ეს ჩემი პოეტური არითმია,
ხომ იცი, მარტია და ჩემი თვეა,
ქალთევზა მარტივით ავირევი..
შემოდი, აქ ჩემს თვალებს დაგახვედრებ...
შემოდი, უსტარს წერენ გვირილები...
მგონი? გაზაფხულში შემოგვიშვეს...
კვირტს ხსნის – გაღმა რომ საყდარია,
ხავსი დასტყდომია წელთა სურებს,
ხშირად წვიმს... წვიმისგან ვილუმპებით...
თუმცა გვირილები ნაკვეთურში
ნესტანის მაგიერ წერილს წერენ,
გულს გულზე აწებებენ, მახარია,
გვირილებს ვერაფრით შეველიეთ...
და რამ გამახსენა მჟავე წყლები?
სნო და დარიალი, მიხარია,
ჯიხვებს თუ არწყულებენ, ბნედიანებს,
ჩვენ რად გვახელებენ მჟავე წყლები...
...არა, ქარს არ მივდევ, მახარია,
უნდა დავიმშვენო შეიდიში,
არავის სიჩუმეში არ შევსულვარ...
მე ჩემს გაზაფხულში შემოგიშვი...

ჰე, გაზაფხულო, ჩერქეზეთს მიხვალ...

შენი თვალები ხელახლა მბადებს,
შენი თითები მმატებენ ძალას,
ჰე, გაზაფხულო, მოისვრი ბადეს
და კალმახივით შიგ ამომხლართავ...
გემორჩილება სხეული თრთოლვით,
შენ ვნებიანი კოცნა შეიძელ,
ჰე, გაზაფხულო, ჩერქეზეთს მიხვალ,
მუეძინს აზანს შეაშლევინებ...
ჰე, გაზაფხულო, მიგეჩქარება,
რომ მოიტაცო ქალიც ჩერქეზის,
ნისლებს, ფარტენას, ტერფთაქვეშ უფენ –
ამგვარი ტრფობა მხოლოდ შენ გშვენის...
ჰე, გაზაფხულო, ჩერქეზეთს მიხვალ
და მე კი ცხელი კოცნით დამწინდე,
აწ ვის ვემართლო შენ გამო მითხარ,
ანდა შენ გამო ამბოხს არ მიწყენ?!
შენი ღიმილი ხელახლა მბადებს,
შენი სხივები მმატებენ ძალას...
ჰე, გაზაფხულო, მოისვრი ბადეს
და თევზქალივით შიგ ამომხლართავ...

სულკალმახ!

დალი რომ დაიშლის დალალებს,
არ შეცდე!
ქარაფზე ნუ ახვალ!
ცხოვრება უვალი ტევრია,
სიცოცხლე ტვირთია, სულკალმახ!
დალი რომ დაიშლის დალალებს
და ოქროს გადმოღვრის კლდეებზე,
არ შეცდე!
ქარაფზე ნუ ახვალ!
ხომ გითხრეს ღრუბლებმა:
ნუ ეძებ!
ნურავის ნუ ეძებ, სულკალმახ!
მავნისთვის ყველაფერს ფასი აქვს,
ქესეტად არ არის მარილზეც,
ჭრილობას მოგაყრის იაფად
ო, მერე თუნდაც რომ დამიწდე!
არ შეცდე!
მაგ ქარაფს ნუ ახვალ!
შენამდე მოკვეცენ ნაწნავებს...
ან ერთად ავიდეთ, სულკალმახ,
ლაჩრობას გული ვერ დაგვწამებს...
მოვირგე სიტყვების წრიაპი,
ლექსებიც დავკვერე, სულკალმახ!
თუმც ვიცი, მიმუხთლებს ამინდი...
ქარაფზე უჩემოდ ნუ ახვალ!...

* * *

„ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“...
გალაკტიონი

ქარნი ცხელნი ცხელ ქვიშაზე შლიდნენ წერილს...
ცხელ ქარებში ბაგე ბაგეს დაეკარა...
მზით თაკარით,
მზით ზეციერ კართა მხსნელით
ზეციური კართაგენი დაიბზარა...
თუ გამეფდა ხავერდები კუნაპეტი,
ღვთისმშობელო,
უდაბნოებს საავდრონი აუპენტე,
აპატიე შეცდომანი,
წვიმა წვეთი...
მხოლოდ წვეთი სიყვარული გაიმეტე...
ფეხშიშველი დედოფალი მირაჟია!
ირიჟრაჟებს!
განიმქრევა ხავერდები...
და ვარდების ხარდანებში
ვარდებს ვარდი დახარბდება...
აპატიე შეცდომანი.
ღვთისმშობელო!
არ იციან...
არ იციან...
არ იციან....

მე – საქართველო...

ვიცი, ვინა ვარ,
ისიც ვიცი, რატომ მყიდიან – ნიკოფსიითგან
დარუბანდით
ბეწვის ხიდია...
ვიცი, ვინა ვარ,
ისიც ვიცი, რატომ მებრძვიან –
არდაჩოქილთა სიყვარული ჩემი ხვედრია...
ვიცი, ვინა ვარ,
ისიც ვიცი, რატომ დამლახვრეს –
მაქვს ვალი უფლის
და ეს ვალი მუდამ თანმდევობს –
არდაჩოქილთა სიყვარული
ჩემი ხვედრია!
ტატოს მბრძოლ ყორანს არ ვურჩევდი
ჩემთან პაემანს,
ვეჭვობ, შმაგ ქარსაც რომ გაუმართლოს –
ჩემს ჯვალოს კაბას
ღვთისმშობელის ხელი ატყვია,
არც ვინატრიდი უკეთეს სამოსს...
ვიცი, ვინა ვარ,
ისიც ვიცი, ძალზედ ძნელია, მარტოსულობის
ზიდო ტვირთი
და არ გიჭირდეს...
ყველა აღმართი თავდაღმართად გასახედნია,
შევეჭიდები... შენი სიზიფე...
ვიცი, ძნელია,
მაგრამ ვიწყებ ისევ თავიდან –
ხორბლის მარცვალი მიწას უნდა ამოვეჭიდო...
...არდაჩოქილთა სიყვარული ჩემი ხვედრია
და
ჩემი ჯილდო.

* * *

უნივერსიტეტი... ლიზიკო გამახსენდა...
ლამაზღიმილიანი სითბო...

ქუჩამ წვიმის მძივი დასაფანტი
მკერდზე ქარის მტევნით შეისწორა...
სივრცეს, მიმოფანტულს იოტებით,
ხვრეტდა ალმასმზერის საფანტები,
როს სველი ნეონიც მიმობრიცა
შენი სილუეტის შექანებამ...
წითელი აანთო შუქნიშანმა –
ქუჩას საფერთქლები დაებერა –
აძაგძაგებული მანქანები
ჰგავდნენ გაავებულ ბედისწერას...

Cafe-ში ჩუმად იჯდა მენესტრელი...
ცხრაკლიტულ დეკოლტეთი
ქალი ფრთხილად...
(ქალი, ფრჩხილთა გრძელი
დალაქებით)...
სული ასე როგორ დალაქავდა
ცხოვრების გიშრითა და ამარტებით...
(ამას შენ როგორღაც განმარტავდი)
აქ კი, ნაავადარ სერაფიტას,
(ო, ასე გადაღლილს შუქ-ჩრდილებით),
ფრთხილად მოთვალთვალე ქალიც
ღლიდა...
იყო დარდიანი მენესტრელიც...
Cafe მიჯნურებით დაისეტყვა...
ყავის ჭიქებიდან ოხშივრებმა
ჩუმი მიმოწერა გააგრძელეს...
Cafe-ს ყოველდღიურ პალიმფსესტზე
დრომ რა დანანებით ამოტვიფრა:
უცხო და ყარიბი მენესტრელი...
ლიზიკო – ფერგამკრთალი სერაფიტა...

ასულზმანება

ასულზმანებამ!..
ავგაროზად შემოვინახავ...
ეს შემწიფება სტრიქონების თუკი
დამაცდის –
როგორც ზვარაკი,
გაბასრული ხევისბერისგან,
ფართხალებს ნისლში
ნეკერჩხალი –
ზამთრის აბზაცი!
ასულზმანებამ...
ქარბორბალა ნისლის თივთიკში
ააბზრიალებს ძოწ-ლალ თითით
ქარვის თითისტარს,
ჩამოირთვება სხვა სინათლედ
მზე – მაცხოვარი
და... სულს ზამთრამდე ასე მივიტან...
ასულზმანებამ!

ქარი... ნისლი...
ნისლი და ქარი...
ვეღარ დავაწყე ვერც ფიქრი და
გულიც მეურჩა...
ნისლის თივთიკში შემოშიშვლდა
ხე – ნეკერჩხალი...
ჩამოუსტვინა სადღაც შურთხმა...
და ცაც შეუნჯდა.....
როგორც ზვარაკი შეწირული
ხევისბერისგან
ფართხალებს ნისლში ნეკერჩხალი –
ზამთრის აბზაცი...
ასულზმანებამ!
ტვიფრ-ხატებად შემოვინახავ
ეს შემწიფება სტრიქონისა
თუკი დამაცდის...

ლეილა ჯახველაძე

ლეილა ჯახველაძე
(ლელა ფრონელი)

ლეილა ჯახველაძე შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის მწერალთა ორგანიზაციის წევრია. მას, ახლახან, საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწყვეტილებით, ქართულ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისათვის თამარიონის ენდალმა მიენიჭა...

ძვირფას ქალბატონს დიდი მეფის სახელობის სიგელი სწორედ თამარ მეფის მიერ აგებულ გორის ციხესთან გადავეცით, იქ, სადაც გმირების მემორიალია აღმართული და შიდა ქართლელთა რწმენის განსამტკიცებლად დიდებული ღვთისმშობლის ტაძარი გადმოგვყურებს.

დიდ პატივს ვცემ ქალბატონ ლეილას, რომელიც ყოველთვის ჩვენ გვერდითაა, არ იზარებს ხაშურიდან ჩამობრძანებას და ჩვენს ლიტერატურულ საღამოებში მონაწილეობას.

მისი პირველი წიგნის რედაქტორი ნოდარ ტაბიძე გახლდათ: „ნიჭიერ ქალბატონს არ ეძნელება თხზვა. თითქოს თავისთავად მოდის სათქმელი. მაშინაც კი, როცა ფილოსოფიური გააზრება იწევს წინ.

ლეილა ჯახველაძე ორიგინალურად ხედავს მოვლენებს, ფაქტებს. იგრძნობა ბუნებაში შთანთქმის დიდი სურვილი. მიმზიდველზე მიმზიდველია არაერთი ტაეპი. წაიკითხეთ და თავად დარწმუნდებით“, – ეს სიტყვები ბატონ ნოდარს ეკუთვნის, გენიალური გალაკტიონის ძმისშვილს.

„რა გამაძლებინებს, რომ არა ეს მთები!
მე ჩემი პატარა ქალაქის მზით ვთბები“.

რა გინდა თქვა ამაზე უბრალოდ და პოეტურად? მხოლოდ ერთს დავამატებ – მიხარია, რომ ასეთი პოეტის თანამედროვე ვარ!..

პოეტი დავით ახლოური,
შიდა ქართლის, ცხინვალისა და ახალგორის
მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე

ო, ლურჯეკალავ...

ცა მოირკალა
და წვეთები
დაუშვა ქშენით...
ციდან
სარტყელი ჩამოგიხსენ
მაგ წელის მშვენი.
რადა ხარ აგრე
უწყალო და
ტკივილის მჩენი?
ო, ლურჯეკალავ,
თაიგული მინდოდა შენი...

* * *

შეატმისფერდა ცის კიდე,
არმურში ამოდ ნავლები,
ბაჯაღლოს გვირგვინს მოიხდენს
ეს, ტანშეშლილი ალვები...
გაიცრიცება მთის ქიმზე
უძილო მთვარე, ნამლევი...
ზვრები,
მზეს,
სულში ჩაიძვრენს
ზღაპრულ თავგადასავლებით...
ზურგქარი მიდგას თავდებად,
ველი მაქვს გადასავლელი
(ნუმც იჯეჯილებს მტრის ხატი!
პირჩალაგამოსავლები)...
„ღადარა“ წყაროს ჩავირბენ,
სულმოსათქმელად დავლევდი!...
ლურჯ, საგვირგვინე ღიღილოს
მოვწნი,
განს შემოვავლებდი...
– სამყარომ, ვით გადაწონოს
ეს ერთი ციცქნა ავლევი?..

ქრისტეშობა

კამკამებს მთვარის ღამის სათევი,
იფრქვევა შორი ბეთლემის ნათელი,
კანდელში ციალებს უშქარი სანთელი...
მოგვებს მოჰქონდათ მური და საკმელი,
ოქრო და გუნდრუკი...
ყრმას ადგა ნათელი...
სამყაროს ეხურა სპეტაკი ცა – მრთელი...
ყრმის დედას შვენოდა მზის შარავანდედი!..
...კამკამებს მთვარის ღამის სათევი,
სამყაროს ახურავს სპეტაკი ცა – მრთელი.
მრავალგზის იფრქვევა ბეთლემის ნათელი...
ტაძარში ანთია უშქარი სანთელი,
ყრმის დედას შვენდება მზის შარავანდედი...
ძე – ღვთისას ჟამით ჟამამდე ნათელი!

* * *

შემო
შემოდგომავ,
ღია კარში...
შენ თუ გამომარჩევ
ფერად ქარში...
ფონი ქარვისფერი მირჩევია!
სუნთქვა ამერია
საკუთარში...
ახლა,
ყვავილები იმფერია –
დილით დასკუპდება
რომ ცის კარში!
ნეტა, გამომარჩევ
ფერად ქარში?..
შემო
შემოდგომავ,
ღია კარში...

გარდამოხსნა

ტაძარში
ახლა უამრავი
სანთელი იწვის,
მოიწევს ბინდი...
ჩემი გული
მწუხრის ბადეა...
უფლის ღირსების
გათელვა და
წამება მიწყივ,
ამაზე მეტი საწუხარი
რა მაბადია?

ჩემი ტკივილი
იმ ტკივილთან
მეტად მცირეა,
ჩემი დილემა,
შედარებით
უფრო მარტივი,
ვიცი,
გაქცევით
საკუთარ თავს
შორს ვერ წაუვალ
და ჩემი უფლის
ფერხთან ვდგავარ
მევე მარტვილი.

...უკვე მეექვსე ჟამი დგება,
ცაა ქუფრული
და გარდამოხსნის
რიტუალი
ისე მძაფრია...
თითქოს ერთბაშად
გადაიხსნა
ყველა უფსკრული!
კვლავ
სინანულის საწყაოთი
ამევსო სული...

ტაძარში უკვე
კელაპტარი
ციმციმით დნება!
როს ზეციერი მამაღმერთის
აღსრულდა ნება
და როს გამენდო
გოლგოთიდან ბეთანიამდე,
ქრისტეს აღდგომა
უწრფელესი გულით ვიამბე...

* * *

ქართლში პირველი
კვირტის გაშლიდან...
ბალახ-ბულახის
ქეჩად აშლიდან...
ვაშლის ყვავილის
გაშლის წამიდან...
სველი ბაქნიდან,
ფიქრის სამნიდან, –
ამ, მტევანსავსე იასამნიდან...
ოდეს, ვინც
„ქართლის წყალი დალია“...
შერჩა კი ვინმეს,
დღეს „პირისწყალი“?...
ძლივს გადარჩენილ
ნელ-თბილ ღადარში,
მინავლებული
თვლემს ნაპერწკალი...
ვაშლის ყვავილის
გაშლის წამიდან,
თვალი მიჭირავს
კენწეროსაკენ...
დენთით და ღველფით
დაფლეთილ ზეცას,
ზღაპრის თერძები
ვერ დაკემსავენ...
ვაშლის ყვავილის
გაშლის წამიდან,
მწვანეშემოსილთ,
თუნდა ხრიოკებს,
– ასცდეს, უჟამო
ქარების რისხვა!..
ყელში მობჯენილ სულს
ძლივს ვიოკებ...
ხან უმკაცრესი
მერგება მსჯავრი...
ზოგჯერ იმედი
გულში იოტებს...
ხან ბულბულები
მიტკბობენ სმენას,
მიწევს ვუსმინო ხან
მიკიოტებს...
...წესად, მაისიც
წვიმებს აიტეხს...
– ეს გაზაფხულიმც,
წამლად რგებია!
ნეტაი, რუხი
ღრუბლების კოლტი,
საგაისოდ თუ
წალაგდებიან?...

ერთაწმინდის იდუმალება

ერთაწმინდის ტაძრის კედელში განისვენებს
შაჰ-აბასის მიერ გიორგი სააკაძის უმცროსი
ვაჟის, – პაატას მოკვეთილი თავი

რა უხარიათ ერთაწმინდის
ტაძრის ბილილებს?
უცხოეთიდან სამშობლოსკენ,
თვალმოციმციმე
პაატას ჩანგის ხმა მოჰყვება
უგზო ბილიკებს!
მე ტყვე ვარ ფერმკრთალ ათინათის, –
აქ რომ ციმციმებს!
რა ქარტეხილი
ან რა ჟამი გამოვიძინე,
ოთხასი წელი მაცილებს და
ჯავრს ვერ ვიცილებ!
კედელს მივეკარ...
ვიუარე გლუვი სიცივე,
ქვის სასთუმალის, გულზე მაწევს
ლოდის სიმძიმე...
და მწუხარების მარგალიტნი
ამოვიმძივე...
შენს ნააკვნარზე იყვავილებს
აღდგომისფერი,
აქ შენი ნატვრის სამოთხეა,
ჯადოსნურ ფერის
მამული – წმინდა სალოცავი,
სამყარო – ვრცელი...
დარდდაუცლელნი წვანან, აგერ,
ოთხასი წელი...
გაუხარიათ ერთაწმინდის
ტაძრის ბილილებს, –
პაატას ჩანგის ხმა მოჰყვება
უგზო ბილიკებს...

ფ ი ქ რ ი ს უ ფ ლ ე ბ ი თ...

გაფითრებულ მთა-ველებს,
მზევ, ნუ დაეუბრები!
აკმარე თუ ნამტრები
ვერ ავყარე ღრუბლები...
მრუდე ბეჭით არბიეს
ჩემგან ნანებივრები
კესანეთა ველები,
ღიღილოთა მინდვრები...
თავზე გადაადინეს
წლის უჟამო ურვები...
და სიძველით ნაძენძი
დაწყდა აპეურები...
იმ ღვთივ ბეჭედდასმულ დღეს
სისპეტაკის უფლებით, –
შობის ღამეს შემოსავს
ფანტელები უთვლელი...
თითბრის მთვარე ელვარებს
ცაზე თავისუფალი...
და ჩვენ ღია საკანში
ვზივართ
ფიქრისუფლებით...

აკაციები

აკაციებო, აკაციებო,
მოატმისფერო მზეტაციებო...
– აკაციების მოტკბო მტევნები,
ტანზე ეკლები, ვით სატევრები
(ეს გატაცება მომეტევება)...
მოიისფერო, მოთაფლისფერო,
აკაციები ვარდისფერები,
მყიფე, ზე-მკლავით! ფართო ფორებით,
ჯადოსნურ ფერის ომოფორებით...
შორი-შორფრენენ მფრთხალი ქორები!
ზედ ბულბულები განახელები...
ტანაღერილი ღვალოს ღერები.
შამბი, ნარი და ჭინჭრის ხელები!
სისხამზე, მოლის სველი ფერები,
იქვე – ლიკლიკა, სანდო ღელეთი,
ფუტკრის ზუზუნა მისამღერებით...
მარადიული
თბილი ცი-ებით...
ჩემი ბავშვობის მზეტაციები,
თაფლისთვალება აკაციები...
ჩემთვის ძმები და თქვენთვის ძიები...
აკაციები... აკაციები...

* * *

მოხდება
ზოგჯერ,
მზეს ედება
ოქროს ურდული...
ამ დროს
მე ჩემს თავს
ვგავარ დასავით
და უამრავჯერ
(მიზეზთა გამო),
ტყუპისცალი ვარ
საავდრო ღრუბლის,
სუნთქვაშეკრული
და შესუდრული...
საგნებს
ადგილი ეკარგებათ,
ცაა უნდილი...
ხან უნიათოდ
შემაფხიზლებს
სიო – ქურდული,
ხან მბორკავს
ფიქრი აწეწილი,
ხან აბსურდული...
– ეს მაშინ,
როცა
მზისთვალს ადევს
ოქროს ურდული.

კახეთის ზეცა

სიმშვიდის მესხა მანტია,
სულს ქარიშხლები სძალვიდნენ.
მენიშნა, ნეკრესის ზეცას
ღვთის ხელი მოაზარნიშებს...
მზის ჯამში კახეთს ხვითქი სდის,
ჩამოდნა ვაზის სურნელი.
ალაზნის ჩქერებს ავუბი
ცის კართან თევის სურვილი...
ღვთიურ შვენებას შევხარი,
ვაბამ ავგაროზს თვალგიშრის –
იყალთოს „ღვთაების“ კალთას,
რუსთველის სხივის მადლითშლილს...
შორს ალავერდი ქათქათებს!
გრემს – ნაგზაური მიქრება...
„მთავარანგელოზს“ ვევედრე,
ჟამს დამაწია ფიქრებმა...
ციაგებს წმინდა სანთელი,
გული ცვილივით ლბილდება.
სამშობლო ხატად ვიწამე!
ლოცვა წყალივით მინდება...

ი ს ე ვ...

მე ჩამოვქსოვე
სულის ლურჯი აბრეშუმები,
ბეცი ღრუბლები
ტანისტეხვით
მეტანებიან...
მეტად ვნებიან
მტევარ ქარებს
არ აქვთ საჭე-ნი,
დღეს გაცრეცილი
ტირისდენი
მოჰგავს ფეთიანს...
ხომ მუნჯია და
რომ მეგონა,
ფეხაუდგმელი –
მემილიონედ
დათავქვევდა
სევდაუთქმელი...
დავისამკუთხე
სულის ლურჯი
აბრეშუმები
ცისფერი ქოლგით,
ქარნავალი
თებერვლის მოვლით,
თიბათვის მზით და
მდელოთი და
ღვთის სიტყვით,
ყოვლით...
და ჩამოვქსოვე
ისევ,
სულის აბრეშუმები...

ნინიკო მშვიდობაძე

MON AMOURE

მონმარტრი...
ფეხებში ვედები ხეივანს...
ცა ჩემი სახლია,
მე ციდან მოვედი...
და ვგავარ ვარდისფერ პელიკანს -
ხუჭუჭა ვარხვების კორტეჟით...
მხატავენ ON AMOURE...
ხან ვტირი,
ხანაც კი – ვიცინი...
და ვიცვლი მიმიკებს...
ფეხებთან მიყრიან მიმოზებს...
არ მიყვარს მიმოზის სიყვითლე...
ჩახლეჩილი ხმით მღერის:
MALO-ო,
NOTRE DAME-თან
კი AVE MARIA-ს გალობენ...
თეძოების რხევით მივყვები
MONMARTRE-ს და
ვიცი,
რომ გნახავ,
თვალებზე გაკოცებ...
თვალებზე,
ტუჩებზე მრუში რომ ყოფილა,
გიჟდება მონმარტრი,
ფეხებით ვედები ხეივანს...
ჩვენ ვცეკვავთ „სულის გზას“ –
რუმბაა –
მე ვგავარ ვარდისფერ პელიკანს...
ეს მე ვარ –
მისტრალი –
პოეტი სიკვდილის...
კი ცხოვრების სიმცირეს მისტირის...
MONMARTR
მჩუქნიან მიმოზებს...
მიყვარხარ...
ვერ გიტან...
გიზოგებ...

რეზინის თოჯინები (დედას)

ჩავიბრუნე თვალები უკან...
ჩავიბრუნე თვალები უკან და
ჩემი ბავშვობა დავინახე:
გადაყვლეფილი მუხლებით,
კიკინებით,
გულუბრყვილობით.
რა მიამიტურად იოლია ბავშვობა...
ღმერთო, ნუ გაათენებ ამ ღამეს დიდხანს;
ღმერთო, გააგრძელე ეს ღამე დიდხანს,
რეზინის თოჯინები უნდა დავისიზმრო
სულს რომ კარი ჰქონდეს,
არასოდეს დავკეტავდი...
ამომდიოდა სული ნისლივით ყოველი დილით
და მთებს ვედებოდი საბურველად.
სულს რომ კარი ჰქონდეს,
არასოდეს დავკეტავდი...
თვალებს უკან ვიბრუნებ,
თვალებს უკან ვაბრუნებ და
ჩემ ბავშვობას ვხედავ:
დედობანას თამაშით ისე გართულს,
რომ რეზინის თოჯინა ნამდვილი მგონია და თოთო
ძუძუს ვაწოვებ...
ღმერთო,
დიდხანს არ გაათენო ეს ღამე;
ღმერთო, დიდხანს გააგრძელე ეს ღამე,
რეზინის თოჯინები მინდა დავისიზმრო...

ბებოს იავნანა

და მთელი ცხოვრება რომ მიუყვებოდა
შეღმართებს...
დაღარა წლებმა და სევდამ და ტკივილმა...
და ახლა, როდესაც მის ხელებს სუნი აქვს
ახალამოსული ბალახის,
შვილიშვილს აძინებს ისე უჩვეულო იავნანით,
ისეთი სიტყვებით,
რომ მინდა მეც ვიყო პატარა,
ძალიან პატარა და გულში ჩამიკრას...
ის კი ზის, შვილიშვილს უმღერის ნანინას
და ჩუმად ღიღინებს:
დაიძინე, ჩემო ყველავ, ხვალის იმედო,
დაიძინე, მზის ამოსვლავ, ღამის თენებავ.
იავნანა, ვარდო ნანა, ნანა ნანინა,
ჩემი ფიქრი და ოცნება შემოგევლება.
დაიძინე, მზეჭაბუკო, თვალებციმციმაო,
შენი ძილის დარაჯი ვარ მთელი ცხოვრებაო.
იავნანა, ვარდო ნანა, ნანინანინა,
დაიძინე, გენაცვალე, შენ პაწაწინა... –
და ვზივარ ფანჯარასთან,
ისე, რომ ვერ მამჩნევს და ვუსმენ...
და სული მითბება...
ის მიუყვებოდა ცხოვრების შეღმართებს...
და ახლა, როდესაც მის ხელებს
ახალამოსული ბალახის სუნი აქვს...
შვილიშვილს აძინებს ფაქიზად
და ბებოს იავნანას უმღერის:
ღმერთო, გამიზარდე სასახელო!

ფუფალას საკითხავი

ფუფალა ქალო,
ამ გაზაფხულზეც გამოიტირე შენი
ბედდამწვარი სიყვარული...
საგულდაგულოდ გადამალე დარდი,
რომელიც თვალის უპეებთან გაგყუჩებია.
არავინ დაგინახოს ლოყაზე ღარად ჩამომდინარე
ცრემლი –
სადაა შენი ფერუმარილი ან
კიტრის ნათალი,
საცხი წაიცხე და მზეს მიუშვირე სახე,
რომ ადამიანებს ერთი ჩიტირეკია ქალი ეგონო...
ქუსლებგადაბრეცილი ფეხსაცმელებით შემოიარე
სოფლის ყველა ორღობე თუ შუკა და
ხანდახან,
შაკიკის ლოცვებიც წაუკითხე
ქმრების ბუზღუნისგან თავმობეზრებულ ქალებს.
ქოლგა გაშალე, ფუფალა,
მარადიულად 16 წლის გოგო,
გაშალე შენი დაგლეჯილი,
ფერადი ქოლგა
და სიმღერ-სიმღერ დაასრულე ცხოვრების მთელი
იწილო-ბიწილო.
ამ გაზაფხულზეც
მემილიონედ გამოიტირე,
გამოიგლოვე შენი გამოგონილი სიყვარული,
საკუთარი თავიც რომ დააჯერე მის არსებობაში.
ხშირად ისიც კი არ ვიცით,
ჩვენ ვართ თუ არა...
შენ კი,
რა ძალა გედგა ასეთი,
ნინორესაც რომ ნამდვილი ეგონა შენი შიოლა...
იარე,
სახე მზეს მიუშვირე,
ქოლგაც ატარე და ქუსლებდაბრეცილი
ფეხსაცმელებიც,
ფერუმარილიც წაისვი და
კიტრის ნათალიც,
იმღერე კიდეც:
ლა, ლა, ლა, ლა, ლა...
შენ ხომ ყველაფერს იხდენ და ყველა ფერიც
გიხდება,
ოდესღაც შენც ხომ მიაგავდი ბროწეულის
მზისფერ ყვავილს,
ჩემო დღედანაცრებულო ქალბატონო,
მარადიულად 16 წლის სულმშვენიერო გოგო,
მახსოვრობაში მბჟუტავი კვარივით შემორჩენილო
სოფლის მშვენებავ,
ფუფალა ქალო,
გამოიტირე შენი ბედდამწვარი სიყვარული და
თვალის უპეებში მიმალული სევდით დაასრულე
ცხოვრების იწილო-ბიწილო...
შენ, ვისაც შიოლა კი არა და
დამტირებელიც არა გყოლია.

პროზა

სოლომონ ნეიბაძე

სიკვდილი აფთიაქში

ნამდვილი ამბავი

პროლოგი ქვემოთ, ეპილოგის ადგილასაა

– ყავა მაინც დამალევინე სადმე, შე კაცო! არ მომკლა შიმშილით?!... – ქალმა კაცს გამოხედა და ქეჩო მოუქექა. ორმოციოდე წლის კაცი მანქანას აუღელვებლად მართავს. ცოლი ქმარზე უმცროსი ჩანს. სამწლიანი, ხუთწლიანი თუ მეტწლიანი განსხვავების გამოცნობას ახალგაზრდა ქალის თვალშისაცემი სილამაზე აძნელებს.

– ამინუჩი,• ამხანაგო სიყვარულო! – სამხედრო სალამი აუღო კაცმა. – რაღა შენ გაწყენინო, ცოტა ძაღლი და მამაძაღლია ქვეყანაზე?! – მანქანამ მთავარი გზიდან სოფლის გზაზე გადაუხვია. გზის მაჩვენებელზე დანა-ჩანგალი ეხატა. ხუთ კილომეტრშიაო რესტორანივით დაწესებულება, ამცნოთ შემდეგმა მაჩვენებელმა.

ერთ-ერთ მოსახვევში გზიდან გადავარდნილი, ხეზე ცხვირით მიჭყლეტილი მანქანა შეამჩნიეს. კაცმა, ლურსმანივით დააჭედაო, რომ იტყვიან, ისე დაამუხრუჭა. ცოლ-ქმარი მანქანისკენ გაიქცა.

მძღოლი კარის გაღებას ცდილობდა. კარი დაბალ ლოდს იყო მიბჯენილი. არ იღებოდა.

– კარგად ხართ? – ჰკითხა დასახმარებლად მოსულმა.

– გმადლობთ, კარგად. ტაისონს• დავანგრევ, ისე ვარ. ოღონდ, კარს ვერ ვაღებ. – გაუღიმა თვალებმოჭუტულმა მძღოლმა დასახმარებლად მისულებს.

– მოიცათ! – კაცმა მეორე მხრიდან მოუარა მანქანას. – არც მეორე კარი გაიღება. ხის ნაძირზეა მიბჯენილი. მოგიწევს ფანჯრიდან გადმოძრომა. მოაპოტნიე, აპა, დედამიწა?!.. – წასცდა ქართულად და შენთვის უცხო ენაზე ვიხუმრეო, – აუხსნა გაკვირვებულ მძღოლს.

წუთიც და მძღოლი ცოლ-ქმრის წინ იდგა.

– კურდღელი გადმომიხტა. ძლივს ავაცილე... კურდღელი გადარჩა, მე კი ხრამში კინაღამ გადავფრინდი. – კაცი ოცდაათიოდე წლის თუ იქნება. შეიძლება, ოდნავ მეტის.

შავთვალწარბა მძღოლს ერთი სასიამოვნო, თვალშისაცემი უცნაურობა ემჩნევა – მარცხენა წარბის ნახევარი თეთრი აქვს. უცნაურობა რაღაცნაირ სილბილეს მატებს ძალიან დაკუნთულ ახალგაზრდა კაცს.

– ეს მანქანა გამოსაცვლელი იყო მაინც. – კაცმა კარი ოდნავ, რამდენზეც შეიძლებოდა, გამოაღო და მინა ასწია. – საღამომდე აქ მანქანები იშვიათია. საღამოობით რესტორნის სტუმრები თუ გაივლიან. თქვენ? – შეანათა კითხვისნიშნიანი თვალები ცოლ-ქმარს.

– მოგვშივდა და ვიფიქრეთ, შევჭამდით რამეს.

– თუ მადლს იზამთ და რესტორნამდე მიმიყვანთ, ძალიან დამავალებთ. ამას მერე მივხედავ,– გადახაფრული მანქანისკენ გადააქნია თავი.

– კი, ბატონო. დაბრძანდით! – კაცმა ცოლს წინა, ახალ ნაცნობს კი, უკანა კარი გაუღო. – არსად გვეჩქარება. აქედან ერთი საათიც არ გვინდა სახლამდე. თუ გინდათ და თუ ძალიან შორს არაა, წაგიყვანთ, სადაც მიდიოდით. ან, სახლამდე მიგიყვანთ. ოღონდ ჯერ ვისადილებთ, კარგი?

– რესტორნამდე საკმარისია. ისაა, ფაქტობრივად, სახლი. ვხედავ, ჩემი არ იყოს, არც თქვენ ემორჩილებით სადილ-ვახშმის დადგენილ წესებს. სადილისთვის გვიანია, ვახშმისთვის ძალიან ადრე. – ახალგაზრდა კაცმა სარკეში გაუღიმა მძღოლს.

– ბაბუას წესს მივყვები. ჭამდა, როცა შიოდა. წვებოდა, როცა ეძინებოდა. დგებოდა, როცა ეღვიძებოდა. ძალიან ადრე კი იღვიძებდა... – მძღოლმაც გაუღიმა სარკეს.

ცოლ-ქმარმა მცირედით წაიხემსა. ვახშმადაც აქ დავრჩეთო, როგორც ყოველთვის, მოულოდნელად დაუფიქრებლად გადაწყვიტეს. სოფელში ფეხით ისეირნეს. სოფლის ბარში ყავა დალიეს, ბარმენის მიერ შეთავაზებული იქაური მწარე, მაგრამ ძალიან გემრიელი სასმელი გასინჯეს და გეზი უკან, რესტორნისკენ, აიღეს.

სასეირნოდ წასვლამდე ოფიციანტ გოგონას დაუბარეს – თქვენი კუთხის კერძებს და ღვინოს გავსინჯავთ, თქვენს შეხედულებას და გემოვნებას ვენდობითო.

რესტორანში მათთვის შეხაზირებული მაგიდისკენ მიმართულები ნაავარიებმა ნაცნობმა შეაჩერათ, თუ არ შეგაწუხებთ, თქვენთან ერთად ვივახშმებო. ცოლ-ქმარმა ერთად გაუღიმა თანხმობის ნიშნად.

ვახშმობა სასიამოვნოდ დაიწყო. კაცმა მეუღლის ჭიქა ღვინით შეავსო. ახალ ნაცნობს, გულში „წარბად“ რომ მონათლა, ჰკითხა, თქვენც თუ მიირთმევთო. წარბამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. კაცმა კიდევ ორი ჭიქა შეავსო და თავის ჭიქას სინათლეზე გახედა. ყურჭე• ალუბლისფერ ღვინოს საამო სურნელი ჰქონდა.

– ჩვენ, ცოტა არ იყოს, უცნაური ხალხი ვართ. ღვინის დალევა სადღეგრძელოს გარეშე გვიჭირს. ჩვენს შეხვედრას გაუმარჯოს! – თვითმარქვია თამადამ ჭიქა ჯერ წარბას მიუჭახუნა, მერე მეუღლეს და დალია. მათაც დალიეს.

თამადამ კიდევ შესვა რამდენიმე სადღეგრძელო. წარბა ღიმილით და გაფართოებული თვალებით უსმენდა და, უნდა ითქვას, ყოჩაღად სვამდა.

– ძვირფასო! – ცოლი მორიგ სადღეგრძელოს შეუერთდა და ჭიქა ბოლომდე დაცალა. – მანქანის ტარებას თუ აპირებ, შეამცირე ალკოჰოლის შემავალი დოზები. ღვინო ისე მომეწონა, უნდა დავლიო...

– მოდით ჩვენი დები, ჩვენი ძმები და ჩვენი მშობლები დავლოცოთ! – მორიგი სადღეგრძელო წამოიწყო თამადამ.

— დაგილოცავ, კეთილო ადამიანო, და-ძმებს და მშობლებს. ჩვენში ცალ-ცალკე ვამბობთ მათ სადღეგრძელოს. ახლა ერთად დავლოცოთ!. — წარბას სახეზე ჩრდილმა გადაუარა. თვალებით მოპირდაპირე კედელს მიელურსმნა. ცოლ-ქმარი ხმას არ იღებდა. გაურკვევლობის ჩრდილი დაედოთ. იგრძნეს, ძალიან მგრძნობიარე, ტკივილამდე მგრძნობიარე სიმს შეეხნენ. თითქოს გაწელილი სიჩუმე იჩოთირაო, წარბა შეცეცდა და შეცვლილი, ოდნავ გასაგონი ხმით ალაპარაკდა.

— ორი და და ერთი ძმა ვიყავით. ძალიან პატარები მიგვატოვა დედამ. მამა,ოცდაათიოდე წლის ახალგაზრდა კაცი, გულით დაავადდა. რამდენიმე თვე უთმინეს და სამუშაოდან გამოაგდეს. ვის როგორ მოუხერხდებოდა, გვეხმარებოდა — ხან ვინ და ხან ვინ. ბავშვები ხშირად ვშიმშილობდით. პატარა დას ჭლექის დიაგნოზი დაუსვა ექიმმა. უფროს დას კი, — სიცხიანი იყო იმ ავადმოსაგონარ დღეს,— ფილტვების ანთება. მე,სულ შვიდიოდე წლისა,კი ვიყავი კარგად,ოღონდ შიმშილს ტკივილივით ცრემლით ვებრძოდი.

მამასთან ერთად მოსულმა ექიმმა წამლები გამოწერა — ბევრი წამალი გამოწერა და წავიდა. მამა ჯერ ერთ მეზობელთან გადავიდა, ფული მასესხეო. არ ჰქონდა მეზობელს. არც მეორე მეზობელს ჰქონდა. კვირა დღე იყო. უხლოესი ორი აფთიაქი ისვენებდა. რაიონის ცენტრის აფთიაქი მუშაობდა მხოლოდ. კი იყო ღია,მაგრამ წამლებს,თან ამდენს ერთად,უფულოდ ვინ მისცემდა?!..

ახალგაზრდა მამას, წლების წინ, მაშინ ჯერ კიდევ უცოლოს, მეგობარი დაადგა გვიან ღამით სახლში. უახლოესი მეგობარი. მათი საერთო ნაცნობის მანქანით მოვიდა. სთხოვა,ერთ საჩხუბარ საქმეზე წაჰყოლოდა — მეგობარს ფული დასტყუა ნაცნობმა,ვისთან ერთადაც ავტოსარემონტოს გახსნას აპირებდა. ამან ბანკიდან სესხად გამოიტანა თავისი წილი და მეწილეს ჩააბარა. ის წავიდა და დაიკარგა. მეგობრები ყველგან ეძებდნენ გადამგდებ ნაბიჭვარს. ერთხელ ნაცნობებმა შეატყობინეს, მეზობელ რაიონშიაო, ერთ ოჯახში. წავიდეთ, უნდა დავაკლაო თავის უნამუსობას! მამას ფეხი ჰქონდა ნაღრძობი. მაინც მიჰყვებოდა,მაგრამ მეგობარმა არ წაიყვანა. გამოქცევა დაგვჭირდებაო. მანქანით ვერ გამოვიქცევით — ამ პატიოსან კაცს შარში ვერ გავხვევო... წავიდა მეგობარი მარტო. რამდენიმე საათის მერე,გვიან ღამით მობრუნებულა. ეს იარაღი შეინახე,არავინ ნახოსო... ამას იარაღი მანქანის ზეთში დასველებულ ჭინჭებში გაუხვევია, გარედან მანქანის კამერის ნაჭერი შემოუჭერია და სახლის უკან დაუმარხავს.

იმ დილით, სანამ ექიმთან წავიდოდა, „ჩაი“ დაგვალევინა — ცხელი წყალი დასხა ველური ჩაის ფოთლებს. „ჩაის“ ტოტები ადრე ჰქონდა მომარაგებული, კედელზე მიკიდებული. ცოტაოდენი შაქარი წინა დღით აწაპნა სასაუზმეში,სადაც ნაცნობმა დაპატიჟა ჭიქა ღვინოზე. ერთი კვირის სამყოფია შაქარი,თუ ნახევარ კოვზზე მეტს არ ჩაგვიყრის. ამის გარდა, ერთი ვაშლი და ერთიც მსხალი წვრილად დაგვიჭრა — დიდი ხანი მოუნდებიანო ჭამას.

პატარას გაბმული ხველა აუტყდა. მამამ თავი დაუჭირა და დალაქავებული რუხი ჩვრით,ერთ დროს თეთრი რომ იყო, ნახველი მოსწმინდა. ნახველს ამოყოლილი სისხლის დანახვაზე გული გაუჩერდა. ისედაც სუსტად მფეთქავი მანკიანი გული სულ გაჩერდა. გეგონებოდათ, შესასვენებლად ჩამოჯდაო. პაუზა ზომაზე დიდხანს გაიწელა. იმდენად დიდხანს, რომ ეგონა, ყველაფერი დამთავრდა. გაჩერებული გული უცებ ისე ძალუმად ამუშავდა,რომ კაცი შექანდა. მაგიდის ძგიდეს მოეჭიდა. ცოტა ხანს იქანავა. ბავშვების შეშფოთებულმა სახეებმა გამოაფხიზლა. ოთახიდან გავიდა და სახლის უკანა კედელზე მიყუდებული ბარი აიღო. რამდენიმე წუთში საკუჭნაოში იდგა და ხელში წლების წინ ჩამარხული პისტოლეტი ეჭირა.

— მეგონა,მამა სათამაშო პისტოლეტს კოცნიდა თუ ღეჭავდა. — წარბას სახეზე ზრდილობის ღიმილი გაქრა. ნაღვლიანი, გადიდებული თვალებით უყურებს სმენადქცეულ ცოლ-ქმარს. — მისმა თვალებმა შემაშინა... არ იყო მამის თვალები. არც გუგა ეტყობოდათ და არც მუქი სიცისფრე. არ მახსოვს, ვიბღავლე — არ მახსოვს, ვიკივლე... რაც მახსოვს და არასოდეს დამავიწყდება, მამის თვალებია. ერთდროულად, უიმედობით და სირცხვილით ავსებული. მაშინ შვიდიოდე წლის ღლაპმა ამდენი არ ვიცოდი. მერე, დიდობისას მივხვდი. — ახალგაზრდა კაცს არც ხმის ინტონაცია შეცვლია, არც ნაღვლიანი ღიმილი. — მამამ პისტოლეტის ლულა პირიდან გამოიღო. პერანგზე რამდენჯერმე გაისვ-გამოისვა, გაამშრალა და უბეში შეინახა. მერე თავზე ხელი გადამისვა, შენი იმედი მაქვსო, მითხრა და ოთახიდან გავიდა. — წარბა ცოლ-ქმრის ზურგსუკან კედელს უყურებდა. გეგონებოდათ, კედელზე კითხულობს ან კედელთან მდგარ ვიღაც უჩინარს ელაპარაკებაო.

— წარმომიდგენია, ექიმთან მისული მამა, ნელა რომ უმარცვლავს გაკვირვებულ ექიმს: ექიმო, ახლავე თუ არ წამოხვალთ და შვილებს არ გამისინჯავთ,ან თქვენ მოგკლავთ ან თავს მოვიკლავ! ორივეს სიკვდილი არ გამოვა, ერთი ტყვია მაქვსო მხოლოდ, პისტოლეტში.

წამოჰყვა ექიმი. გაგვსინჯა. წამლები გამოწერა. ჯიბიდან წვრილი ფული ამოიღო, მაგიდაზე დაყარა. მეტი არ მაქვსო, მამას შეხედა და კარისკენ წავიდა. გასვლამდე მოტრიალდა. „ამ სოფლიდან გაქცევა არასოდეს გაბედოთ, ყმაწვილო,გაქცევა სისუსტეა და სილაჩრეო!“ — მკაცრი სახით ჩაუმარცვლა და გავიდა.

— მა,პური იყიდე,რა! — უფროსი დაიკო თვალებით ჭამს მაგიდაზე დაყრილ ფულს.

— მა,მე კამფეტი მინდა! მიყიდი? — ყველაზე პატარას კამფეტმა ხველა დაავიწყა.

— კარგი,კამფეტი უყიდე. — უფროსი დაიკო უმცროსს უყურებს. — და,რაც მორჩება,იმით პური იყიდე,რა,მა!

— მე აფთიაქში წავალ. შენ მაღაზიაში გადადი. ცოტა კამფეტი იყიდე და დანარჩენის პური მოგცეს. — მამას კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა,მაგრამ გადაიფიქრა. რეცეპტები ერთმანეთზე დაალაგა,გულის ჯიბეში ჩაიდო და გარეთ გავიდა. იმის მერე მამა აღარ მინახავს...

ცოლ-ქმარი გაუნძრევლად უსმენს მოსაუბრეს. ქმარმა ხელის მაშინალური მოძრაობით ღვინო დაისხა და დალია. ცოლის გაკვირვებული და კითხვის ნიშნებით სავსე თვალების დანახვაზე, ჯერ ცოლს შეუვსო ჭიქა, მერე წარბას, დაბოლოს, თავისი ჭიქა შეავსო.

— მერე? — წასცდა დაუფიქრებლად და მაგიდაზე ცოლის ხელს მიეფერა.

— როგორც ეკრანზე,ისე ვუყურებდი. ცხადად ვხედავდი, როგორ შედის მამა აფთიაქში. დახლზე რეცეპტებს აწყობს. აფთიაქარი გოგონა წამლებს მოუტანს,ქაღალდის პარკში ჩაულაგებს და თანხას ეუბნება, ამდენი და ამდენი უნდა გადაიხადოთო. ამას ფული არ აქვს. ნისიად გამატანეო. გოგონა უფროსს ეძახის. აფთიაქის მფლობელი მოდის და პარკიდან წამლების უკან ამოლაგებას იწყებს. ეს იარაღს გააძრობს და შუბლზე დაადებს... გამყიდველი გოგონა შიშისგან სკამზე ჩაიკეცება. თქვენ ნუ გეშინიათ, თქვენ არაფერს გერჩითო,ეუბნება შეშინებულ გოგონას. მეორე გოგონას სთხოვს... ჰო,სთხოვს, დარეკეო, დაო, პოლიციაში. გოგონა რეკავს და ისე ბლუკუნებს გაკვირვებისგან თუ შიშისგან, მისამართს ძლივს აგებინებს პოლიციელებს. აფთიაქის პატრონი წამლებს უკან, პარკში ალაგებს და უწვდის, წაიღეო.

— მე ვერ წავიღებ! თქვენ უნდა წაიღოთ. სიცოცხლეს გჩუქნით. სამაგიეროდ, ჩემს შვილებს უნდა წაუღოთ ეგ წამლები და უმკურნალოთ. გამიგეთ?!

აფთიაქარი თავს უქნევს,გავიგეო. მამა აფთიაქში მყოფ ადამიანებს სთხოვს,შეამოწმონ,უმკურნალებს თუ არა აფთიაქარი მის შვილებს. ისინი გაკვირვებულები შეჰყურებენ პისტოლეტიან კაცს. მოგვიანებით მეტყვის ერთი კარგი ადამიანი, გაგიკვირდება, მაგრამ არ შეგვშინებიაო... ამას ის ხანში შესული კაცი მეტყვის,რომელსაც მძარცველი ამოარჩევს.

— თქვენ შეამოწმეთო,ბაბუ თუ ძიავ,შეასრულებს თუ არა სიტყვას აფთიაქარი. წესით,თუ მთლად წამხდარი, უმადური ღორი არაა,სიტყვა უნდა შეასრულოს. მე ხომ სიცოცხლე ვაჩუქე?!... — მამა მისამართს კარნახობს აფთიაქის გოგონას. იგი რეცეპტის უკანა მხარეზე წერს მისამართს და, მამის მითითებისამებრ, ხალათის გულის ჯიბეში უდებს თავის უფროსს.

აფთიაქს პოლიციის მანქანების სირენების ხმა უახლოვდება. პოლიციელები,თავისივე მანქანებს ამოფარებულები, აფთიაქის შესასვლელს იღებენ მიზანში.

შემდეგ,მცირე გადალაპარაკება პოლიციელებთან — არ შემოხვიდეთ, თორემ მოვკლავო მძევლებს!... აფთიაქარმა წამლები უნდა მიუტანოსო ჩემს შვილებს. ან,პოლიციელებს გაატანოსო. სულ ერთია ვინ უმკურნალებს,მთავარია ბავშვებს უმკურნალონო. — ამას, ჭერს უყურებს და ისე ამბობს.

— შემოსვლა არ გაბედოთ,სანამ არ გეტყვით! მე მივდივარ ამ ქვეყნიდან! ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ ეს დაწყევლილი ქვეყანა, ბილწო ძაღლებო!... ამნაირი ღორების დასაცავად თავს შეაკლავთ,ჩემნაირებისთვის კი, ერთი ტყვია გენანებათ — ციხეში გამომკეტავთ, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე... თქვენ ხომ კაცის ხორცი უფრო გეგემრიელებათ?!... კაცის სისხლზე უკეთესი სასმელი არ არსებობს თქვენთვის!... მე წავედი!... ბაბუ თუ ძია,შენი იმედიღა მაქვს. — ახალგაზრდა კაცმა მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით მიზანში ამოიღო ყველაზე ხნიერი კლიენტი. — ასე მგონია, ღმერთივით კაცს ველაპარაკები. თუ გინდა,დაგიჩოქებ!... ნუ წაიწყმედ სულს,ნუ დამიღუპავ შვილებს!... მშივრები და ავადმყოფები დავტოვე. პურს და წამალს ელოდებიან. მალე მოგიტანთო,შევპირდი. წაუღეთ და უთხარით, რომ მამა უგზავნის... რომ... რომ თქვენ გაგატანათ... თვითონ კი შორს, ძალიან შორს წავიდა. იქედანაც ეცდება,მოგაწვდინოთ-თქო...

— თქვენი იმედიღა მაქვს,ბაბუ! უთხარით ჩემს შვილებს, რომ სამივე სიცოცხლეზე მეტად მიყვარს. თუ შეძლებენ, მაპატიონ!... — ახალგაზრდა კაცმა მოხუცს გაუღიმა,იარაღის ლულა პირში ჩაიდო და ფეხი გამოუშალა. მოხუცმა თვალები დახუჭა. თვალის დახუჭვამდე მოასწრო, დაენახა, როგორ მიესხა სისხლი და, ალბათ, ტვინიც,აფთიაქის კედელზე მიდგმული კარადის სარკეს...

საკუთარი თავი გამახსენდაო, ოცდაათიოდე წლის წინანდელი — დიდი ხნის მერე მითხრა მოხუცმა. ფაშისტების მიერ მოკლული ცოლი ატატებული რომ მიმყავდა ტყეში, აღმართზე, ძმათა სასაფლაოსკენ, ჩემი მაშინდელი ყოფა გამახსენდაო... თავი იმიტომ არ თუ ვერ მოვიკალი,ის მყავდაო ასაყვანი სასაფლაომდე. ზემოთ, პარტიზანი ძმები დამხვდნენო...

— ბატონო მაიორო,ჩვენ არსად გამქცევი არა ვართ. აფთიაქარი და მე ამ კაცის სახლში წავალთ. ამან წამლები უნდა წაუღოს... — არ შეეპუა მოხუცი პოლიციელების უფროსს, რომელმაც მკაცრად გააფრთხილა მოწმეები, გარეთ არავინ გავიდესო.

— თქვენ წაუღეთ...

— არა! თქვენ სიცოცხლით ხართ დავალებული იმ ბავშვების მამისგან. მას, შეიძლება, შვილი უკვდება, სანამ ჩვენ უსაზმნოდ ვლაყბობთ. იქონიეთ ნამუსი და ქენით სიკეთე!... — პოლიციელების მანქანით წამოვიდნენ აფთიაქარი და ჩემი მოხუცი მამობილი — ასე ვეძახით, — ჩვენი სახლისკენ.

—კარგი ადამიანები დავლოცოთ! მოხუცი მამობილის თამადობით ყველა კარგ ადამიანს გაუმარჯოს ამ ქვეყანაზე! — თამადამ თავისი ჭიქა წარბას ჭიქას მიუჭახუნა და, თქვენი მოხუცი მამობილის თამადობითო, კიდევ ერთხელ გაუმეორა მის გაკვირვებულ თვალებს, სანამ დალევდა.

— თქვენი ძალიან მადლობელი ვარ! — ცოლ-ქმარს გაუღიმა წარბამ. ისე გაუღიმა, ერთდროულად მადლობასაც რომ ნიშნავს, თანამესუფრეებით აღტაცებასაც და კიდევ რაღაცას, თბილს და ლბილს. — თუ ძალიან არ გეჩქარებათ, მოხუცი მამილოს ამბავსაც დავამთავრებ. — კაცმა კედელზე ჩამოკიდებული ნახატზე მიუთითა. ნახატზე ორი კაცი იყო სანადირო თოფებით. ერთი საკმაოდ ხნიერი. მათ წინ უზარმაზარი ტახი ეგდო. სურათის გვერდით,ძაფით გადაბმული,კაცის ცერისსიმსხო ეშვები იყო მიკიდებული. — ფოტოდან გადაიღო ჩემმა პატარა დამ.

— მხატვარია? — იკითხა ქალმა.

— მხატვარია. ხელოვნების აკადემია დაამთავრებინა მამობილმა. ბევრს მოგზაურობს. სულ გამოფენებზეა...

— უფროსი და? — ქალმა ჰკითხა.

ბიჭს სახე შეეცვალა.

— სკაუტების ბანაკში, მთაში, პურის ნაჭერი გადაუვარდა... დავიჭერო, მიჰყვა... დააღალატა ბილიკის გამყოლმა ხის სახელურმა... — ბიჭი გაჩერდა. ქალს თვალი აარიდა. — რამდენიმე საჟენის სიმაღლიდან

გადავარდა... ამდენი ხანი გავიდა, მაგრამ ვერ ვიხსენებ უცრემლოდ. ვერც ვერასოდეს გავიხსენებ სხვანაირად. მაპატიეთ!... – ქალი წამოდგა. მაგიდას შემოუარა და ბიჭს მხრებზე მოეხვია.

– და როგორ უნდა გაიხსენო უცრემლოდ, ძმაო?!... – ქალის ცრემლები ბიჭის მარჯვენა მხარს ეწვეთებოდა. – შენი ღვიძლი... შენი სისხლი და შენი ხორცი როგორ შეიძლება, უცრემლოდ და უტკივილოდ გაგახსენდეს?!..

– ამოიყვანეს, მთლიანად დამტვრეულს, მარჯვენა ხელში, გადავარდნილი პურის ნაჭერი ჰქონდა ჩაბღუჯული... საბედისწერო პურის ნაჭერი... – ბიჭს ხმა ჩაუწყდა... – მთელი საღამო გაგიფუჭეთ...

– ეგრე ნუ იტყვი, მეგობარო, არაფერი არ გაგიფუჭებია! – კაცმა გაუღიმა და ჭიქები შეავსო. – ღმერთმა გაანათლოს შენი დაიკოს სული! ღმერთმა ნათელში ამყოფოს უდროოდ წასულები! – ჭიქა ბიჭის ჭიქას მიუახლოვა, მაგრამ არ მიუჭახუნებია. მარჯვენა მტევნის ზურგი ბიჭისას შეახო და ჭიქა გამოცალა. წარბას ძალიან გაუკვირდა კაცის ჟესტი. წასულების ხსენებისას, ჭიქამ ჩქამი არ უნდა გაიღოს, ასეთი გვაქვსო ჩვეულება, აუხსნა მის გაფართოებულ თვალებს და ცნობისმოყვარეობად ქცეულ სახეს. – მოხუც მამობილზე ლაპარაკობდი. სადაა?

– გვიან შემოგვიერთდება, თუ... თუ... პარტიზანებთანაა შეხვედრაზე. შემიძლია, რაღაც გთხოვოთ? – ცოლმა და ქმარმა ერთდროულად დაუქნიეს თავი. – დარჩით რა, დღეს, ჩვენთან! – წარბას შვიდიოდე წლის ბავშვის სახე ჰქონდა. ასეთი სახით თხოვდა, ალბათ, მამას პატარა, ჭლექიანი გოგონა, მა, მე კამფეტი მინდაო!

– დავრჩეთ? – ზედმეტად გაწელა ბოლო ხმოვანი და ცოლს შეხედა კაცმა.

– შეგვჭამეენ?! – იგივე სტილში უპასუხა ცოლმა. – თუ არ შეგვჭამენ, დავრჩეთ... – ქალმა წარბას მხრები გაანთავისუფლა.

– ეს!... – ბავშვივით გახარებულმა ასწია მარჯვენა ხელი წარბამ. – ვიცი, მაინც მკითხავთ. მოკლეზე მოვჭრი. პარტიზანმა მამობილმა თავისთან წამოგვიყვანა. სკოლა აქ გავაგრძელეთ. პატარა დაიკომ ბაღი გააგრძელა. ორი წელი თავისი პენსიით გვარჩინა. ვერ მუშაობდა. მარცხენა ხელზე მხოლოდ ორი თითი, ცერი და საჩვენებელი დაუტოვეს ნაცისტებმა. პენსიის ანაბარა იყო... ვიყავით. ერთ საღამოს, ფეხბურთის ვარჯიშიდან რომ გამომიყვანა, ბარში გავიარეთ. ერთ ბილეთს შევავსებო შენს ბედზე. რიცხვები დაასახელეო, მთხოვა. ხუთი რიცხვი ესენი დავასახელე, ამ თანამიმდევრობით – წარბამ წამოდგა და გვერდითა კედელზე მტკაველიანი ციფრებით მიხატულ-მიწერილ რიცხვებს მიეფერა. მეექვსეზე გავიჭედე. ჯერ შვიდი ვთქვი, მერე ცხრა და ცხრა... მამობილი გაყუჩდა. ცხრა და ცხრა?! ჩაილაპარაკა. დღეს შენ ცხრა წლის და ცხრა დღის ხარ. ორი ბილეთი შეავსო. ბოლო რიცხვები ერთში შვიდი, მეორეში ოთხმოცდაცხრამეტი ჩააწერინა და ფული გადაიხადა... უზარმაზარი თანხა მოიგო!... ჩვენი სახლის ადგილას ერთი დიდი სახლი ააშენა – უდედმამო ბავშვთა სახლი.

– რომელმა ბილეთმა მოიგო? ოთხმოცდაცხრამეტიანმა თუ შვიდიანმა? – უნისონში იკითხა ცოლ-ქმარმა. – თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... ღმერთო, დიდებულო!

– ცხრა წელმა და ცხრა დღემ!...

გვიან ღამით, განახლებულ მაგიდასთან, სამეულს „მოხუცი მამილო“ შეუერთდა. სულაც არა ხართო მოხუცი, დიდი შავი თვალები შეანათა მანდილოსანმა ყოფილ პარტიზანს.

– „მოხუცი მამილო“ ბებერ მამილოს კი არა, ხნიერ მამილოს ნიშნავს! ახალგაზრდა მამიკომ შვილები დამიტოვა. თვითონ შორს, ძალიან შორს წავიდა. – მოხუცი პარტიზანი ფიქრიან-სევდიანი უღიმის ქალს. – ცხრა წლის და ცხრა დღის რომ გახდა, ფული გამოუგზავნა. ბევრი ფული. იმდენად ბევრი, რომ ბევრს ეყო, ამნაირს...

(2019)

ეპილოგის (პროლოგის) მაგიერი

ამაზრზენი ამბავი გავრცელდა პირწიგნაკზე – ახალგაზრდა ქალს, ენა არ მიბრუნდება, დედა ვუწოდო, სამი პატარა ბავშვი მიუტოვებია. მამა, ჯანმრთელობის პრობლემების გამო, სამსახურიდან დაუთხოვიათ... მშიაო, პატარა გოგონა ამბობს, ჯიბის ტელეფონით გადაღებულ ოციოდე წამის სიგრძის ფილმში...

გული გაჩერდა!... არ ვაჭარბებ, ახლაც ისე გაჩერდა გული, როგორც ერთხელ, ადრე, ბევრი წლის წინ ევროპის პატარა ქალაქის ბარში, სადაც შემთხვევით შევხვდი ქართველ ცოლ-ქმარს – მათი მოთხრობილია წარბა ბიჭის ამბავი.

შემთხვევით ან მოთხრობის კარგად გაყიდვის მიზნით არ ჩამისვამს ფრჩხილებში „ნამდვილი ამბავი“. არც მკითხველის გულის ღრმა სიმების შერხევა მქონია მხედველობაში. სამოცდაათიანი წლების ევროპის ქვეყანაში უცხო არ ყოფილა შიმშილი... ბავშვების შიმშილი... ჩვენში უცხო იყო. მაშინ ნამდვილად უცხო იყო.

ან, არ გამოვრიცხავ, მალავდნენ საბჭოთა გაზეთები.

ბიოლოგიური დედის მიერ გულისმანკიანი მამის ანაბარა მიტოვებული სამი ბავშვის ამბავი, სულო ცოდვილო და, არ გამკვირვებია... არ გამკვირვებია... თუმცა, გული ლიპეზე მიხეთქებული ბეღურასავით ჩავარდა ყინულიან წყალში.

გაიზრდებიან ბავშვები! გულიან, სხვისი ჭირის გამზიარებელ ადამიანებს რა გამოლევს ამ დალოცვილ ქვეყანაზე – ღმერთმა უშველოთ!

შვილების მიმტოვებელი ბიოლოგიური დედაც მეცოდება. არ ვიცი, რა ვუსურვო – საკუთარი საქციელის გააზრება და თვალის ახელა თუ სიცოცხლის ბოლომდე ყუმად და უგრძნობად დარჩენა?!

შენიშვნები:

- ამინუჩი! (იმერ.) – ახლავე, ამ წუთში!
- ტაისონი – ამერიკელი მოკრივე. გამოირჩეოდა აგრესიულობით. ერთ მოწინააღმდეგეს ყურიც კი მოაჭამა.
- ყურჭე ალუბლისფერი – ძალიან მწიფე ალუბლისფერი.

ნანა დემეტრაძე

გვიანი სინანული დაგვიანებული წერილის გამო

არ ვიცი, რამ გამაღვიძა, მგონი, სასწრაფოს ხმა იყო... მკვეთრი სიგნალით გაიარა და კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

ფანჯარასთან მივედი... ქუჩაში არავინ ჩანს... ,,საგანგებო მდგომარეობა''... ამის გახსენებაზე გამაჟრჟოლა.

ჩემი ბინის ფანჯრებიდან სამ ქუჩას ვხედავ; დოლიძის, ბალანჩივაძის და ჩიქოვანის, – არსად არაფერი და არავინ არ მოძრაობს. ,,მსოფლიოს სევდა თავს მესხმის, სიჩუმის ყვირილი მესმის''... ლექსის დაწერა მომინდა, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებ...

2020 წლის 5 აპრილია,მსოფლიოში მხოლოდ ერთი მოწოდება ისმის ,,დარჩი სახლში''... დავრჩი... მხოლოდ საინფორმაციო გადაცემებს ვისმენ; მილიონ 200 ათასი დაინფიცირებული და 65 ათასი გარდაცვლილი...

მოსახლეობა ცდილობს, გამხნევდეს... ექიმებს ტაშს უკრავენ, მეც მათ ვუერთდები... მაგრამ ეს არ შველის,

ექიმებიც ინფიცირდებიან...

რომის პაპი ცარიელ ტაძარში ატარებს ლოცვას. საბერძნეთის ეკლესია მოუწოდებს ხალხს,დარჩნენ სახლში და იქ ილოცონ გადარჩენისათვის.

,,ესპანური გრიპის'' პანდემიის შესახებ მხოლოდ წამიკითხავს,,,ქოლერის'' ეპიდემიის დროს კი, უკვე სტუდენტი ვიყავი და დედისგან დამოუკიდებლად,პირველად გავემგზავრე ზღვაზე,ჩემს მეგობარ,ლია ხელაიასთან ერთად. ლია, როგორც მახსოვს,სოხუმელი იყო,რადგან იქ მამამისის ორი ძმა ცხოვრობდა,ბესლეთის გზატკეცილზე. გვერდიგვერდ იდგა ორი დიდი სახლი, ყვავილებით სავსე ეზოთი. დიდი სითბოთი მიგვიღეს და ლია ეხვეწებოდნენ,აქ დარჩითო.

თბილისელებმა ერთი ამოჩემება იცოდნენ, ყველას ერთ საკურორტო ზონაში უნდოდა დასვენება. ერთხანს მთელი თბილისი ბორჯომსა და გაგრაში ისვენებდა, შემდეგ წაღვერსა და ლესელიძეში. ერთხანს ,,სოჩა'' (ანუ სოჭი) იყო მოდაში... იმჟამად კი, ყველა ერთ პატარა სოფელ კინდღში დასვენებაზე ოცნებობდა.

ჩვენც გადავწყვიტეთ, სოხუმში არ დაგვესვენა, სადაც ბევრი ხალხი იყო და ზღვაზე ავტობუსით უნდა გვევლო. ავირჩიეთ პატარა სოფელი, სადაც სანაპიროზე პირდაპირ სახლიდან გავიდოდით.

– იცი, კაბის ჩაცმა არ დაგვჭირდება, – მეუბნებოდა ლია.

სახლიდან საბანაო კოსტიუმებით პირდაპირ ზღვაში მოვადენთ ტყაპანს! ეს გადაწყვეტილება თბილისშივე მივიღეთ და რამდენიც არ უნდა ეთხოვა ვინმეს, მაინც არ დავრჩებოდით სოხუმში.

თბილისიდან საღამოს გავემგზავრეთ მატარებლით და დილით ჩავედით სოხუმში. ნამგზავრებს არ დაგვისვენია, ისე გავეშურეთ, რათა გაგვეგო, როგორ გავმგზავრებულიყავით კინდღში. ფოსტაში შევიარეთ (მაშინ მობილური ტელეფონები არ იყო), თბილისში დავრეკეთ და დედას ვუთხარი, რომ ხვალ დილით გავემგზავრებოდით კინდღში და მერე იქიდან მივწერდი წერილს, მისამართს შევატყობინებდი, სად გავჩერდებოდით.

მეორე დღეს ჩავედით ამ პატარა სოფელში,ბინა ვეძებეთ, არც ისე ადვილი აღმოჩნდა დაბინავება. ყველა ჭიშკარზე ეწერა: ,,ქირავდება''. ხან ბინა არ მოგვეწონა, ხან – ეზო. ბოლოს, როგორც იქნა, მოგვეწონა პატარა ცისფრად შეღებილი სახლი. 4 თუ 5-საფეხურიანი კიბით ავდიოდით აივანზე, იქ ორი დამოუკიდებელი ოთახი იყო და აივნის ბოლოს – პატარა სამზარეულო. ეზო მწვანე მოლით, ეზოს ცალ მხარეს – პატარა ბოსტანი. წყალი და საპირფარეშო ეზოში იყო,აქვე პატარა საშხაპე,სადაც მზეზე გამთბარი წყლის გადავლება იყო შესაძლებელი.

სახლი ზღაპრების წიგნზე დახატულს ჰგავდა, რაც ჩვენს გემოვნებას სავსებით აკმაყოფილებდა. დიასახლისმა პატარა ოთახი შემოგვთავაზა,ოთხი საწოლით.

დიასახლისი ახალგაზრდა აფხაზი ქალი იყო, ლუბა ერქვა, ქვრივი იყო. მეუღლე მეგრელი მყავდაო, – თქვა. ქართული ესმოდა, მაგრამ ქართულად ვერ ლაპარაკობდა. ორი ვაჟი ჰყავდა; უფროსი არდადაგების დროს ბებიას სტუმრობდა, უმცროსი კი სულ ჩვენთან იყო.

დავბინავდით თუ არა, მაშინვე წერილის წერა დავიწყე, რომ დედასთან გამეგზავნა. ლია აწრიალდა, ჯერ დეპეშები გავგზავნოთ მეგობრებთან, რომ დროზე ჩამოვიდნენო...

დიასახლისმა გვითხრა, რომ ხვალ დილამდე ვერაფერს გავგზავნიდით. დილით მე ადრე წავალ სამსახურში და მე გამატანეთო. ასეც მოვიქეცით.

ბაზარი და პურიც მხოლოდ დილით იყო. რძის ნაწარმი მეზობლებისგან შევიძინეთ. მართლაც კარგად მოვეწყეთ.

ჩვენი სახლი აღმოსავლეთს უყურებდა, დილის მზე აივნიდან ოთახში შემოდიოდა. ზღვა სახლის უკანა მხარეს ლივლივებდა. სახლის უკან, ეზოში, პატარა ჭიშკარი იყო და იქიდან სიმინდის ყანის გავლით გავდიოდით ზღვის სანაპიროზე. შემოვლითი გზაც იყო, მაგრამ ჩვენ ამ ბილიკებზე სიარული უფრო მოგვწონდა,

ორი დღის შემდეგ, ჩვენი მეგობარი, კლარა ჩამოგვიყვანეს მისმა მშობლებმა, მანქანით, ზუგდიდიდან. თან იმდენი სურსათი ჩამოგვიტანეს,ლუბას მაცივარში არ დაეტია, მეზობლებს ვთხოვეთ, რომ ზოგი რამ მათთან შეგვენახა. ლუბა იცინოდა, ალბათ ერთი წელი დარჩებითო. ქოლერის ეპიდემიაა და გარეთ არაფერი არ ჭამოთო, – დაგვიბარეს კლარას მშობლებმა.

იმავე საღამოს ქუთაისიდან ჩვენი თანაკურსელი ლეილა ჩამოვიდა. დიდი ტორტი ჩამოიტანა და ახლა იმის შესანახად დავეძებდით მაცივარს. ლეილაც მანქანით ჩამოიყვანა მამამისის მძღოლმა (მამამისი რიონჰესის დირექტორი იყო).

ბევრი ხალხი მოაწყდა პატარა სოფელს,ალბათ იმიტომ, რომ დიდ ქალაქებში უფრო საშიში იყო დასვენება ქოლერის ეპიდემიის გამო. სანაპიროზე ისეთი ლამაზი სარაფანებითა და საბანაო კოსტუმებით დადიოდა ხალხი, მოდების დემონსტრაცია გეგონებოდა. ჩვენ იქ ვერაფერს ვიყიდდით, მაღაზიები არ იყო, არც არსად იყო წასასვლელი, ნაცნობები ჩვენთან მოდიოდნენ, რადგანაც ჩვენ ბევრნი ვიყავით. ლუბაც ჩვენთან ერთობოდა, კარგად კერავდა და ჩვენი კაბები სულ სარაფანებად გადავაკეთეთ.

ლიამ ბევრი ანეკდოტი იცოდა და კარგადაც ჰყვებოდა.

ლუბასაც კარგი იუმორი ჰქონდა და ამიტომ შეეწყვნენ ერთმანეთს. სურათები გადავიღეთ, ლუბას შვილიც ჩვენთან იყო და როცა ლიამ სურათი გადასცა, უთხრა, მე სურათში ცუდად გამოვედიო. შენი თავი არ მოგწონსო? – ჩაეკითხა ლუბა. არაო, უპასუხა ლიამ. მაშინ შენს ადგილზე, ვინმე ლამაზი უნდა დაგეყენებინა და ლამაზი იქნებოდაო... ლია დიდხანს იცინოდა ამ ხუმრობაზე. ლუბა უბრალო, ახალგაზრდა ქვრივი იყო, სოფელში გაზრდილი, დიდი, კეთილი გულით. თქვენ წახვალთ და დამრჩება ჩემი მძიმე,

მოწყენილი ცხოვრებაო, რამდენიმე დღე სამსახურშიც არ წასულა, რომ ჩვენთან ყოფილიყო. გოჭები ჰყავდა, საათობით აჭმევდა., როცა ის არ იყო, ჩვენ ვუვლიდით მის გოჭებს.

30 აგვისტოს დილით მოვემგზავრებოდით, ამიტომ 29-ში საღამოს გამოსამშვიდობებელი სუფრა გაგვიშალა. მეზობლებთან გოჭი შეწვა თონეში და მეზობლებიც დაპატიჟა. გვიან ღამემდე გავერთეთ და შევპირდით, რომ ყოველ ზაფხულს მასთან დავისვენებდით. ლიამ თქვა ბოლო სადღეგრძელო...

– არ ეღირსოს გათხოვება, ვინც ლუბა დაივიწყოს! – ამაზე ბევრი ვიცინეთ და ყველამ ბოლომდე დავლიეთ.

30 აგვისტოს ჩამოვედით სოხუმში. ლიას ბიძამ თბილისში გამოსამგზავრებელი ბილეთები დაგვახვედრა.

სოხუმიდან სახლში დავრეკეთ, დედამ მისაყვედურა. ყოველ დღე ლიას დედასთან დავდივარ, სოხუმში ვრეკავთ და იქაც არაფერი არ იციან თქვენს შესახებ, ხომ იცით, რომ ქოლერაა და ვნერვიულობთო.

ტელევიზორში კი აცხადებდნენ ქოლერის შესახებ. ისიც მახსოვს, პროფესორი ვახტანგ ბოჭორიშვილი როგორ გვასწავლიდა ხელების დაბანას. ვიბანდით კიდეც, მაგრამ არცერთს გვიფიქრია დეპეშა გამოგვეგზავნა დედისთვის,

ძალიან გავერთეთ,ეს ჩვენი ყველაზე სახალისო დღეები ჩვენი დედებისათვის დიდი დარდის დღეები ყოფილა....

თბილისში რომ ჩამოვედი,ჩემი წერილი მეორე დღეს მოიტანა ფოსტალიონმა.

ოთხივე გავთხოვდით, ე.ი. ლუბა არავის დაგვიწყებია...

გზები აგვერია; ლეილა, ჩამოვედით თუ არა, მაშინვე გაიპარა და გათხოვდა, არ გაუმართლა არჩევანმა, სწავლა მიატოვა. კლარას ოჯახი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, ისიც წავიდა. ლიას იმ წელს დედა გარდაეცვალა, ამიტომ მუშაობა დაიწყო და დაუსწრებელზე გადავიდა.

ახლა, როცა ყველა სახლში ზის კორონავირუსის პანდემიის გამო,ჩემი ქალიშვილი,რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტში მუშაობს,ყოველდღე დადის სამსახურში.

განვიცდი, რატომ არ შეიძლება, რომ ამ დეპარტამენტმაც დისტანციურად იმუშაოს. ვცდილობ, ძალიან არ დავიძაბო... შაქრის დონემ არ ამიწიოს სიხლში.

მახსენდება,როცა ლიას დედა გარდაიცვალა და მივედი, მკითხა: ნეტავ, ჩემი ბრალი ხომ არ არის, გულით რომ გარდაიცვალა, ამ ზაფხულს ხომ ბევრი ვანერვიულეო...

არა-მეთქი, – ვუპასუხე... მაგრამ ახლა მინდა ჩვენს დედებს ბოდიში მოვუხადო,იმ დაგვიანებული წერილის გამო...

ბოდიში იმისთვისაც უნდა მოვიხადო, რომ ვერ გავარკვიე ე.წ. ქართულ-აფხაზური ომის დროს ლუბას რა ბედი ეწია, როგორი აზრი ჰქონდა ამ დაუნდობელ მტრობაზე, ან იყო თუ არა იმ დროს ცოცხალი... რატომღაც მჯერა, რომ ჩვენ ვერცერთს, და, საერთოდ, ქართველებს, ვერ გაგვიმეტებდა სამტროდ... და ის ჩვენი სურათი, რომელიც მასთან დარჩა (სადაც ლიას თავისი თავი არ მოსწონდა),მისთვის ყველაზე ლამაზი და საყვარელი გოგონას სურათი იქნებოდა.

ქნარის არქივიდან

თემურ აბულაშვილი



კვირტები

1 აპრილს თემურ აბულაშვილი 73 წლის გახდებოდა

აღმართზე პაპა და შვილიშვილი მიდიოდნენ. წვერგაუპარსავი,მხრებში მოხრილი ბერიკაცი ხელჯოხს მიაბაკუნებდა ასფალტზე და შვილიშვილს მეთვალყურესავით მისდევდა უკან. შეჩერდებოდა ბერიკაცი, სუნთქვაგხშირებული, ხელიდან ხელზე გადაიტანდა ჯოხს და ტყეს გახედავდა. შემოტრიალდებოდა შვილიშვილი, ისიც ჩახრიდა ფეხს, ხმაამოუღებლივ იდგა და ქალაქისაკენ იყურებოდა. მთა-გორებზე გაწვენილი, მხარგაშლილი ქალაქი კარგად მოჩანდა აქედან.

გზა მოსახვევებით იყო დაკბილული. პაპა და შვილიშვილი ხშირ-ხშირად ისვენებდნენ. ზოგჯერ სწორი, ჩამოკვეთილი კლდე აღიმართებოდა მათ წინ, ბერიკაცი თვალის სიმშვენიერეს ვეღარ ხედავდა, გოგონა მზის სხივებში გახვეულ ქალაქს და გულწრფელი განცდა ეკარგებოდა. ამ დროს ბერიკაცს თავს ახსენებდა დაღლილობა და გამწარებული ბუზღუნებდა:

„ნეტავ, პატრონი გაუქრა, თუ რა ღმერთი გაუწყრა იმ ავტობუსსა?!“

სიარული მას უფრო უჭირდა. ფერგახუნებული ქურთუკის მხოლოდ ერთი ღილი გაეხსნა, რომ თავისუფლად ესუნთქა. თან არ შემცივდესო,ეშინოდა. კლდიდან წყალი მოჟონავდა და გარემო ნოტიო ჰაერით იყო გაჟღენთილი.

— დავისვენოთ, გოგო, არ დაიღალე?! — პაპა ჯოხზე დაყრდნობილი ეკითხებოდა შვილიშვილს. დაისვენეს და განაგრძეს გზა. ასიოდე ნაბიჯი კიდევ გაიარეს. წამოეწიათ საბარგო მანქანა და შეჩერდა. კაბინიდან შავტუხა ბიჭმა გადმოიხედა.

— დასხედით, დალოცვილებო! თუ გეხალისებათ ფეხით სიარული?!

ქალიშვილმა მორიდებული ცნობისმოყვარეობით ახედა შოფერს. ეშხიანი ბიჭი იყო, მასზე ცოტათი უფროსი თუ იქნებოდა. ხორბლისფერი სახე ჰქონდა. ხშირი დახვეული თმა, ჭაბუკმა თამამად გაუყარა თვალი თვალში.

ქალიშვილს ლოყები წამოწითლებოდა სიარულისაგან და კმაყოფილი სახით უყურებდა.

— საით მიხვალ? — ბერიკაცმა მაღლა ასწია ხელჯოხი.

— წყნეთში.

— წაგვიყვა, აგრემც გაიხარებ! — დათვისებური ნაბიჯებით შემოუარა მანქანას, მაინც სულსწრაფივით იჩქარა და ჭაბუკის გვერდით დაჯდა, გოგონა პაპას გვერდით მოკალათდა.

მანქანა დაიძრა.

— რამდენი ხანია მოვქაქანებთ და არა და არ გამოჩნდა ავტობუსი... წყნეთელი არ უნდა იყო შენა.

— მანგლისიდან ვარ, საქმეზე მივდივარ იქ, მერმე ისევ ქალაქში უნდა დავბრუნდე, — ჭაბუკმა ბერიკაცს გადახედა, ქურდულად ქალიშვილისკენაც გააპარა თვალი, მაგრამ კარგად ვერ დაინახა. წინწამოწეულ პაპას ამაყად ეჭირა თავი.

— მეზობლები ვყოფილვართ, კაცო. ეს ჩემი შვილიშვილია. სწავლას ამთავრებს წელსა და აი, ქალაქში საქმე გვქონდა პატარა, საყიდლებზე ვიყავით.

— დიდხანს იცადეთ?

— დიდხანს, აბა! სიცივემაც მოუჭირა,შევღონდით და ფეხით წამოვედით.

— სიცივე სადღაა! მთელი კვირა მზიანი დარებია. ჭაბუკმა ისევ გადახედა მგზავრებს. ქალიშვილი ჩუმად იჯდა. გზის ჩაყოლებაზე ალვის ხეები იდგა. ქვევით მზით გაბრდღვიალებული ქალაქი მოჩანდა. ალვის ხეებმა მუხლის თავებზე გადაიმტვრიეს მზის სხივები და მანქანამაც მოუხვია.შოფერი საჭეს თავისუფლად ატრიალებდა. მსხვილი, გაუხეშებული ხელები ჰქონდა, გრძელი თითები. მაჯებზე ვაჟკაცური სიძლიერე ეტყობოდა. ქალიშვილმა თვალი მოაშორა.

— ეს მზე ჩემს ხელებს ვეღარ ათბობს,შვილო, ჯერ კიდევ სიცივეებია.

— რამ შეგაშინა, ბერიკაცო, გაზაფხულია უკვე. თუ არ გჯერა, შენს შვილიშვილს შეეკითხე და თვითონ გეტყვის — ჭაბუკს სახე გაეხსნა, მოკრძალებული ღიმილი დაეფინა ტუჩებზე. ის კი, სინამდვილეში ვისთვისაც ეს სიტყვები იყო ნათქვამი, თავჩაღუნული იჯდა, დარცხვენილი.

— ჯეელო, დიდ ქვას ამოფარებული ბალახი

გვიან გამოჩნდება და ურიგო როდია, გვიანვე გახმება.ძველებმა ეს უკეთესად ვიცით. ღამით ყინვებს იჭერს და ბაღები დამზრალია. აი, მოტიტვლებულ კლდეს ფათალო რომ შემოეხვევა, გაზაფხული მაშინ დადგება.

– მსხლისა და ვაშლის ბაღი მაქვს,მტერს თვალები დაეთხრება. კვირტდაბერილ ხეხილს ყინვამ ვერა დააკლო რა! – ჭაბუკმა სარკე შეატრიალა და შეეცადა, ქალიშვილის სახე დაენახა.

– ის კვირტები, ჩემო კეთილო, ჯერ ნაზია და სათუთი. ყვავილობამდე კარგი დროა და ხომ იცი, მარტი რა გადარეულია. ხვალ რომ ჩამოთოვოს, თეთრ საბურველში გაეხვევა. პირის შეცვლა ყოველთვის იცის. შენ იქნება არც კი გაგიგია, სართველო ვენახები დასეტყვილა, მიჯნის იქით სეტყვა ყოფილა, მიჯნის აქეთ კი – არა. ამინდის ხელშეწყობა გლეხკაცის მალამოა. ასე რომ, გაზაფხულამდე ჯერ ადრეა. – ბერიკაცმა ხმა აღიმაღლა და დაკოჟრილი ხელიც თითქოს მუქარით ასწია.

– გაზაფხულია, ძია კაცო, აბა, რა არის?! – გაიღიმა შოფერმა და ქალიშვილს სარკეში შეაცქერდა, – კატაბარდები დაიბურა, ტყეში შესვლა გაგიჭირდება.

– კატაბარდები თავის დღენი დაბურულია. დაბურული თუ არა,დაკვანჩხრული მაინც. ისე, ტყეში შესვლა თუ გინდა, კატაბარდების გაკაფვა აღარ უნდა გინდოდეს?! მე იმისი ეკალი ყოველთვის მახსოვს და ფოთლის ფერი კი დამვიწყებია.

– ფოთლის ფერზე რა გითხრა და თავიდანვე ეკალმა გამკაწროსო,ვინ ეხარბება?! ბუნება იღვიძებს და გვეძახის. ამაზე აღარ ფიქრობთ, ძველები?

ბერიკაცი ჩაფიქრებული იჯდა. მოჭუტული თვალებით შორს, ძალიან შორს იყურებოდა. გულზვიადი, თეთრი მწვერვალი დაინახა, ქედუდრეკად აღმართული, უსიამო შეგრძნებამ მონუსხა, თითქოს კბილმაგარმა სუსხმა გაჰკრა, ცივმა, შორეულმა.

.....

– აი, აქ გაგვიჩერე, შვილო... დიდი მადლობა! – ვერ გაბედა, ფული შეეძლია.

ჭაბუკმა უყურა,უყურა მათ და ნელ-ნელა დაძრა მანქანა.

– გადმოადგი, გოგო, ფეხი, რამ გაგაჩერა?!

„პაპა, ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს“. – გაიფიქრა ქალიშვილმა და ისარივით გაჭრილ გზას გახედა.

ერეკლე მეორე - 300

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

2021 წლის 28 მარტს ერეკლე მეორის დაბადებიდან 300 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ონლაინ გაიმართა.

კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქცია.

კონფერენციაზე 75 ნაშრომი შემოვიდა.

მუშაობდა სამი სექცია: განათლება, კულტუროლოგია, ლიტერატურათმცოდნეობა; ისტორია და მასობრივი კომუნიკაცია; სოციალური მეცნიერებები.

კონფერენციაში უცხოეთის 10-ზე მეტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ.

კონფერენციას უძღვებოდა სტუ ქართული ფილოლოგიისა და მედიატექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი.

ითქვა, რომ ეს დღე განსაკუთრებული და დასამახსოვრებელია, რადგან 21-ე საუკუნიდან მე-18 საუკუნეში ვეხმიანებით დიდი ქართველი მეფის ერეკლე მეორის სულს. ეს კონფერენციაც საფუძვლად დაედება სამომავლო კვლევებს.

კონფერენციის მასალები (2020 წლის ნოემბერი – 2021 წლის მარტი) კრებულის სახით ორ ნაწილად გამოქვეყნდა და ელექტრონულად აიტვირთა.

თარგმანი ერთი ლექსისა



ამ საოცარი ქალბატონის სახე ბავშვობიდან მახსოვს. ჯერ კიდევ ძალიან პატარა დავყავდი ხოლმე ჩემს მშობლებს მისი დაბადების დღეებზე და სახლში მაშინ ვბრუნდებოდით, როცა ქუჩები ცარიელი იყო. საერთოდ, ჩემი მშობლები ხშირად დამატარებდნენ თავიანთ მეგობრებთან... საუბრობდნენ ჩემთვის გაუგებარ თემებზე, მე ვიჯექი და ვუსმენდი მათ ხანგრძლივ მშვიდობიან მსჯელობებს და ბაასს... მერე ჩამეძინებოდა ხოლმე (ძილის სამყარო დღესაც მეტად მიმზიდველია ჩემთვის) და მახსოვს, რა ნეტარებას განვიცდიდი, როცა სახლში მისულები ჩემს საწოლში მაწვენდნენ და ჩემს მოგრძო ბალიშზე ვაგრძელებდი ფერად სიზმრებთან საინტერესო შეხვედრებს... მაგრამ „აქ" არასდროს მეძინებოდა....

ამ თეთრთმიანი, მუდამ შავ სამოსში გამოწყობილი, პატარა თეთრსაყელო გადმოფენილი ქალბატონის დანახვა ბავშვობიდან დიდ მორიდებას და, ახლა ვხვდები, რომ ღრმა მოწიწებას იწვევდა. ვიცოდი, რომ „დიდი" ქალბატონი იყო.... ქალბატონი, რომელიც სიყვარულს, უფრო მეტი, თაყვანისცემასაც იმსახურებდა, რომ ის სხვებს არ ჰგავდა და რომ მასთან ურთიერთობა უფრო მეტი იყო, ვიდრე მეგობრებთან მისვლა-მოსვლა... ვგრძნობდი ჩემების დამოკიდებულებას და ეს გაუაზრებელი აღტაცება-აღფრთოვანება მეც მედებოდა.

ამ ქალბატონს ალექსანდრა ჯაფარიძე ერქვა... მისი სურათი ჩვენი სახლის კედელზე ჰკიდია ახლა და ჩვენი სახლის განუყოფელ ნაწილად, წევრადაა ქცეული... ქალბატონი ალექსანდრას მოწაფე იყო მამაჩემი. სწორედ მისი წყალობით მოიარა მან (და არა მარტო მამამ, უამრავმა ახალგაზრდამ) მთელი საქართველო და ეზიარა ჩვენი ქვეყნის სილამაზესა და მადლს (ასეთივე დიდი ამაგი აქვს ქალბატონ მზია ერისთავს).

მერე უკვე ალექსანდრა ჯაფარიძის საფლავზე დავყავდი მამას. ალექსანდრა ჯაფარიძე ის გასაოცარი ქალბატონია, რომელმაც პირველმა ქალთა შორის დადგა ფეხი ავბედით და დაუმორჩილებელ უშბაზე; ცნობილი მთამსვლელი, გასაოგნებლად გაუტეხელი და მტკიცე სულისკვეთების ალპინისტი, რომელმაც მთელი ღამე უშბის ქიმზე დაკიდებულმა გაათენა. მისი ორი ძმა – სიმონი 1929 წელს თეთნულდზე ასვლას ემსხვერპლა, ხოლო მეორე – ალიოშა, სამამულო ომის მონაწილე ისევ უშბაზე ასვლამ შეიწირა.

ქალბატონმა ალექსანდრამ უშბაზე ასვლა თავის ორ მეგობართან – იაგორა კაზალიკაშვილთან და გიო ნიგურიანთან ერთად გადაწყვიტა. უშბის დასავლეთ კედელთან შტურმის დროს სირთულეები შეიქნა, სამივე ღამის გასათევად აქ ვერ დაიბანაკებდა, ამიტომაც ალექსანდრამ მეგობრებს კლდის ძირში დაშვება სთხოვა, რომ მეორე დღეს ერთად გასდგომოდნენ გზას მწვერვალისკენ. მისი ქიმზე მარტო დარჩენა, ეს ერთგვარი გარანტი იყო მეორე დღეს ექსპედიციის გაგრძელებისა.... ასეც მოხდა....

ამ საოცარი ამბით შთაგონებულმა და აღფრთოვანებულმა ნიკოლაი ტიხონოვმა მშვენიერი ლექსი დაწერა, რომელიც გუშინ მისთვის ჩვეული ტაქტითა და მორიდებული თხოვნით გადმომიგზავნა ალექსანდრა ჯაფარიძის ჩემთვის ძალიან საყვარელმა და ახლობელმა ივანე ჯაფარიძემ.... ამ ლექსის არ თარგმნა ამ საოცარი ოჯახის და ჩემი საკუთარი თავის, ამ განსაცვიფრებელი თეთრთმიანი და სანდომიანი ქალბატონის, ჩემი მშობლების და ჩემი ბავშვობის ღალატი იქნებოდა.... ჩავუჯექი და ვერ მოვწყდი. ჩემო ძვირფასო ბატონო ივანე, უდიდესი მადლობა ამ ნდობისთვის... გთავაზობთ თარგმანს.

რუსუდან ჭუბაბრია

ნიკოლოზ ტიხონოვი

თარგმნა
რუსუდან ჭუბაბრიამ

ალექსანდრა ჯაფარიძე უშბაზე

როს ჩემს წინაშე მთვარის ნათელი
თეთრ ფანტელებად დაიპენტება,
წითლად ელვარე უშბის შვერილზე
ქალის აჩრდილი აისვეტება....
მიბაწრულია კლდეში სოლები
და დაჭიმულა უღვთოდ ბაგირი,
თავს ზევით წყვდიადს უშლია ფრთები,
კლდეები უტყვი... ცამდე აწვდილი...
გთხოვთ, შემისრულოთ ეს ერთი თხოვნა,
მიმწუხრის ბინდით მოსილმა ბრძანა,
ღამეს გავათევ ამ ქიმზე მარტო,
ფეხზემდგომს ძალმიძს ამის ატანა,
ერთად აქ ღამეს ჩვენ ვერ გავათევთ,
კლდის ძირას ფრთხილად თქვენს ჩასვლას ვითხოვ,
რომ მწვერვალისკენ მიმავალ გზაზე
გამთენიისას ამომაკითხოთ...
ჩამოიღვარა მთის მძიმე ღამე,
წყვდიადმა უფსკრულს დაუხშო ხახა,
და ლურჯად შთენილ უძირო ცაზე
ნათელი მთვარე გამოისახა.
და უცნაურად, იოლი ფრენით
თავი წამოჰყვეს მთებმა – დევებმა,

მათი დღის დარდი იტვირთეს უტყვად
მკერდდაჩეხილმა მყინვარწვერებმა.
თითქოს პირველად იხილეს მთვარე,
მთები ჩაყუჩდნენ, დუმილით ავით...
სადღაც შორიდან აფრთხობდა სმენას
დაცურებული ზრიალი ზვავის...
მერე ყოველი წაიღო ძილმა,
არ იყო თითქოს უშბა ამქვეყნად,
იმერეთი და პაწია სახლი,
ტყე, გაზაფხული... ბორცვებთან ერთად.
ძმები ლაღობდნენ იქვე მდელოზე
და უცებ სიმონს დაუცდა ფეხი...
უსულოდ იწვა თოვლზე და დედა
მიტკლისფერი და გულჩანატეხი.
და ალექსანდრას უხმო... იფხიზლა
უფსკრულს ჩახედა უძიროს, საზარს...
ღამის შუშისებრ მუქ ლურჯ ნათებას
მძიმე სიმწვანე შემოეპარა
და ყინულები ქცეული ცრემლად,
დიოდნენ ვერცხლის ნაკადულებად,
და მისი მხრები შესალტეს უმალ
მთის გათოშილმა ხელისგულებმა.
ძმები ცელქობდნენ ხუმრობით თოვლში
და დანანებით მიმართა სიმონს:
– სიმონ, ალიოშას ნუ შეაწუხებ.
მინდა დავინდო... დე, ასე იყოს...
კვლავ იწელება დრო, უსასრულოდ,
და არნახული ხმაურობს ზარი...
კლდიდან დაჰყურებს ღამის სამყაროს
პირმშვენიერი ქართველი ქალი!
დილის სუსხიან ქარებმა დაჰკრეს,
აახმაურა აისმა მთები,
ძველი კედლიდან ამტყდარი ფილა
ჩაქანდა ქვემოთ თავპირისმტვრევით.
ზეცამ სხივები დაფანტა გულზე,
რიდე ჩაკეცა, თავს რომ ებურა,
თითქოს მთის მწვერვალს ჩამოსწყდა სული,
ხორცი შეისხა უწინდებურად...
კვამლი ავარდა უფსკრულის პირას,
თითქოს აღმოხდა პირველი სუნთქვა,
სხივმა დაჰკრა და ოქროცურვილი
გოლიათები წამოდგნენ უცბად.
და ალექსანდრა უყურებს ფხიზლად,
მკაცრად დადგენილ კანონებს არკვევს,
ყველა ქარაფს და ნაბზარს ირეკლავს
კედლის უზადო პრიალა სარკე.
ის ამ კედელზე კიდევ გაივლის.
ციცაბო ბილიკს უშიშრად სერავს
პირველი ქალი, ვინც ფეხს დაადგამს
უშბის ავბედით და ვერაგ მწვერვალს...
მთამსვლელის გზა ხომ ზევით მიიწევს,
სავალად მხოლოდ ერთ ბილიკს ირჩევს,
განა ცხოვრებაც ასე არაა?
მისიც ხომ შტურმით აღება გიწევს?
შეძახილები ისმის ქვემოდან,
ლაღად, ხალისით თამაშობს ქარი,
აი, ალიოშაც მიიწევს მისკენ,
დილა დამდგარა... გასაოცარი!

პოეზია

ჩაუი მამაცაძე

ჰიმნი საქართველოსი

ნათელში მყოფო, თვითონ ნათელო,
სამშობლო ჩვენო, შენ, საქართველო,
მამულო, მთებო, დიდო სიონო,
ჩვენო მთათეთრო კავკასიონო.
ტაბუდადებულს ვერ გცნობს სამყარო,
მსოფლიოს ცოდვა უნდა აკმარო,
დროა აჩვენო სახე ნამდვილი,
გიორგი ცხენით, ფაფარაყრილი,
თეთრო გიორგი, შენი მნახველი,
მუდამჟამს იყოს ყველა ქართველი,
დედა ღვთისმშობლის წილნაყარ მიწას
იესოს ჯვარი და ზეცა გიცავს.
ჩვენ შენი ერი ერთობას
გფიცავთ,
ინანა დედავ, ქალღმერთო ცისავ.
ნათელში მყოფო, თვითონ ნათელო,
სამშობლო ჩვენო, შენ, საქართველოვ.
მამულო, მთებო, დიდო სიონო,
ჩვენო მთათეთრო კავკასიონო.

სიყვარულის გზა

გაზაფხულია შენში,
ღიმილი გიგავს დილას,
სული ანკარა წყაროს,
ჩუხჩუხით გადმომდინარს.
გული მზე არის შენი,
რომ არასოდეს სძინავს,
ახლოს მიხვალ და დაგწვავს,
შორს თუ წახვედი, გყინავს.
მიწა – ცოდვილთა ბუდე,
სანამ ისწავლი თმენას,
მას მოშორდები მაშინ,
როცა კი შეძლებ ფრენას.
მიწიერებით მთვრალმა,
მაინც გიხილე ერთო,
ისეთი თბილი იყავ,
რომ ვერ გადმოვცემ,
ღმერთო!

ჩემი გამზრდელი

მუზამ მიხილა საყდარში
მარტოდ,
მითვალთვალებდა, სანთელს
რომ ვწვავდი,
სული მიხილა ლექსისთვის
სანდო,
ლოცვას რომ ლამაზ სიტყვებით
ვრთავდი.
მომენდო იგი, და მეც მივენდე,
შემომავედრა ვარსკვლავთა
ჩინარს,
თვალთ დამანახა ჭეშმარიტება,
სული მონობას გადამირჩინა.
და მეც მივყვები უჩინარ
აჩრდილს,
ადამიანთა ღმერთებად
აღმზრდელს,
თანდათანობით ვამოკლებ
მანძილს,
ვერ გავივლიდი მეგონა
ამდენს.
მუზამ მიხილა საყდარში
მარტოდ,
სული მიხილა ლექსისთვის
სანდო.

ჩემი (სოფელი) „ხევი“

მომაგონდება ტკბილი სიმღერა გურიის
მთებში,
შეზავებული ტყის სურნელი ფრინველთა
ხმებში,
ო... რა ლამაზი გაზაფხული იცოდა მთაში,
შემოქარგული ყვავილებით ხეები ქარში
ირხეოდნენ
და სურნელს აფრქვევდნენ
მოლოდინისას,
მეტადრე ისეთს, როგორც საყდარში
დიდი წირვისას,
ზარები რეკდნენ გაზაფხულის
მაღალ ზარებით
და გაეშალათ პეპლებს ჭრელი
იალქანები,
ალვის ხე ნელა ირხეოდა ნაზი
ქალივით,
ვენახს კი ცრემლი მოსდიოდა
პატარძალივით,
გურიის მთებში მენატრება
გაზაფხულობა
ჩემს ლამაზ ხევთან, გუბაზეულთან
მინდა სტუმრობა.

დაველოდები ზაფხულს!..

ფოთლები სცვივა ხეებს, ხალიჩად
ეფინება
და შემოდგომის დღეებს ზამთარი
ეცილება.
ბულბული აღარ გალობს, არ
იფურჩქნება ვარდი,
ამინდი აღარ დარობს, გულზე
ჩამოწვა დარდი.
წვიმა არ წყდება ციდან, მზეს ვერ
ვნახულობ, ვერა,
ყვავი გასჩხავის ხიდან, დრო
იზლაზნება ნელა.
მთაში წავიდე მინდა, საყდარი ვნახო
სადმე,
მენთოს სანთელი წმინდა, ლოცვად
მუხლებზე დავდგე.
შემოგავედრებ, ღმერთო ჭაღარა,
ბებერ მამულს,
შენგან მივიღებ იმედს, დაველოდები
ზაფხულს.

იჩქარეთ, დრო არ ითმენს!

ო! რამდენ ხანს ვთამაშობდით
ჩვენ სხვა დროში,
ხან ვის როლში, ხან რის
როლში,
სულ ვიყავით ომში...
ილუზიით სავსე იყო ეს
ცხოვრება რთული,
და გადარჩა მხოლოდ ის, ვინც
არ გაიხრწნა სული.
ახლა უკვე დრო არ ითმენს
და ვერ გვაძლევს ნებას,
რომ თამაში გავაგრძელოთ
ვის რა როლში ნებავს,
დრო მოვიდა ნიღბის ახდის
და განსჯის დღე დგება,
რაც ვინატრეთ, ვიოცნებეთ
ყველას აგვიხდება...
გაიხსნება გონი ლაღი,
აიხდება ფარდა
და მამასთან ის წარდგება,
ვისაც მისი სწამდა!

ლალი ფრუიძე

წიწამური და ბორითი

მდინარეები ზღვასთან ერთვიან,
მადლს ამოაფრქვევს ზოგჯერ მინდორი,
ჩვენი სირცხვილი – ბაზალეთია,
ჩვენი დიდება არის – დიდგორი.
მშობელი მიწა ყველგან ტკბილია,
თუმც არ ისვენებს მტერი ვერაგი,
წიწამურს იტყვი – გტკივა ილია!..
ბორითს იტყვი და – გტკივა მერაბი!..

უფროს დას – ქეთინოს

შენ ხარ ფუტკარი, დედა ფუტკარი,
მინდვრის ყვავილთა მადლით ივსები,
არ გსურს არამი და ნაქურდალი,
მუდამ სავსე ხარ ქალურ ღირსებით.
შენ ხარ იმედი, ჩემი იმედი,
ჩემი ტკივილი, აბა, ვის ვანდო,
უფალმა ჩემთვის გამოგიმეტა,
შენ უნდა მყავდე უკუნისამდე!..

შენ მეუფებ...

ზენა არსს...

ჩემი ხარ და ჩემი იყავ
შეგიგულე რახანია,
ახლა მაინც ნუ გამრიყავ,
მ ა ხ ა რ ი ა !..

ყველა სიტყვა შენ გეკუთვნის,
ძველია თუ ახალია,
ჩემი მიწის ხარ მეგუთნე,
მ ა ხ ა რ ი ა !..

შენ მეუფებ იალაღებს,
შენი სახლიც მაღალია,
ენძელებს და იას არხევ,
მ ა ხ ა რ ი ა !..

ჩემი ხარ და ჩემი იყავ,
შეგიგულე რახანია,
აწი მაინც ნუ გამრიყავ,
მ ა ხ ა რ ი ა !..

წყეულიმც იყოს!..

სირცხვილით იწვის მიწა გარნისის
და მსურს სხოვნიდან ის დღე ავცელო,
ხარ მოღალატე სამარადისოდ,
დაწყევლილი ხარ ჩემგან მხარგრძელო!..
ეს ღმერთმა ნუ ქნას, ვიტყვი მეასედ,
არწივი დარჩეს ყორანს ვალში რომ,
დაწყევლილი ხარ ჩემგან, იასე,
დაწყევლილი ხარ, ყორღანაშვილო...
გერჩიოს, ჭამო მწარე იელი,
გერჩიოს სულაც გიჟის ხალათი,
ბედნიერია ძეხორციელი,
ვინაც არ იცის, რაა ღალატი...

პოეტ მეგობარს

ქუთაისში გენრი დოლიძესთან
ერთად დავრგე ცაცხვი

ვიცი ქვეყანას გიჯობს,
როდესაც სიტყვა მზაობს,
კარგო პოეტო ბიჭო,
ჩემო უმცროსო ძმაო.
ვიცი გელიან მარად:
მუცო, ბოდბე და კაცხი,
დგას ქუთაისში მყარად,
ჩვენი დარგული ცაცხვი.

ფიქრები მთაწმინდის პანთეონში

ლეგენდად რჩება ბევრი რამ,
ზოგჯერ ლეგენდით ვცოცხლობთ,
ბევრჯერ შევძახეთ „ევრიკა“,
ჩემო სისხლო და ხორცო...
მურმანი, შოთა, ტერენტი,
ჩემი ძვირფასი ლადო,
აქ ვიხილო და მერე ვთქვა,
ფქვილი აქ, იქით ქატო...

და გიღრენს წლები

გაცემულია დარდი ავანსად,
გარეკილია შავი ღრუბლები
და გიღრენს წლები, როგორც ავაზა
და გღალატობენ ზოგჯერ მუხლები.
თუ არ დაენთე მამულს კელაპტრად,
ფეხშიშველა და ნაავადარი,
თუკი სამშობლო არ მოგენატრა,
ვერ გაღვივდება გულში ღადარი.

„გავხედავთ ნარსულს"...

ჩანახატები რაბათის ებრაელთა ყაიდებისა

რაბათის ებრაელობა

რაბათის უბანი ყველაზე ჟრიამული და მომხიბვლელი ხანუქისა და ფურიმის დღესასწაულებში იყო, განსაკუთრებით, თუ მათი თარიღები შობისა და აღდგომის დღესასწაულებსაც ემთხვეოდა, რადგან მთელი უბნის ქალები, ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე სადღესასწაულო სამზადისს იჭერდნენ და ნაშუადღევს ბანჩალათ ჩუკიასა და ქეჯენიენთ მირაბას სახლებს შუა გადაჭიმულ მდელოზე იკრიბებოდნენ, სადაც ხინკლის ვახშამზე დანიძლავებულები გამუდმებული შეძახილებითა და ფილაფოზურ სიცილ-ხარხარში ჩაშკობანას თამაშით იკლებდნენ მთელს გარემოს. „აშურა, მაშურა, ჩემი ოქროს ბეჭედი, ჩემკენ გადმოაშურა"! – ისმოდა ქალების შეძახილები;

ვის არ ნახავდით ამ სახელდახელოდ გაწყობილ გრძელ სუფრებზე, იქ იყო: ქოსათ მორდეხას ცოლი ნათელაი, ლალოთ სონიკოი, შაოთ ხაისარაი, კონცოლათ სიკაი, ფიტიმათ სიმაი, ქოსათ ბესას ცოლი ყვითელათ სიმხაი, ქორბინოთ აშერას ცოლი თამარაი, კოჭლოთ ისაკოს ცოლი ზილფაი, იაღლოთ სონიკოი, ლალოთ სიმხაი, ფითოთ ფაშაი, ფიტიმათ შიმყონას ცოლი ქოსათ შებაყაი, შინიმინიათ როზაი, ჩელოშათ კეზოს ცოლი გეოთ სონაი, ბაქოდან სადღესასწაულოდ ახალციხეში განგებ ჩამოსული გეოთ ხავიშაი, ბიცოლაჩემი მაროი, ყურჭოთ შალომას ცოლი სიმხაი, ბუჟოთ მანიაი, ლექსოთ ონტლეი, პუტიკათ სარაი, ლევიათ წიპაი, ყვითელათ აბრაშკას ცოლი კლარაი, ბაჯათ სიხაი, ჰაჯიათ მაზალტობაი, ბულბულათ ჟუჟუნაი, პუტეთ სონაი და მრავალი სხვა, რომელთა გაუთავებელ ალიაქოთსაც, იქვე თათარიახნად თავმოყრილი ბავშვების ღრიანცელი უერთდებოდა, რომლებიც ბუჩულის თამაშით იქცევდნენ თავს...

მათ შორის იყვნენ: კოშტოი, კოწიკოი, პაჭოი, ტყუპის ცალები, გულსუნდაი და სულსუნდაი, ქიშვარდი, იზაი, ეთერაი, კლარნეტისტი სოსოი, ილოი, სულსუნდაი, ერთხელ საბავშვო ბაღის შენობის ჭერში რომ დახვდა უცაბედად და იმხელა ბეხლეწ ჩოყლოყს, სულ „ერელუთუნ" რომ აძახებინა... მამულაი და რაფოი, თამაზიაი, ქოსათ კაკოი, იზოლდაი, ნონაი, ჩიტოი, ფიტიმათ მზიაი, გუგულაი, სიმონკაი, შავოთ მზიაი, ერთხელ ჩემ მიერ გადაგდებული ანთებული ასანთის ღერით მკლავი რომ დაეწვა და დედამისმა, სიკამ, მთელს უბანს, რომ მოსდო, რომ, ჩემ მზიას დათომ ასე უთხრაო, რომ, იმიტომ დაგიწვი ხელი, რომ – მომწონხარო... კაცობათ დათოი, ირაი, ალიკაი, დოდიკოი, ბალაი, ჭუტლიაი, ლუიზაი, ლალი, ანზორაი, ბერიშვილი რიმაი, ფაფალათ სოსოი, გურამაი, შალეი, ოქროი, ომარაი, ანუკაი, შავოთ ბორიკოი, გერშონკაი, ანტოთ ნუგზარაი, ზაირაი, ნუნუი, ჩემი დის, ნანულის უახლოესი მეგობარი, მერიკოი და მრავალნი სხვა;

მე, დუროთ შთამომავალი ვიყავი და დუროთ დათოდ მომიხსენიებდნენ უბანში...

...შებინდებისას... ლოცვის ეზოში ვიკრიბებოდით, სადაც ხნიერი ხალხი ხახამ იოსკას დარაშებს უგდებდა ყურს, ხოლო ქალები და ჯეელი თაობა კი, გასუსული ტრუნვით ვადევნებდით თვალყურს მათ შორის მიმდინარე ქიშპიან კამათს... ხახამ იოსკაი, ამავდროულად, შოხეტის მოვალეობასაც ითავსებდა თემში და დეკეულს, ლოცვის უკან, ლეილასა და ნუნუს ეზოში კლავდა, ხოლო, საქონელს კი, ფოცხოვის ხიდქვეშ განთავსებულ ბოინში, სადაც, ბოინიდან ჩამონადენ ნარჩენებს შორის, ხშირად მინახავს სხვადასხვა პირუტყვის ემბრიოების ლეში, ფოცხოვის სანაპიროზე დაყრილი...

ლოცვის ეზოში იყვნენ: ქოროთ ბესაი, კოჭლოი, ფაშაი, მეწუღე სუმბულათ ბეხარაი, მურკს რომ ეძახდა თავის თავს და ლახანას მისსავე მეუღლეს ლუბას, კოჭლოთ ისაკოი თავის ზილფასთან პადრუჩკით, ბარდანათ ლახშოი, ქიმონაი, გაგალაი და ჯეკაი, იავრიას მამა, ავტობუსის მძღოლი ლუჩკაი, სიფრიკაი და სანდროი, უბანში ყველას ოფიციალურ წერილებს რომ უწერდა და უკითხავდა, ყუბელი ფამბათ ხაიმაი, მიკიკაი და გაბოი, ყომარბაზი დუდღუნათ გიკიაი, ბუბუშათ ბინაი, ანტოთ ისაკოი, მეფურნე იაღლოი, ფესახში მასის მჭრელი, კოთტოი, რომელმაც ას წელზე მეტი იცოცხლა;

აფლათათ ვარდოი, ას წელს მიღწეული, ჯმუხი და თანაც სიავით გამორჩეული მოხუცი, ახეს ქმრის, ყობიას მამა ბრძანდებოდა და ერთი უნდა გენახათ, ლოცვის ეზოში, მინხისა და ყარბითის ლოცვის შორის შესვენებისას თავმოყრილი ჯამაათი, ყოველ ჯერზე, ახლიდან, აფლათას მონათხრობს, სულგანაბული, რომ უსმენდა, თუ როგორ დახვედრია ჯეელობაში, ფარჩეულით მოვაჭრე პაპამისს, დელი ვარდოს არსენა მარაბდელი ასპინძის გზაზე და თუ როგორ გადაუტეხია მისი კუთვნილი ერთსაჟენიანი საზომი ლინი და ხიდან მოტეხილი სამ საჟენამდე სიგრძის ტოტით, თუ როგორ აურწყია სოფლელი ქალებისთვის აბრეშუმის არშიები არსენას და სამი აბაზის ნაცვლად, საჟენ არშიაში, თუ როგორ აუძულებია დელი ვარდოი, ორ შაურს დაყაბულებულიყო... ამბობდნენ, დელი ვარდოს ყობიასათვის ვედროებით სავსე ოქროები დაეტოვებინაო, რომელიც ყობიას მეორე ცოლს, ფაციას, სულ მთლად გაენიავებინაო...

მე მაშინ ექვსიოდე წლის ვიქნებოდი, აფლათაი როცა აბძანდა. ლოცვის ეზოს შუაში დასვენებული თავდახურული შავი კუბოს ირგვლივ, რომელშიც აფლათას ცხედარი ესვენა, უამრავ ხალხს მოეყარა თავი და პატივს მიაგებდა განსვენებულის ხსოვნას; მახსოვს, უცებ დავაცემინე და უნდა გენახათ, თუ რა ჩოჩქოლი გამოიწვია ჩემმა ერთმა დაფცხიკებამ ჯამაათში... ერთი ხუთი ქალი მაინც დამესია და ხან მხარზე მირტყავდნენ ხელს და ხან ყურს მქაჩავდნენ, თანაც სამჯერ იმეორებდნენ: ,,შენ, ჩვენი ხარ! შენ კარგი ხარ! შენ აქის ხარ!.. იმის მოსვლამდე იცოცხლეო!"

აქვე იყვნენ: ხედერში თორის მასწავლებელი, სამამულო ომის ინვალიდი, ქორფათ ჰილელაი, ბატონაი, ომში ორთავე ფეხი რომ მოეჭრათ, მოშკას მამა, მუშა იცხაკაი, ბუზიყლაპიაი, ბატების მპურტყნავი, დებორაი, თაფლათ ანზორაი, ჯართის შემგროვებელი, ყეზრაი (ცნობილი ყეზრათ ბაღის მესაკუთრე, რომელიც სომეხმა ბაგრატამ შეისყიდა და შიგ დიდი სახლი ააშენა), დედლოთ ბესას შვილი იაშაი, დამკვრელი რომას ძმა, რომლებსაც ერთი ძმა ზღვაში დახრჩობოდათ, დომინოსა და დამკის ოსტატი, ალექას სიმამრი, ოქროთი მოვაჭრე, კაცობათ სებიაი, ჩელოშათ კეზოი და კეზოს მეუღლე, გეოთ სონაი, ლიპოთ მუშკიაი და მოშკაი, ქორბინოთ აშერაი, ვარდიაი, ქოსათ იაყაკობას შვილები — ელოი და იოსკაი, პიკეთ ფილხაზაი და იაყობაი, ხანდაზმული, იეკუთელათ ჭიჭიაი, გეჩიაი, ნედლოთ ფერესას დედა რახელაი და მამამისი ისაკოი, ფიტიმათ დოლას და, სიფორაი, რომელზეც ცნობილი ლეგენდა დადიოდა: განაწყენებულმა სადედოფლომ დასწყევლა და დოლაი, ისე დაბერდა, თავისი სახლის ზღურბლებს გადააბიჯებდა თუ არა, პირქვე ეცემოდაო და მისი დღე და მოსწრება სახლის ზღურბლებს არ გასცილებიაო...

პუტიკათ მორდეხაი, რომელსაც ყოველდღიურად შეგეძლოთ შეხვედროდით ბუტეთ ბაღში, კონცოლასთან ერთად ყომარობისას, ხშირად მისი მდიდარი ძმა, პუტიკათ ჰილელაი, თბილისიდან ახალციხეს ჩამოსული, ცოდოებს ლოცვაზე მასთან ერთად ინანიებდა, რაბათის ებრაელობაში ყველა დროების ყველაზე ქალანი, მაინც, ვინმე ქურჩიშვილი ყოფილა... ბიძაჩემი ელინკას ცოლისიანთი, ჰავჯიათ ილოი, იოსკაი, იაშაი, რაიაი და მიშიკოი, პარტნოვი კანზაველათ მიშაი, ბერიშვილი დარჩიას შვილი, ახალციხეში ერთერთი პირველი სატვირთო მანქანის მძღოლი, ბუკიაი, ბურნაოთის ყნოსვით ნესტოებ დაბერილი, ფიტიმათ მეირაი, თორის მასწავლებელი, მელამედი ხახამ იონათანაი, რომელსაც, საბჭოთა ხელისუფლებამ დეკასთან მიწები გამოუყო და მისი სახლი ახლადაც ამშვენებს ახალციხის ცენტრალურ უბანს;

ხახამ იონათანზე ამბობდნენ, როდესაც მის სახლს ხანძარი გაუჩნდა, ცეცხლის ჩაქრობის უფლება მან არავის არ მისცა, ვინაიდან შაბათ დღეს მოეკიდა ცეცხლი მის სახლსაო, ხოლო, ხალხის რწმუნებით, რიბი დობერის, რომელიც წარმოშვებით გომელიდან ბრძანდებოდა და სანამ ყურჭოთ შალომამ ერთი ოთახი თავის სახლში არ გამოუყო, ძირითადად, ლოცვაში ეძინა, მას თავისი გარდაცვალების დღეს, თუ რა ამინდი იქნებოდა, ისიც კი წინასწარ სცოდნია...

ერთი პირობა, სალოცავად იმდენი ჯამაათი იყრიდა თავს, რომ ზემოთა ლოცვაზე, როდესაც ტევა არ იყო, თვით უქმე დღესაც კი, ქვედა ლოცვასაც კი აღებდნენ, სადაც სამი და ოთხი მინიანი ყოველთვის იკრიბებოდა.

ომიანობის პერიოდში სახელმწიფო კარნახით ადგილობრივ ხელისუფლებას ლოცვის დროებითი დაკეტვის დეკრეტი როცა გაუცია, ყვითელათ აბრაშკას მამა იცხაკას თავისი სახლის შენობაში ორი ოთახი გამოუყვია, სადაც, ერთში ჯამაათი ლოცულობდა, მეორეში კი, რომელიც სარდაფში იყო განთავსებული, საფესახოდ მასა ცხვებოდა... მოგვიანებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქვედა ლოცვა ახალგაზრდულ კლუბად გადააკეთა, სადაც კლუბად ამოქმედების პირველ დღეს კინოფილმები ,,სპარტაკი" და ,,დაკები" გაუშვეს ერთდროულად, რასაც მთელი უბნის ბავშვები ვესწრებოდით... უფრო მოგვიანებით კი, მაგ ქვედა ლოცვის შენობაში მუშტი-კრივის სავარჯიშო დარბაზი განათავსეს... ამჟამად მისი რესტავრირებისა და ებრაელი თემის კუთვნილებაში დაბრუნებას ჰპირდება არსებული ხელისუფლება ოდეს რაბათის ებრაელობას...

ფურუმის ყოველ დღესასწაულზე რაბათის უბანს ჯამბაზი სტუმრობდა, რომელიც, ორ რკინის სვეტს შორის გაბმულ ტრესზე, მიწაზე ყოველგვარი დამცავი უსაფრთხოების ბადის, ან ლეიბის გარეშე, გრძელი კეტით ხელში მიმოდიოდა და ჰაერში ტრესზე ბუქნისას, ირგვლივ შეკრებილი, აუარებელი მოსეირეების აღფრთოვანებასა და მქუხარე ტაშით, ხმამაღალი შეძახილებითა და ფშტვენით, ისედაც გაკვირვებული ხალხის განცვიფრებას იწვევდა, რომელთა შორის ყველა რჯულისა და ფენის წარმომადგენელი ერია რაბათის უბნიდან;

,,საღოლ უსტაბაშ, საღოლ"! — ისმოდა ოვაციური შეძახილები... ჯამბაზის შეგირდი კი წრეს უვლიდა დიდი ფოფოხით ხელში და ზრდასრული მოსეირეებისაგან ანგარებას ითხოვდა. ყომარბაზები, ვაჭრები და ხახამ იოსკაი ყოველთვის ორ თითო მანეთიანს უყრიდნენ გასამრჯელოს, ხოლო მეწუღეები, თერძები და მუშა-მოსამსახურეები აბაზიანებს; ბავშვებს არც კი გვაკადრებდა შეგირდი ფულის გაღებას და ამიტომ ჩვენკენ არც კი იშვერდა ფოფოხს; გამონაკლისი მხოლოდ მაშინ იყო, როცა უფროსები დაგვავალებდნენ, ფული, ჩვენ, ბავშვებს, ჩაგვეყარა მათ მაგივრად ჯამბაზის შეგირდის ფოფოხში... — ,,რიბონო შელ ყოლამ, იკურთხოს გამჩენო შენი სახელი! რასა და რას არ მოამოქმედებინებ ადამის ნაშიერს, ჰა"?! — თავისთვის ჩაიბუტბუტებდა ხახამ იოსკაი და ბავშვების გასაგონად ხმამაღლა იტყოდა: ,,ამნაირები რო აკეთო, გამჩენის უნდა გწამდეს, თორე... მიდი და ნუ იწამებ გამჩენს, ადამიანო"?!...

ნიშანდობლივია, აღინიშნოს ისიც, რომ ფესახის სადღესასწაულოდ რაბათის ებრაელობა ფესახის სამზადისს სამი თვით ადრე იწყებდა, რომელსაც ,,ფხეკიკვირეები" ეწოდებოდა, ას ფუთ მასას ორი თვით ადრე თითოეული ოჯახი აცხობდა, რასაც საყოველთაოდ განთქმული, ახალციხეში პირველი მეფაიტონე,

ყრუ ყირბუიღი დავითაი, თითოეულ კომლს, მასით დატვირთული, ცალ-ცალკედ ჩამოუვლიდა და მასის სახლში შეტანაშიც ეხმარებოდა... ყირბუიღს დომინოს თამაშში ფარდი არა ჰყავდა მთელს ახალციხეში; ანტოთ იოსკაიც და თაფლათ მოსეიც ბილა, კაი დღეებში ლოცვაზე დადიოდნენ, მიუხედავად იმ გარემოებისა,რომ ანტოთ იოსკაი,რაიაღმასკომის განყოფილების უფროსის თანამდებობას ითავსებდა,ხოლო თაფლათ მოსეს კი პარტიული სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული...

ჯერ რა სახელები ერქვათ – იტყარა შემ ბე ხარა სატანი: ბაჯანაღი, ჭიპოი, ბარტყას პუჭურაი, უჭოი, ფერესაი, შავოთ ალექაი, შურმანათ აბრამაი, კაჭოთ მოშკაი, მორთულაი, ქეჯენიენთ დათიკოი, შინიმინიათ ხაიმაი, ქოროთ ლევიაი, დუდღუნათ მიწკაი, კონდოი, ტიტიოი, ელინკაი, ბინკოი, აბრაშკაი, ტიტიაი, ფილოი, დამიაი... ან, რა ჩარაზე იყვნენ დახურულნი?!

ამ რაბათელ ვაჟკაცებს, აზირ, მირინოსის ჟემპრი, ბაილონის,ან ლაფსანის შარვალი,ყარაყუმის ქურთუკი და ჯოხიანი კაცის ფინური ტუფლი უნდა სცმოდათ, თანაც მაკასინები კალოშებში უნდა ჰქონოდათ გაყრილი, ტყლაპოებში დასვრის ალბათობის შემცირების მიზნით; გაღეღილ პერანგებს ქვეშ კი,თეთრი ფუფაიკები ყველას აშკარად უმჭირვალებდა ბანჯგვლიან გულმკერდს. რაბათის ებრაელი დედაკაცები განსაკუთრებული სპეტაკი აღნაგობით, სიდარბაისლით, ცბიერებითა და სიკაპასით გამოირჩეოდნენ საქართველოს ყველა სხვა კუთხეში მცხოვრები ქართველი ებრაელი ქალებისაგან, ხოლო მამაკაცების ნირი კი, ახმახი აღნაგობითა და ჰალალი, ხშირ შემთხვევაში კი,თვით ბეყე ბუტუსურობით, მორჩილებითა და სიბეცით იყო ნიშანდობლივი...

რაბათის ებრაელთა ოჯახების ყველაზე განსაკუთრებული მახასიათებელი კი ის იყო, რომ იქ, მამაკაცის მიერ მეუღლისადმი ფიზიკური, ან, თუგინდ, სიტყვიერი შეურაცხყოფა ყოვლად გამორიცხული იყო და მეტსაც გეტყვით, რაბათის ებრაელი მამაკაცები ქალბატონებს სრული თავისუფლებით მოსავდნენ და იშვიათ მოვლენად მიიჩნეოდა მამაკაცის მხრივ ქალის საქმეში ჩარევა... საქართველოში თქმულებაც კი დადიოდა – ვაჟი ახალციხელი,ხოლო ქალი ქუთაისელი უნდა შეიყვანო ოჯახშიო, ოღონდ,უქონარი და უქომაგო ქუთათელი ქალიც კი არ ვარგაო, მაშინ როდესაც, ახალციხელი კაცის ოჯახში შეყვანა, საწყალისა და გაჭირვებულისაც კი ყოვლად მოწოდებული იყო... მთავარი იყო, ქალი ონელი არ ყოფილიყო; ონელი ქალი, ბარბინამ, ლო ყალეხემ, სახლში არ შეიყვანებაო...

მახსოვს, ხშირად, საღამოობა დღესასწაულის მოახლოებისას, მამიგონას დუქანთან, ბირჟაზე, დალალები, მიმდებარე სოფლებიდან ჩამოსულ აუარებელი რაოდენობის გლეხობას ჩაიგდებდნენ ხელში და მაუდის პალტოებს ასაღებდნენ; საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მოსასხამი ქურთუკები ყველა ერთი და იგივე ზომის იყო, ხოლო მუშტრების ფიზიკური აღნაგობა კი, მყისიერად განმსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, ამიტომ, ვინც მაღალი იყო, იმისთვის ორმო ჰქონდათ ამოთხრილი ვაჭრებს და იმ ორმოში ჩააყენებდნენ, ხოლო, ჩია ზომის მუშტრებისთვის კი, დიდი ლოდი მოეთრიათ საგანგებოდ ვაჭრებს და იმ ლოდზე შეაყენებდნენ მორჩილი ტანის მქონე მყიდველს, თანაც ზედ დააყოლებდნენ: ,,იფ, იფ, რა გიხდება?! მოკლეთ, გხატავს! აფსუს, შენ ალაგას რო ვიყო, ორ თანას ერთად ავიღებდი... მამა მიცხონდება, დაჟე ას თუმნათაც არ დაგითმობდი“! – ,,მე ვინ მომაქვავა კაცო მაგოტოლა ფარა“?! – იყო გლეხის პასუხი; ,,თორა თუ მწამს, შეკერათ არა ღირს! (შეკერვათ, კი არა, შეკერათაო), ხო გეუნები, ზათი არ გიყაბულებ, ქოსათ მორდეხასი არა იყოს რა, ისეთ ფასში გაძლევ თავნი ბილა არა მჩება; ზათი, მანათ მინდა, რო ვთქვა, რო საქონელი დავაფანიერე-მეთქი, თორე, ანჯახ, ხალხის პირში ჩავარდა ჩემი მტერი და ოჯახის დამაწყევარი“... ერთი ვნახოთ, ატყდებოდა მითქმა მოთქმა: იმახ შემო ვე ბეზიხრო! ,,დათელეხდით ჯამაათო, ქელებები მოდიან“! და მილიცია სიმონაიც თავს დაეცემოდა თავისი რაზმით გაჩაღებული ვაჭრობით დაკავებულ დალალებს; იმახ თიფახ ვე იაყავირ გილგულიმ ჯართემ! მიაკურთხებდნენ ცბიერი თვალებით გაცეცებულ მილიცია სიმონას დაფრთხობილი დალალები და ისიც,ისე მაინც არ დატოვებდა უბანს,ყიმას მამა შიმყონასთვის,ის უგემრიელესი და შეუდარებელი საკმაზისით შეზავებული კიტრის მჟავე,ლილისფერ პატარა მარილოვან ქვაბში რომ ეწყოხოლმე და თითო თანას ორ შაურად რომ ჰყიდდა, სამი ცალი მაინც რომ არ შეეწერა...

...ბავშვებისათვის,ზამთრისას თოვლი რაბათში, ერთი დიდი ზეიმი იყო. თოვლის პაპას მურით თვალებს, ხოლო ცხვირს ბადრიჯანით და მკლავს კი, ჩამოკიდული ალუმინის ვედროთი შევამკობდით და მიდი!,თვითნაჩარხი ციგებით დაღმართზე ,,ჰოიენე,ჰაიგონ ეღავ“!-ის შეძახილებით თავდაყირა დავეშვებოდით ოღროჩოღრო ბილიკებზე,ღრმა თოვლში ტალახგარეულ და უხეშად გაკაფულ ტრასაზე და ხშირ შემთხვევაში,ჩვენი უბნის საბავშვო ბაგა-ბაღის გასწვრივ, გრიშას ბუტკამდე ღიად ჩამონადენი ღელის ფეკალური ნარჩენების წუმპეში ვასრულებდით ტყლაშანით ხანგრძლივ ციგით სრიალს, რომელიც სათავეს მაღლა,ვაინტორგში იღებდა და მდინარე ფოცხოვის კალაპოტებში ედინებოდა... გრიშას ბუდკა, რომლის მიმდებარედაც, ერთადერთი წყლის ონკანი მოიძებნებოდა უბანში და სადაც მთელი უბნელები ყოველდღიურად ვედროებს ვავსებდით და კეტით მხარზე გადაკიდებულ, წყლით სავსე ორ-ორ ვედროს სახლებისაკენ ვეზიდებოდით...

მთელს რაბათში ერთადერთი ტელეფონი უბნის კომიტეტის,მიხალას სახლში იდგა და წარმოიდგინეთ, რომ ისეთი ბნელი ხალხი ცხოვრობდა რაბათის უბანში მაშინ,ჯერ ეს ერთი, მიხალა არავის არ დაარეკინებდა ტელეფონზე,მაგრამ,სადმე დარეკვაც რომ ნდომებოდა ხალხს, მიხალას დას, ლუბას, რომელიც განათლებით ექთანი იყო და რომელსაც ყველა ლუბა ექიმად მოიხსენიებდა, ნებაც რომ დაერთო, ტელეფონზე ციფრების აკრეფაც კი არ იცოდნენ... ხოლო, მიხალა, მიუხედავად მისი მაღალი თანამდებობრივი უპირატესობისა, ხალხს მხოლოდ ზემოდან დასცქეროდა და ისევე, როგორც მისი და, ლუბა, საჭიროებისას, იგი ხალხისთვის არასოდეს არ არსებობდა...

ერთხელ მე და ბინკოს დათოი,სკოლიდან მომავალნი, სწორედ იმ დროს გავუსწორდით ჩრდილოეთით, აბანოების მიმდებარედ,ხიდის მოაჯირს, როდესაც ახალციხეში პირველად იჩქეფა თბილმა გოგირდის წყლებმა, სადაც შემდეგში ბალნეოლოგიური ცენტრი აშენდა...

ახალციხეში, ავტობუსების ვაგზლის მოპირდაპირედ, ხიდგამოლმა, კინოთეატრი ახალი გახსნილი იყო და მახსოვს,დედაჩემის თანხლებით, ღამის სეანსზე, ფილმს უკანა რიგებიდან ვუცქქერდით, ფილმს, რომელიც ფრანგული რევოლუციის დროინდელ სამეფო ოჯახის ყოფა-ცხოვრებას აღწერდა და რომელშიც, გარკვეულ ეტაპზე, მეფესა და დედოფალს შორის ცხარე კამათი და მკვეთრი დაპირისპირება იყო ნაჩვენები; ფილმში წარმოჩენილმა, ერთი მხრივ, ამ ,,დიდებული'' ხალხის ფუფუნებით განებივრებულმა ცხოვრებამა და, მეორე მხრივ, მათი უმსგავსო საქციელისა და ყოფაქცევის მანერებმა აღმაშფოთა, ჯერ კიდევ გულუბრყვილო ყმაწვილი და გაოგნებულმა დედაჩემს მივმართე: ,,ამათ რაღა აჩხუბებთ, ჰა, დედა''? – ,,ეჰ, შვილო, თუ არი, ზათი ამათშია ჩხუბი, ორპირობა, შურღლი, დაუნდობლობა, გაუტანლობა, სიძულვილი და ღალატი, თორე, ანჯახ, ჩვენ ვის რას ვერჩით, ანდაც, ჩვენ ვინ რას გვეკითხება, რო''?! – იყო დედაჩემის წრფელი პასუხი, რომლის ექომაც, კინოთეატრის დარბაზში მსუფევ სრულ სიჩუმეში, დამსწრე, გატრუნული საზოგადოების ტალღებში ელვასავით იჭექა და უნდა გენახათ, გაოცებული თვალებით, ,,მთელმა დარბაზმა'' თუ როგორ იქცია ჩვენკენ პირი და ერთი პირობა, ყველა იქ მჯდომის ყურადღება, წამოჭრილი თემის განხილვით უფრო იქნა მიპყრობილი, ვიდრე ფილმის ყურებით...

მაშინ ექვსიოდე წლის ვიქნებოდი, დედამ ბათუმს წამიყვანა. ბულვარიდან, ფეხით, ჭავჭავაძის გამზირზე გავედით, სადაც ძალიან დიდ უნივერმაღში მოგვიწია შესვლამ; ამოტოლა მაღაზია ცხოვრებაში არ მენახა. ჩემი განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობა კი ვიტრინაში მდგომმა მამაკაცმა გამოიწვია, მას შემდეგ, რაც ჩემს კითხვაზე პასუხის გაცემის მაგივრად,ისევ გაუნძრევლად განაგრძო თავის მაჯის საათზე ცქერა... – დედა,ეს საწყალი ვიღაცაა,გამოსამავებული დასცქერის თავის საათს და გაშეშებული, არც, კი განძრეულა, არადა ვკითხე, ბოდიშით, საათის რომელია-მეთქი; დედამ გამიღიმა და შეეცადა აეხსნა, რომ ის მხოლოდ თაბაშირისაგან დამზადებული მოდელი იყო და არა ცოცხალი არსება; ,,ფუტლიარი''?! – ვკითხე დედას. კი,მაგრამ თვალები,თვალები,რიღათი აქვს,გაკეთებული, ჰა?! და ისევ იმ შარვალ-კოსტიუმში გამოწყობილ საფრთხობელას გავხედე გაოცებით...

როგორც შემდგომში გამოირკვა, იქ დამსწრე საზოგადოების ყურადღება ჯერ კიდევ მაშინ მიმიპყრია, როდესაც ეჭვის თვალით ხელის შეხებას ვლამობდი ,,ფიტულზე'', რათა პასუხი გაეცა მას ჩემს კითხვაზე; შექმნილმა ვითარებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იქ მყოფთ შორის; დედაჩემს ეკითხებოდნენ, საიდან ვიყავით ჩამოსულები და ასეთ უცნაურ სიტყვებს რატომ ვხმარობდით ქართულში; ბოლოს, ვიღაც მოლარემ დაასკვნა აუგი, დამცინავი ტონით, რომ საუბარი იყო ვინმე უვიც სოფლელ ბაღანაზე, რომელსაც ,,კუკლა, კაცისგან ვერ გაურჩევიაო''... ჩვეული სიდინჯით შევაფეთე იმ მოლარეს თვალები და ვკითხე: ,,თქვენ, გამყიდველი ბრძანდებით, ხომ''? – ,,ხო, მთავარი გამყიდველი ვარ'', – მიპასუხა მოლარემ; – ,,ხოდა, გამყიდველი დარჩები მთელი შენი დღე და მოსწრება''! – ,,მითამ, რათაო''? – შემომეკინკლა მოლარე; – ,,აი, მაგდენს კი, თქვენი ჩალაყრული ტვინი ვერ აიტანს ქალ-ბატო-ნო''! ვუპასუხე მას მტკიცედ და ყველა იქ მყოფთა თვალებს გადავუარე მზერით...

უკანგზად, ქუთაისში ჩავიარეთ დედაჩემის ბიძის, აბრამის ცოლთან, ხანკულიასთან სტუმრად; უფ, რა დიდებული მეჩვენა მაშინ ქუთაისი?! ცენტრალურ მოედანს ჯერ კიდევ სტალინის დიდი ძეგლი ამშვენებდა, რომელიც ღამით პროჟექტორებით იყო განათებული...

..ჩვენი უბნის ბაგა-ბაღი, განსაკუთრებული არქიტექტურითა და კეთილმოწყობით გამოირჩეოდა, რომლის შესასვლესაც უძველესი, თორული ასოებით ამოტიხრული დიდი ქვა ამშვენებდა და სადაც, საძინებელი, სათამაშო და სასწავლო ოთახი და სასაუზმე ურთიერთდამოუკიდებლად იყო განთავსებული, ორი საპირფარეშო კი, ფართო ეზოში, რომელიც დასავლეთით ხახამ იოსკას საყასბეს, ხოლო აღმოსავლეთით კოშტოს სახლს ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით კი, ზემოხსენებულ ღელეს. საახალწლოდ თოვლის ბაბუა მე ვიყავი ხოლმე ბაღში და ხურჯინმოკიდებული,სანამ ბავშვებს საჩუქრებს დავურიგებდი, ოთახში შემდეგი ლექსით შემოვდიოდი: ,,მოვდივარ, მომიხარია, მომაქვს მშვიდობის ალამი, მთელს მსოფლიოზე მშვიდობა, მშვიდობის შვილებს'': და ყველა ერთად შევძახებდით: ,,სალამი, სალამი, სალამი''!...

ერთხელ,საბავშვო ბაღიდან,ენძელების დასაკრეფად, დამრიგებლებმა სასაფლაოზე წაგვიყვანეს ბავშვები და მახსოვს მოშკას ბიჭი დათოი, დედამისის, ლამარას აკლდამასთან დამდგარიყო და სრული გულუბრყვილობით ესაუბრებოდა მას: ,,დედა, ამოდი რა, მანდ რა გინდა?! – იცი, როგორ მომენატრე, დედა?! – ზათი, აღარავის აღარ უნდივარ და აღარ მახსოვხარ, მარამ, ვიცი, რო შენ ყველაზე მეტად გიყვარდი''... არც ის გამომრჩენია, დამენახა, თუ როგორ აეფარა ჩვენს დამრიგებელს, თამარა პატარკაციშვილს, ორთავე ხელი სახეზე და როგორ მოთქვამდა მწარე ქვითინით...

ადრე, მამიგონას დუქანი, სანამ გრიშას ბუდკის გადაღმა გადავიდოდა, ხახამ იოსკას საყასბეს მიმდებარედ იყო განთავსებული, რომელშიც ქაშერი ხორცი იკვლებოდა და იყიდებოდა. სანდროს სიფორაი მამალ კამფეტებს ამზადებდა და მე მაყიდინებდა ბავშვებში; რაც მემტვრეოდა, მე თვითონ ვჭამდი, რაც არა, ვყიდდი შაურად თითოს და დღის ბოლოს, ჩემს წილად, ორი აბაზიც მრჩებოდა გასამრჯელო... ღმერთო ჩემო, როგორი პატიოსანი ქალბატონი ბრძანდებოდა სიფორაი! მართალია, არასოდეს არ მომიტყუებია მისთვის, მაგრამ, რამდენი მამალი კამფეტიც გინდა დამმტვრევოდა, ან გამეჩუქებინა, უსიტყვოდ სჯეროდა ჩემი ანგარიშის სიფორა დეიდას; იმ ფულით კი, მივიდოდი საყასბეში და იქ კი, ყასაბმა იოსკამ ზუსტად იცოდა, რომ ჩემი

დავით ბოთერაშვილი მეორე რიგში,
მარცხნიდან მეექვსე

ნაშრომი ფულით ვყიდულობდი ჩემს სანუკვარ ულუფას, რომლის ფასიც კილო 2.40 მანეთი იყო, მაგრამ 300 გრამიან ხბოს ჯიგრის ნაჭერს ორ აბაზად მაძლევდა, რომელსაც დიდის ამბით, ბაბოჩემ რახელას ავურბენინებდი ერდოში ტაფაზე ზეთში შესაწვავად... – ამ თავითვე გეტყობა, რა შემტანიც იქნები ოჯახშიო, – მეტყოდა ხოლმე ცხონებული ბაბოჩემი რახელაი...

ამას წინათ, ჩემი სიძის დისშვილმა, ლეილა ჯანაშვილმა, ჯგუფური ფოტოსურათი გამომიგზავნა წარწერით: „გახსოვთ, ბატონო დავით, ერთ დროს ჩვენც ვიყავით ბავშვები“... რაზეც ლეილას საპასუხოდ მივწერე შემდეგი სიტყვები: ჩემო სიყრმის მეგობარო, ჩემო ერთგულო და საამაყო დაიკო, ჩემო ლეილა! დღესავით მახსოვს, ხაჩიკა ფოტოგრაფმა, ახალციხეში, ჩვენი უბნის ბაგა-ბაღის ეზოში, ეს ჯგუფური სურათი რომ გადაგვიღო და ისიც მახსოვს, ნათელა მასწავლებელმა, თუ როგორ აგიპრიხა ეგ ღია ფირუზისფერი ბაფთა და თეთრი ბაილონის ბანტი, თვალებზე რომ მეფხატებოდა...

...მას შემდეგ ზუსტად 50 წელი გავიდა, ნახევარი საუკუნე და ზოგჯერ, ისევ იმ ბალღური ხალისითა და გატაცებით გეალერსები ჩემს ფიქრებში...

გახსოვს ლეილა, ეს სურათი, ზოგიერთებისათვის, ბაგა-ბაღის გამოსასვლელი და სკოლისთვის მოსამზადებელი ტაეპი იყო, რაც პირველი კლასის დასაწყისს მოასწავებდა?! შენ, ვადამდე სამოიდე კვირით გვიან იყავი დაბადებული და ამის გამო, ბაღში დამატებით ერთი წელიწადი დაგავალდებულეს სიარული...

გახსოვს, ამ სურათის გადაღების შემდეგ რომ ამომხედე და მითხარი: „ერთი წელი რა არი რო, სამაგიეროდ, მე, სხვა თანაკლასელებთან შედარებით, უფრო მოვმწიფდები და ყველაზე საუკეთესო მოწაფე ვიქნები“.

შენ, როგორც დღესაც, ასე გჩვეოდა მაშინაც, იხტიბარს არ იტეხდი, მაგრამ მე შენს თვალებში დიდი სინანულის განცდა ამოვიკითხე მაშინ...

დავით ბოთერა – ბოთერაშვილი,
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ხაიფის უნივერსიტეტი

ბიოჰბი ზუბიტაშვილი-მთის პოეტი

ქოხი ჩელთის ჭალაში

დღე პირველი

ადრე გაზაფხულის დღე იყო, ჯერ ხეებს ფოთლები არ ჰქონდათ გამოტანილი, აქა-იქ ტყემლები და შინდები ყვაოდნენ, დილა გადაწურულს ჩელთის ხეობის დალაშქვრა გადავწყვიტე, ამას ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდომამდე ვაკეთებ, ჩელთის ჭალაში სიმშვიდეს პოვებს ადამიანი, თუ, რა თქმა უნდა, სიმშვიდის შეგრძნება შეუძლია. ნელ-ნელა გადავძვერი ღობეზე და ჩემი სოფლელის ბაღჩაში გადავხტი, რადგან სწორედ იმ ბაღჩიდან მიდის ფერდობზე ჩელთის ჭალაში ჩამავალი გზა. ჯერ ჩასული არ ვიყავი, რომ ბავშვების ხმა მომესმა ქვევიდან, მათ ხმას ჩელთის ღრიალი აყრუებდა, რომ წავიმანძილე, ჩემი ძმის სიცილი ვიცანი და ავუჩქარე ნაბიჯს. ახლად ამოსულ ბალახს ფეხს ვარიდებდი, ხოლო ძველ და დამჭკნარს ვტეხდი, რადან ვფიქრობ, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ჩელთში ყოვლთვის ჩემს ლექსებს ვმღერი...

„ადიდდა ჩელთი, ანგრევს ნაპირებს, ისმის ხმაური, უხვი წყლებისა, მე ვდგავარ ქარში თმებ-აწეწილი, ცა მესალმება გაზაფხულისა“...

ასე სიმღერ-სიმღერით ჩავუყევი ქვა-ღორღს. შორიდანვე პატარა შემაღლებაზე შევამჩნიე ჩემი ძმა და მეზობელი მათე, მიწას თხრიდნენ გორაზე. მივედი თუ არა, ესევე შემომძახეს.

– იცი, ქოხს ვაშენებთ?! – მე ჩამეცინა და ირონიულად ვუპასუხე.

– ნეტა, მეტი საქმე არა გაქვთ?!

თუმცა, ეს იდეა მეც მომეწონა. ავედი შემაღლებაზე, დავათვალიერე მიდამო და წუნი დავდე ქოხის საყრდენისთვის მოჭრილ უსწორმასწორო აკაციებს.

– აბა, ე რა არი, თუ ჭრიდით, წესიერი ვერ-მოჭერით?

– არი რო?! ნეტა, ბალღო, თუ არ მოგწონს, შენ მოჭერი,– მომიგო მათემ. მე დამეზარა და გავჩუმდი. მერე მიხმარება გადავწყვიტე.

– მათე, მაიტა, აბა, ინდე ეგ!

– აჰაა! – დაცინვით მომაწოდა მათე ბიჭმა ლომი. ღონივრად ავწიე, თუმცა ვინაიდან მიწა მშრალი და მაგარი იყო, ღრმად ვერ ჩავიდა, ხოლო ჩემი ნაჩიჩქნი პომიდორის დასარგავად თუ გამოდგებოდა.

– მაიტა, აბა, ბალღო! – კმაყოფილი სახით მომაძახა მათემ, მე კი შერცხვენილმა მივაწოდე

ლომი, თან მიზეზებს ვიდებდი. თანდათან ღამდებოდა, ჩვენ კი მეფეთა სასახლეს ვერ ვამთავრებდით. თვით მეფის შთამომავალმა დაავალა ჩემს ძმას ამ სასახლის მშენებლობა, მაგრამ გამხმარ მიწაში მიგრეხილ-მოგრეხილი აკაციის ჭიგოების ჩარჭობას მთელი ნახევარი დღე მოვანდომეთ, თუმცა შორიდან სიამაყით გავცქეროდით.

დღე მეორე

მეორე დღეს სამშენებლო სამუშაოები ისევ გავარძელეთ, ამჯერად უფრო მეტნი ვიყავით, – მე, ჩემი ძმა, გიორგი, ჯონი, მათე, საბა და ავთო ძია. ავთო ძია მთელი მშენებლობის მანძილზე ჩვენთან ატარებდა დროს, თან თავის ცხვარს აძოვებდა. ქოხს რომ საყრდენები გავუკეთეთ, გადახურვა უნდა დაგვეწყო, მაგრამ ცარიელ ჭალაში რით გადაგვეხურა, არ ვიცოდით, ავთო ძიამ შეგვაგულა დამტვრეული შიფერი, ჩვენც მეტი რა ვინდოდა, უცბად დავტრიალდით და ზურგით ჩამოვიტანეთ სოფლიდან გადაყრილი სახურავი.

გადახურვასაც რომ მოვრჩით, ჩრდილი არ მოგვეწონა და ჩავიბუტბუტე,

– ნეტა აექ, ერთი კარგი ხე იყოს, ჩრდილიც კარგი ექნებოდა.

– ეე, მაიტა, დავრგათ! – მიპასუხა ვიღაცამ, ზუსტად არ მახსოვს, ვინ.

ქოხთან ახლოს წნორის პატარა ხე დგას, ავთო ძიამ იმ ხეს დაადგა თვალი.

– ჯონი, აგე იმ ხეს ტოტი მოაჭერი და დარგე, ეგ იგეთი მურტალი ხეა, უფესვოთაც ხარობს, ეგ და ფურცელი კიდე. – უცბად გავატიტვლეთ საწყალი წნორი, ერთი ტოტი ავთო ძიამ დარგო და თან თქვა.

– მე რო აღარ ვიქნები, იტყვით მაინც, „ჯიხო“ ძიამ დარგაო. ერთი კვირა ველოდით იმ ტოტების გახარებას, მაგრამ ისე გაიხაროს ჩვენმა მტერმა, როგორც იმ ტოტებმა გაიხარეს.

დღე მესამე

გავიხსენებ ერთ კოცონიან საღამოს, მაშინაც ბევრნი ვიყავით და უცბად მოვეფინეთ ჭალას. მოვკრიფეთ ნარიყი და აკაციის გამხმარი ტოტები. ხელდახელ ავაგიზგიზეთ კოცონი, მე, როგორც „გენიოსს“, ბატიბუტი მომინდა და ბავშვებს ვუთხარი.

– არ გინდათ, ბატიბუტი გავაკეთოთ?

– ხო, ხო! – დამეთანხმა ყველა, ბატიბუტი, ზეთი და მარილი ვიშოვეთ, მაგრამ ქვაბი გაგვიხდა პრობლემა. მე ავედი სახლში და დედაჩემს დავუძახე.

– დე, გაიგე? ხევში ბატიბუტი უნდა დავახალოთ და ქვაბი უნდა წავიღო. დედა ცოტა გამიბრაზდა მაგრამ მალევე დავითანხმე.

– აჰა, აეს ალუმინის ქვაბი წაიღე, ოღონდ არ გამურო. უცბად ჩავარბენინე ქვაბი ხევში, ჩავყარე ბატიბუტი, ჩავასხი ზეთი და მარილი, მერე კარგად გაგიზგიზებულ ცეცხლში ჩავდგი და აი სასწაული – გავარვარებულ ზეთს ჩაეკიდა ცეცხლი, ხოლო ალუმინის ქვაბი სულ გაიმურა.

– ვაიმე! – შემოვირტყი თავში ხელები, მოვგლიჯე ბალახი და უცბად გადმოვაგდე ქვაბი, სარუე სუფთა ნაკადულში ჩავაგდე, აუვიდა ორთქლი... რომ გაცივდა, დანახშირებული სიმინდი გადმოვყარე და დავუძახე მათეს.

– მათე, მოდი აქ აბა, მაიტა აგე იქიდან ნაცარი მომიტანე!

გაგებული მქონდა, რომ ძველი ხალხი ნაცრით ხეხავდა ქვაბებს, აბა, რა მექნა, სარეცხ საშუალებას ვერ ჩამოვიტანდი და დამწვარი ქვაბის სახლში წაღებაზე ხომ საუბარი ზედმეტი იყო. როგორც იქნა, გავხეხე გაწამებული ქვაბი და გულდამშვიდებულები გავუდექით სახლის გზას.

დღე მეოთხე

„პუტინის“ ამბები რომ არ მოვყვე, ეს ქართული მწერლობის დიდი დანაკლისი იქნება. „პუტინს“ ნამდვილი სახელი მიშო ჰქვია. მასთან მეც და ჩემს ძმასაც, მისი ასაკის მიუხედავად, დიდი მეგობრობა გვაკავშირებს. ჩვენ ვასწავლეთ „პუტინს“ ფაცერით თევზაობა, ამიტომ მასაც ჩვენსავით უყვარს თევზი. ამ ქოხის მშენებლობაში მისი ღვაწლი დიდია. ის რომ არა, შესაძლებელია, ეს საუკუნის პროექტი არ განხორციელებულიყო. ქოხი უკვე აშენებული გვქონდა, ჭერიც, ასე თუ ისე, გვეიმედებოდა. მხოლოდ გვერდების ლასტით დაწვნა იყო საჭირო.

ჩემმა ძმამ არ დაიზარა კედლების დაწვნა. იმ დღეს ქოხში ვიყავით: მე, ჩემი ძმა, ზემოთ ხსენებული „პუტინი“ და მისი დები. ამინდი აირია, თუმცა არ გვეშინოდა დასველების, ჩვენ ხომ თავზე ჭერი გვეხურა, მაგრამ აქაც საოცრება მოხდა, წამში წამოვიდა სეტყვა, ვინ საით გავრბოდით, არ ვიცოდით. ატალახდა ფერდლები, ციგურებივით ვსრიალებდით ტალახში. მაგრამ სწორედ პუტინი იყო საოცრების ნაწილი, მიათრევდა საწყალი თავის ველოსიპედს თან თავში დიდებულად ხვდებოდა სეტყვები.

ამ დღეების შემდეგ რამდენიმე თვე გავიდა, მე სოფლიდან რაიონში მომიწია გადასახლება, რადგან ჩემმა სწავლამ მოინდომა. სოფელს თვეში ორჯერ თუ ვნახავ, ჩელთის ხმას კი სულ ვუსმენ ფოტოებსა და ვიდეოჩანაწერებში, თუმცა ყოველ ჩასვლაზე სხვანაირი მხვდება ჩემი ნააკვნარი. ხან ძალიან უცხოდ, ხან კი ძალიან ახლობლად მაჩვენებს თავს. აქ, შილდაში, ყოველთვის მელოდებიან ჩემი „ჩელთისჭალელები“ – ჩემი მოთხრობებისა თუ ლექსების პერსონაჟები.

ასევე მელის ქოხი, რომელიც ჩემსავით ტკბება მთების მშვენებითა და ჩელთის სიმღერით. იცით, რას მაგონებს ჩვენი ნახელავი?! ა. წერეთელს რომ აქვს „გამზრდელში“ აღწერილი ქოხი, თუმცა ჩვენსას გაზაფხულზე ბევრი მინდვრის ყვავილი სტუმრობს, ცხენების ხმის მაგივრად ბავშვების ჟრიამული ისმის და ყოველ დაისს ბებერი პოეტივით უცქერს ცივის მთებში ჩამავალ მზეს.

ერთი ლექსი და საარქივო ჩანაწერი

თამილა გოგოლაური

საკართანო

ირაკლი გოგოლაური (1927-2003) – საზოგადო მოღვაწე და მრავალმხრივი შემოქმედი, ღირსების მედლისა და ორდენის მფლობელი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი და სკოლების ხელმძღვანელი;

ინიციატორი და ორგანიზატორი არაერთი მამულიშვილური საქმისა, მათ შორის: ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორობის პერიოდში, ეთნოგრაფიულ-საისტორიო მემორიალური კომპლექსის მშენებლობისა და აღორძინების სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი (1984-1999); მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური ლიტერატურული ალმანახ „პირიმზის“ დამაარსებელი და მისი მთავარი რედაქტორი (1993-2002);

წლების მანძილზე დუშეთის რაიონის ფოლკლორული განყოფილების ხელმძღვანელი; ფხოვის თავხატის – ლაშარისჯვრის მიწიერი საბრძანისის ჩაქცეულ ნაგებობათა კომპლექსის აღდგენა-რესტავრირების თავკაცი და უშუალო მონაწილე (1999-2020).

პოეტი, მწერალთა კავშირის წევრი, ავტორი პოეტური კრებულებისა: „არწივის ცრემლი“ (1977), „პირიმზის ღიმილი“ (1984), „წვიმის წინ“ (1989), „დამლია შენმა სურვილმა“ (1989), „მამული პირიმზიანი“ (1997), „ლომის ცრემლები“ (2002), „ლექსები“ (2019); საბავშვო პოეტური კრებულებისა: „მთები და ლუხუმი“ (1978), „ჩემო თვალსამოთხისავ“ (2002);

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ეთნოგრაფიისა და ხალხური შემოქმედების შესანიშნავი მცოდნე და მკვლევარი.

ავტორი არაერთი სამეცნიერო-კრიტიკული ნაშრომისა, მათ შორის, მონოგრაფიებისა: „მთიბლურთა ტრადიციისათვის ფშავში“ (1971), „საგვრინავ მთიბლურთა მეტრი და ქართული კლასიკური ლექსი“ (1974); „ხმითნატირალთა ტრადიციისათვის ქართულ ხალხურ პოეზიაში“ (1975), „მთიბლური და ხმითნატირალი ლექსების ტრადიცია ქართულ ხალხურ პოეზიაში“ (1981), „პოეტური ფოლკლორული ტრადიცია ფშავში“ (1982), „ქართული ხალხური მითოლოგიური პოეზია“ (1989), „ვაჟას დროინდელი ფშაველი მოლექსეები“ (1992) და სხვ.;

შემდგენელია ფოლკლორული კრებულებისა: „ხვარამზე – ვერცხლის თასადამც მაქცია“, (1976), „ხმითნატირლები“ (1984), „ფოთოლათ მერცხალაი ვარ“ (2004), „ფშაური პოეზია“ (2011);

ავტორია წიგნებისა: „თედო რაზიკაშვილი – თავისუფლების მომღერალი“ (1974), „დუშეთის თეატრი“ (1983), „დუშეთის თეატრალური ცხოვრების მატიანე“ (1997), „ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის გზამკვლევი-მატიანე“ (2006), „ფრაგმენტები დღიურებიდან – ფოლკლორული ჩანაწერები“ (2017, 600 გვ.), „ფშაური პოეტური ფოლკლორი“ (2017, 570 გვ.), „ფშაური ხმით ნატირლები და მთიბლურები“ (2017, 450გვ.), „წერილები ფშავზე“ (2018, 650 გვ.), „ფშავი – პოეზიის აკვანი“ (2019, 650გვ.).

საკართანო

(ჩემს ნაწერებს)

გისტუმრებთ!..
მე რომ დამჭიდებიხართ,
ახლა იმაგრეთ, ახლა იკვესეთ,
ხალხში გადით და, თუ ბიჭები ხართ,
სული სიამით ამომიკემსეთ!
გატანთ მოლოდინს, და ღმერთმაც ბრძანოს,
ცისკარი გახსნათ ისე, იმრიგად,
ყველამ მიგიღოთ,
ყველამ გიწამოთ,
კეთილ მეკვლედ და კეთილ შიკრიკად!..
მთა ნაადრევად ჩამომბარდნია,
გვერდზე გამდგარა ჩემი აპრილიც...
და თუ ნისლები მთების დარდია,
იქნებ მეც რამ მაქვს გულზე დაყრილი,
ზოგი ამიხდა,
ზოგს კვლავ დავტირი, –
უჩუმრად გულით რაც მინატრია,
ხან ხმალსა ვკოცნი, ხან ვარ მარტვილი,
მეტი რა გითხრათ, ესეც ადრეა!
ყარიბ სამოსით გისტუმრებთ ფარხი,
ზიზილ-პიპილო სხვათა ყადრია,
ორღობეებში მომდგარა ხალხი,
ფურისულებს და იებს გაყრიან...
თქვენ გამამჟღავნეთ,
თქვენვე დამფარეთ
და ამამზევეთ თქვენვე დღებნელი,

მამული რჩება ჩემთვის მზე-მთვარედ,
მე სხვა სიმდიდრის არ ვარ მძებნელი!
მინდა ეს გულიც მის მზეს მიეწვას,
ფოლადს თვით იცნობს მისი მდნობელი,
ეს კი იცოდეს ყველამ წინასწარ,
ამ ცის და მიწის ვარ მადლობელი!
თუ ვინმეს ხვალის მზე აგონდება,
თქვენ არ გაივლით ცაზე ბოლივით,
ღმერთამდე ადის ჩემი გოდება,
გულის სიღრმიდან ამოსროლილი:
თუ რამ არ იყოს თქვენში ქართული,
სამზისდარო და სასალამურო,
მაშინ დამხურონ უკუღმა ქუდი,
ბერაკასავით მჭვარტლით გამურონ!
მამულის ტრფობის სიტკბო და ეშხი,
თუ ავგაროზად ვერ გაგაყოლეთ,
ტყვია კი არა, ჩემს ლამაზ მთებში
გზაგასაყარზე სადმე ჩამქოლეთ!

ირაკლი გოგოლაური

გულქანის მონათხრობი

მამაჩემი, ირაკლი გოგოლაური, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის დირექტორად მუშაობდა 1984-1999 წლებში. ის იყო ჩარგალში ვაჟას ეთნოგრაფიულ-საისტორიო კომპლექსის მშენებლობისა და აღორძინების სულისჩამდგმელი და იქ მრავალი იდეის განმახორციელებელი....

სამსახურებრივი საქმიანობით დატვირთულ მამას თავისუფალი დრო, ფაქტობრივად, არ ჰქონდა, მას ხშირად უწევდა რაიონულ ცენტრსა და დედაქალაქში, სათანადო უწყებებში სირბილი... ამიტომ, ჩარგალში მისი არყოფნის დროს თანამშრომლებს ყოველთვის სთხოვდა, გულქანისათვის (ვაჟას ქალიშვილისათვის) ყურადღება არ მოეკლოთ, მასთან საუბრისას ჩაეწერათ საინტერესო მოგონებები, თუნდაც უმნიშვნელო მონათხრობიც კი...

ასევე უნდა შეეგროვებინათ მოგონებები რაზიკაშვილებზე. მასალა როგორ უნდა ჩაეწერათ, ამაში უკვე კარგად ჰყავდა დახელოვნებულები. ისინიც გულდაგულ ასრულებდნენ მის მითითებებსა და მუზეუმის არქივში სულ ცოტა ხანში მანამდე არარსებული მეტად საინტერესო მასალა შეგროვდა, მათ შორის, რა თქმა უნდა, იყო გულქანის არაერთი მონათხრობიც...

გთავაზობთ ერთ-ერთ მათგანს:

(გულქანი) ღიღინით ამბობს ლექსებს.

— კაი ლექსიმც რა მამასმენინა... არიქა, შენ რაიმ მითხარ. — მეუბნება.

ანა კალანდაძის ლექსი ვუთხარი, ფშაურ კილოზე დაწერილი.

— რა შნოიანად არი ნათქომი, ღმერთო, დამწერე ჯვარი... რა გონიერი ყოფილა და რა კაი მუზა ჰყოლია, რა ცოცხალი სიტყვა არის... უნდა დავისწავლო მე ბეჩავმა... ლექსების დასწავლის თავი კი აღარა მაქვ... მუდამდღე მოხვიდი და მიამბოდი ანაის ლექსები, შენ გახარებასა...

რა საყვარელი სინამდვილეა, გულის მისაღები... რა მშვენიერია, გულზეით გადაუვალია... გავჯეილდი, ისე გამიხარდა, როგორც ბატარას რაიმ გაუხარდება...

ანას კარგად უთქომ კილოზედა, ჩვენ კილოც კარგად უსწავლია... ნეტავი ეგ ქალა კი მაჩვენა...

აქ კი ნიადამ იქნება ნამყოფი, მაგრამ ვინი, სად ვიყავ მენა, შეიძლება კიდეც მინახავ და აღარ მახსონ...

აექ რო წელან მწერელჩვილი ქალა შამოიდა, ბუკნატაი, ეგეთა ვიყავ ადრევა, მერელა რაიმ შავიგნე ცოცოტაი...

გახალისდა. იხსენებს ლექსს: „ნეტავ არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა“... მაგრამ ვერ გაიხსენა...

გულქანთან შემოდიან ახალგაზრდა გოგონები. სხდებიან. ჩვენ რომ ვსაუბრობთ, ისინიც თავისთვის ჩურჩულებენ. გულქანს რატომღაც არ მოეწონა ისინი, ცერად გადახედა... გოგონები ცოტახანს ისხდნენ და ადგნენ, დაემშვიდობნენ გულქანს... გულქანიც უწადინოდ ემშვიდობება.

— მძლივ არ დავისვენე... ეგეებ რეებიღა შამოცვივდენ... მენა ე ჩურჩულ-კურკული ცოფიანივითა მხდის. შენ თუ ჩემზე კაი გული გაქვ, აქ ჩურჩულს არ დაიწყებ, მოხვალ და პირდაპირ მეტყვი, თუ რა სათქმელი გაქვ... იმით ვატყუებ მაგათა, ეგრე უნდათ...

— რას ატყუებ?

— მამაის ლექსებზე ვეუბნები, მე დავწერეო... უგონთ არიან, ვერა ხვდებიან, ართუ იციან მამაის ლექსები, ბეჩავები...

პოეზია

შოჩენა ჩახნაშვილი

შავი მხატვარი

ნიკალას

შენ დევნილი ხარ, როგორც იესო
და მიიკვალავ ვიწრო ბილიკებს.
„უფალი სულთა თქვენთა ჰგიესო“ –
ვით მოწყალებას, ჩამოგვირიგებ.
შენ უბრუნდები მიწას ადრიან
და ეფინები უხეშ მუშამბას,
ვიდრე დარდები გადაგბარდნიან,
ერთი საწყალი შავი მუშა ხარ...
ზღაპრებში წვება ჩუმი დარდები
და ეხაზება ტილოს პროფილი,
თვალწინ იცვლება უხმო კადრები,
თვალცრემლიანი, პირშეოფლილი –
შენ ისე ჰხატავ, ვით შემოქმედი
სძერწავდა ადამს და ევას ჰქმნიდა,
შენ არ გყოლია წინამორბედი,
დაფასდი შენი დიდი საქმიდან.
სარდაფში იყო შენი საფარი,
გდევდნენ ფიქრები, ცოდვის კერძები
და მარტოსული, მიუსაფარი,
ჰკარგავდი იმედს და კვლავ ეძებდი.
შემოგცინოდნენ ყარაჩოხელნი:
„ნიკალა, ასე რატომ გვიყვარხარ“? –
იწურებოდნენ შავი ჩოხებით
შენს შემოძარცვულ გულისფიცართან.
არც არტისტისგან გერგო გენდობა
და სიყვარულიც აღარ გათავდა –
შენს იღბალს ბედი გრდემლზე ადნობდა
და როგორც ბაწარს, ისე ართავდა.
და განიდევნე, როგორც იესო,
შეჰყევ ღიმილით იწრო ბილიკებს,
„უფალი სულთა თქვენთა ჰგიესო“ –
უხვ მოწყალებას ისევ გვირიგებ.

გზა-ლაჟვარდი

სიყვარულს თურმე არ სჭირდება
ხანი და მოცდა,
სიყვარულს თურმე არ სჭირდება
დრო და იმედი,
არ ეჭირვება სინანული,
გზა და გამოცდა,
არც დამწერელი ეჭირვება
იღბლის და ბედის...
თურმე მოიტანს
ამწვანებულ სურნელს, ბალახის,
მერე დაგაფენს
იასამნის ბადაგს, მოტკბილოს,
და უწინ სადაც დაგხვედრია
ქვა და ტალახი,
გადაგეშლება გზა ლაჟვარდი
და უღორღილო...

ცას სასოებით შევყურებ!

რა გამიკეთებს ხასიათს, რა გამხდის ნეტა ასეთად,
რა მიხვდომია ამ დროში, ვინც ქვეყნად მადლი
დათესა?!
მოძმისგან გამორიყული ცას სასოებით შევყურებ,
შრომისგან შუაგაკეცილს, რა მიხვდომია მეპურეს?
დროის დინება მეუფებს, ძმა მტრობას არა გზარდება,
რისთვის ვინატროთ ამქვეყნად შვება და
გამოდარება?
ასე წერილა ღვთისაგან, ცა უნდა რისხვით მოიქცეს,
მანამდე გამარჯვებაზე გულს მხოლოდ ბილწი
მოიცემს.
მიწაზე შვებას ნუ ელი, გულსაც ნუ ატკენ მოყვარეს,
რაც ნერგად ჩაგრგო მებაღემ, იმადვე ამოეყარე!

ახალი სიტყვა

ხვალე მოიტანს ახალ სათხოვარს,
ხვალეს ახალი სიტყვა ეთქმება,
კარში ჩამომდგარ ყოველ მათხოვარს,
მაცხოვრის ტკბილი სახე ექნება,
ხვალ გისტუმრებენ ალბათ უცილოდ,
მოხეტიალე, უცხო სულები,
მოვა შორიდან სევდა უძირო
და გადაგფარავს, ასე, სრულებით...
ხვალით ითქმება ახალი სიტყვა,
დაიბადება ახალი სიბრძნე,
სწორედ იმგვარი, გუშინ რომ ითქვა
და დღესამომდე გახდა სამიწე...
ხვალ შეემატის კაცობრიობას,
ომი და ძალვა, შური და მტრობა,
ზეცას დააქცევს უგერგილობა,
და გადაქსელავს გულებს ობობა
და მაინც ხვალის სიყრმის სინაზე
სასიყვარულოს იტყვის მადლიანს,
უკეთურს ისე დასცემს ყირაზე,
დღევანდელს ხვალეს ვერ შეადრიან!

ლეილა ჯიტოშვილი-
სახლთხუსიშვილი

• დაუსრულებელი ყაისნაღური პრობლემები...

კობა ცხაკაიას ორი მოთხრობა – შთაბეჭდილება

,,თავისუფლება ეს არის სიმართლის აღიარება და მისი სამსახური. ასეთებად მეოცნებება იდეალური, მომავლის საქართველო''. – **გურამ გეგეშიძე.**

,,ცხოვრებაში მეორე ადამიანზე ფიქრით უნდა იარო''. – **ალექსანდრა ჯაფარიძე.**

,,...თუკი სხვა რამეში მართლა ბევრად ჩამოვრჩებით დანარჩენ მსოფლიოს, პრობლემების სიმრავლით ნამდვილად აღვემატებით ყველას''. – **ოთარ ჭილაძე.**

,,გავიბითურეთ სამშობლო, მართლაც სამოთხის სადარი, სხვა საქართველო კი არა, თვით საქართველო სად არის?!'' – **ვახუშტი კოტეტიშვილი.**

კობა ცხაკაიას ორივე მოთხრობა – ,,სხვა საქართველო''... და ,,...მეთუნუქის აღმზრდელობითი ,,საუბარი'' 13 წლის შვილთან''... – ჟურნალ ,,ანეულში'' დაიბეჭდა (2015 წ. №3; 2018 წ. №1) და მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება შეულამაზებელი, უკომპრომისო თხრობით; მიუხედავად ავტორის გაფრთხილებისა,,,დავდე პატივი'' და, როგორც ერთ-ერთი რიგითი მკითხველი, მის მოთხრობებს ,,ჩავუჯექი'', რათა იმ ამბების არა მარტო უშუალო თანამონაწილე,არამედ მოთვალთვალე – მოწმე გავმხდარიყავი – გულშემატკივარიც; რატომ?! – იმიტომ, რომ ის ყველაფერი, რაც მწერალს აწუხებს,მეც მაწუხებს, ჩემთვისაც მახლობელი გულისამაჩუყებელი და მიუღებელია... ასე წავიკითხე ხელმესამედ ,,სხვა საქართველო''... და ხელმეორედ ,,მეთუნუქის აღმზრდელობითი ,,საუბარი'' 13 წლის შვილთან...''

მოთხრობას ,,სხვა საქართველო'' – სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს – ამბავი, ვფიქრობ, ამის ხაზგასმა აღარ იყო საჭირო, რადგან,ზოგადად, უმრავლეს შემთხვევებში მოთხრობა – თავისთავად, გარკვეულ ამბავზეა აგებული. ავტორი თითქოსდა ბოდიშის მოხდით, შესავალშივე გვაფრთხილებს, რომ მოთხრობაში განვითარებული მოქმედება ჩვენი ქვეყნის რომელიმე კონკრეტულ რეგიონს არ მიეკუთვნება, რის გამოც შეცვლილია ზოგიერთი დასახლებული პუნქტის სახელებიო... ,,რის გამოც''-ო ამ ამბავმა აბსურდის ელემენტები მოირგო და ,,უფრო დაუახლოვდა მშობლიურ რეალობას''!...

ჭუჭყიანი ქალაქიდან თითქმის ყოველდღე ცამეტ საათზე გადიოდა ექსპრესი ,,თბილისი-შანხაი''... და თითქმის ყველა სასიცოცხლო და მნიშვნელოვან პუნქტთან ჩერდებოდა. ივნისის დამდეგის ერთ არაჩვეულებრივ დღეს ექსპრესში ქოშინით ამოდის ქალი, რომელსაც სახეზე ღვარად მოსდის ოფლი, მარცხენა იღლიაში გვარიანად გაქუცული ქოლგა ამოუჩრია,მეორე ხელით შეცბუნებულ ბიჭუნას მოათრევს, რომელიც ფრთხილი და უცნაური ნაბიჯით მოჰყვება; ექსპრესის კარი იკეტება, მოხუცი ხმამაღალი ხვნეშითა და თვითკმაყოფილი იერით... ბოხი, ხრინწიანი ხმით გაჰყვირის, და კიდევ ერთხელ აზუსტებს ექსპრესის მარშრუტს; დადებითი პასუხი მეტ კმაყოფილებას ჰგვრის, გამარჯვებული იერით თვალს აყოლებს კონტროლიორს, რომელსაც მგზავრების ბილეთების შემოწმება უკვე დაესრულებინა და იქვე გაჩერებაზე დარჩენილიყო, როგორც ჩანს, მორიგი ექსპრესის მოლოდინში.... კმაყოფილია იმით, რომ დასაჯდომი ადგილისათვის ბრძოლა არ მოუწევს; დარცხვენილ ბიჭს ცარიელ სავარძელზე ხალისით ,,შეაგდებს'', თვითონაც ,,პაპაპა''-ს ძახილით გვერდით მიუჯდება.. ცდილობს მისი სიტყვები ყველას ესმოდეს და ხედავდეს.

,,აქ უკეთესია! დღეს ვიმგზავრეთ თბილისამდე და დავიტანჯეთ! იმდენი კონტროლიორი ამოვიდა, რომ... მათ რომ არ შევხვედროდით,წინ წავედით! მაგრამ რად გინდა? იქიდან მეორე მოდის! მოკლედ,ძალიან ვინერვიულეთ მე და ჩემმა ვეფხიამ! ეს ჩემი შვილიშვილია! შვილი არ გეგონოთ!... ესღაა, ჩემი იმედი და მომავალი!... ეეჰ! ყველაფერი კარგი, მაგრამ ინვალიდია! არ გჯერათ? აი აქ წერია! – ხელს იყოფს კაბის ჯიბეში და რაღაც ქაღალდს იღებს, საბუთს დახედავს, მერე შვილიშვილს სევდიანად გაულიმებს, მერე კი ცოტა ხანს ჩუმდება''...

ჩამოვარდნილი სიჩუმე მგზავრებს ადუნებს, თუმცა მალევე, ქალი უფრო მეტი ენერგიითა და ხმაურით აგრძელებს მონოლოგს, ხარხარით იხსენებს მატარებლით მგზავრობის პერიპეტიებს: ,,..საშინელი ხალხია მატარებელში!.. სიტყვას არავინ გათქმევინებს, ყველა ხმამაღლა ლაპარაკობს, ზოგი ყვირის კიდეც! ჩვენს ვაგონში კაცი ისე დააყაჩაღეს, ვერავინ ვერაფერი გაიგო! ...მოკლედ, მატარებლით,კონკრეტულად ,,შანხაის ელექტრიჩკით'' თუ გინდა მგზავრობა, მგელი უნდა იყო! ნამდვილი მგელი, თორემ ვიღაცა რაღაცას აუცილებლად წაგგლეჯს! ჰოდა ვთქვი, უკან მატარებლით აღარ დავბრუნდები-მეთქი! დავიქანცეთ''!

პროფესიით მასწავლებელი თითქმის ყველა ,,შანხაელს'' იცნობს; ისინი,მათი მშობლებიც კი მის ხელში გაიზარდნენ და სწორედ მათი, ,,ხვთისნიერი ხალხის'' იმედით მოხვდა ამ ექსპრესში,რომელიც ზუსტად არც იცოდა,საით მიდიოდა''... – ათასი ჯურის ადამიანს ნახავ ქალაქში! ლაპარაკობენ, ვერ მიხვდები, რას და რა ენაზე ლაპარაკობენ! თითქოს ადამიანური დაავიწყდათ! აქ კი

• **დასაწყისი. დასასრული შემდეგ ნომერში**

ყველა „შანხაიში“ მივდივართ, ანუ ყველას გვესმის ერთმანეთის!“... — ამ ქალმაც კი იცის მთავარი, რომ საზოგადოების დიდ ნაწილს საკუთარი ენა დავიწყებია და ისიც, რომ უნდა შეგვეძლოს ერთმანეთის გაგება, ერთმანეთთან ადამიანური საუბარი...

ქალი ყაისნაღით კარგად ქსოვდა, რის გამოც ახლობელმა ურჩია, მოქსოვილები გასაყიდად ჩაებარებინა, რადგან კარგად ფასობდა. — „ძაფები აღარ მქონდა, აღარც ყაისნაღები... **ჰოდა, ბაზარში ძაფების გამყიდველ კაცს ვკითხე, ყაისნაღი სად იყიდება-მეთქი და იმან თოფებისა და დანების მაღაზიაში გამიშვა... ამ ხალხს სულ დაავიწყდა ქართული დასახელებები... მაგრამ მერე, ყაისნაღების ძებნისას, საერთოდ აფთიაქში მოვხვდი! იქ, სადაც გიჟების წამლები იყიდება!**“ — ვფიქრობ, კომენტარი ზედმეტია; იუმორი და ირონია, იცოცხლე, გაგიხარია!...

მიუხედავად ყველაფრისა, მგზავრები ნაკლებად ინტერესდებიან ქალის პრობლემებით. ერთი ათლეტური აღნაგობის სპორტულად გამოწყობილი ტიპი ისტერიული ხმით გამოთქვამს თავის პოზიციას: „ცოტა ხმადაბლა, რაა, თუ შეიძლება! დასვენება გვინდა! არავის გვაინტერესებს თქვენი ყაისნაღური პრობლემები! ჩვენიც გვეყოფა!... — ყურები შენი გააქვს? ჰოდა, ნუ მისმენ! — გულნატკენი პასუხობს“.

კარგა ხანია შემოგვეპარა — სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირის — სინდრომი; მისი აღარც დანახვა გვინდა, აღარც მოსმენა, რადგან საკუთარიც გვყოფნის. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, როდესაც პირადი გაჭირვების მიუხედავად, სხვების მოსასმენად და შესაშველებლად გავრბოდით — ეს ხომ ლამის ჩვენს ტრადიციებში შენივთებული ქმედება იყო!...

მკითხველს ჩვეულებრივი, გაუცვეთელი ადამიანური კითხვა უჩნდება, რა იქნება ხვალ? როდემდე გაგრძელდება აბსურდის თეატრის უკვე დახვეწილ-დავარცხნილი სპექტაკლი?! როდემდე ვივლით მოჯადოებული წრის ბილიკებზე ლოზუნგით: რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ!... როდემდე უნდა მოვიწონოთ თავი წარსულით... დღეს რას ვაკეთებთ?!.. მინიმუმამდე დავიყვანეთ ავისა და კარგის განცდა...

35 წლის წინ ჩატარებული კვლევის თანახმად (ანკეტაში 22 ძირითადი ღირებულებები იყო მოცემული), **ქართველები უპირატესობას ანიჭებდნენ ეროვნულ და სულიერ ფასეულობებს, ბოლო წლების სოციალურ-ფსიქოლოგიურმა ტესტმა კი გვიჩვენა, რომ ქართველებისათვის დღეს უპირველესი ღირებულებები ძალზე მიწიერი და მატერიალურია... ეს არცაა გასაკვირი იმ საზოგადოებაში, სადაც ადამიანის ღირსებას, ძალას, პრესტიჟს, ფული და სიმდიდრე განსაზღვრავს და არა მისი ინტელექტუალური მონაცემები...**

ქალი იხტიბარს არ იტეხს; სკამზე კარგად მოკალათებულ შვილიშვილს იხუტებს და... „გინდა ვიმღეროთ? ბიჭუნა თავს უქნევს და ორივე სასიამოვნოდ შეწყობილი ხმით მღერის: „ქარი გიმღერის ნანასა,/ ზღაპარს გიამბობს ჭადარი“.... ბებია-შვილიშვილი საოცრად კარგად მღერის, ყველა სიამოვნებით უსმენს... მაგრამ ქალი მაინც ვერ ისვენებს და ყურფართხუნა მგზავრს მხარზე ხელს დაჰკრავს: „შენ ქართველი ხარ? მგზავრი საკმაოდ უკმაყოფილო ტონით პასუხობს: რა მნიშვნელობა აქვს! მე საქართველოს მოქალაქე ვარ!“

ეს ის პასაჟია, რომლის კითხვისას, რაღაც წამებით, სუნთქვას შეწყვეტ მწერლის პასუხის მოსასმენად; რაღა თქმა უნდა, იგი არ იბნევა, და ქალსაც დროისა და სიტუაციისათვის მორგებული პასუხი მზადა აქვს: „რა არა აქვს! — მხრებს იჩეჩავს ქალი,— მე ქართველი ვარ, თუმცა ისე იმერელი ვარ! ჩემი მეზობელი ოსია, მაგრამ ისიც ქართველია! საქართველოს მოქალაქე თუ ხარ, ქართველი ხარ, აბა, რა ჯანდაბა ხარ! ეგრე არ არის“? თუმცა, ქალის პასუხგაუცემელი შეკითხვა ჰაერში ეკიდება, სიტყვა „ჯანდაბას“ კი დიპლომატიასთან არანაირი კავშირი არა აქვს...

ქალი კვლავაც არაფრად აგდებს მგზავრების დუმილს, ხალისით ყვება, თუ როგორ არ შეაშინათ მოსალოდნელმა წვიმამ, როგორ ჩამოვიდნენ თბილისში — ფილარმონიაში გადაუდებელი საქმეების მოსაგვარებლად... „დღეს „ნიჭიერში“ გადაიღეს! აბა?! ბევრი ტაში დაუკრეს!... მუსიკა ძალიან უყვარს! აჩვენებენ ტელევიზორში, გახდება ცნობილი! გაიცნობს ხალხი და მათში ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდება, რომელიც ოპერაციის ფულს მისცემს და ისიც, წესიერად გაივლის ფეხზე! — ხელს ჰკრავს ყურფართხუნას და ჰკითხავს, ხომ არ იქნება გვიან?... ხომ აკეთებენ ასეთ ოპერაციებს?“

ყურფართხუნა — გულგრილი, უსულგულო, დაუნდობელი ადამიანი ცინიკურად პასუხობს: „იცი, რამდენი გულის საკლავი ისტორიები გვაქვს გაგებული?.. შენი ყველაზე უინტერესოა!... თქვი რა, ფული რომ გინდა! აღიარე, ჩამოყალიბებული მათხოვარი რომ ხარ და ეგ არის?!... სიმღერაც ხომ უკვე ვიმღერეთ“!..

რაღაც მომენტში შვილიშვილი, ჭკვიანი ვეფხია, ბებიას შეახსენებს, წამლის მიღების დროაო; მან იცის, რომ ბებიამ ყოველ საათში წამალი უნდა მიიღოს! თითქოს უმნიშვნელოდ უნდა მოგვეჩვენოს ერთი ეპიზოდიც, როდესაც ცოტა ხნით დასადგურებულ სიჩუმეს გარედან ეკლესიის ზარების რეკვის ხმა არღვევს, „ქალი და ბიჭუნა ლამის ერთდროულად იწერენ პირჯვარს“.

როგორი ტევადია ორივე ეპიზოდი. კიდევ იმასაც ვიგებთ, რომ ომმა ვეფხიას მშობლები დაუხოცა, რომ მანამდე ისინი მაძღრად, მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდნენ... ბავშვი ფეხის ტერფებს ვერ ამოძრავებს!...

„დაბომბვის დროს კედლის ქვეშ მოჰყვა, ფეხის მყესები და კუნთები დაუზიანდა... და რაღაც ისეთი დაემართა, გაუქვავდა ფეხები. წესიერად ვერც კი დადის!.. კიდევ კარგი, დროზე ამოთხარეს, თორემ ვერ გადარჩებოდა!.. ახლა, შვიდი წლის შემდეგ, როგორც იქნა ქაღალდი მოვიდა. აი, ეს ქაღალდი — თავდაცვისა და ჯანდაცვის სამინისტროდანაა?! აქ წერია, რომ ბიჭუნა ომის ინვალიდია და ძალიან ბევრი შეღავათი ეძლევა! დღეს თბილისში სულ უფასოდ დავდიოდით!... რაა, უნდა გადაგვეხადა რამე? ის თერთმეტი წლისაა! სოფელში ეზოს ბოლომდე ძლივ-ძლივობით მიდის... კიბეზე კი დახმარების გარეშე საერთოდ ვერ ადის! ამიტომ ვერავინ ვერაფერს ვერ გადაახდევინებს! ვერც მე? მეც ინვალიდი ვარ და ესეც!“ მისი ხუშტური კი არ იყო ქალაქში

ჩამოსვლა. სახლშიც კარგად და არხეინად იყო; ,,ქათმები მყავს, კვერცხს ვყიდი! ლტოლვილისა და ინვალიდის კვალობაზე, თხაც მყავს, ფულს ვაგროვებ, ძროხა უნდა ვიყიდო! უფრო მეტი რომ გვექნება, ბავშვს პიანინოს ვუყიდი! ხომ ნახეთ, რა კარგი სმენა აქვს“... – ეს ვარდისფერ ღრუბლებში ფრენაა, თუ იმედი, ურომლისოდაც ადამიანის ყოფა უნუგეშო და სწრაფწარმავალია...

ყოველგვარი პათოსისა და ზედმეტი ემოციის გარეშე მოყვა, თუ როგორ წვალობდნენ ომის შემდეგ, როდესაც კვლავ სოფელში დაბრუნდნენ... ირგვლივ დაუმარხავი გვამების სუნი ტრიალებდა... როგორ ეძინათ უფანჯრებოდ დარჩენილი, ჩამოქცეული სახლის კედლებში, რომელსაც მათი ახლობლების სისხლი ჯერაც ეტყობოდა!.. როგორ არ ეშინოდათ გარეული, მტაცებელი ცხოველების და ომისაგან გავერანებულ სოფელში გაჩენილი მგლებისა, და როგორ ემალებოდნენ უცნობ ადამიანებს! მოუყვათ იმაზეც, და მგზავრებიც კარგა ხანს ახითხითა, თუ ღამით სახლის სარდაფში შემოხიზნული ბეკეკა ეშმაკი რომ ეგონათ, და გათენებამდე ლოცვაში და გალობაში გაატარეს...

,,გახსოვს, ბებო? გახსოვს? როგორი საცოდავი თვალებით გვიყურებდა ბეკეკო?! მთელი ღამე გასუსული გვისმენდა და ხმას არ იღებდა? ახლაც კი, ,,შენ ხარ ვენახს“ ან ,,ღვთისმშობელო ქალწულოს“ როგორც კი გაიგონებს, შემოვარდება სახლში და სანამ არ დავამთავრებთ ლოცვას, გახევებული გვისმენს!“ – უმშვენიერესია!

ხანში შესული ქალი გვარიანადაა ჩასუქებული; მისი სიმსუქნე უფრო ავადმყოფურს ჰგავს, სხეულის ნაკვთები დიდ ნაოჭებად მოუჩანდა გახუნებულ, ფართხუნა კაბაში და მის მფლობელს მუხლუხოს ფორმას აძლევდა... ქალს სახეზე გამხმარი ტყავისფერი გადაჰკროდა“....

მწერლის დაკვირვებულ თვალს მხედველობიდან არც ერთი ნიუანსი არ რჩება, სწორედ ამიტომაც ჰყავს პერსონაჟი ასეთნაირად შემკულ-დახატული, რომ შემდგომში თავადვე შემოგვთავაზოს თითქოსდა მკაცრი, თუმცა ზედმიწევნით რეალური კომენტარი:

,,...ექსპრესში ახლად ამოსული ქალი ადამიანთა, ანუ ,,შემთხვევით შემხვედრთა“ იმ კატეგორიას განეკუთვნება, რომლებმაც მიუხედავად ასაკისა და არცთუ სახარბიელო ჯანმრთელობისა, თავისუფლად შეუძლიათ გაგახალისონ, გულიანად გაცინონ და ოპტიმიზმის მარცვალიც ჩაგინერგონ... და სერიოზულადაც დაგღალონ... ასევე ძალიან ხმამაღლა და ხანგრძლივად შეუძლიათ ჭკვიანური ლაპარაკი ყველანაირ თემაზე... ასეთი ქალები განეკუთვნებიან განსაკუთრებულ კატეგორიას, დამღლელი ოპტიმიზმისა და ტვინისმბურღავი ენერგიით. ასეთ ქალებს გენეტიკურად მოსდევთ ეს თვისება, თუ ცხოვრება აყალიბებს ასეთებად, ესეც ჯერ კიდევ გასარკვევია“...

ავტორის აზრის სისადავით, პირუთვნელად ამხელს იმ ნაკლოვანებებს, რომლითაც ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილია მოცული; ყველაფერი კი XX ს-ის 90-ანი წლების წინ დაიწყო, მერე და მერე გაწვავდა და ახლა, უკვე, ზოგად ქართულ რეალობად იქცა, რომელსაც ბოლო არ უჩანს,– ექსპრესის სალონში მსხდომნი ამ საზოგადოების ნაწილი არიან, მართალია მცირე, მაგრამ მაინც – როგორ ავლენენ იმ თვისებებს, საკუთარსა თუ შეძენილს – რომლითაც თანამემამულეთა გარკვეული ნაწილი სუნთქავს?!

მწერალი თხრობისას საოცრად გულწრფელია, მის მოდარაჯე თვალსა და ყურს არაფერი რჩება დაუნახავი, მოუსმენელი, იგი ზედმიწევნით აღწერს და მოგვითხრობს იმას, რასაც თუ ნორმალური ადამიანი ხარ არ შეიძლება თვალი მოუხუჭო; თხრობას ხანდახან ზომიერი იუმორი და ცინიზმიც ახლავს თან, რადგან რთულია მუდმივად მხოლოდ სევდითა და ვაებით გამოხატო რეალობა; თუმც, ნაღველიცა და ღიმილიც მტკივნეული ტკივილითაა სავსე.

მკითხველის თვალწინ ფილმის კადრებივით გაირბენს ყველა ეპიზოდი – ერთის შთაბეჭდილებიდან არა ხარ გამოსული, რომ მას მეორე, მესამე მოსდევს... და კიდევ უფრო ითრგუნები იმ სიმართლით, რომელიც თითქოს ისედაც იცი, თუმცა ქაღალდზე გადმოტანილი სინამდვილე უკვე არა მარტო ,,ცოდნაა“, არამედ ძილ-ბურანიდან გამოფხიზლების კიდევ ერთი ნიშანი. გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორს მოთხრობაში ბევრი საჭირბოროტო საკითხის, მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო ამბების ჩატევა სურდა; ჩვენს ცხოვრებაში ასეთი ტიპის, ფესვგამდგარი, ,,ახალი“ ჩვევების თუ შეხედულებების, ფასეულობების შემცველი მაგალითები ხომ გამოულევლადაა“.

მოთხრობის დასასრულამდე კიდევ ,,ბევრი რამ საჯაროვდება“, რომლებზეც აღარ შევჩერდები; ფინალი კი, მართლაც უნუგეშოა.

ექსპრესში კონტროლიორის ამოსვლისთანავე ბებია ბავშვს ამშვიდებს: ,,ნუ გეშინია, ეს კონტროლიორი ჩვენებურია! რაკი ექსპრესი ,,შანხაიში“ მიდის, ალბათ ისიც იქაურია, აბა რაა!“... თუმცა, ბიჭს ეს სიტყვები ვერ ამშვიდებს, ,,ყრუ შიში და უსუსურობის განცდა იზრდება, გულზე აწვება და სუნთქვას უშლის... ბებიას და შვილიშვილს ეს კონტროლიორი მანამდე არასოდეს შეხვედრია... ფორმიანს სახეზე მხოლოდ მოწყენილობა და დაღლილობა აღბეჭდვია. არაფერი აინტერესებს, მხოლოდ დროულად შეამოწმოს ბილეთები და დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. ამაში იღებს ფულს, რომელიც დიდი ხანია კონკრეტული საქმეებისთვის აქვს გადანაწილებული. შემდეგი ფრაზა ფაქტობრივად, კომენტარია: ...,,კარგად მოქმედი ავტომატია, ეს კი ფრიად საჭირო დამოკიდებულებაა ხელფასისა და თანამდებობის შესანარჩუნებლად... და კიდევ: ,,მგზავრები ინტერესითა და აზარტით ელოდებიან – საპრემიეროდ გამზადებულ ფილმს: ,,უბილეთო ექსცენტრიული, ორიგინალური მათხოვარი ქალის საბედისწერო შეხვედრის – ექსპრესის კონტროლიორთან – დაწყებას“.

კონტროლიორი პერიოდულად იხედება მათკენ, შეშინებული ბიჭუნა თვალებს წამით ახელს და ეჩვენება – ეს კაცი როგორ უქნევს თითს და მკაცრად აფრთხილებს: ,,აი, მოვაღწევ თქვენამდე და ერთი, ბილეთი არ გქონდეს! მე თქვენ გიჩვენებთ სეირს... ბიჭუნას ეშინია,

გაქცევა უნდა, მაგრამ მუხლები საშინელი ტკივილით ახსენებენ: ვერსად გაიქცევიო!... და ისიც, სიმწრისაგან, ბებიას ეკვრის და მის მკერდში მალავს თავს! კონტროლიორისათვის მთავარია აიღოს დადგენილი ორმოცი ლარი, ქალს კი მხოლოდ ათი ლარი აღმოაჩნდა — სად არ ეძება — ჯიბეში მხოლოდ ცხვირსახოცი, ფერადი ქვები, ბუშტი, ასანთი, თმის ყვავილებიანი სამაგრი, კანფეტი აღმოაჩნდა... „ახლა ქოშინით ხელს იყოფს კაბაში" — იქაც დიდხანს ეძებს, მაგრამ იქაც არაფერია... დატკეპნილ ფეხსაცმელსაც იხდის, „სადაც ყოველთვის ინახავს ფულს"... მაგრამ თბილისში ჩამოსვლამ, კონკურსში მონაწილეობამ, ცნობის აღებამ — მთელი მისი ფულის მარაგი ამოწურა...

მგზავრებს ეს სცენა ართობს, პერიოდულად „მხიარული ბებრუხუნასკენ ცნობისმოყვარე მზერას აპარებენ"... კონტროლიორი იცდის, შემდეგ მის ყურადღებას მგზავრების მხიარული რეაქცია იპყრობს და ხმადაბლა ამბობს: „ამათ ღმერთი არ სწამთ და ამიტომ აქ სასწაული არ მოხდება".

ვერაფრით ავუვლით გვერდს ქალის შეწყვეტილ მონოლოგს „ყველაფერზე", სიტუაციის სათავისოდ შემობრუნების კიდევ ერთ მცდელობას: „...ბიოლოგიის მასწავლებელი გვყავდა სკოლაში! სტალინის დროს, უამრავი გადასახლება და ციხე გამოიარა! კარგი კაცი იყო! როცა გავიცანი, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა, სკოლაშივე, მეორე სართულზე! ტელევიზორის საყურებლად ხშირად მოდიოდა ჩვენთან! უყვარდა ცხოველებზე გადაცემები! ჰოდა, ერთხელაც უყურებს ამ გადაცემას და ხედავს მშიერი ვეფხვი როგორ მისდევს ანტილოპას! ერთი ნახტომიც და საცოდავი ცხოველი მის მომაკვდინებელ კლანჭებში მოექცევა და... ამ დროს, გაოფთრებული ლომივით წამოხტა ეს ჩვენი მასწავლებელი, ეცა ტელევიზორს და გადართო სხვა არხზე! გადართო და შვებით ამოისუნთქა — ეს ანტილოპა მაინც გადავარჩინე სიკვდილის საბედისწერო კლანჭებსო! — იცინის და ბავშვს კოცნის, რატომ გამახსენდა, იცით?. თუ არ ხედავ ცუდს, ის ვეღარ ხდება!... ცუდს მაყურებელი თუ არ ჰყავს, ვეღარ ცუდობს! დახუჭავ თვალებს და ისიც ქრება!... სიკეთე კი სიბრმავესაც, დაუნახაობასაც, უმადურობასაც და სიბნელესაც იტანს!" — ქალი ისე, თითქოს ჰორიზონტს გაჰყურებს, არც მგზავრები, არც ექსპრესი, თავისი კონტროლიორ-მძღოლიანად არ აინტერესებდეს... ბავშვს კი მკაცრი, ხმადაბალი ტონით ეუბნება: „ჩუმად იჯექი!... ნუ სლუკუნებ! ნურაფრის გეშინია, ვეფხო"!..

მცირე სასწაული მაინც ხდება. ვიღაც ახალგაზრდა სტუდენტი „გაბურძგნული, მუწუკებიანი, გამხდარ სახეზე დიდი სათვალეებით მიირბენს მოხუცთან... და ისეთი ტონით ამბობს თავის სათქმელს, თითქოს რაღაც დამამცირებელს აკეთებდეს: „მე, მაქვს რვა ლარი! — და სანამ რკინის ლარიანები ქალის კალთაში ჩაიყრებიან, სწრაფად უბრუნდება თავის ადგილს. ქალი ყვირილით წამოდგება: — დიდი მადლობა! ღმერთი გფარავდეს!" თუმცა, თანხა საკმარისი არ არის... საჭიროა კიდევ თვრამეტი ლარი!... ყველას გასაგონად რამდენჯერმე ამბობს კონტროლიორი: ბოლოს ამატებს: „მე ჩემი მხრიდან კიდევ ხუთ ლარს დავამატებ"...

„დრო მიდის, იცდის ქალი, ბავშვი თვალებდახუჭული ზის ბებოს კალთაში, მგზავრები ხმას არ იღებენ და არც ინძრევიან... ქალი თვალებით ეძებს იმას, ვინც გაუგებს... მაგრამ ირგვლივ შეურაცხმყოფელი სიჩუმე დგას. მათკენ არავინ იხედება. ყველა „ტკბება" პეიზაჟით... ბოლოს დაღლილი კონტროლიორი გამოსავალს პოულობს: „მეც ჩამოვალ ხუთ ლარს!... მეტს ვერ დავიმატებ! ბილეთი თუ არ აიღე და საჭირო ფული არ გადამიხადეთ, უნდა ჩაგყაროთ! თუ მე აქედან არ ჩაგყარეთ, სამსახურიდან გამაგდებენ"...

კონტროლიორი ორიგინალურ, საკუთარი თავის შესაფერის გამოსავალს პოულობს! თვალებგაბრწყინებული ქალს მიმართავს: „ბიჭუნას ბილეთზე თანხა ჰყოფნის... აქედან ბოლო გაჩერებამდე შორი მანძილი აღარაა დარჩენილი, ჩადი და ორ-სამ საათში მთელ გზას დაფარავ; ჩვენ კი ბიჭუნას ბოლო გაჩერებაზე დავტოვებთ. იქ საოფისე პუნქტი გვაქვს და ფირმის წარმომადგენელთან ერთად იქნება, არაფერი დაუშავდება! დაგელოდება! არაფერი დააკლდება შენს ვაჟაცს... კონტროლიორი ბიჭს სახელს უქებს: — კარგი სახელია, ვეფხია! ქართული!"... თუმცა ვეფხიას და ბებიამისს მაინც არაფერი შველით.

„გააჩერე, ჩავდივარ! — ლოცვასავით იმეორებს ქალი და გაყურსულ სალონს გახედავს. — გააჩერე, ფული არ ყოფნის"! — ისეთი ხმით ყვირის კონდუქტორი, რომ სინდისის ქეჯნას მგლებშიც კი გააღვიძებს... მაგრამ... მაგრამ, სალონში ჩვეულებრივი მოსამსახურე-მოჯამაგირე ადამიანები ისხდნენ და ხელფასიდან ხელფასამდე ცხოვრობდნენ. მორჩენილი ფულით კი საყვარელ და ძვირფას ადამიანებს უკეთებდნენ საჩუქრებს!... რა თქმა უნდა, მოსაწონია „საჩუქრების კეთების" ამბავი, ასევე კარგია, რომ მორჩენილი ფულით წამლებს ყიდულობდნენ და გაჭირვებულებს ურიგებდნენ; მაგრამ... ცოტაც და მოკლე პაუზის შემდეგ, მას საზარელი, სამართლიანი განაჩენი გამოაქვს: „ისინი „საშინელებებს" არ სჩადიოდნენ და ამიტომ ეგონათ, რომ ღმერთი სწამდათ"... წინადადების ბოლოს სამი წერტილი ბევრ რამეზე მიანიშნებს; უმთავრესად კი იმაზე, რომ ადამიანთა გარეგნული კეთილშობილებით შენიღბული საქციელი, სულაც არ ნიშნავს აუცილებელი ღვთისნიერ საქციელის ქმედებას.

ცრემლებამდე გულისმომკვლელია ბებიის დარიგება: „იცოდე, ჩავდივარ... შენ კი დამიცადე, მალე მოვალ. ფეხი არსად გაადგა, გაიგე? იმღერე! ჩვენი სიმღერები იმღერე! — თვალცრემლიანი, უსუსურობისაგან აცახცახებული ბიჭი, ცრემლებს რომ ძლივს იკავებს, არც ტირის და არც ემღერება, თუმცა მაინც მღერის:

„მინდვრები, ქართლის მინდვრები, ქედები მხარგაშლილები... მთაში... ტყე დანაბინდები, ტყეში — ქორბუდა ირმები... ბარად შრიალებს ჭადარი, მზეს უმღერიან ჩიტები... მხარეც მოსულო დიდებით, სხვა საქართველო სად არის"?... — სიმღერის მელოდია ჩაგესმის, კითხულობ ტექსტს და შენდაუნებურად დასტირი საქართველოს ბედს...